

143  
1924  
საქართველოს  
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

899.962.1(05)

~~382~~

# პროლეტარული მწერლობა


59

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა  
ასოციაციის ყოველთვიური ორგანო.

№ 3

მ ა რ ტ ი

თბილისი  
სახელმწიფო გამომცემლობა  
1927



ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიულ ტრესტის მე-3 სტამბა.

---

შეკვეთა № 1426      მთავლიტი 603.      ტირაჟი—1500.

# მხატვრული ლიტერატურა

## პირველი მარტენილი

ჯერ კიდევ ღამე არ დამდნარიყო, ჯერ კიდევ ცის კიღური არ გაელვარებულებოდა და რაღაცამ უცებ ფინთიხივით გააპო ჰაერი, გაკვეთა სივრცე და გადაუარა სოფელს შხუილით. ეს იყო ფრინველი უცნაური, რომელიც შემოჯდა იქვე ამაყად, ცად აწვდილ ნაძვის წვეროზე და იყივლა ისე, როგორც ყივიან მამლები ჩვენში გათენებისას:

— ყიცილიყოო...

სოფელმა გაიგონა ეს ყივილი და იმ დღის შემდეგ, როცა მე ჩემს ტოლ-აშხანაგებთან ერთად გადავდიოდი ქუჩაში სათამაშოდ, ვატყობდი, რომ გლეხები რაღაცას ჩურჩულებდნენ ერთიმეორეში, რაღაცაზე დაობდნენ, ყაყანებდნენ.

ეს იყო მაშინ, როცა მე ვიყავ 7-8 წლის ბავში და არაფერი არ მეინტერესებოდა ქვეყნად გარდა ლიკ-ტაფერობიისა, ჭაკუნობიისა და კენჭალობიისა, იმიტომ, რომ მე მაშინ ვიყავ ბედნიერი და უმწიკვლო ისე, როგორც არას დროს.

გადიოდა დღეები და სოფელს თანდათანობით მოეფინა რაღაცა ფურცლები და როცა გლეხებმა ეს ფურცლები წაიკითხეს, ხშირად მესმოდა შემდეგი სიტყვები: პროკამაცია, რევოლუცია, ერთობა, ცოციალისტები და სხვა.

მე არ მესმოდა მაშინ: რას ნიშნავდა ეს სიტყვები უცნაური, მაგრამ შევატყვე, რომ სოფელმა თანდათანობით იცვალა ფერი და გლეხების დინჯი, დარბაისლური სჯა-ბაასიც დაემგვანა შეყვარებულთა ჩურჩულს ვიწრო შუკებში.

თუ კი წინად იშვიათად ნახავდით გლეხებს საღმე ერთად თავმოყრილს, ეხლა თითქმის ყოველ საღამოობით იდგენ ისინი ჯგუჯგუჟად გენო გოფოდის ქიშკრის წინ და დაობდნენ, კამათობდნენ რაღაცაზე.

როცა ჩვენ, ბავშვები ლიკ-ტაფერობიით დაღლილნი და დაქანცულნი მივიდოდით მათთან ყურის დასაგდებათ, ბევრი არაფერი გვესმოდა მათი, რადგან სიტყვები: რევოლუცია, ცოციალისტი, ერთობა და სხვა, არ ვიცოდით რას ნიშნავდა.

მე გამიტაცა ცნობის-მოყვარეობამ ბავშურმა და ხშირად დანა-  
ღვლიანებული ასე, ვიტყვდი ჩემთვის:

— რატომ არა მაქვს მე წვერ-ულვაში და არა ვარ დიდი,  
რომ მეც გავიგო ამ სიტყვების საიდუმლოება და ჩავერიო ხალხის  
ლაპარაკში მეთქი.

ხშირად კოსტაიის დათიკის ფართოდ გაშლილ ეზოში ვთამა-  
შობდით ჭაკუნობიას.

მე ვიყავ მარდი და ცქვიტი, და ჩემ ტოლ-ამხანაგებს მუდამ  
გულზე ვხეთქავდი ჩემი სიმარჯვით თუ მამაცობით.

გავაგდებდით თუ არა კოტას, მე ჩემი ჭაკუნით ჩიტვიით მიე-  
ფრინავდი წინ და მივათამაშებდი კოტას, რომელსაც, ცოტა გაბრძო-  
ლების შემდეგ სწრაფი გასროლით ვსტყორცნიდი ლელოს.

ამიტომ იყო, რომ როცა ამხანაგები შევიყრიდით თავს სათა-  
მაშოთ და ორ პარტიათ გასაყოფად, ორი ჩვენგანი დაიწყებდა არა-  
დანს და არჩევანს, ყველა ცდილობდა: მე მის მხარეზე მომხვდარიყავი.  
ხშირად ასეც ხდებოდა ხოლმე, რომ ჩემს თავს, ერთი ჯგუფი მეორე  
ჯგუფს, ორ მოთამაშეში უცვლიდა და მეც ვამაყობდი ამით, იმი-  
ტომ, რომ მე მაშინ თავი წარმომედგინა გმირ-რაინდათ: არსენათ  
თუ ყარამანათ.

მე მაშინ არ ვიცოდი წერა-კითხვა, მაგრამ ბევრი საგმირო  
ამბები და ზღაპრები მქონდა გაგონილი მაინც.

დედამ ზეპირად იცოდა არსენას ლექსები და ჩვენ ბავშვები,  
როცა ზამთრის ცივ და გრძელ საღამოობით კერის პირად შემომსხ-  
დარნი დავიწყებდით თვლემას და მოწყენას, ისიც დაიწყებდა ხო-  
ლმე არსენა ოძელაშვილის ლექსს.

ჩვენც, ბავშვები ამით გამოფხიზლებულნი სიხარულით შემოვე-  
ხვეოდით დედას მუხლებზე და ვთვრებოდით არსენას გმირულ და  
რაინდულ დიად ამბებით. მამამ კარგად იცოდა კითხვა და მოწიწე-  
ბით ქონდა სკივრში შენახული შემდეგი ძველი წიგნები: „გურამია-  
ნი“, „ამირან-დარეჯანიანი“, „ყარამანიანი“, „ვეფხისტყაოსანი“ და  
რჩეულოვის რომანი „თამარიანი“, რომელიც შემდეგ მამას ვილაცამ  
მოპარა და რომლის დაკარგვას ჩვენი ოჯახი გლოვობდა რამოდენ-  
იმე წლის განმავლობაში. (შემდეგ ეს რომანი ს. გუგუნიანამ გალექსა  
და როცა მე მესამე კლასის მოწაფემ ის წავიკითხე და მამას ვუჩვენე,  
მამამ ხელი ჩაიქნია და სთქვა: „ეგი რაია, აი, წიგნი ის იყო მე რო  
მქონდა“).

მამაჩემი კალატოზი იყო და მეც მაშინ ისეთი წარმოდგენა  
მქონდა, თითქოს ყველა ის აგურის სახლები, რომლებიც ხონში

იყო აგებული, მამაჩემის ხელით იყო გაკეთებული. მე მაშინ ვერ წარმომედგინა, თუ მამაჩემის გარდა სხვას კიდევ ვინმეს შეეძლო სახლების აშენება.

მამა ხშირად არ იყო სახლში (სამუშაოებზე დადიოდა), მაგრამ როგორც კი მოხვდებოდა შინ, თავისუფალ დროს შეგვიყრიდა ყველა შეილებს თავს (მე მყავდა ორი ძმა და ორი და) და დაგვიწყებდა სხვა და სხვა წიგნების კითხვას. ამ წიგნების კითხვის დროს ჩვენ გალურსული ვიჯექით და გულის ფანტკალით ვუგდებდით ყურს ყარამანის თუ როსტევეანის საგმირო ამბებს.

როცა მამა დაიღლებოდა კითხვით, დაკეცდა წიგნს, გადაგვაგვლებდა ჭუჭულებივით დაყუჩებულ ბავშვებს თვალს, სინარულით გაიბრწყინვალებდა თვალებს, მოხვევდა ერთ ჩვენთაგანს ხელს და იტყოდა ზეპირად გურამიანიდან შემდეგ ლექს:

ისმინე სწავლის მძებნელო, მიყუე დავითის მცნებასა,  
ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა.

თავს სინანული სჯობია, ბოლო ჟამს დანანებასა! და სხვა.

აი, ამ საგმირო ამბების კითხვა იყო იმის მიზეზი, რომ მე ჩემს ტოლ-ამხანაგებთან ყოფნის დროს ვცდილობდი მიმებადა არსენასთვის თუ ყარამანისთვის, რომ ამით ყველასთვის გმირად მეჩვენებია თავი... დაუძლევად...

2

ერთხელ ჩემს ეზოში შევიყარეთ თავი მე და ჩემა ამხანაგებმა: დათიკიამ, ბაჩქუნიამ, ლუტუამ, კვერკვეზამ და მე. (დღეს, პირველ მათგანს ერთი პატარა ჩაქოქილი სავაჭრო აქვს ხონში, მეორე სომხებთან ომის დროს მოკლეს, მესამემ ქალი შვირთო და ტალახს ზილავს საკრამიტეში, ხოლო მეოთხე კი,—მაგრამ ამის შესახებ თვით ამ მოთხრობაშივე).

ის იყო კოტა ავაგდეთ და თამაში უნდა დაგვეწყო, რომ ჭიშკარს მოადგა გენო გოფოძე და დაიძახა:

— ჭაჭვია, ჭაჭვია, მოი კუტა ა, მოი!..

მე საჩქაროდ გავიქეცი ჭიშკრისკენ; თან სინარულისგან ვბტოდი, ვცქმუტავდი, იმიტომ, რომ ისეთმა სერიოზულმა და ყველას მიერ მიღებულმა კაცმა, როგორიც იყო გენო გოფოძე, მიკადრა და სახელი დამიძახა მე.

— ბიჭო ჭაჭვია! გაიქეც მამაშენს დაუძახე!

— ბაბა არაა სახში!—მიუგე მე.

— სად არის?—უკმაყოფილოდ მკითხა გენომ.

— ხონშია, მუშაობს...

— მაშ კარგი... აი ეს ქალაქები და წიგნები, რომლებსაც  
გადაეცი და უთხარი: ამ საღამოს გენო გოფოძე მოვა შენსას და  
არსად წახვიდეთქვა.

სთქვა ეს თუ არა გენომ გადმომცა წიგნები და წავიდა.

მე სიხარულით მივიკარ წიგნები გულზე და მოვკურცხლე  
შინისკენ.

— დია, დია!—გიჟივით მივვარდი დედას, რომელიც მკლავებ-  
დაკაპიწებული ნაჭაზე ჩამოკიდებულ ქვაბში ღომს ზილავდა.

— რა იყო, გენაცვალოს დია!

— რა იყო დია და გენო გოფოძემ ქალაქები დატოვა და  
მითხრა, ბაბას გადაეცი, რომ ამ საღამოს არსად წავიდესო, მე  
მოვალო!..

— რაი ქალაქებია?! ალბად რამე საეშმაკო თუა კიდევ!..

— მე რა ვიცი დია!

— დააწყვე იქ—მითხრა დედამ და მიმითითა იქვე საწინებლის  
თავზე. მე საჩქაროდ ჩამოვაწყვე წიგნები და კუნტრუშით გამოვხტი  
გარე.

მე მივირბინე ჩემს ამხანაგებთან; თან მიხაროდა, რომ ამელამ  
ჩვენსას მოვა გენო და მომეცემა შემთხვევა მათთვის ყურის  
დაგდებისა.

— რა მინდაო, ბიჭო, ი წუპაკმა?!—მომახალა ინდოურივით  
ამრეზილმა ლუტუამ და თვალებდაკუსვით დამიწყო ყურება.

— რა იყო ლუტუა, რატომ აგინებ ასე ი კაი კაცს?

— აი, ისე დაგიშვენიდა ცხვირი, მაი კაი იყვეს!--ისევ გულ-  
მოსულად მითხრა ლუტუამ და მეც ჩაფიქრდი.

ლუტუა სამი წლით უმფროსი იყო ჩვენზე, მაგრამ ის მაინც ჩვენ  
ამხანაგად ითვლებოდა, ეს იმიტომ, რომ მას მეტად მომცრო და  
პატარა ტანი ქონდა, რისთვისაც მას მისი ტოლ-ამხანაგები არ  
კადრულობდნენ. ამის გამო მან თავის ამხანაგებათ ისეთები აირჩია,  
რომლებიც ტანათ მასზე მეტი არ იყვენ; ასეთები კი ვიყავით ჩვენ.  
სამაგიეროდ ის ჩვენგან განირჩეოდა თავის ჭკუით და გამოცდილე-  
ბით და ჩვენც ყოველთვის ერთგვარ მორიდებას ვგრძნობდით მის  
მიმართ.

და აი, ეხლა, როცა ლუტუამ ეგრე უწმაწურად მოიხსენია  
გენო, რომელიც, ჩემი აზრით ყველაზე უფრო ჭკუიანი და საყვარელი  
კაცი იყო სოფელში, მე ცოტა არ იყოს ერთგვარმა გაუგებრობამ

მომიცო და გადავწყვიტე გამეგო, თუ რად აგინებდა ლუტუა მწარედ გენოს.

— ლუტუა, თუ ძმა-ხარ, ერთ რამეს გთხოვ და შემისრულე.— მიემართე ლუტუას.

— რა გინდა ბიჭო?!

— რა და მითხარი, რატომ აგინებ გენოს?

— რატომ ვაგინებ და იმიტომ, რომ ის წუპაკია და ცუხი!..

— მაინც!

— მაინც და აი, მე რო დაი მყავს ცუცაიი, ის შეყვარებია თურმე მა მიწა გასახეთქს, ამბობს თურმე: სტეფანიი ავალიანის ძღაბი რუა ცუცაიი, ის თუ არ შევირთე ცოლად, თავი ცოცხალი არ მინდაო. ამ კვირე საღამოს თურმე ეკლესიის მინდორზე რო ჯარი დაშლილიყო და ძღაბები შინ წამოსულიყვენ, ი წუპაკი გამოკიდებია თურმე ცუცაიას და სიყვარული არ აეხსნა?! ჩვენ მიგედით სახლში, გავშალეთ ვახშამი და უცდიდით ცუცაიეს მოსვლას, მაგრამ სადაა! კაი ორი საათი გავიდა და ის მაინც არ ჩანდა. მერე ბაბიი გადავიდა საძებნელათ და ფირანიის ჭიშკართან რო ნიგოზია, იმის ძირში ქი იყვენ თურმე ორივე გაჩერებული და არშიყობდენ. თურმე, რავაც კი დეინახა ეგი ბაბიამ, მაშინვე ანთო ცეცხლივით; ეტაკა იქვე ამბროსიის ჭიშკართან რო ბჟოლაა, ჩამოგლიჯა ფშხვერთი და გიყვარდეს: მოცხო და მოცხო თურმე ცუცაიას. ი წუპაკი კი თურმე სერაფიის ლობერზე გადამბტარიყო და კუდ-ამოძუებულ ძაღლივით გაქცეულიყო თავის სახლისკენ.

იმ ღამეს, გიყვარდეს ცუცაიას დღე დააყენა ბაბიამ. მოცხო და მოცხო, თან ყვიროდა:

— რავა მომჭერი ძღაბო თავი, რავა მომჭერი, ჩვენი ნაყმევის შვილთან რა გინდოდა მარტო ამ შუალამეშიო.

ჩვენ და დედიას ქი გვეცოდებოდა საწყალი ძღაბი, მარა რას ვიზამდით? ხმის ამოღებას ვერც ერთი ვერ ვებედავდით.

ბაბიი კი ისევ ყვიროდა და იგინებოდა!

— რავა გაბედა ი წუპაკმა, რავა გაბედა ჩემი ძღაბისათვის ხმის გაცემო! ი ცუხი იგი, ი ცოციალისტი იგი...

მეორე დღეს საღამოს ბესოიის ნესტორიე რუა, იგი გამოუგზავნა ი ცუხმა ბაბიას.

ჩვენ ყველანი ქუხნა სახლში ვიჯექით. დედიი ვახშამს აკეთებდა... ბაბიი რალაცა ბუზიკას ჩაკირკიტებდა... ცუცაიას გლოვა გაეთავებია და საიჩელზე მატყლს ჩეჩავდა; ჩვენ ბავშვები კი კერის



პირად გოჯალობიას ვთამაშობდით. ამ დროს გარე ბუულიამ დაიკე-  
ფა... მოისმა ძახილი:

— მაინძელი, გამოიხედე გარე... შემჭამა ამ სამგლემ...  
გავიდა გარე ბაბიი და შემოუძღვა შინ ბესოიის ნესტორიას.

— მშვიდობა აქაურობას!—სთქვა შემოსვლისთანავე ნესტორიამ  
და იქვე კერიასთან მდგარ სამფეხა სკამზე ჩამოჯდა.

— მშვიდობა შენც!—მიუგო დედამ.  
ჩამოვარდა სიჩუმე...

— რაზე გარჯილხარ ბატონო ნესტორ?!—დაიწყო ბაბიამ.

— რაზე, ბატონო სტეფანე და...ი ძღაბი რუა ეგერ და და-  
წითლებია ლოყები ჭიაფერასავით ქე გავათხოვოთ აწი!

— ე, ბარემც ქე მინდა ჩემო ნესტორ რო გავათხოვო, მარა  
ფული მე არა მაქვს და ბზითი, და ისე ვინ ცეცხლ-ნაცარი წაიყვანს!  
ხომ იცი, ჩემო ნესტორ, ღარიბი კაცის ბედი რავალია!!!

— ე, ჩემო სტეფანე, მაგაზე შე ნუ ფიქრობ!! ისეთი კაცი გა-  
მოგინებო, ისეთი რომ!..

— რავა, უბზითოთ და უფულოთ თუ?!

— მაშა!.. ანგელოზია, კაცად ანგელოზი!..

— ვინაა ბოშო, მითხარი ერთი!—სთქვა ბაბიამ და სახე გაე-  
ბრწყინა; დედამაც შეწყვიტა ფუსფუსი და ნესტორიას დაუწყო ყუ-  
რება; ცუცაიი კი ისევ თავაულებლივ ჩეჩდა მატყლს.

— ვინაა ჩემო სტეფანე და ყველას მიერ მოწონებული და კა-  
ცად მიღებული გენო გოფოძე!..—ამის გაგონებაზე სიხარულისაგან  
აპილბილებულმა ცუცაიამ შეწყვიტა ჩეჩა და თავი ზედ აიღო... ბა-  
ბიას კი სახე უცებ დაეწკურა, დაეჯღუნა და არ გაუვლია ორ, სამ  
წუთს, რომ თოფის წამალივით აფეთქდა:

— რაიო?!! რა სთქვი კაცო ეგი, რა?! გენოია ცუხს, ყაზახს  
და ცოციალისტს გავატანო ქალი?!! აჰ, პა, პა, პა, პა, პა, რა მითხარი  
კაცო ეგი?!—ცუცაიას ისევ დეეჯღუნა სახე და თავი საიჩელში ჩა-  
ყო... ნესტორიამ კი, თითქოს არაფერიყო, გადისო თავის გრძელ-  
ულვაშებზე ხელი და დაიწყო:

— ბატონო სტეფანე! შენ ჰკვიანი კაცი ბრძანდები... ჩაფიქრ-  
დი... აწონ-დაწონე... სიჩქარით და სიფიცხით საქმის გაკეთება ხომ  
იცი, არ ვარვა!..

— არა, არა, ბატონო ნესტორ! მაგას ნუ მეტყვი... რას უნობ  
კაცო! ჩვენს ნაყმევის შვილს გავატანო ქალი, ჩვენს ნაყმევის შვილს?!  
იმე, რა მითხარი ბოშო ეგი?!! რას მეტყვის მაშინ ჩემი მამა-პაპის  
სულელები საიქიოში?!! ხო წამიჭერენ ისინი ყრონტში ხელს და ხო

მეტყვიან: რა ქენი ავი?! ასეთი სიგლახე რავე დაგემართა, რომ ჩვენს ნაყმევ სოლომონა გოფოდის შვილს გაატანე ქალიო?! არა და მან რომ არ იყვეს, რას იტყვის ჩემი მეგვარეები: სტეფანიი ავლიანმა, ტახტის აზნაურმა,—ძღაბი ვილაცა ლაწირაკას, ვილაცა ცოციალისტს გაატანაო... არა, არა ბატონო ნესტორ, ი ძღაბი სახში რო დამიბერდეს ის მირჩენია, ვიდრე ვილაცა წუპაკს გავატანო ცოლად. ფული და ბზითი არა მაქვს, ბატონო ნესტორ, მარა—აქ ბაბიი ამაყად გაიქიმა—მარა კაცობა ქე მაქვს, თავმომწონეობა ჯერ კიდევ არ დამიკარგავს... რაც უნდა ვიყვე, აზნაურიშვილი გახლავარ და აზნაურის სისხლი მიდულს ძარღვებში... ესეც რომ არ იყვეს, ჩემო ნესტორ, ხომ იცი გენოიე გოფოძე საცოლშვილო კაცი არაა... სახლი მას არ უდგია და კარი... დეეთრევა ქუჩაში, დაუკავებია რალაცა პროკამაციები ხელში და გაიძახის: ერთობა და ერთობაო... ვის გაუგონია კაცო, ერთობა?! მთა და ბარი ვის გაუსწორებია?! მთი მოერევა რუს-ხემწიფეს?! ვაი, მაგ უბედურს უფრო ის ერჩია, რომ თავის დაფსებულ და დაჭუტულ ოჯახიზა მოეველო და ეპატრონებია... მაგისტანა ცოციალისტები, თუ გინდა სიმართლე, ჩემო ნესტორ, სწორედ ჩამოსახრობია, ჩამოსახრობი, მაგისტანებია კანკრაზ რომ რევეს ხალხს და ამღვრევეს წყალს, თორემ ჩვენ რა გვიჭირდა...

სთქვა ეს ბაბიამ და პაპიროზს ცეცხლი მოუკიდა. ნესტორიას კი თავი ჩაელუნა და რალაცას ფიქრობდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ თავი ზედ აილო და ასე მიმართა ბაბიას:

— ბატონო სტეფანე, ძან ვწუხვარ, რომ შენისთანა შეგნებული კაცი უნობს ასეთ რამეებს... რავე ბოშო, აზნაური ვარ და აზნაურის სისხლი მიდულსო, რო დაგიჩემებია, რასა გავს ეს?! აი, მარგალიტად, მე არა ვარ შენსავით აზნაური მარა, ერთი მითხარი: შენზე ნაკლები რითი ვარ?! რავე, შენზე ნაკლები სისხლი მაქვს, ფერი მაქვს, თუ ხორცი მაქვს!?! ეგებ ჩემზე მეტი ქონება და მამული მაქვს?! აპა, აპა, პა, მეტი არ შეგჭამოს ქირმა!... შენ ამ ერთი დანჯღვრეული ქოხის მეტი არაფერი არ ვიდგია, მე კი კაი ოთხ-თვლიანი ოდა მაქვს წამოჭიმული... შენ ამ ერთი პატარა ეზოს მეტი, ფეხის დასადგმელი მიწა რაა, იგიც კი არ მოგეპოვება გადაღმა, მე კი კაი ხუთი-ექვსი ქცევა მიწა მაქვს ღვთის წყალობით.

ეჰ! ნეტავი, ეი სიტყვები არ გეთქვა სტეფანე ჩემო და რომ დაგეკალი არ ვინაღვლებდი... ახლა გენოს შესახებ. გენო, მართალია, აზნაური და მდიდარი არაა, მარა სამაგიეროდ შეგნებული და განვითარებული ყმაწვილია. სიტყვა-პასუხი კაი აქვს და ვაჟაკობა. მეგისტანა განვითარებული, თუ გინდა სიმართლე, სტეფანე ჩემო,

მთელ ღუნიაზე არ მოიძებნება, მაშ!.. მაგას ვინ დაუკავებს ქალს?! ამ ძღაბზე ნაკლებ ქალს ითხოვს თუ?! მარა ხომ იცი, რაა სიყვარული?! რალაც საუბედუროთ ერთმანეთი შეყვარებიათ და...

— რაიო, ერთმანეთი შეყვარებიათო?! რა თქვი ბოშო აგი, რა?!—დაიღრიალა ბაბიამ.

— შეყვარებიათ მაშ! თუ არ გჯერაგს მოდი ი ძღაბს კითხე. ამის გაგონებაზე ბაბიი განრისხებით წამოვარდა ფეხზე და მუშტებ-მოღერებით მივარდა ცუცაიას, რომელსაც თავი კალთაში ჩაეყო და ტიროდა.

— რაიო, ძღაბო! მართალია ეგი, მართალი?!!

ცუცაიამ კიდევ უფრო ჩაღუნა თავი და ტირილით ფეხზე წამოდგა, გარე გასვლა დააპირა.

— სად მიხვალ? არ გაგიშვებ... მართლა გიყვარს ი წუპაკი და ცუხი, მართლა?!—ყვიროდა ბაბიი, მაგრამ ცუცაიი ხმას მაინც არ იღებდა და ისევ ზღუქუნებდა პირზე ხელებაფარებული.

— ბატონო სტეფანე!—მიმართა ბოლოს ნესტორიამ ბაბიას— ხომ ხედავ რომ ძღაბი გაჩუმებულია... გაჩუმება კი თანხმობის ნიშანია... ამისთვის...

— რაიო, რაფერ ბედავ შენ ამის თქმას, რაფერ?! მარა შენც ხომ ისეთი ცუხი და წუპაკი ხარ, როგორც ი შენი ტრიკი გენოიაა... მაგრამ ოხ, ნეტავ ეხლა შენ ჩემი სტუმარი არ იყვე და მაშინ თუ მოვკვდებოდი, არ ვინაღვლებდი!!!

— რას იზამდი მაინც?—შეეკითხა მოთმინებისაგან გამოსული ნესტორიი.

— რასაც ვიზამდი, მაშინ ნახავდი თვალის სეირს...

— რაიო?! აი, დედასა, რომ მართლა შენი სტუმარი ვარ ეხლა, თორემ ი ცხვირს სულ ბუკივით გაგიხდიდი შე გლახა, შე!!!

— რაიო!!! ვაი, მართლა დედაია, რომ შენ ჩემსას ხარ ეხლა თორემ... მარა არა უშავს, თქვენისთანა ცუხებს და ლაწირაკებს მე ყოველთვის გაუსწორდები... ეხლა კი წადი, გაეთრიე აქედან... არ დამენახო თვალში.

— ფუჰ! შეს კაცობას, შე გლახა, შე, შე მემუზიკე შე!..—სთქვა ეს ნესტორიამ და კარში გავიდა...

ამ ამბავის შემდეგ კი ბაბია მთელ ღამეს ყვიროდა და იგინებოდა. საწყალი ცუცაიი კინალამ მოკლა, იმდენი ურტყა.

ჩვენ ყველანი მივწექ-მოვწექით, მარა ბაბიის გინება ძილშიაც კი გვესმოდა:

— ი ცუხები, რგინი! იმათ ვუჩვენებ მე თვალის სეირს თუ ვყოფილვარ სტეფანი ი ავალიანი?!!

... დაასრულა ლუტუამ ეს ამბავი თუ არა, ნიშნის მოგებით თავი ზედ აიღო და მითხრა:

— აბა კუტა, მითხარი: არაა ცუხი და წუპაკი ი ვინცხა გენოია თუ რაცხა ჭადი?!!

### 3

ამ ამბავმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ ნათლად მაინც ვერ გავერკვიე, თუ რაში იყო დამნაშავე გენო.

ჩავფიქრდი... ჩავფიქრდი ისე, როგორც შეუძლია ეს 7—8 წლის ბავშს ცნობის მოყვარეობით გატაცებულს და მოსურნეს ყველაფრის ცოდნისას. უცებ გამახსენდა დედა და მეც ვახარებულმა იმიტომ, რომ დედას შეუძლია დამეხმაროს მე ამ საკითხის გარკვევაში მივატოვე ამხანაგები და მივირბინე შინ. დედას ღომის ზელა გაეთავებია და ეხლა შამფურზე წამოცმულ გაფატრულ წიწილს კერიანზე ცეცხლს აფიცებდა.

— დია!— მივახალე დედას მისვლისთანავე— მართლა წუპაკი და ცუხია გენოი.

— რატომ მეკითხები შვილო, ამას?!!

— რატომ დია და...— და მოუყევი დედას ყველა ის, რაც ლუტუამ მიაშრო გენოს შესახებ.

— ეს ამბავი მეც ვიცი შვილო, მარა ამით არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ გენოი ცუდი კაცია.

— რატომ დია?!!

— იმიტომ რომ გენოიას და ი ძღაბს ერთმანეთი უყვართ.

— მაშ, დია, გენოიი კაი კაცია ხომ?!

— კი შვილო, ის მეტად პატიოსანი, ჭკვიანი და განვითარებული ყმაწვილია... გარდა ამისა ის ცოციალისტიც არის...

— რაა დია, ცოციალისტი?!!

— რაა, შვილო და რუს-ხემწიფეს რო ებრძვის და ხალხისთვის რო კარგი უნდა...

— მაშ გენოიი გოფოძეს ხალხისთვის კაი უნდა, ხომ?!!

— ხო, შვილო.

— მაშ, რატომ არ აძლევს სტეფანიი მას ქალს?!!

— რატომ შვილო და სტეფანიი კუდაბზიკა აზნაურია... აი. მარგალიტად ხო ხედავ, ამ სოფლის ყველა გლეხი და აზნაური მუშაობს, ზოგი ყანებს თოხნის, ზოგი ტალახს ზილაფს, ზოგი ამას მუ-

შაობს, ზოგი იმას... სტეფანი კი გაიძახის: მე აზნაური ვარ და მუშაობა რავე მეკადრებაო... სამაგიეროდ კი დაუკავებია ბუზიკა ხელში და ქეიფში და ოხრობაში ატარებს თავის სიცოცხლეს.

— იმისთვისაა დია, სტეფენი, რო ეგრე ლარიბია?!!

— იმისთვისაა შვილო, მაგი არ მუშაობს და ისე აბა, ტყვი-  
ლა ვინ რას მიცემს... თუ რაიმე იშოვა რაცხა ბუზიკების გაკეთება-  
ში, იმასაც ღვინოში და ქეიფში ხარჯავს.

ამ საუბარმა მე თვალები ამიხილა.

მივხვდი: თუ რად აგინებდა ლუტუა გენოიას.

მივხვდი: თუ რას ნიშნავდა სიტყვა ცოციალისტი.

მივხვდი: თუ რა იყო კუდაბზიკა აზნაური და სხვა.

წინად კი ვუყურებდი, რომ სტეფანი არ მუშაობდა და სულ ქეიფში და ოხრობაში ატარებდა დროს, მაგრამ ეს მაინც რო-  
გორ მეგონა, თუ ეს მისი კუდაბზიკა აზნაურობის ბრალი იყო?!

ეხლა კი ყველაფერს მივხვდი და მეც შემეზიზნა სტეფანი,  
რომელსაც ქონდა გრძელი, გაწითლებული ცხვირი და რომლის პა-  
ტარა სახლიდან მარად გამოისმოდა არღნის თუ გარმონის ჭიჭყი-  
ნი და ლოთების ღრიალი და ლანძღვა-გინება.

მე უფრო შემეყვარდა გენო, რომელსაც ქონდა ლამაზი, ჭკუი-  
ანი თვალები, და რომელმაც, სოფლის თქმის არ იყოს, იცოდა ყო-  
ველივე—ავიც და კარგიც.

მე ვიგრძენ უცებ ჩემი თავის გადასხვაფერება და ყველაფერზე  
თვალ-ახილული ჩუმად ვნატრობდი გულში:

— ძია, ჩემო კარგო ძია, გენო! ნეტავ მეც ვიყვე დიდი, მქონ-  
დეს წვერ-ულვაში და ვიცოდე შენსავით ლაპარაკი, რომ ყველა-  
ფერში დაგეხმარო შენ...

#### 4

მოვიდა საღამო და აშვინდისფერდა გარემო—ედემი...

გიშრის ნამსხვრევები დაიბნა სივრცეში და აბლავლდა, აყეფდა  
სოფელი დაისის.

ფშუკები გაივსო მონადენ ნახირით.

ძროხები მიადგენ ჭიშკრებს და ეზოებს და კმაყოფილებით  
მორთეს ბლავილი.

ხბოებმაც, კისერ-დაგძელებულეებმაც, რომლებმაც გაიგონეს ეს  
ბლავილი და იგრძნეს სიხარულის მოახლოება, ასტეხეს პეტელი.

პატარა მწყესებმა, რომლებსაც ოთხკეცი კანი ქონდათ აძრო-  
ბილი სახეზე მზეში სიარულით თუ წყალში ბანაობით და რომლებ-

საც ფეხები ქონდათ დახეთქილი ქვებით და ჯაგებით, მიურეკეს სა-  
ქონელი თავ-თავიანთ პატრონთ.

ცელქი მწყემსების დანახვაზე აყეფდენ, აწკმუტდენ ძაღლები  
გულმოსულნი, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ყველამ ჩაიკმიდა ხმა და  
შერცხვენილებივით ბოდიშის მოსახდელად, ლაქუცით გაეგენ იმათ  
ფეხ-ქვეშ... ეს იმიტომ აღბად, რომ ძაღლები ამ პატარა ორფეხებს  
სთვლიდენ თავის საკუთარ მეგობრებათ თუ ამხანაგებათ.

დაფაცურდენ დედაკაცები და ქოთნებით ხელში გაეშურენ  
ქართებში თავის დუღიების თუ კაბელების მოსაწველათ.

ამის შემდეგ ბიჭებმა ჭყვირილით და ერთი ვაი-უშველებელით  
შერეკეს ღორები საღორეში და მაგრად ჩაუკლიტეს კარები, რომ  
ვინციობაა ღამით არ გამობრძანებულიყვენ გარედ თავის დარბაის-  
ლურ სიღინჯით და არ დაექციათ ოჯახი.

გლეხებიც დაბრუნდენ ყანებიდან, ტყეებიდან, აგურხანები-  
დან და აჩქარებდენ თავთავიანთ დედაკაცებს, რომ რაც შეიძლება  
მალე ექმნათ მათთვის ვახშამი და მოესვენებიათ მთელი დღის ნა-  
მუშევარნი

მე ვიდექ ქიშკართან და გულის ფანცქალით გავცქეროდი ხო-  
ნისკენ ქუჩას...

მე ვუცდიდი ბაბას:..

დაბნელდა...

ვარსკვლავებმა ააკაშკაშეს ცა და ლაქვარდი...

ჭრიჭინებმა მორთეს ჭრიჭინი ყველა ღობიდან, თუ ბუჩქის  
ძირიდან.

ბაყაყებმა იწყეს ყიყინი ახლო-მახლო თხრილებიდან თუ ძველ  
ბუოლების ფულუროებიდან.

ციცინათელებმა გაშალეს ფრთები და პატარა ელვებით თუ  
ალმასებით გაავსეს სივრცე გიშრის ფერი.

აშრიალდა საღამო გაზაფხულის და ანიავდა გარემო ოცნების..

— რაა ეს?! ოცნებაა მეწამული?!

— არა, ეს არის საღამო კოლხეთის: მყუდრო და დაუსაბამო,  
წყნარი და ჩუმი, მომხიბვლელად რომ გაუშლია თილისმის მკერდი  
და ეპატოჟება მასზე ყველი აელვებულთ... ეს არის ედემი, ჩასვენე-  
ბული ფირუზ ზესკნელში, ფიქრებს რომ უხსნის აღვირს, თუ ლაგამს  
და ათამაშებს ყოველ არს ზღაპრულ აღერსით.

მაგრამ გომბეშოები ისევ ყიყინებდენ და ჭიჭინობელები ისევ  
ჭრიჭინებდენ ქვეყნის გულის მოსაფხანად.

გამოჩნდა აჩრდილი...



— ბაბა!..—სიხარულით მივევარდი აჩრდილს და მკერდში.

ბაბის მკერდზე მიხუტებული მე ყოველთვის ვგრძნობდი ოფლის სუნს და მეც მიყვარდა ეს სუნი, რადგან მე ამით თითქოს ვითქვლივებოდი ჩემს საყვარელ მამის არსებაში, თუ სულის რაობაში...

როცა ეხლა ვუკვირდები ამ გარემოებას ასე ვხსნი: მქონდა აღბად სიყვარული მამის უაღრესი...

— ბაბა, იცი რა გახარო?!—დავიწყე ტიკტიკი.

— რას მახარებ ბიჭუნა?!!

— დღეს ჩვენსას გენოიი გოფოძე იყო და შენ გიკითხა. მე ვუთხარი სახლში არაა თქვა... მაშინ რალაცა წიგნები დატოვა და მითხრა: ამ საღამოს მე მოვალ და მამაშენი სახლში დამხვდესო...

ამ ლაპარაკით შევედით სამზად სახლში.

მამა მაშინვე მოტანილ წიგნების დათვალიერებას შეუდგა... დედამ კი ვახშამი გაამზადა...

ვივახშმეთ და ის იყო გამოვედით ოდის აივანზე, რომ ჭიშკრიდან გაისმა ძახილი: მაინძელი...

აკეჭმუტდა, აყეფდა ბახუზურე და გაექანა ხმას ვაჭენებულს უართო ეზოში; ბახუზურას უკან გამოუდგა ბაბა და... ცოტა ხნის შემდეგ ჩვენს აივანზე ისხდნენ: მამა და ის...

მე მივეყრდენ მამას მუხლებს მშობლიურს და მივაშტერდი გენოს.

გენო იყო ახალგაზრდა, ასე 25-26—წლის...

ქონდა პატარა აკოკრილი უღვაშები და ბრწყინვალე სახე.

თვალეები ქონდა შევარდნული და ყრიდა ჩინჩხალს, როგორც ტალკვესი.

კოხტად შეკრეჭილი თმა გიშრის კულულებათ გამოსჩანდა ნაცრისფერ კეპკიდან, რომელსაც სოფლელები „ჟოკეს“ ეძახდნენ.

მისი ტანჩაცმულობა განირჩეოდა სხვების ტანისამოსისაგან, რადგან, როგორც ამბობდნენ, მას ეცვა: რუსული ტანისამოსი.

შემდეგ გავიგე, რომ გენოს თურმე იმისთვის ეცვა რუსული ტანისამოსი და ეხურა ჟოკე, რომ ბათუმში ყოფილიყო მუშად ნამყოფი.

მე მივეყრდენ მამას მუხლებს მშობლიურს და ჩავაცქერდი გენოს თვალებს ჭკვიანურს.

— სამსონ!—დაიწყო გენომ—თქვენ იცით ჩემი მოსვლის მიზანი... დრო არ ითმენს... უნდა შეუდგეთ საქმეს... ქალაქებში უკვე

დაარსეს მუშათა საბჭოები... ბევრი სოფელიც გამოეხმაურა მათ და შექმნეს თავთავიანთი მართვა-გამგეობები.

ჩვენ კი ჩამოვრჩით... ამისთვის ამ მოკლე ხანში ეს საკითხი ჩვენც უნდა მოვაგვაროთ.

მე ვფიქრობ 1-მაისისთვის მოვიწვიოთ სოფელთა საერთო კრება.

— მთავარი მიზანი რა უნდა ექნეს ამ კრებას?!!

— არსებულ ხელისუფლების უარყოფა და ძალაუფლების სოფლის ხელში გადასვლა.

— უფრო კარგად რომ ვსთქვათ, ჩვენი მთავრობის შედგენა.

— დიახ...

— მაგრამ ბოქაული და მისი ჩაფრები?!!

— ისინი უკვე მოტეხილნი არიან... წინააღმდეგობის გაწევას ვერ გაბედავენ...

ყოველ შემთხვევაში ჩვენ შევიძლებთ მათ ალაგმას.

— როგორ უნდა მოვაწყოთ ჩვენი ხელისუფლება?!

— ავირჩევთ ათის და ასის თავებს... შემდეგ კიდეც [ათასის თავს ე. ი. მთელი სოფლის თავს, რომელიც შეუდგება ყველა სასოფლო საქმეების მოგვარებას. გარდა ამისა უნდა ავირჩიოთ კიდეც გლეხური სასამართლოც.

— შეიარაღებული წესიერების დამცველნი არ იქნებიან საჭირო?!!

— როგორ არა... წითელ-რაზმს შევადგენთ.

— ეხლა რა უნდა იყოს ჩვენი მთავარი მუშაობა?!

— გლეხებში აგიტაცია-პრაპაგანდის გაწევა. აი, ამისათვის მოგიტანე ეს წიგნები და პროკლამაციები... უნდა დაურიგო ხალხს, უნდა მოამზადო. აი, მომავალ ათის და ასის თავების სიაც შევადგინე—და ამ სიტყვებზე გენომ გულ-ჯიბიდან ამოიღო რაღაც ქალღი და გადაცა მამას... მამამ გადაათვალიერა ის და ისევ უკან დაუბრუნა:

— კარგი ბიჭებია.

— ვფიქრობ შეიძლებენ საქმის გაკეთებას... მაშ ასე სამსონ! თქვენი დიდი იმედი მაქვს, როგორც შეგნებულ მშრომელის... პირველი მაისისთვის საერთო კრება უთუოდ უნდა მოვიწვიოთ... ეცადეთ ყველაფერი ეს ჯერჯერობით საიდუმლოდ შეინახოთ... პირშავი ძალები ჰაერს სუნავენ, საკბილეს დაეძებენ...

— ვინ გყავს მხედველობაში?!!

— შენი მეზობელი სტეფანი...



— მართლა, მე გავიგე თქვენი ამბავი, როგორა გაქვთ საქმე?!!

— მე და სტეფანიი მტრები ვართ ერთიმეორის... ასე ამბობს: მე ტახტის აზნაური გენოია ლაწირაკას ქალს არ გავატანო... არა და რა ვქნა არ ვიცი.. ქალს რომ არ ვყავდე გულში ჩავარდნილი, ჩემი თავი ჯანდაბას, მივატოვებდი, მაგრამ ის იტანჯება და მეც მეცოდება. გარდა ამისა, მისი ველური მამა, ჩემს მაგიერ თურმე სულ მასზე ყრილობს ჯავრს. ყოველ დღე ცემს და ლახავს თურმე. ამ ორი დღის წინ ბაზარში ბარაბაძის დუქანი როა, იმის წინ გამოვიარე. დუქნიდან გამოისმოდა მუზიკის ხმა და ღრიანცელი... შევიხედე და დავინახე: სტეფანიი, მამასახლისი იაგორა, ვარდენიე ურიადნიკი, და სხვა კიდევ ვილაცხეები, სუყველა გაღეშილები იყო ღვინით. სტეფანიი მუზიკას აქიქყინებდა, სხვები კი უშნოდ ღრიანებდნენ... დამინახეს... დამიწყეს პატიჟი... მე რასაკვირველია მტკიცე უარი უთხარი: მაშინ სტეფანიამ შეაჩერა მუზიკა და გესლიანად გადმოძახა:

— ცოციალისტო! უჰ! სიძე, შე ძველო!!! ხვარ მოგენატრა ზურგზე მათრახებო. ამ დაძახილზე სხვებმა მწარედ გადიხარხარეს... მე კი თავბრუ დასხმულივით ვიყავი და სად მივდიოდი მეც არ ვიცოდი.

შემდეგ გავიგე, რომ ისინი ჩემს წინააღმდეგ რალაც შეთქმულებას ამზადებენ.

შემდეგი ლაპარაკი არ მახსოვს.

როცა მეორე დილას გავიღვიძე და მოვიგონე ბაბას და გენოს ლაპარაკი, შემრცხვა... შემრცხვა იმიტომ რომ მე დამძლია ბუნებამ ბავშურმა და მომწყვიტა საუბარს სანუკვარს...

## 5

პირველი მაისი...

როდის დადგება პირველი მაისი?!

რათა ვარ ბავში და რატომ მეც არ ვიცი დღეების თვლა, რომ გამოვიანგარიშო, რამდენი ხანია კიდევ ამ დიად დღემდის.

პირველი მაისი.

მე ვოცნებობ ამ დღეზე და მითრთის გული ბავშური.

რატომ?!! ალბად სანახაობა იქნება მაშინ ჯადოქრული... ალბად მზე მაშინ იქნება უფრო წითელი და გარემო იქნება კიდევ უფრო მოოქროვილი. ალბად სოფელი იქნება მაშინ უფრო პირ-მცინარე და ზეიმით გაშლის თავის მკლავებს ყველას გულში ჩასაკრავად.

პირველი მაისი...

მე ვოცნებობ ამ დღეზე და მიძგერს გული ბავშური.



— ლუტუა! რამდენი დღეა კიდევ პირველ მაისამდის!?  
ვეკითხები ერთ დღეს ლუტუას თამაშობის დროს ჩაფიქრებული.

— რამდენი დღეა და ოცი დღე მაინც იქნება— მიპასუხებს ლუტუა და თან განცვიფრებით მიცქერის.

— რატომ მკითხე, ბიჭო?!!

— ისე, მინდოდა ვამეგო!..

— მაინც...

— მაინც და არ გეტყვი.

— რატომ არ მეტყვი?!!

— რატომ და შენი საქმე არაა.

— აბა, შენი საქმეა?!!

— ჰო! ჩემი.

— ვაი, შენს პატრონს...

— ცივი ღომი გულს განტრობს... მეტი რა იცი...

— გაგლახავ ბიჭო!..

— გამლახავ და ჩემი ხელი შენ მოგეხმარება?!!

— რაიო?— წამოიძახებს ინდაურივით ამრეზილი ლუტუა და მომვარდება.

— აბა, თუ ბიჭი ხარ და შემომკარი— უპასუხე მე და თვალწინ ავეტუხე.

ლუტუა ამხედ-დამხედავს და როცა შეიტყობს, რომ მაგრად ვდგევარ, უკან იხევს...

— შენისანა ლაწირაკებზე ხელს რავა გავისვრი!

— ლაწირაკის ხმა მესმის.

— ვაი, შენს პატრონს...

— მეტი რა იცი. მარა რა გინდა ჩემგან, რას ჩამაცივდი?!—

ვუტევ მე ვაბედულად და ლუტუაც ცოტათი შეშინებული და გულზე ჯავრით გაჭიჭინებული, ამხანაგებს შეერევა.

მე კი ვფიქრობდი მაშინ:

ოცი დღე?!! მაშ მალე იქნება პირველი მაისი და ალბათ მალე დადგება სიხარული სოფლის თუ დედამიწის... თან ვამაყობდი გულში, რომ შევიძელ მაზის და გენოს საიღუმლოს წმინდათ შენახვა...

გადიოდა დღეები, მაგრამ ეს დღეები იყო სავსე, როგორც ეხლა მაგონდება, რალაც ქარტეხილიდან მონაქროლ ხმებით, იმ ხმების მიმოფრენაზე ძლიერდებოდა ხმაური, ჩოჩქოლი და ყაყანი სო-

ფლის, რომელიც თანდათანობით ცვლილობდა იერს და თავის უწყინარ და პირველ-ყოფილ სიღარბაისლეს.

გლებები ეხლა უფრო ხშირ-ხშირად იკრიბებოდნენ გენო გოფოძის ჭიშკართან და გენოც ხან გაზეთით, ხან რალაც სხვა ფურცლებით ხელში იდგა მათში და რალაცას უკითხავდა, უხსნიდა ცნობის მოყვარობით კისერ დაგძელებულ და ყურებზე ხელ მიდებულ გლებებს.

მამაჩემმაც თითქმის მთლად შეწყვიტა სამუშაოებზე სიარული და მეტ-წილ დროისას ფარულ კრებებზე სიარულს, თუ რალაც წიგნების კითხვას ანდომებდა. გლებებმაც შეწყვიტეს ყანებში, ტყეებში თუ სხვა სამუშაოებზე სიარული და თითქმის ყველა აედევნა იმ ხმებს, რომლებიც მიმოქროდნენ სოფლად და რომლებიც იყვენ ნამსხვრევები რალაც ჯადო ქარტეხილის.

ერთ კვირა საღამოს მე დავმორდი ამხანაგებს და შევერიე გლებს, რომლებიც შეჯგუფდნენ ეკლესიის მინდორში მაღლა ცად აწვდილ ერთ ცაცხვის ქვეშ.

ისმოდა გლებებში ასეთი სიტყვები:

— რევოლუცია...

— ცოციალ-დემოკრატია...

— რესპუბლიკა.

მე მაშინ დედ-მამიდან მქონდა გაგონილი, რას ნიშნავდა რევოლიუცია, სოსიალ-დემოკრატია, მაგრამ არ ვიცოდი, რა იყო რესპუბლიკა და როცა ეს სიტყვა პირველად გავიგონე, მეგონა „ბუბლიკი“ და ვკვირობდი: რა საჭიროა, რომ ბუბლიკს ამ სიტყვებთან ერთად ხმარობენ მეთქი.

მაგრამ როცა ერთმა გლებმა, რომელსაც ქონდა გრძელი, გაბუძული წვერულვაში და რომელსაც ეცვა დახეული ჩოხა-ახალუხი, ჩურჩულით უთხრა გლებებს:— ეხ ამხანაგებო! მართლაც რომ კარგი იქნება თუ რესპუბლიკას დავამყარებთო, — მე ცოტა არ იყოს იჭვი შემეპარა ჩემ ბუბლიკში და ვსთქვი: არა, ეს სიტყვა ალბად სხვა რამეს ნიშნავს მეთქი.

ცოტა ხანს შემდეგ გამოჩნდა გენო და მამაჩემი.

მათ დანახვაზე გლებებმა შეწყვიტეს ჩოჩქოლი და როცა მოახლოვებული გენო ჩვეულებრივ მიესალმა მათ, გლებებმა თითქმის ერთხმად შესძახეს ალტაცებით:

— გაგიმარჯოს ღმერთმა.

შემდეგ გლებები შემოესივნ. გენოს ირგვლივ და დაიწყო გენომაც:

— მოქალაქენო! ფრთებს შლის ალტაცება გამურულ სახეთა და

ძვერს მკერდში გული სასიყვარულოდ... ამხანაგებო, ჩვენც მივცეთ მხარი რევოლუციას.

ბევრი რამეები ილაპარაკა გენომ, მე კი სხვა არაფერი არ დამამახსოვრდა მისი სიტყვებიდან, ეს ალბათ იმიტომ, რომ მე მუდამ შევცქეროდი გენოს სახეს აღვზნებულს, რომელსაც ქონდა იერი ვაქეცტური და რომელსაც ეგრე უხდებოდა კახტა, შავი ულვაშები...

მშვენიერი სალამო იყო და გადმოღმა სასეირნოდ გადმოსული ხალხი თანდათანობით უერთდებოდა გენოს ირგვლივ შექმნილ კრებას.

უცებ ჩემი ყურადღება მიიპყრო ცუცამ.

ის ჩამოშორებოდა თავის ტოლ-ამხანაგებს, ვით გედი დაჭრილი თავის ქარავანს, იყო ფერმკრთალი და მისი სახეც მზის ჩამავალ სხივთა ჩანჩქერზე გამოჩანდა, როგორც შაქარი. იდგა განზე და დაღონებულ თვალებით, შვლის ნუკრის თვალებით გაცქეროდა შორს, შორს ჩამავალ მნათობს.

ის არ უცქეროდა არავის, მაგრამ არ შორდებოდა ერთ ადგილს, რომელიც ეგრე ახლოს იყო დაშორებული გენოს გარშემო შექმნილ კრებიდან.

7

— ჩაფიქრებულხარ შენ ცუცა, თვალის-ჩინო!

რალაცა კმუნვას დაუხაზია შენი სახე მინანქარი...

გულმილეულ იადონივით აგცრემლებია თვალები შვლის ნუკრის...

შენი სახე დამზავავსებია ქალაღდს სიფრიფანას.

მზის ჩასვლას! რომ შეყურებ რას განიცდი ისეთს ნეტარს, საცნაურო?!

საით მიჰქრის შენი სული, შენი ფიქრი, შენი ვნება?!

— მე არსად არ მივჭკრი, ბიჭუნა კეთილო! მე მინდა მხოლოდ ვიდგე აქ და ვუსმინო: როგორ ჩურჩულებს ნიავე ფოთლებში!.. როგორ ფსტვენს შაშვი საგაზაფხულოს!.. როგორ ელოლიავებიან პებლები ყვავილებს აკოკრებულთ. მე ხომ ეგრე მიყვარს შაშვი გაზაფხულის, აღტაცებით რომ უგალობს ბუნებას გაღვიძებულს... ღმერთმანი ისე მიყვარს, ისე რომ ხშირად მთელი საღამოობით ვზივარ ხოლმე ჩვენი ვენახის ბოლოში და ვუსმენ სუროზე შემომჯდარ შაშვის გალობას... ასე ვამბობ მაშინ:—ვაშა, შენ ზემო გაზაფხულისა... ვაშა შენ ღრმა ძილისაგან თავდაღწეულო ბუნებავ, ნელი-ნელ რომ შლი კუკურს სიყვარულისას და აბნევ ირგვლივ სურნელებას საამოს!..

ვაშა შენ შაშვო მგალობელო, გაღვიძებულ სიოს ჩურჩულთან ერთად რომ ასმენ ქვეყანას ჰიმნს დიდებისას...

— ჩემო დაო, ცუცა! მე მესმის შენი პასუხი, მაგრამ შენ მაინც ისე ხარ დაღონებული, ისე რომ!.. აი, შეხედე: შენი ტოლ-ამხანაგები ფერიებივით მოდებიან მინდვრის ყვავილნარს... დარბიან, დაკისკისებენ და ეთამაშებიან სიცოცხლეს ვარდისფერს... შენ კი დაშორებულხარ იმათ, ვით გედი, დაჭრილი თავის ქარავანს!.. თვალებიც კი აგცრემლებია სანუკვარო!..

ვაი, ბეჩავო ჩემო თავო!...

— ყური დამიგდე ბიჭუნა! მე მოგიყვები ერთ ზღაპარს უცნაურს, ბაბუამ რომ მოგვითხრო ზამთრის გძელ ღამეს კერიის პირს შემომსხდარ ბავშვებს:

8

— სადღაც თურმე, ცხრა წყლისა და ცხრა მთის იქეთ ყოფილა ერთი დიდი ტყე დაბურული.

ძე სულიერ ადამიანისა არ ჭაჭანებდა ამ ტყეში, გარდა თვით ტყის მეფისა, რომელიც იყო ძლიერი და მძვინვარე, უხეში და უდრეკი, როგორც ღვთის რისხვა. მის საბრძანებელს წარმოადგენდა ეს ტვერი—გაუტეხი... მის ქვეშევრდომებს კი ამ ტვერის ყველა მხეცი და ნადირი.

ლომები დიდკაცობდენ... ვეფხები თავადობდენ... დათვები და მგლები ახნაურობდენ და მღვდლობდენ, ხოლო სხვები კი გლებ-კაცობდენ.

ტყის მეფის შავ-მარმალილოდ ნაგებ და ოქრო-ვერცხლით შემკულ სასახლეში თავისუფლად შედი-გამოდოდენ მხეცები დიდკაცები და ტყის მეფეც მათი შემწეობით მართავდა თავის ვრცელ და უცნაურ სამფლობელოს.

ერთ დღეს, ერთი ახალგაზრდა ბრგე მონადირე, რომელიც ეჯიბრებოდა ყველა ღმერთებს სილამაზით თუ ვაჟკაცობით, მოხვდა ამ ტვერში, დაკოდილ დათვს გამოსდევნებოდა... დათვა მოაშურა სასახლეს და მონადირეს თვალთ წარმოუდგა რაღაც ზღაპრული და უცნაური შავი სასახლე. დათვა ბურტყუნით გააცნო ყველას თავის ამბავი და... შეშფოთდა, შეტორტმანდა მხეცთა მეფის ქვეშევრდომნი და სამფლობელო. მეფემ გასცა ბრძანება და მყის ამოძრავდენ დათვები და მგლები მონადირის შესაბყრობად...

გაჩაღდა ბრძოლა საშინელი... დახოცილ მხეცთა სისხლით

შეილება სასახლის ეზო. მაგრამ ბოლოს დაძლეული მონადირე  
ხელ-ფეხ-შეკრული მიგვარეს მეფეს...

ჩაფიქრდა მეფე: როგორ იძიოს შური, როგორ დასაჯოს ის და...

ალერსი დაუწყეს მონადირეს ტყბილი, მამობრივი... მოათავსეს  
ის ერთ მდიდრულად მორთულ დარბაზში, რომლის გარშემო  
წალკოტი იყო გადაჭიმული და არ აკლებდენ მას საქმელად თვით  
ჩიტის რძესაც. განცვიფრებული იყო მონადირე ასეთი მოპყრობით...  
ვერ წარმოედგინა: რით აეხსნა ამბავი ესე...

ერთ დღეს, როცა დილა იყო ნაცრისფერი და მზე სევდიანად  
ჩაცქეროდა ტევრს გულჩახვეულს, მონადირესთან შედის ასული ვინმე  
ჰაეროვანი...

ლამაზი და უკვდავიყო ჰაეროვანი...

ის იყო ათასი, თუ ათიათასი წლის, მაგრამ მაინც ისე ნორჩიყო,  
ისე ახალგაზრდა და მშვენიერი, რომ თვით მზესაც კი აბნელებდა  
მისი სიმშვენე.

თურმე, ამ ჰაეროვანისთვის ათასი წლების თუ მეტის სივრცეზე  
იბრძოდენ ხალხები სხვა და სხვა ჯურის, სხვა და სხვა მოდგმის  
და მართალია, ხანდახან თვალს მოკრავდენ მას, ხელს მოავლებდენ  
მის კაბას ძოწეულს, მაგრამ მაინც მისი დაკოცნა, მისი გულში  
ჩაკვრა ვერავის მოეხერხებია...

და იბრძოდენ მაინც ხალხები და იღვრებოდა მაინც სისხლი  
ათას კაცთა...

ჰაეროვანი კი ტყვედ ყავდა მხეცთა მეფეს და არავის არ  
ანებებდა მას... მისი ქვეშევრდომნი ეომებოდენ ხალხებს და ხალ-  
ხებიც ხშირად დამარცხებულნი უკუ ილტვოდენ ხოლმე.

შედის ასული ჰაეროვანი მონადირესთან და... გაზეშდა მო-  
ნადირე...

შის თუ ასულის შუქმა თვალები აუბქყვრიალა მას და ჩამოი-  
ფარა სახეზე ხელი... რატომ?! რომ ხელის ჩრდილში დაინახოს მშვე-  
ნიერება...

ნაზი რონინით მიდის ასული და იღიმება, როგორც ცისკარი.  
— ჭაბუკო, მიცნობ? მე ვარ ჰაეროვანი, რომლისთვისაც იბრ-  
ძეის ხალხები!..

და ეკითხება მონადირე განცვიფრებული:

— ჩემგან რა გინდა?!

და უპასუხებს ჰაეროვანი:

— შენ ლამაზი ხარ, ბრვე და ვაჟკაცი... მოდი მაკოცე!..

და ეკითხება მონადირე ფერდაკარგული:

ჩემგან რა გინდა?!!

და ამბობს ჰაეროვანი:

— დიდი ხანია გადევნებდი იმ კოშკიდან თვალს... მე იქ ვარ დატყვევებული... ჩემთან არავფს არ აკარებენ, მხოლოდ თვეში ერთხელ ყოველ ახალ მთვარისას ამოდის ჩემთან მეფე მხეცთა და იკლავს ჟინს ლორწოიანს...

წუხელის, როცა ის დათენთა ჩემმა გულმკერდმა, წაერთვა ღონე და დაუძლურდა, მეუბნებოდა მე:

— განგათავისუბლებ ტყვეობიდან, მხოლოდ შეიყვარე ის...— და მიმიტითა შენს დარბაზზე.— თქვენ იცხოვრებთ ერთად, ტკბილად... მე დაგებრდი.— დაუმატა მან და წავიდა...

... და როცა ცისკარმა გააპო ტვერი, როცა მზე მორცხვად მოადგა სარკმელს, მე დავინახე, რომ კარები ღიაა კოშკის, რომ მოდარაჯე მხეცებიც სადღაც გამქრალიყვენ...

გამახსენდა ნათქვამი მხეცთა მეფის და...

— ჭაბუკო! შენ ლამაზი ხარ, ბრგე და ვაჟკაცი... მოდი მაკოცე...

და ეკითხება მონადირე განცვიფრებული:

— ჩემგან რა გინდა?!!

და უპასუხებს ჰაეროვანი:

— სიყვარული... მე არ მინახავს ჯერ სიყვარული... მე უმწიკვლო ვარ...

და ამბობს მონადირე გაკვირვებული:

— მე დამწვავს მშვენიება შენი ალური...

და ამბობს ჰაეროვანი:

— შენ დაგათრობს სიყვარულის აღმური...

და ეკითხება მონადირე იქვე-შებყრობილი:

— რომ დავიღუპო?!!

და უპასუხებს ჰაეროვანი:

— ჩვენ დავეწაფებით უკვდავებას... ჩვენ გავღმერთდებით...

და ჰაეროვანის მკლავები ცეცხლის შანთებათ ეხვევა ჭაბუკს...

და ჭაბუკის მკლავებიც რკინის საღებავით ბოჭავს ჰაეროვანს...

... ხა, ხა... გადიხარხარა ვილაცამ სადღაც...

... ხი, ხი... გადიხითხითა ვილაცამ სადღაც...

მონადირე და ჰაეროვანი კი, აპრიალეზულნი ერთ ცეცხლის ალათ, ღმერთებს უგზავნიდენ მახარობელს თუ მაყრიონსა...

ჯერ კიდევ გონს არ მოსულიყვენ, ჯერ კიდევ განხლებოდა არ ჩაფერფლილიყო და მხეცთა მეფემ ხელის აწევით გაცა ბრძანება!..

მყის მიესიენ მხეცები წალკოტს და ცოტა ხნის შემდეგ მონადირეს ტანი იკლანებოდა დათვის თათებ ქვეშ, ხოლო ჰაეროვანს სადგისებით უჩხვლეტდენ სხეულს... ყოველ დღე გძელდებოდა წამება მხეცური და ოტანჯებოდა მონადირე ტანჯვაზე უარეს... მის ტკივილებს ემატებოდნენ ტკივილები ჰაეროვანის და მისი სული ჯოჯოხეთად გადაქცეული ნატრობდა სიკვდილს...

ან და რა არის უმწარესი იმ წამებაზე, როცა შენს ღმერთას შენ თვალთა წინ უფლეთენ სხეულს?!!

იძია შური მხეცთა მეფემ... დასაჯა მონადირე არ ნახულ წამებით და როცა მისი გვამი სისხლით დაცლილი, გადაუგდეს აფთრებს და სვავებს დასაწიწკნავათ, ჯადო ექიმბაშმა მყის განკურნა ჰაეროვანი ბარებიდან და კვლავ მოათავსეს ის საშინელ კოშკში...

და მხეცთა მეფემ კვლავ განაგრძო მასთან სიარული ყოველ ახალ-მთვარისას, და ხალხები ისევ განაგრძობდნენ ბრძოლას ჰაეროვანის ხელთ ჩასაგდებათ...

9

— გათავდა ზღაპარი ბიჭუნა, გესმის?!..

— მესმის ცუცა, საცნაურო! მესმის, მაგრამ შენ მაინც ისე ხარ დაღონებული, ისე, რომ, აი, ხედავ შენი ტოლ-ამხანაგები ფერიებივით მოდებიან მინდვრის ყვალიღნარს... დარბიან, დაკისკისობენ და ეთამაშებიან ოცნებას ვარდისფერს... შენ კი დაშორებიხარ იმათ, ვით გედი დაჭრილი თავის ქარავანს... თვალებიც კი ავცრემლებია საწუკვარო!.. ვაი, ბეჩაო ჩემო თავო!!!

— მე მოგიყევი ზღაპარი, ბიჭუნა!..

— მესმის, მაგრამ ცის დასავალს რომ შეყურებ, რას განიცდი ისეთ ნეტარს, საცნაურო?..

— მე მოგიყევი ზღაპარი, ბიჭუნა!!!

-- მესმის, მაგრამ შენ რომ თვალები ავცრემლებია?!!

— მე მოგიყევი ზღაპარი, ბიჭუნა!!!

და დაიქნია თეთრი ყელი ნიამორული... უცხო ქვეყნიდან გამორკვეულმა გადადგა ბიჯი და შეერია სევდიანი ტოლ-ამხანაგებს.. რატომ?!! მე შევეცქეროდი მას და მივხვდი, რომ ცეცხლი ტრი-ალებს მის გულში ჰაეროვანის თუ მონადირის...

გათავდა ყაყანი გლახების და დაიშალა კრება კმაყოფილი...

ლამე ჩამოწვა ჩადრივით და დაყურა გარემო მოოქროვილი...

დაცალიერდა მინდორი მხიარული და გაყვენ ყველა ლამის სუნთქვას სახლებისაკენ...



მე არ მივდივარ არსად...

მე ჯაშუშივით, თუ ქურდით ფეხაკრეფილი თვალს ვადევნებ  
იმას და...

... იქ მყუდრო გზის პირად, კობიტების და ნიგვზების ჩრდილნი მთვარის სხივებზე რო გაწოლილან ზღაპრულ დევებათ, შეხვდენ ერთმანეთს...

მე გავიგონე მაშინ რაღაც ყრუ ხმები და როცა ეხლა ვუკვირდები იმათ, ასე ვხსნი: ბაგი-ბუგი თუ იყო ალბათ გულების აჩქროლებულების..

(დიდება თქვენ გულებო, რა ჯადოქრულ ვნებას განიცდით თქვენ მაშინ, როცა ვნება აელვარდება შეუდრეკათ, რომ გადალახოს ყველა ნაპირი).

მე არ მესმოდა მათი ჩურჩული, თუმცა სმენა მქონდა გამახვილებული, როგორც ქურდს და სუნთქვა მქონდა განაბული, როგორც ნიბლიას.

ვატყობდი\* კი რომ, ორივეს ჩურჩული იყო ათრთოლებული და ორივეს სხეული ათრთოლებით უახლოვდებოდა ერთმანეთს, თუმცა ისევ თრთოლითვე ტოვებდენ საზღვარს ნეტარებისას...

როცა ეხლა ვუკვირდები ამ სანახაობას, ასე ვხსნი: ეს იყო ალბად ის დიადი წუთები, რომლებიც უნდა განიცადოს ყოველმა ადამიანმა, თუ უნდა მიხვდეს ნეტარებას და მის შინაარსს...

გაჩერდენ ერთ ბულის ჩრდილ ქვეშ...

ქუჩა იყო გაწოლილი ჭიაყელასავით და არავინ ტკეპნიდა მის ოღრო-ჩოღრო თუ ხარა-ხურით სავსე ზურგს..

მე იქვე ახლოს ჯაშუშივით ავეწებე ყორეს და გავხდი მოწამე შემდეგი ლაპარაკის:

— არ შემიძლია მეტის მოთმენა... უნდა გამიტაცო!!!

— ეს შეუძლებელია... მე დღეს ერთობას ვმეთაურობ... ყველა დამზრახავს...

— მამამ შემაძულა სიცოცხლე... ყოველ დღეს მლანძღავს, მცემს...

— მეც ევრე მემართება... ქუჩაში ვერ გამივლია დამშვიდებით... სადაც კი დამინახავს ლანძღვით და გინებით მომმართავს ხოლმე...

— რა გზას დავადგეთ?!

— ამას ახლო მომავალი გვეტყვის...

— მოელება კი ბოლო ამდენ წამებას?!

— მოელება... მაგრამ მე მამათქვენის მაინც დიდი შიში მაქვს...

ის ამ ბოლო დროს ხშირად დადის ბოქაულთან, მამასახლისთან...  
ამბობენ: კახაკების რაზმიც უნდათ გამოიწვიონო...

ქართული  
ენათმეცნიერება

— რა მოგველის?!!

— ან სიკვდილი, ან გამარჯვება...

— ღმერთო, ღმერთო! — აღმოხდება ქალს ოხვრა გულიდან და აქვითინდება... ვაჟი კი სდგას მწუხარე და კანკალით ხვევს ქალს ხელს და... ორი ალტკინებული სხეული უცები მოწყვეტით ჩაეკვრენ ერთმანეთს...

მე დამწვა სინდისმა, რომ უნებური მოწმე შევიქენი მათი ხვევის და გადავცოცდი ყორეზე ჩუმად, ხელიკივით... ეზო-ეზო მოვკურცხლე სახლისკენ...

ამედევნენ პირველად მურიები და ფინიები, მაგრამ როცა მიცნეს მე, მათი მოკეთე და ამხანაგი, კუდის ლაქუცით დამიწყეს ალერსი ძმა-ბიჭური...

ლოგინში ჩაწოლილი მე დიდხანს ვფიქრობდი ამ საღამოზე და გულდაწყვეტილი ვნატრობდი ჩემთვის:

— ძია, ჩემო კარგო ძია, გენო! ნეტავ მეც ვიყვე დიდი... მქონდეს წვერ-ულვაში და ვიცოდე შენსავით ლაპარაკი, რომ ყველაფერში დაგეხმარო შენ...

10

მიზოზინებდენ დღეები და მე ველოდი პირველ მაისს..

ერთ დღით, როცა მზე ამოგორდა გულჩათხრობილ ხაი-ტყიდან და პატარძალივით მორთულ სოფელს თავს წამოადგა შარავადედათ, ავარდა ვიღაც სამრეკლოზე და გაგიჟებით დაიწყო ხარების რეკა...

გრძნობებმა გაშალეს ფრთები და ხარის გუგუნთან ერთად გადაექსოვენ გარემოს ცხოველმყოფელს:

ოცნებამ გაშალა ფრთები და სიყვარულით გავსებულ გულით მოედო სოფელს გადასაკოცნათ.

— შენ ჩემო ძმაო! წვერებგაბუძგულო და დაკონკილ-დაფლეთილო რატომ გიციინის სახე ასე?!! მოდი მაკოცე!..

— შენ ჩემო ძია! სახე დაღარულო და უდროვოდ დაბერებულო! რამ გაგახარა ეგრე?!! მოდი მაკოცე!.

— შენ ჩემო მეგობარო! წელში მშვილდივით მოხრილო და წამებულზე-წამებულო, რად გიბრწყინვალებს თვალეები ასე?!! მოდი მაკოცე!!!

— შენ ჩემო ამხანაგო! მარად თავ-აუღებლივ რომ ებრძოდი შავ მიწას ნოყიერს და არაფერი არ არსებობდა შენთვის, გარდა მისი ყამირ გულისა, რამ ავამეტყველა ასე?! მოდი მაკოცე!..

— შენ ჩემო სოფელო, ტანჯულო, მაგრამ უდრეკო! ბევრხელ აოხრებულო, მაგრამ ისევ აყვავებულო! მოწამევ მრავალ ტანჯვათა და წამებათა... მემატიანევ საქართველოს ბედისა და უბედობის! მშვენიერო და კეკლუცო, ამაყო და ქედ-უდრეკო! რათ გითრთის დღეს გული აღრფთოვანებული?! მოდი მაკოცე!..

— ბიჭუნა! დღეს იქედება ბედი ხალხების და იქედება ბედი ჩვენი... დღეს იბადება სული ჩვენში სულ სხვაგვარ ცეცხლის და ვიბრძვით ჩვენ ყველანი სულ სხვაგვარ რწმენით...

მიპასუხებს მე დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ხენნი და მცენარენი, ცხოველნი და პირუტყვნი და ვლოცულობ მე მათზე ჯერ კიდევ ბავში:

— კურთხეულ იყავთ თქვენ მარად კაცებო და ქალებო, დიდებო და პატარებო, ხენო და მცენარენო, ცხოველნო და პირუტყვნო, ცავ და დედამიწავ, რამეთუ თქვენ არ გეგხართ ტბას მის ყამითა შინა დამყაყებულს და გაქვთ სული ნაკადულის, ავსებული ხალისით და სასოებით, რომელიც სულ მოძრაობს, სულ მიილტვის წინ და სურს მიიღწიოს რაღაცას (თუნდ არაფერს) ოღონდ დაშორდეს ერთ წერტილს, გაყინულ წერტილს...

ზარების გუგუნზე აიშალა სოფელი და ყველა დიდი და პატარა გაეშურა ეკლესიის მინდვრისაკენ.

ცოტა ხნის შემდეგ ეკლესიის ფართო მინდორი ძლივს იტევდა ახლო-მახლო სოფლებიდან მოზღვავებულ უამრავ ხალხს...

ჩვენ, ბავშვები ვბტოდით ხალხში და... გულის ფანცქალით შეეცქეროდით იმ წითელ დროშას, რომელიც ამაყად ფრიალებდა ამართულ ტრიბუნაზე და ეთამაშებოდა ნიავის ფრთებს რაღაც აღგზნებით...

იქვე ეკლესიის მინდვრის ერთ ხის ქვეშ დგანან ბოქაული, იავგორა მამასახლისი, ვარდენიე ურიადნიკი თავის ჩაფრებით და სტეფანიი მემუზიკე.

მე არ მესმოდა მათი ლაპარაკი, მაგრამ ვატყობდი კი, რომ წელი მოწყვეტოდა მათ სიამაყეს ზვიადურს და ნირი წახდენოდათ მათ მათარახებს თუ ეპოლეტებს დრო-გასულთ.

მაგრამ ზარები ისევ გუგუნებდნენ და ზღვა ხალხი ისევ ჩოჩლობდა, რომ ტრიბუნაზე უცებ წამოდგა გენო და... შეწყდა ზარების გუგუნი, შეწყდა ჩოჩქოლი და ყველამ დაიმხვილა ყურები თავის ტრიბუნის მოსასმენად.



ბერი ილაპარაკა გენომ და როცა დაასრულა, ტაშმა და ვაშამ დაფარა სივრცე.

ზეიმობდა მიწა და მზე ბედნიერი კიდევ უფრო ხალისით ანთებდა თვალებს და ეალერსებოდა ყველა სახეგაბრწყინებულთ.

გენოს შემდეგ ილაპარაკა ვილაც უცნობმა თმაგაჩეჩილმა. მას ეცვა ხალათი, რომელზედაც შემოერთყა ფუნჯი... თავზე ეხურა ცილინდრი. შემდეგ გავიგე, რომ ის ქუთაისიდან ყოფილიყო ჩამოსული, როგორც მოქალაქე.

მოქალაქის სიტყვის დასრულებაზე ისევ აღელდა ტაში და ვაშა და ისევ აენტო ყველას სახე ცეცხლურ აღზნებით. შემდეგ ილაპარაკეს ივანემ, ნესტორიამ, მამაჩემმა და სხვამ, რომელთა სიტყვებს თუ მოწოდებებს ხალხი ისევ აღფრთოვანებით და ტაშის ცემით ხვდებოდა.

ბოლოს ტრიბუნაზე წამოდგა ისევ გენო და დაიძახა:

— მოქალაქენო! დღეიდან ჩვენ სოფელში ემხოზა მეფე ნიკოლოზის ტახტი. ძალაუფლება გადადის თვით ხალხის ხელში... ამისათვის უნდა ავირჩიოთ რევოლიუციონური კომიტეტი, ათისთავები, ასისთავები და ხალხური სასამართლო. თან უნდა შევადგინოთ წითელი რაზმიც.— ამ სიტყვებს ისევ ტაშისცემით შეხვდა კრება და...

ვბტოდით ჩვენ ბავშვები, ვბტოდით, ვიცინოდით, იმისთვის, რომ ვხედავდით, რაღაც კარგი, რაღაც არაჩვეულებრივი ხდებოდა ჩვენს სოფლის ცხოვრებაში, რომელიც ყველას გაახარებს, ყველას გააბედნიერებს, და ვბტოდით ჩვენ ბავშვები, ვთამაშობდით, ვკრიმანჭულობდით და თან ვმღეროდით მხიარულად:

ნიკოლოზ მეორე

უნდა გახდეს მელორე... და სხვა.

შემდეგ ჩვენ ვხედავდით, რომ ასახელებდნ ზოგიერთ ნაცნობ, თუ უცნობ გლეხთა გვარებს და ამნაირად ხდებოდა არჩევნები რევოლიუციონურ კომიტეტის, ათისთავების თუ სხვების.

ბოლოს ჯერი მიდგა წითელ-არმიის შედგენაზე და... ოციოდე ბიჭი შეიარაღებული ფილთა თოფებით გამოეყო ხალხს და დაირაზმა ცალკე. მათ ჩამოუარა გენომ, გადასძახა რაღაც სიტყვები და ისევ ტაშის და ვაშას ქუხილმა დაფარა სივრცე, გადაეხვია ყველას და ააღფრთოვანა ზღვა ხალხი ფრთებშესხმული.

ამასობაში მოატანა სალამომ და გენომ, რომლის სახეს შეატყობდით დაღლილობას, კვლავ გადასძახა კრებას:

— ამხანაგებო, ყველა საკითხები ამოწურულია! ეხლა მხოლოდ ის დაგვრჩენია, ვუსურვოთ ახალ გლეხურ ხელისუფლებას, პირნათ-

ლად შეესრულებიოს ყველა ის დავალებანი, რასაც რევოლიუცია აკისრებს მათ... ამით კრებას დახურულათ ვაცხადებ.

...და დასაშლელად გამზადებული ხალხი დაიყო ცალ-ცალკე ჯგუფებათ და ახალ რევოლიუციონურ სიმღერებით დაიძრა სოფლისაკენ.

წითელ რაზმს რალაც შეუძახა ფირდონის პეტრიამ და ისინიც დარაზმულნი:

ვაი ალხანოვს

უი ალხანოვს

მისი თავი

ქვას ახალოს...

სიმღერით გაუდგნენ გზას.

გენო, უცნობი მოქადაგე, მამაჩემი, ნესტორი და სხვა მხიარული ლაპარაკით და კმაყოფილებით გაყვენ მათ უკან.

მე უკან ჩამოვრჩი ამხანაგებს და შევატყე, რომ ბოქაული, იაგორა მამასახლისი, ვარდენი ურიადნიკი და სტეფანიი მემუზიკე, ისევ იდგენ დადუმებულნი და ისევ წელმოწყვეტილად გაცქეროდნენ ხალხს, მხიარულად სახლში მიმავალს.

11

გადიოდა ხანი...

ერთობის სული ჯადოსნური, ფრთებს შლიდა სოფლად, რაც რალაც იერს სიცოცხლისას აძლევდა გლეხებს.

გენოს არ ქონდა მოსვენება... ის ხან ქადაგებდა... ხან ამა თუ იმ საქმეზე დარბოდა, ხან კიშკართან შეკრებილ გლეხებს რალაც-რალაცეებს უხსნიდა, უმარტავდა.

ვიწრო ნაჭუჭში მოთავსებულიყვენ ბოქაული და მისი ამქრები... კულ-ამოძუებულ ძურიკა ძალივით დადიოდნენ ჩუმად, უსიტყვოდ...

გლეხებს ეხლა არ ეშინოდათ მათი, რადგან ხედავდნენ, ვადა ვასელოდა მათ მათრახებს თუ ეპოლეტებს გახუნებულებს...

იაგორა მამასახლისი ხან აქ დაძვრებოდა, ხან იქ... თითქოს ხალხის მხარეზე იყო, თითქოს ერთობიზა ისიც რამეს აკეთებდა, მაგრამ ყველა შეატყობდა, რომ ლაქუცა და გაიძვერა იაგორა, დროს როგორც კი მოიხელთებდა, მტრების მხარეზე გადავიდოდა...

სოფელს მართავდა ხალხის მიერ არჩეული კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ ითვლებოდა გენო და რომელსაც ემორჩილებოდნენ ათის თავები და ასის თავები.

ყველა სადაო საკითხებს გლახთა შორის არჩევდა გლახური სასამართლო, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მამაჩემი.

გენო ზღაპრულ დევივით გაიზარდა და გადიდდა ყველას თვალში და დიდი და პატარა ქალი თუ კაცი ყველა მის ხსენებაში იყო.

იმ ხანებში ხშირად იმართებოდა კრებები და მეც ხშირად ამ კრებებზე სიარულის დროს ვხვდებოდი ცუცას. მას ისევ ქონდა სახე ფერმკრთალი და მიცრეცილი, მაგრამ გატყობდი მაინც, რომ ყველას მიერ გენოს ქება და პატივისცემა, მას ცისკარივით უბრწყინვალედა თვალებს.

რატომ?! ალბად აქროლებდა მას რაში სიყვარულის ვარდისფერ სივრცეში...

ალბათ ფრთები დაცვინდა კუდაბზიკური... ვის?!!

მე არ ვიცოდი რას ფიქრობდა მაშინ სტეფანი, მაგრამ ეს კია, რომ ერთ დღეს ჭაკუნობის გათავების შემდეგ, როცა ლუტუამ დაინახა ქუჩაზე მიმავალი გენო, დაიწყო:

— იცით ბიჭებო! რას გეტყვით?! ღმერთი გამიწყურეს მასთე მე თუ კაცი შემზარებოდეს, როგორც ი გენოიაა თუ რაცხა მჭადი... ჰმ, მა წუბაკი, მაგი... გამოიგონა რაღაცა ერთობააო და აიკლო მთელი სოფელი... თვით წამოსკუბდა ხემწიფის ტახტზე... მერე კიდევ თურმე როგორ გადიდგულეებულა... იცით ბიჭებო. რა შემოუთვალა ამ დღეებში ბაბიას:

— სტეფანია ავალიანო! ერთხელ და უკანასკნელად გეუბნები, ცუცაი მე მიყვარს და ამისთვის მას არაფერი არ აწყენიო, თორემ გაგაძრობ ტანზე და მთელ ალგიაში ასე შიშველი გატარებო... თურმე ი მიწა-გასახეთქ ცუცაიას უთქვამს გენოისთვის, ბაბიას ასე შეუთვალეო... იმ დღის შემდეგ ბაბიი ყურებჩამოყრილ ვირივით დაიარება... გულზე ქი სკდება ჯავრით: ე წუბაკი და ცუხი რაფა მიბედავს ასეთ რამეებსო, რა ხელი აქვს მას ჩემი ოჯახის შინაურ საქმეებში რო ერევაო!.. მარა რას იზამს... იმ დღის შემდეგ ბაბიი ერთი ცუდი სიტყვა რაია, იმასაც კი ვერ უბედავს ცუცაიას... ვერც კრებებზე სიარულისთვის ეუბნება ვარს... ალბათ მართლა შეეშინდა გენოსი: ალგიაში რომ გატარებო, შემოუთვალა... მაგრამ ეს კია, რომ გულში ბაბიი ისევ ლანძღავს და აგინებს მას... ხშირად ასე ამბობს სახში:

— ი ჩემი ნაყაზახარის შვილი რაფა წამომაჯდა თავზე, რაფა წამომაჯდაო... მარა არა უშავს, როცა იქნება ჩემი დროც დადგებაო და მაგის ოხტში ამოვალო.

აი ასე უნობს ბაბიი და ჩვენც ისე გვეზარება ი ვიცხა გენობია,  
თუ რაცხა მჭადი, როგორც შავი ქირი.

დაასრულა ლუტუამ ეს სიტყვა და წკრიალა ხმით შემოსძახა  
შემდეგი სიმღერა:

ერთობა ჩვენთვის ტახტია  
მტრებისთვის სახრჩობელაო...

რომელსაც ხმა მისცა სხვა ამხანაგებმაც...

მე კი ვფიქრობდი ასე:

— დაცვინდა ფრთები კულდაბიკური მას და... აღბად ეს არის  
მიზეზი, რომ ცუცა ამ ბოლო დროს ეგრე მხიარულად ეკისკისება  
მზეს და მთვარეს სიყვარულისას...

12

ერთ დღეს გაბზარულ ზარის რეკასავით გაეარდა სოფლად ხმა:

— კახაკები ჩამოსულანო!..

ამ ამბაემა შიშის ზარი დასცა ყველას...

ყველას?! არა...

შიშმა შეიბყრო მხოლოდ ქალები და მოხუცნი... რევოლიუციო-  
ნური ახალგაზრდობა კი, ამას აინუნშიაც არ აგდებდა და ის ისევე  
მხიარულად განაგრძობდა სიმღერას:

ნიკოლოზ მეორე

უნდა გახდეს მელორეო, და სხვა.

მაგრამ ხმები მაინც დაჰქროდენ სივრცეში შიშით აბუძგულნი:

— თავისუფლებას წაგვართმევენ...

— დაგვიჭერენ...

— ამოგებოცავენ...

— სახლ-კარს ვადაგვიწვავენ...

და როცა ამ ხმების გავრცელების მეორე დღეს ფრთხილი  
ჩურჩულთ მოფრინდა ცნობა:

— ხვალისთვის ხაი-ტყეში კუხა-ონჭკურას შვა ფარული კრებაა  
დანიშნული და არავინ დააკლდეთო.—მე მივხვდი, რომ კახაკების  
ჩამოსვლა არც ისე სახუმარო საქმე ყოფილა, როგორც ეს ზოგიერ-  
თებს ეგონათ.

მეორე დღე გათენდა...

იყო დღე ბრწყინვალე და იყო დილა მშვენიერი...

იყო მზე ჯადოსნური და იყო გარემო მომხიბლავი...

იყო სიხარული ბუნების არსთა და იყო გახარება დედა-  
მიწის!!!

მაგრამ მიუხედავად ამისა გლეხების ჩოჩქოლი იყო უფრო დინჯი და ჩუმი, უფრო ქურდული და მოტეხილი... და მეც ვფიქრობდი ასე: ალბათ არც ისე ადვილი ყოფილა კაზაკების ჩამოსვლა, როგორც ეს ზოგიერთებს ეგონათ.

გლეხები მიდიოდნენ ხაი-ტყისკენ...

ჩურჩულით უზიარებდნენ ერთმანეთს გულის კითხვებს თუ პასუხებს.

აჰა, წითელი რაზმიც, რომელსაც წინ მიუძღოდა ფირდონის პეტრიე და რომელიც იყო შეიარაღებული ფილთა თოფებით, დაიძრა ხაი-ტყისკენ...

მაგრამ ეს რაა, რომ მათ არ ეტყობათ წინანდელი ხალისი და აღფრთოვანება?!

რაა, რომ ეგრე კამეჩებივით მიზოზინებენ?!

ჩვენ ბავშვებმა შევიყარეთ თავი კოსტაის დათიკიეს ეზოში... დავეწყეთ და დავიძარით თუ არა ადგილიდან, შემოვძახეთ სხვა და სხვა იმდროინდელი რევოლიუციონური სიმღერები და გავსწიეთ ხაი-ტყისკენ.

მე პატარა, წითელი პერანგი მეჭირა ხელოში ჯოხზე წამოცმული და ისე მიუძღოდა წინ რაზმს... (ეს იმიტომ რომ მე მაშინ თავი მომქონდა სარდლათ, ბელადათ.)

მაგრამ მივუახლოვდით თუ არა ხაი-ტყის შესავალს, წინ გადაგველობა ერთი წითელრაზმიელი და გვითხრა:

— დაბრუნდით უკან... დღეს ბავშვებს მიტინგზე არ დაუშვებენო!..

გული დაგვეწყვიტა ამ ამბავმა...

ვიგრძენით, რომ ჩვენს იმ დღის კრიმანჭულს ფრთები შეუკვეცეს, დაუმსხვრიეს...

რა გვექნა?!

წელ-მოწყვეტილებივით მოვბრუნდით უკან... მოვიყარეთ თავი ისევ დათიკიეს ფართო ეზოში და დავიწყეთ შურდულობიე...

ქვებს ვესროდით ჩიტებს თუ ჩიორებს და ვლამობდით ქვის მოხდენილ სწრაფი გატყორცნით სული გაგვეფრთხოზინებია მათთვის. მოახლოვდა შუადღე...

მზე დაეხურა მიწას უზარმაზარ ცეცხლის ქოლგასავით და ზაფხულის ისედაც აპილბილებული ლოყები კიდევ უფრო ააელვარა...

მზე იყო ცეცხლზე უცეცხლესი და გული დედამიწის იწვედა მისკენ საალფროსოთ, თუ საკოცნელად...

მზე იყო მთვრალი და მთვრალი იყო ირგვლივ ყოველი პრსი.



მზე იყო... მაგრამ...

— ე, რამტვერი და ბუქი დადგა ბიჭებო, ე, იქ ქუჩაზე, გაიხედეთ...  
წამოიძახა უცებ დათიკიამ და ყველას მიგვახედა ქუჩისკენ.

ქუჩის ბოლოში, ასე ერთი ვერსის მანძილზე, დავინახეთ მტვრის  
კორიანტელი, რომელიც თანდათანობით გვიახლოვდებოდა და რო-  
მელსაც მაშინვე ფანტავდა ქარი.

კიდევ რამოდენიმე წუთი და, აშკარად გავარჩიეთ ცხენები...  
ცხენებზე მხედრები: ჩოხოსნები, ბობოხოსნები, თოფ-იარაღოსნები.

— ბიჭებო ეს კაზაკებია! — წამოიძახა ლუტუამ და ჩვენც შიშით  
და კანკალით შებყრობილნი შევაცქერდით მომავალთ.

— სად მიდიან ნეტავ?!!

— ხაი-ტყეში?!

— კრების გასარეკათ?!

— წითელრაზმელების ამოსახოცათ?!

— გენოს და მისი ამხანაგების დასაქერათ?!

ასე ვეკითხებოდით ჩვენ, ამხანაგები ერთი მეორეს და ვკანკა-  
ლებით შიშით აბუძვულნი, ფერ-წასულნი...

მოგვიახლოვდნენ კაზაკები...

მათ წინ მოუძღვით ბოქაული და მამასახლისი.

მათვე ახლდათ ლუტუეს მამა სტეფანი, ცხენზე ამაყად გამო-  
ქიმილი.

მამის დანახვაზე ლუტუას გადაჰკრა ფერი... სახე დაეჯღღუნა  
და ჩაბრები დაიკმიტა... რატომ?!! ალბად იგრძნო ლუტუამ რალაც  
ძალა საშინელი...

ალბათ იგრძნო რალაც ცუდი თავის მამის მიმართ...

ალბათ მიხვდა სუყველაფერს ბურუსიდან გამორკვეულმა და...

მგლის თვალებით დაუწყო ლუტუამ ყურება თავის ბაბას...

თითქოს უნდა გახვრიტოს ის...

თითქოს უნდა უთხრას მას: ბაბია, ჩემო კარგო ბაბია! რა  
გინდა შენ ამათთან, რა?!

ესენი ხომ ხალხის მტრებია... ესენი ხომ ჩვენი მტრებია... მაშ  
რა გინდა შენ ამათთან?..

და მიხვდა ლუტუა ალბად მაშინ, თუ რათ დაძრობოდა მამამისი  
ვგრე ხშირად ბოქაულთან, მამასახლისთან! მიხვდა თუ რატომ ავი-  
ნებდა ის მარად გენოს და ერთობას... მიხვდა თუ ვინ ყოფილა მამა  
მისი... მიხვდა თავის შეცდომას, რომ ასეთ მამის ფეხის ხმაზე იყო  
აყოლილი და აგინებდა გენოს და...

მგლის თვალებით დაუწყო ლუტუამ ჰამა მამამისს, ამაყად რომ

გაჭიმულიყო უზარმაზარ რუსის ულაცზე და მხიარულად რომ ხითხითებდა...

შეაყენეს კაზაკებმა ცხენები და მამასახლისმაც მოთაფლულ სიტყვებით მოგვმართა ჩვენ:

— შეილებო, სადაა თქვენი მამები?!

— არ უთხრათ ბიჭებო, არ უთხრათ—გადმოგვიჩურჩულა ღუტუამ ამხანაგებს, მაგრამ ამ დროს სიმონი ქავჭანიძის კვერკვეზე წამოდგა წინ და სხაპა-სხუბით მიახალა მამასახლისს შემდეგი:

— ხაი-ტყეში არიან... კუხა-ონჭკურას შუა... კრება აქვთ... ბაბიცი იქ არის... მაგრამ რა გინდათ თქვენ იქ, რომ მიდიხართ?! ძია, ეს კაზაკები რატომ მიდიან იქ?! ჩხუბიზა ხო არ მიდიხართ ძია თქვენ იქ?! ძია, რატომ მიდიხართ თქვენ იქ?!!

— ეს ჩვენი საქმეა ბიჭუნა!—სთქვა მამასახლისმა გაღიმებით და კრეს დეზი მხედრებმა ცხენებს...

13

— ბიჭო, კვერკვეზე! რა გვიქენი ეს შე უბედურო, რა გვიქენი!... რავე უთხარი?!—მივცვივდით აქეთ-იქიდან ცინდალივით მოკუტულ კვერკვეზეს...

— ვაიმე დედაია! —აღრიალდა უცებ კვერკვეზე მიმხვდარი თავის გამცემლობას...

— მაგრამ არა უშავს... მე გამოვასწორებ ჩემს შეცდომას... — დაუმატა კვერკვეზემ და მივარდა იქვე კონინდარზე მძოვ კოსტაიას ქორას და ერთი თვალის დახამხამებაში მოახტა მის უბელო ზურგს...

— ბიჭებო მე გამოვასწორებ ჩემს შეცდომას... მე კრებას გავაფრთხილებ!—გადმოგვიძახა კვერკვეზემ და ფაფარში მაგრად ჩაფრენილმა კრა ქუსლი ცხენს და... ქორაც მთელი ტანის სწრაფი გაწეულით მოწყდა ერთ ადგილს.

— რა მოხდება?!!

— შეტაკება მოხდება?!!

— სისხლი დაიღვრება?!.

— თუ კვერკვეზე შესძლებს კაზაკების უმალ მიფრენას კრებასთან?!.

— კრების გაფრთხილებას?!.

— შეტაკების თავიდან აცილებას?!.

— გენოს და მისი ამხანაგების გადარჩენას?!.

ამ კითხვებს დავსტრიალებდით ჩვენ ბავშვები თავს და, თან

ვამყობდით მით, რომ ჩვენი ამხანაგი კვერკვეზე იწირავს თავს და სჩადის საქმეს საგმიროს, რაინდულს.

თვალეზად გადაქცეულნი გავცქეროდით კვერკვეზეს, რომელიც ქარივით მიაქროლებდა თავის ქორას.

თავშიშველა, ფეხშიშველა, ნიფხავ-პერანგის ამარა კვერკვეზე, ჩამოგავდა ჭინკას ჰაერში მქროლავს... ჩამოგავდა ჭინკას, რომელიც გაეტაცა მხოლოდ ერთ სურვილს: კახაკების უმაღლ მიფრენილიყო ხაიტყეში და გამოესყიდა თავისი გამცემლობა უნებური.

აი, ქორამ თანდათანობით მოკრიფა მანძილი... დაეწია კახაკების ცხენებს და მთელი სხეულის მძაფრი დაჭიმვით, გაუსწრო მათ წინ...

მიჰქრის ქორა და მიაქროლებს წინ თავის მხედარს თავგანწირულს, რომელიც ჩამოგავს ეხლა ჭინკას გაცოფებულს.

— ასე, ასე ჩემო ჭინკა! გასწი წინ, გაკურცხლე!.. შენ ხომ ჩაინდინე შეცდომა უნებური?

შენ ხომ გახდი მოღალატე უბედურო?! მაშ, გასწი ეხლა წინ, გასწი, არ დაზოგო თავი საცოდოა!!! გასწი წინ, გასწი, ჩემო ჭინკა, ჩემო პატარა გმირო! და შენც გაფრინდი ქორავ შევარდნულო! შენც ხომ გიღულს ძარღვებში სისხლი ახალგაზრდული... მაშ არ შედრკე ქორავ, ააშორე შენი პატარა ჭინკა სირცხვილს, თუ ღალატს... გასწი წინ ქორავ ქორზე უმაღ, მიმინოზე უმაღ, არწივზე უმაღ!!! „გასწი გაფრინდი ჩემო მერანო!..“

მაგრამ, ჰაუ! ეს რა ამბავია?!

ერთმა კახაკმა დასწყვივლა ცხენს და გამოუდგა უკან ქორას?! რატომ?!

ალბათ მიხვდენ მტარვალნი ჭინკას სწრაფვას უცნაურს... ალბათ მიხვდენ მზაკვრები ჭინკას თავგანწირვას რაინდულს!..

... და მიჰქრის ისევ ქორა გამალებით, ქარზე უმაღ და მისდევს მას კახაკის ყორნული ყორანზე უმაღ...

აჰა, ქორა უკვე კეცავს სივრცეს თვალუწვდენს!..

აჰა, ქორა სადაც არის შეეფარება ხაიტყეს დაბურულს... და გრძნობს, ყორნული ვერ დაეწევა მას, შევარდნულს... გრძნობს კახაკი, რომ იწვინია სირცხვილი თუ თავსხლავის დასხმა შეურაცმყოფი და ხელთ მოიგდო თოფი გადამთიელმა და უმიზნებს ჭინკას რაინდს, თავგანწირულს...

და გავარდა უცებ შაშხანა ცეცხლ-მფრქვევი...

და პატარა ბურთივით გავგორდა მიწაზე ჭინკა—კვერკვეზე...

— და შეკრთა ქორა აქაფებული...

და გადაეკრა მზეს ლაქები სისხლის და სირცხვილის...

და ატირდა ქორა ტორების ცემით...

და აქვითინდა ბუნება კოპწია თავის პირმშოზე...

და ავლრიალდით ჩვენ ბავშები ამით გულ-მოკლულნი...

კახაკმა დახედა ბურთივით მიწაზე გაგორებულ კვერკვეზეს და დაუცადა უკან ჩამორჩენილთ...

შედგენ პატარა ხანს ჭინკას გარშემო!.. რალაც წაითათბირეს და ხელის ჩაქნევით გასწიეს წინ...

ყორნული და მისი მხედარი კი, ამაყად მიდიოდენ წელ-გამართულნი, ომ გადახდილნი...

... და გავექანეთ ჩვენ ბავშები მსხვერპლად შეწირულისკენ და ვნახეთ კვერკვეზე სისხლში მცურავი, გულ-გაგმირული.

და ავლრიალდით ჩვენ ბავშები შიშით და კანკალით და ატირდა დედამიწა საცოდაობით.

— ჭინკა, ჩემო ჭინკა! შენ გახდი მსხვერპლი?! შენ მოგკლეს უწმინდურებმა?!!

ამხანაგებო, დავდოთ ფიცი აქვე, ამ ცხედრის წინ, რომ სამაგიეროს გადაუხდით მტერს მუხანათურს... დღეიდან თითეული ჩვენგანი, დე გადაიქცეს შურის-ძიებათ... სიკვდილამდის დე, გვახლდეს გრძნობა სამაგიეროს გადახდის... ფიცი ამხანაგებო!.. და შეეფიცეთ ჩვენ ერთმანეთს, რომ მტერს ვაზღვევინებთ ჭინკას სისხლს... რომ მტერს ვანანებთ თავხედობას...

ამ ფიცის შემდეგ კვერკვეზეს გაციებული გვამი წავასვენეთ სოფელში და, აკივლდა, აკენესდა, აქვითინდა სოფელი ელდანაცემი...

კვერკვეზეს დედა, დები, ძმები, კიკინე გაშლილნი, წივილ-კივილით იგიუებდენ თავს და აგინებდენ ღმერთს და ზეცას უსამართლოებს...

ჯერ კიდევ კვერკვეზეს ცხედარს დასტიროდა სოფელი, რომ შორს, ხაი-ტყიდან მოისმა ყრუ თოფების ხმა.

ვიგრძენით ყველამ უბედურება და გულის ძგერით აბროგებულნი თვალებით ვხვრეტდით ხაი-ტყისკენ შიშავალ ქუჩას.

— რა მოხდა?!

— შეტაკება?!!

— სისხლის ღვრა?

ვეკითხებოდით ერთმანეთს ზაფრაცემულნი და ვხუთავდით წუთებს სუნთქვა აჩქარებულნი.

მაგრამ არ გაუვლია რაძოდენიმე წამსაც კი, რომ სოფელში  
ყოველი მხრიდან ცხვრის დაბნეულ ფარასავით შემოირბინეს გლეხებმა  
და წითელრაზმელებმა.

ყველა იყო ნაცემი, დასისხლიანებული, ნავალალები.

სანახაობა იყო შემადრწუნებელი:

დათიკის მამას კოსტიას თავი ქონდა გახეთქილი ხმლის ყუით  
და სისხლით შეღებოდა თმა და წვერ-ულვაში.

ფირანიის შვილს ვანოიას თოფის კონდახით მკლავი მოტეხოდა  
და ისე ეკიდა მხარზე, როგორც ურემს ქვესაბიჯგი.

ამბროსიის სერაფიას თხრილზე გადახტომის დროს ფეხი ღრძო-  
და და ორ ყავარჯენზე დაბჯენილი ძლივს მოლოდავდა პირზე წყე-  
ვლა-კრულვის გახელებით...

თედორიის პროკოფიას თეზი გასისხლიანებოდა და საშინელ  
ტკივილებისაგან შეწუხებული, მხეწივით ღრიალებდა...

დანარჩენებიც თითქმის ასე იყვნენ ნაცემ-დაჭრილნი და სიბ-  
რაზით თუ მწარე ნაღველით პირს მუწავდენ, თვალებს ანთებდენ  
შურის-ძიებით.

— გაგვეს...

— გვილალატეს...

ისმოდა ხმები და როცა მოსულეებმა გაიგეს კვერკვეზეს უნებუ-  
რი გამცემლობა და შემდეგ მისი თავ-განწირვა, მოწიწებით მოიყარეს  
მის სისხლით შეღებილ ცხედრის წინაშე მუხლი. ყველამ ცა პატივი  
პატარა გმირს თავდადებულს, პატარა ჭინკას თავგანწირულს.

ამ დროს სოფლის ბოლოში გამოჩნდა კაზაკების რაზმი...

ამაყი და გამარჯვებული კაზაკები თანდათანობით გვიახლოვ-  
დებოდნენ ცხენების თამაშით და...

კვლავ საშინელი სურათი გადაეშალა სოფელს თვალწინ:

ხელებშეკრული გენო ფერდაკარგული და თვალბდასისხლი-  
ანებული, წინ გამოეგდო ჯალათებს, რომელსაც მათრახის ცემით  
მოსდევდა უკან სტეფანიი მემუზიკე. ყოველ ფეხის გადადგმაზე მათ-  
რახი ხედებოდა გენოს სახეში, თავზე, მხრებზე და ისიც გველივით  
იკლავებოდა ყოველ თითველ მწარე დაკვრაზე.

აი, მოგვიახლოვდნენ ჩვენ კვერკვეზეს ცხედართან თავ-შეყ-  
რილთ და შედგა რაზმიც.

რომელია აქ კვერკვეზეს მკვლელი?!

უჰ! რა ჯალათური სახე აქვს ყველას?!

ცხვირები ჩაჰყლეთიათ?!

სახე გაცუხებიათ!..

ულვაშები გაწკეპიათ!..

უჰ! რა საზიზღრად იცინიან!

ნუ თუ ამათ არა აქვთ გული და გულის ნაცვლად ქვა უძევთ მკერდში?!

ნუ თუ ამათ არა ყავთ ცოლშვილი, არა ყავთ დედები და არა აქვთ გრძნობა სიბრაღისა?!

უცებ სტეფანიამ შენიშნა ჩვენსკენ მომავალი ცუცა, რომელმაც, ის იყო, ალაგვზე გადმოაფრიალა თავის სუფთა ჩითის კაბა.

ცუცამ არ იცოდა კიდევ, ალბათ მთლად გენოს ამბავი, მაგრამ მაინც მისი სახე ისე იყო მწუხარე და ფერმკრთალი, რომ მიცვალვებულს მოგაგონებდათ კუბოში ჩაწოლილს... სტეფანიამ, დაინახა ის თუ არა, მიიღბინა მასთან, წაატანა მკლავში ხელი და ჩიქჩიქით მიათრია გენოსთან.

— აი, შენ ჩემო შემრცხვენელო, შენი გენო!.. აბა, მიდი და მიეშველე ეხლა მას, თუ შეგიძლია; აბა, გადაარჩინე ეხლა ის ამ ცემას! და კვლავ აიქნია სტეფანიამ მათრახი ჰაერში და კვლავ იძახოდა ის თვალბედაკუსული:

— აი, ასე შე ცოციალისტო! აი, ასე შე წუპაკო! ხომ მოვედი ეხლა შენს ოხტში!!! აბა, რაღა გეგონა, სტეფანიო ავალიანი შენ შეგარჩენდა რაიმეს თუ?!

ამ სურათზე კაზაკები ერთი მეორეში იღიმოდნ და რაღაცას ელაპარაკებოდნ ერთმანეთს ჩვენთვის გაუგებარ ენაზე.

ბოქაული და მამასახლისი კი განგებ თვალს არიდებდნ ამ საშინელებას, თითქოს უნდოდათ ემცნოთ ხალხისთვის, რომ ეს სიმხეცე მათი საქმე არაა!..

მაყურებელნი კი შეძრწუნებულნი, კბილების კრაქუნით, ძირს დასცქეროდნ მიწას უხმოდ, უსიტყვოდ, თითქოს იქ ეძებდნ მიზეზს ამ სიმხეცისას, საშინელებისას, უკუღმართობისას.

ამ დროს ვილაცამ მწარედ დაიკივლა და მოჭრილ ხესავით დაასკდა მიწას.. ეს იყო ცუცა, რომელსაც მაშინვე მიესიენ დედაკაცები და ბიჭების დახმარებით გრძნობა-დაკარგული წაიყვანეს სახლში.

ეს რა არის, ისედაც გაწითლებულ ცას თუ ჰაერის ფენას, რომ მოედო ცეცხლის ენები?!

მზე აცეცხლდა?!

ჰაერი აპრიალდა?!

თუ გარემო თამაშობს სანახაობით?!

თუ სახე გაუბრწყინდა ბუნების ძალს და როგორც რაღაც  
გულქვა, უგრძობი, მხოლოდ თავის თავს შეტრფის, შეკეკლუცებს!!!

— ცეცხლი...

— ცეცხლი...

— გენოს სახლი იწვის!

— ნესტორიეს, სახლი იწვის.

— სამსონიეს სახლი იწვის!..

ისმის ხმები და ჟრუანტელი გვივლის ყველას ტანში ამაზრზენი!..  
თმები დგებიან ყალყზე და იბუძგებიან თავები, როგორც ზღარ-  
ბები.

... და აკვნესდა კვლავ გულები უბედონი!..

მაგრამ გულებო, თქვენ ამას მოითმენთ?!

თვალეზო, თქვენ ამას შეიწყნარებთ?!

გონებავ დაჩლუნგდები?!

გრძნობებო დაყუჩდები?!

თუ ავარვარდებით ცეცხლივით?!

აეშვებით ვეფხებივით?!

ატყდებით აფთრებივით?!

და გარბის ყველა ცეცხლის ენებისაკენ!..

სოფელმა იცის ძმობა, სოფელმა იცის მეგობრობა... ერთის ჭი-  
რი—ყველას ჭირია...

ერთის უბედურება—ყველას უბედურებაა!!!

და გარბის ყველა ცეცხლებისკენ და ისმის კვლავ ხმები განწი-  
რულების:

— გვი-შვ-ე-ლე!..

## 15

მე ლურსმანივით მივჭედვიარ ერთ ადგილას...

ზღაპრულ ჯადოქრობით გადადიან ჩემს თვალ წინ სურათები  
საშინელების... ბინდ-ბუნდი გაუგებრობის ტვირთავს გონებას და  
ვერ ერკვევა ის სუსტი და უძლური მომხდარ ამბებში.

მაგრამ,—სამსონიეს სახლი იწვის?!

ეს ხომ ჩემი სახლია, ჩემი კერა, ჩემი აკვანი!..

— ვაიმე!—ვლრიალებ მე და გავრბივარ სახლისკენ გულ-გა-  
ხეთქილი.

და მეშლება თვალწინ მე სურათი შემდეგი სახის:

მამის მიერ ოფლით და სიმწრით ანაშენ ოდას ცეცხლი მოხვე-  
ვოდა, ვით შეყვარებულს შეყვარებული.

ჩემს აკვანს კოცნიდა, ეალერსებოდა ცეცხლის ენები მებუღნი!..

და კიოდა ეზოში დედაჩემი თმებ გაშლილი...

და ჯლაოდენ ჩემი და-ძმები ეზოში ჭუკებივით მიმოფანტულნი...

და ეხვეოდენ გლეხები სახლს და თითქოს უნდოდათ გადაერჩინათ რაიმე, მაგრამ არაფერს არ ანებებდა მათ გველები,—ცეცხლის ენების და იწვოდა ჩემი აკვანი, ჩემი კერა... და კიოდა დედაჩემი გააფთრებული!.. და ჯლაოდენ ჩემი და-ძმები ეზოში ჭუკებივით მიმოფანტულნი და ეხვეოდენ გლეხები სახლს წალდ-ნაჯახებით ხელში.

— სად არის ბაბიი, სად?!!

ვღრიალებ მე და...

— ჩუ, არ წამოგცდეს ხმა... იმალება... კახაკებს გაექცა ხაიტყეში!

მიპასუხებს ერთი მეზობელი და...

ისევ ტირის დედაჩემი ლაწვებ დახოკილი...

ისევ ჯლავიან ჩემი და-ძმები ეზოში მიმოფანტულნი!..

— ჭაჭვია, წამოდი ბიჭო ჩემთან, წამოდი!— მომვარდება უცებ ლუტუა და კანკალებს...

— რა გინდა ჩემგან!..— ვეკითხები მე...

— ხომ გახსოვს რომ შევფიცეთ ერთმანეთს, მტერს სამაგიერო ვუზლოთო!..

კვერკვეზე მოგვიკლეს... ცუცაიი მოგვიკლეს... სახლები დაბუგეს... ყველა დაჭრეს და დაჩეხეს... უჰ! რა საზიზღარი ყოფილა თურმე სტეფანის მემუზიკე...

ეხლა მივხვდი ყველაფერს... წამოდი ჩემთან ბიჭო, წამოდი... შურდული მოიმარჯვე...

და მეც ხმის ამოუღებლივ, მაშინალურად მივყევი ლუტუას უკან!..

მივედით ჭიშკართან, სადაც დაგვხვდენ დათიკი და ბაჩქუნი.

— აი, აქ დავდგეთ... შურდულებში ქვეები ჩააწყვეთ და როცა მე ვითხრათ: ჰკა, ამ ძაღლებს თქვა, ესროლეთ მათ... აქ გამოივლიან!..

ამბობს ლუტუა და მაგონდება არსენა თუ ყარამანი, შალვა თუ როსტევეანი...

და ვიფრქვევი სიხარულით... და ვდნები სიყვარულით.





— შენი ჭირი მე ლუტუა, შენი,— ვიძახი მე ცრემლმორეული და ვებვევი ლუტუას გაფითრებულს...

— ამის დრო ახლა არ არის... მოდიან— სთქვა ლუტუამ და მართლაც ქუჩაში გამოჩნდა კაზაკების რაზმი...

სტეფანიას, გენოს ცემით რომ გული ეჯერებია, ულაყზე შემჯდარიყო და ისე მოდიოდა!..

ლუტუას ბრძანებით ამოვეფარეთ ყორეს და გაგვისწორდენ თუ არა გადამთიელნი, გაუშვით შურდულები.

წუთი, და ცხენებიდან გადმოიხარენ ბოქაული, სტეფანი იდა ერთი კაზაკი...

შურდულებიდან გაშვებული ქვები მათ პირდაპირ შუბლში მოხვედროდათ...

ამის შემდეგ რა მოხდა, არ ვიცი... მახსოვს მხოლოდ რომ, როცა მეორეჯერ დავაპირეთ ქვების გასროლა, კაზაკებმა ასკუპეს ცხენები ჩვენსკენ და დაგვერიენ თოფის კონდახებით...

მახსოვს მხოლოდ, რომ ამ დროს, რაღაც მეხვივით მომხვდა თავში და მეც უგრძნობლათ დავასკდი მიწას...

რამდენ ხანს ვიყავ გრძნობადაკარგული არ მახსოვს! ვიცი მხოლოდ რომ, როცა გონს მოვედი და თვალები გავახილე, დავინახე დედა — სასთუმალთან მჯდომი — სახე დაკაწრული, თვალებ-მილულული...

მე ვიწექ ერთ პატარა, ვიწრო ჩაბნელებულ ქოხში, სადაც დაფარფატებდა ყორნის თუ ზარნაშოს მზგავსი რაღაც შავი აჩრდილი, რომელიც ებლანდებოდა ჩემს თვალებს უსიცოცხლოებს და რომელიც გარს ეტმასნებოდა დედის სახის ყოველგვარ ნაკეთებს, თუ სულის რაობას...

მე ვიწექ ერთ პატარა ქოხში და როცა ყორანივით შავად მოფარფატე რაღაც არსებასთან ერთად მე მიმოვაველე მას თვალი, მიხვდები რომ ის იყო ჩვენი სამზადი ქვეთკირის სახლი, ძველის-ძველი პაპის თუ პაპის მამის მიერ აშენებული და შთამამავლობიდან შთამამავლობამდის ანდერძათ გადასული, მჭვარტლიანი და მურიანი.

ქოხს არ ქონდა სარკმელი, მაგრამ სამაგიეროდ მას ქონდა ფარღალალები, რომლებიც ეწეოდენ სარკმლის თუ პაერის გამწმენდ მანქანის მაგიერობას...

ჭკრიტიმანებიდან მე შევნიშნე, რომ დღეს ელულება თვალები და მოდის საღამო ღინჯი, ჩადრწამოსხმული.

— დია!—ვეკნესი მე და თვალებს ვაშტერებ დედის, ლაწვებს დაკაწრულთ...

— რა იყო გენაცვალოს, დია!..—მიპასუხებს დედა გახარებით და მიკოცნის თვალებს...

— სადა ვარ დია?!

— სახლში ხარ შვილო!..

— რა მოხდა დია, რა?!—ვეკითხები დედას და ხელს ვუყობ ძუძუებში, მშობლიურ ძუძუებში...

— ისეთი არაფერი შვილო! დამშვიდდი.

— დია, ტკბილია შენი ძუძუები მშობლიური!..

— ტკბილია შვილო!..

— ტკბილია მამის გულ-მკერდი ოფლიანი!..

— ტკბილია შვილო!..

— ტკბილია და-ძმების და ტოლ-ამხანაგების ჭიკჭიკი მერცხლური!..

— ტკბილია შვილო!..

— კარგია სიცოცხლე, მზე, ქვეყანა!..

— კარგია შვილო!

— მაშ, ვინ ამწარებს დედის ძუძუებს მშობლიურს? ვინ უკარგავს ძალას მამის გულ-მკერდს ოფლიანს?.. ვინ კლავს და-ძმების და ტოლ-ამხანაგების ჭიკჭიკს მერცხლურს?! ვინ შხამავს სიცოცხლეს, მზეს, ქვეყანას?!

— ბოროტი სულები, შვილო!..

— დია, ბევრია ბოროტი სულები?!

— ბევრია შვილო!..

— სად არიან ისინი?!

— ყველგან: ცაში, წყალში, მიწაზე, ყველგან არიან!..

— დია, დია!..—ვტირი მე და ვებვევი დედას ნაზს, ტკბილს, მშობლიურს...

— დამშვიდდი შვილო! დაწყნარდი... ჭრილობა გაგეხსნება...

— ოჰ! მართლა დია, მე დაჭრილი ვარ!!!—ვიძახი მე გამორკვეული და ბალიშებზე გადასვენებული ვისვამ თავზე ხელს.

— ჩემი თავი გახეთქილია!..

— ოჰ! შვილო, მაგრამ ნუ გეშინია... შალე მორჩები.

— დია, მითხარი ყველაფერი... სადაა გენო?!

— დაიჭირეს შვილო... ციხეში დაუმწყვდევიათ.

— ალბათ კიდევ აწამებენ მას, დია?!

— ალბათ, შვილო!..

— ოჰ! რა საშინელი სანახავი იყო, როცა სტეფანი მას ცემდა... თვალები მხეცივით ენთებოდა... გამშრალი, გასისხლიანებული ტუჩები უთრთოდა... იყო უდრეკი და უდრტვიანი, მაგრამ ტანი მაინც, რომ გველივით ეკლანებოდა?! ალბად დიდ ტკივილებს განიცდიდა, დია, მაშინ გენო!..

— ალბათ, შვილო!..

მაგრამ როცა ცუცას გული წაუვიდა და მოკრილ ალვის ხესავით დაეცა მიწაზე, ცადა ვეფხივით მივარდნოდა სტეფანიას, რომ გაეხლიჩა შუაში, გაეგლიჯა...

— მერე?!

— მერე და ვერ შეძლო დია! მაგარი აღმოჩნდნენ ბაწრები... და როცა მას კვლავ დაუწყეს ცემა, კბილების ღრქენით დაიღმეულა მხოლოდ ერთი სიტყვა: ძაღლებო!..

— ოჰ! რა საშინელი და შემადრწუნებელი იყო, დია ეს სიტყვა!.. ალბათ მისი გახსენება ყოველთვის გამივლებს ტანში ზაფრის ქარს... მაგრამ მითხარი დია, სადაა ბაბა?!!

— იმალება შვილო! ეშინია, რომ დაიჭირონ!..

— სახლში არ მოდის?!

— კი, ერთხელ იყო... აწიცი შემოვა, მხოლოდ ამის შესახებ არაფერ არაფერი არ უნდა იცოდეს...

— რატომ დია?!!

— იმიტომ, რომ საფრთხილოა, ვინმემ არ გაგვეცეს...

— განა სტეფანიის გარდა, კიდევ გვირევია მოლაღატენი?!!

— გვირევია შვილო! ერთობის დამარცხების შემდეგ, ზოგიერთები მტრის მხარეზე გადავიდნენ... სულ ბოქაულთან და კაზაკებთან დაიარებიან..

— მერე?

— მერე და შპიონობენ შვილო! ამას და ამას იარალი აქვსო! ესა და ეს ქადაგობდაო!..

— მერე?!!

— მერე და ბევრი დაიჭირეს... მაგალითად ნესტორიე, სერაფიე, ლუკაიე და სხვა...

— სად არიან ეხლა?!!

— ალბათ გენოსთან ერთად, ციხეში...

— დია, ცუცა სადაა?!!

— ცუცა მოკვდა შვილო! გული რომ წასვლოდა და მიწაზე დაცემულიყო, მაშინ თავი თურმე ქვისთვის დაერთყა... ისე გარდაიცვალა უბედური, რომ გონსაც არ მოსულა...

— საწყალი ცუცა! რა საბედისწერო შეიქნა მისი სიყვარული?!

— ასეა შვილო, ბედი არ ქონია!..

— ლუტუა და ბაჩქუნია სადაა დია?!

— ლუტუა გაქცეოდა კაზაკებს და სადღაც გადაიკარგა... სად არის არავინ იცის!.. მხოლოდ კოსტაის დათიკისთვის უთქვამს: უთხარი დედას, რომ სახლში არ დაებრუნდებო... სტეფანიის მამობა ჩემთვის სირცხვილიაო!..

— მართლა, დია?!

— ჰო! შვილო!..

— რა ყოჩაღი ბიჭი ყოფილა დია, ლუტუე... წინად მამამის თანაუგრძნობდა... შემდეგ კი, როცა დაინახა მისი სიმხეცე, პირი იბრუნა და ჩვენთან მოვიდა...

— კი შვილო, დღეს ყველა მის ქებაშია!..

— თვით სტეფანიი რას ამბობს დია!..

— ცუცას სიკვდილმა და ლუტუას საქციელმა კბილებ-დაღესილ მხეცად გადააქცია... სისხლ მოწყურებულ მგელივით დათარეშობს... ალბათ ბევრს იმსხვეპლებს კიდევ მუხანათი...

— ბაჩქუნიი რას შობა, დია!

— მასაც შენსავით თავში მოხვედროდა თოფის კონდახი... სახლში წევს... უვლიან!...

— დია, სახლი როგორ იყო რომ დაგვიწვეს...

— მე აქ ქუხნაში ვიყავი... სადილს ვაკეთებდი... ამ დროს ორმა კაზაკმა ყორეზე ცხენები გადმოახტუნეს... მიუახლოვდნენ სახლს და კედლებს რალაცა წაასხეს, ალბათ ნაფთი და ცეცხლი წაუკიდეს...

— მერე?

— მერე და... მე ავკივლდი... ბავშები აღრიალდნენ და დაიწვა შვილო ჩვენი საცხოვრებელი, ჩვენი ბუდე, ჩვენი აკვანი!..

— დია, დია!—გქვითინებ მე და გულამომჯდარი ვეხვევი დედას, ნაზს, ტკბილს... ვუკოცნი ძუძუებს მშობლიურს და დაფარფატებს ქოხში ყორნის თუ ზარნაშოს მზგავსი შავი აჩრდილი და მოდის ღამე ქურდული ჩადრ-წამოსხმული და ვბოდავ მე ბურუსში გახვეული:

— დია, ხედავ? აი კვერკვეზე... ის თავშიშველა და ფეხშიშველა... მას მხოლოდ ნიფხავი და პერანგი აცვია, მაგრამ ის არის ქინკა... დია, აი ხედავ; როგორ მიაქროლებს კოსტაის ქორას... ქინკა ქორას ფაფარშია ჩაფრენილი და მიჰქრის, მიჰქრის თავგამეტებით, ქორზე უმაღლ, შევარდენზე უმაღლ და უნდა გაასწროს კაზაკ-

კის ყორნულს... აი, სადაცაა ქორა შევარდება ტყეში... დაიძალე-  
ბა... მაგრამ ვაიმე დია, ეს რა არის?! ქინკა ბურთივით გაგორდა  
მიწაზე... საწყალ კვერკვეზეს სისხლი გადმოქუხს მკერდიდან... დია,  
კვერკვეზე კვდება...

— დამწვიდდი შეილო!—მეუბნება დედა და მეხვევა, მკოცნის,  
მიაღერსებს...

— აი, ხედავ დია! მზე ოქრაა, გულკეთილია, მაგრამ ის მაინც  
შორდება მიწას... მიექანება სადღაც უფსკრულში... და აი, ამ ღროს  
ჩამოშორებია ცუცა თავის ტოლ-ამხანაგებს და შესცქერის ჩამავალ  
მზეს გულმილეულ იადონივით...

ცუცას სახე შაქარია ეხლა, მაგრამ თხელია მაინც სიფრიფინა-  
სავით... თვალები აცრემლებია საწყალს გულ-მკვდარ ნუკრივით...  
მე ვეკითხები მას:

— ცუცა! თვალის ჩინო! ჩამავალ მზეს რო შეცქერი, რას გა-  
ნიცდი ისეთს ნეტარს, სანუკვარო!.. საით მიჰქრის შენი სული, შე-  
ნი ფიქრი, შენი გრძნობა...

მე არსად არ მივჭრი ბიჭუნა კეთილო!—მიპასუხებს ის—მე  
მინდა მხოლოდ ვიდგე აქ და ვუსმინო: როგორ ჩურჩულებს ნიაგი  
ფოთლებში, როგორ ფსტვენს შაში საგაზაფხულო?! მე ხომ ეგრე  
მიყვარს ისინი?!

— ჩემო დაო ცუცა! მე მესმის შენი პასუხი, მაგრამ შენ მაინც  
ისე ხარ დაღონებული, ისე რომ, აი შენი ტოლ-ამხანაგები ფერიები-  
ვით მოდებიან მინდვრის ყვავილნარს, დახტიან, დათამაშობენ და  
ეთამაშებიან ოცნებას ვარდისფერს... შენ კი დაშორებისხარ იმათ,  
ვით გედი დაჭრილი თავის ქარაფანს... თვალებიც კი აცრემლებია  
სანუკვარო!.. ვაი, ბეჩაო ჩემო თავო!..

— ყური დამიგდე ბიჭუნა! მე მოგიყვები ერთ ზღაპარს უც-  
ნაურს...—და მომიყვა მე, დია, ცუცა ზღაპარს საშინელს... და ახლა  
დია, ზღაპარი ესე მასზე და გენოზე... აი, დია ეხლაც თვალწინ  
მიდგას მე ცუცა და მიყვება ის ცრემლიანი: ჰაეროვანის თუ მონა-  
ღირის სიყვარულს და წამებას ტანჯვებით საესეს...

— დამწვიდდი შეილო—კვლავ მეხვევა დედა და... ვკოცნი მე  
მას ძუძუებში გულამომჯდარი:

— დია, ტკბილია შენი ძუძუები მშობლიური!..

— ტკბილია შეილო!..

— ტკბილია მამის გულ-მკრედი ოფლიანი...

— ტკბილია შეილო!..



— ნაზია და-ძმების და ტოლ-ამხანაგების ჭიკჭიკი მერცხ-  
ლური...

— ნაზია შეილო!..

— კარგია სიცოცხლე, მზე და ქვეყანა!..

— კარგია შეილო!..

— მაშ ვინ ამწარებს დედის ძუძუებს მშობლიურს? ვინ უკარგავს  
ძალას მამის გულმკერდს ოფლიანს?... ვინ კლავს და-ძმების და  
ტოლ-ამხანაგების ჭიკჭიკს მერცხლურს?! ვინ უხამავს სიცოცხლეს,  
მზეს, ქვეყანას?!

— ბოროტი სულები შეილო!..

— დია, მე ხომ გავიზრდები?!!

— გაიზრდები შეილო!..

— ხომ ვიქნები დიდი, წვერ-ულვაშიანი?!!

— იქნები შეილო!..

— მაშ, ჩამიკარ დია ეხლა მკერდში, ჩამიკარ მაგრად...

და კვლავ ვეხვევი მე დედას ნაზს, ტკბილს... და უკოცნი ძუ-  
ძუებს მშობლიურს...

და დაფარფატებს ქოხში ყორნის თუ ზარნაშოს რალაც მზგავ-  
სი შავი აჩრდილი, და დგება ღამე ქურდული, შავჩადრიანი...

მაისი. 1926 წ.

## მანქანებთან

სევდა გავიძვრე, ღრუბლებივით  
გადაფლეთილი,  
გავედ გავხედე  
ლითონების მდულარ დინებას,  
მე ხომ არას დროს  
არ მიფიქრია.

გული დავკეტო, — დარდებს მინებდეს.  
დღეს მანქანების  
ვისმენტ ლირიკას  
დინამოების შმაგი ხმაურით,  
რომ ელვარებამ  
ურვა ჩაგიკლას  
ფოლადის ბორბლებს  
დაუგდე ყური!..

გულში დაანთოს მზის კოცონი  
ამ მანქანებმა,  
დრო ვის დარჩება  
სიჩუმეში დაკეტოს გული?!  
ჰეი

ქალაქო და სოფელო,  
ჩვენს ხმას  
დანებდით,  
თუ თქვენში ღვივის  
ცეცხლი, ბრძოლა და სიხარული.  
მინდვრებო ნახეთ  
ელექტრონის გამოქანება,  
რომ შეიჭრება  
ბრმა ბურუსში სიახლის შუქი;  
მოკვდება ღამე  
შიში, მტრობა და მწუხარება,  
შეხედეთ ჰაერს

განახლების სურნელი არხევს.  
გადაშლილ ველებს  
დასერავენ ლიანდაგები,  
აგორდებიან ტრაქტორებიც  
მიწასთან ჩხუბით,  
მაშინ ლირიკას  
საოცრებით  
ვერავენ დარგავს,  
თუ დღეს დაღლილი მანქანებით  
ქალაქს გაურბის.  
ვიმღეროთ გულო,  
მღუმარებას ვხედავ გარღვეულს,—  
ელსადგურებში ელვარდება  
ლენინის შუბლი...  
გვახარებს შრომა,  
სიხარული ქარხნებს აცვია,  
ლამის სიკვდილათ  
მზის ბორბალი  
ველზე  
გაუშვით...

ტფილისი. 22/1 27 წ.



## ამბები წარსულიდან

### ამბავი პირველი

1

ხშირი მაქვს მზერა უკან მოხედვით  
 და დასაწყისი გზის შორით მოსჩანს,  
 მაშინ ცხოვრებას როგორ გავსჭვრეტდი,  
 მაშინ ვისმენდი დედის ტკბილ ნანას.  
 ასე მგონია ვიყო ასი წლის,  
 თუმცა არა მაქვს ჯერ თმა ქალარა:  
 ისეთი იყო მიწისძვრა ქვეყნის,  
 იმდენი სისხლი ქვეყნათ იღვარა.  
 და ქარიშხალი სახეში მცემდა,  
 ქარი დაჰქროდა ყველგან სიმძაფრით,  
 სული მომავლის რწმენას იკრებდა  
 და დარს ველოდით ელვის სისწრაფით.  
 მსხვერპლი ურიცხვი და უთვალავი  
 სისხლის ტბებს ჩვენი მზე თუ ააშრობს  
 ის, რაც მინახავს: კარგი თუ ავი,  
 ამ ჩემმა ლექსმა უნდა გვიამბოს.

2

შიმშილს გავიწყებს დედის ალერსი:  
 გრძნობ, რომ ძალა გაქვს და დაძლევ მდევებს,  
 სულს ჩაგიგუბებს წვეთებს იმედის,  
 წარმტაც წალკოტებს ჩამოგატარებს.  
 სული გავკაფე დედის ალერსში,  
 ძონძები მეცვა და არ ვტიროდი,  
 ხან ფეხშიშველა, ხან ქალამნებში  
 დედას ტანჯვის გზით თან მივყვებოდი.  
 სახლ-კარი გვედგა პარტახ ეზოში  
 და ჩვენი ფაცხა ქარს ვერ უძლებდა,

გადაზნეპილი იყო თეძოში  
და სახურავი გაუმეჩხერდა.  
სოფლის შარა-გზით სარები ღობის  
დედაბრის კბილებს მომაგონებდენ,  
რომ უხაროდა მეზობლის ღორებს,  
ჯაგრიან გვერდებს რომ ჩააფხანდენ.  
ზამთრის ღამეში დედას და შვილსა  
ცეცხლთან წივები რომ დაგვიწითლდა,  
კრთობით ვისშენდით ქარის წივილსა  
და ღამის წუთებს დედა ითვლიდა.  
ტკბილათ მეძინა დედის კალთაში,  
თურმე დედასაც მაშინ ეძინა,  
თავგებს კი იმ დროს უზანდარაში  
ცივ ნატებს ჭადზე დიდხანს ელხინათ.  
და, რაც ვიხილე ძილში იმ ღამეს,  
იყო წინათქმა და ბედისწერა,  
რომ გადაიქცა ქვეყნის სიამეთ,  
ეპოქამ წიგნში რომ ჩაიწერა.

## ზ ე ლ ი მ ხ ა ნ ი

ჰქრის ჩრდილოეთის სუსხიანი ქარი, საზარი და მთებსაც ზურგი თითქოს განგებ უჩვენებია, რომ ავ ქარაშოტს დაახვედროს უზარმაზარი კლდის გალავანი და შეასკდეს წიბობს ქვიანს. ასეთ ლამეში თვით ეშმაკიც ბრაზისგან წივის, სოროს დაეძებს ლამის მხეცი და თვით ყარყუმი, აღარ იძახის გამარჯვებულ კომანდორივით, რომ კვლავ მოაწყოს ზეიმი და დიდი ალღუმი. სძინავს აუღსაც. მაგრამ ყაჩაღ ზელიმხანს გული შავი ნალველის და სიბრაზის შხაძით ევსება. მაგრამ ამ ბრაზს და ამ შავ ნალველს ვაჟკაცი, თული, თითქოს უყვარსო, ისე ტკბილად ეალერსება. — რატომ ფართხალებ გულო ჩემო, ჩიტივით ასე, იყუჩე მეთქი, მეც დაწყნარდე იქნება ცოტა. სახიფათო რამ ხომ არ მოდის ამ ოხერ თავზე, რომ აგრე ერთად აირია მადლიც და ცოდვაც?! მაგრამ ზელიმხანს გულის ყური როდი ღალატობს. განსაცდელის ჟამს—წინათ-გრძნობაც ცოცხალი არის, და ჰა, ამდგარა სავერავოთ და საჯალათოთ გიორგი გურჯი ყაზახ რუსთა დიდი ლაშქარით.

\* \* \*

მოქრის გიორგი. გულში უდევს იმედი ტკბილი: აგურხანი სწერს: ჩვენი მტერი სახლში არისო. და წარჩინების მომლოდინე თავადიშვილი მოიჭრა მთაში, ვით გრიგალის მძვინვარე რისხვა, შემოკრა მთები. არსად არის გზა გასავალი, ზათქს სცვლის ყიჟინა და ყიჟინას დიდი ხმაური. სროლა თოფების და ამდგარი ხანძარის ალით

იგვემებოდა აგურხანის მთელი აული,  
მაგრამ ზელიმხან რის გმირია, თუ მტერს აბუჩად  
თავს დაუდებს და მოადუნებს მკლავებს ძარღვიანს!  
ნახა რა საფრთხე, წამს მოახტა საყვარელ ლურჯას  
და მყისვე გაქრა, როგორც ცხელი ყურღუმის ტყვია.  
— როგორ გაიქცა ეგ აბრაგი!— ყვირის აგურხან,  
თვით გიორგისაც ყელში შური ცეცხლივით უჭერს.  
ღრიალებს ქარი და აქა-იქ ცივი ღრუბელი  
თითქო მთვარესაც მოკრძალებით თმას უხუჭუჭებს,  
— ჰოი, სირცხვილო, ერთმა ასი როგორ დაგვეჯანა?  
— ეხლა ასე გვჭირს, მაგრამ შემდეგ არც ჩვენ ვჭამთ ჯაბანს!  
— ასეთ შემთხვევას ჩვენთვის კვლავ ვინ განიმეორებს?  
— დიდ არს ალახი მეთაურო, ის მოგვეცემს ღონეს!  
— კარგი. მაშ წადი და მომგვარე ცოლი იმ დათვის!  
— ამას ნუ ვიზამთ მეთაურო ღეთის გულისათვის.  
— როგორ, შენ კიდევ ეურჩები ბატონის ნებას?  
— ალახი ხედავს, ვით ვასრულებ მე შენს ბრძანებებს.  
— მაშ წადი მეთქი და მომგვარე, გესმის თუ არა?  
ეგ სწორი გზაა. მოთმენა და ღუმლიც კმარა.  
მე მინდა მძევლად წავიყვანო აბრაგის ცოლი,  
ამბობენ ძლიერ ლამაზია!— მზგავსია ბროლის.  
— მაშ თუ აგრეა, მომგვარე, რომ ვიჯერო გული!  
და ეს სურვილი წამსვე იქნა შესრულებული.

\* \* \*

გათენდა დილა. ქარი ჩადგა, მზემც ოქროს სხივი  
დაღესტნის მთებში მოაფრქვია უცხო ხალისით,  
ხოლო გიორგი, როგორც წყალზე მცურავი ტივი  
ფარჩის ლოგინში გორაობდა აგურხანისას.  
ზელიმხანი ხომ ტყედ გაიქრა, მაგრამ ამისი  
ცოლიც და შვილიც დღეს მოსისხლე მტერის ხელშია.  
თუ შურს იძიებს, ვერ დაიჭერს ალახის რისხვაც,  
მოჰკლავს და მორჩა, დაიამებს გულის ჯავრს მშვიერს.  
მაგრამ გიორგის სულ სხვა ფიქრი გულს უტრიალებს.  
იგი— ელის, რომ ავი ხვედრიც დადგება მალე,  
როცა საწუთრო უღმობელი და სატიალო  
დაღესტანის გმირს დაუხუჭავს ორთავე თვალებს.

\* \* \*

დაჰქრის ზელიმხან ოსინოვის ავ ხეობაში,  
როგორც ხანძარის დახვეული ირიბი ალი  
და ეხლა მხოლოდ უტრიალებს ბურანად თავში  
მძლე ავურხანის და გიორგის შემონათვალი.  
როგორ? ყაჩაღმა თავი გასცეს თავისი ხელით,  
თან იარაღიც აიყაროს, სად გაგონილა?  
უწინ ცა გასწყრეს და შეინძრას ქვევით ქვესკნელი,  
ვინემ ზელიმხანს გაუთენდეს ასეთი დილა!  
მერე ეგ რისთვის? სადაც მნახვენ უიარაღოს  
თავსაც მომკვეთენ; კარგად ვიცი მაგათ პირობა!  
იქუხე მედგრად ზელიმხანის გულო ამაყო,  
მთელ დაღესტანში ზღაპრად დადის შენი გმირობა.  
ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ზელიმხანი უიარაღოთ,  
ცა უმეხოთ და დედა-მიწა უპურ-მარილოთ!  
რად არ გაიტკლევ ჯოჯოხეთო გულს უღარიბესს,  
თუ შენც ასეთი ბედი გელის გაუხარელი!!

\* \* \*

მაგრამ ჰა, დადგა ზელიმხანის დრო სასურველი,  
მოდის გიორგი ოსინოვის ვიწრო ხეობით,  
და გზაზე ახლა სამოსისხროდ არავის ელის,  
მოჰქრის ამაყად და თან მოსდევს რაზმიც მხნეობით,  
ზელიმხანი კი ხიდის თავთან ჩასაფრებული,  
მოელის მტერს და გულიც მკერდში გორავს ლოდივით.  
სად შეუძლია მას ამდენი ერთ ალაგს ყოფნა,  
სად შეუძლია მას ამდენი ცდა და ლოდინი?!  
უნდა ამოხტეს საფარიდან, მაგრამ ჰა, უცებ  
თვალ-წინ გამოჩნდა ის, ვინც ასე ამღელვარებდა.  
მყის შეასწორა ყარაბინი მოხდენილ გულზე  
და ცხელმა ტყვიამ ამოხეთქა სისხლი ღვარებად.  
მოკვდა გიორგი; ახლა რაზმმაც იბრუნა პირი,  
ზოგი სად გარბის და ზოგი სად ვიწრო ხვეულით.  
ზელიმხან ყვირის, როგორც ზევსის ძლევის საყვირი  
და უსწორდება ყაზახ რუსებს ცოფმორეული.  
მაგრამ ვით ხშირად, როცა ვეფხვი უდაბნოისა  
წამოეწევა ქარავანს და დაჰკრავს ტორს ძლიერს

ბედუნიები კი ამ უცებ მოვარდნილ რისხვას  
უბედურებად და ალახის წყრომათა სთვლიან,—  
და ვით უეცრად საზარელი იგი ნადირი  
ერთ-ერთ ბედუინს მოიტაცებს მყლაპავი პირით  
და გაქანდება შურდულივით—ისე ზელიმხან  
მოჰკლავს რა უცებ ბოქაულსაც მახვილი დაშნით,  
მყის გაიჭრება ხევისაკენ მქროლავი რაშით.

\* \* \*

სძინავს აულებს, შვალამეა. ამოდის მთვარე,  
დალესტნის მთები შევერცხლილა უკვე ქაღარით.  
და ამ ღამეში ბრაზიანი ქარი მშფოთვარე  
დაჰქრის ზმუილით ნადავლი და ნაყაჩაღარი.  
თვით ხის შტოებსაც სწვავს და სუსხავს ყინვა საზარი,  
მაგრამ ზელიმხან არ გაუბრბის სუსხიან ღამეს,  
და თავის ლურჯას მიაქროლებს დაუდევარი,  
რომ გაასწოროს ხშირი მთების ქიმი და ხრამი.  
ყაბარდოელ ცხენს რა დაიჭერს ამაყს და ტანადს,  
მიჰქრის ზელიმხან, არსად გზაზე მარცხს არ მოელის.  
იგი თავის ცხენს არ გასწირავს მთელ დალესტანად  
და არც მერანი გასწირავს მას ყაბარდოელი.  
ზელიმხანს უყვარს თავის ლურჯა, ქვეყანას ოხერს  
აშკარად ებრძვის. ცხენსაც ესმის გმირი მხედარის.  
ორთავეს გული ფოლადია და მემბოხე,  
ორთავეს სისხლი ცხელია და დაუდევარი.  
მიჰქრის ზელიმხან, მაგრამ ავრე რად მოიჩქარის  
მძლე აგურხანის აულისკენ, როგორც შურდული?  
შესაძლო არის სიყვარულის მგზნებარე ალი  
დალესტნის არწივს გულზე ცეცხლის ზოლებად უვლის!  
მაგრამ აგურხან, ხომ მტერია ზელიმხანისა,  
ვით დღე და ღამე, ცა და მიწა, ცეცხლი და წყალი.  
როგორც ვეშაპნი და ნიანგნი ჰირკანიისა—  
არ შეუძლიათ გაუჩერონ ერთმანეთს თვალი.  
აგურხანს სისხლი უდუღს გულში ავი ძახილით,  
ზელიმხანს კიდევ უსივდება ბრაზით ნაღველა  
და გაცოფებულ ორი ლეკის ბასრი მახვილი  
ამოღებული ქარქაშიდან მრისხანედ ელავს.

მთელ დაღესტანში განთქმულია მძლე აგურხანი, მას ვინ არ იცნობს, აქვს სასახლე სიკეთით სავსე, და მთელ აულის მოყმეები, კაცი თუ ქალი ამის სურვილებს და ბრძანებებს ევლება თავზე. ჰყავს ერთად ერთი მას ლამაზი ქალი ლეილა, რომლის უხვ ჯადომ აუტგერა ზელიმხანს გული და ამ ღმერთ-ქალის სავსე სახე—ლაჟვარდი დილა— არის ძვირფასი ვარდ-ყაყაჩოდ აყვავებული. სწორედ ამ დროზე, შარშან, როცა ყინვა სწურავდა ლეკეთის მთებს და მთაგორაკებს მსუსხავი ძალით— მივიდა ჩუმად ზელიმხან და დაუყურადა ხანის აულს, რომ მოეტაცა ლამაზი ქალი. მაგრამ შეუტყეს ამაყ არწივს კარის-კაცებმა, გადაუკეტეს ალაყაფი, შეჰქმნეს ქადილი... და ამის შემდეგ ქალის ციხით გამოტაცება ზელიმხანისთვის აღარ იყო უკვე ადვილი. ეგ შარშან იყო. დღეს კი გული ამაყ მთიელის აღარ ეტევა საბუღარში, გახელდა დათვი— და საყაჩაღო ასპარეზი და სარბიელი მას აღარ ყოფნის გულის ჯავრის დაცხრომისათვის. მაგრამ, ვით ხშირად მძლე გრიგალის მოვარდნის უწინ შავს უღრან ტყეში მყუდროება დაისადგურებს, აღარ სცემს ბინდი და ფოთლებიც დაწყნარდებიან ისე, რომ მათი შრიალიც კი არ ესმის ყურებს— და ვით უეცრად ეს გრიგალი ამოვარდება, გაარღვევს ხოლმე ამ სიჩუმეს— ისე ზელიმხან მიუხტა მთაში მძლე აგურხანს არწივის მზგავსად და ახლა იგი არ ზოგავდა ცხენსაც და თავსაც.

\* \* \*

ატყდა ყიჟინა. ატყდა ზათქი. ატყდა ხმაური... ყვირის აგურხან: ჩემი ქალი როგორ დანებდა?! ამაო იყო ყველაფერი, გრგვინვა აულის, თავის სატურთალს ზელიმხან წინ მიაქანებდა.  
— ორასი ოქრო, ვინც მიაწვდენს ტყვიას ყურშუმის!  
— ხუთასი ოქრო, ვინც მოიტანს თავს მაგ ოხერის!

მაგრამ ყმებს შორის იდგა მხოლოდ ცივი სიჩუმე  
და არ მოსჩანდა ზელიმხანის მოსისხლე მტერი.  
ჰოი, შენ ბედო, უღირსთ ხვედრო! ოჰ, ზეცის ძალნო,  
აქვე გახეთქე დედა-მიწის კანი და სისქე,  
რადგან ნამუსიც ამ აბრაგმა სულ ამაცალა,  
შეუჩერებლივ გამაქანეთ ღრმა უფსკრულისკენ!  
ყვირის აგურხან, თავშიც იცემს, აღმური დაგავს,  
მაგრამ არავის ესმის ვიში და მწუხარება,  
და მოხუც გვირის ორ მრისხანე ფართე თვალთავან  
მოდის და მოჰქუხს მდულარება მლაშე ღვარებად.  
მაგრამ ეგ ვიში მოხუცს უფრო მკერდში გულს უჭამს.  
მოჰქრის ზელიმხან შევარდენის მაგარი ფრთებით  
და დაღესტანის გაწოლილი ხრამი და მთები  
ყაბარდოელ ცხენს თითქო თვალშიც აღარა უჩანს.

\* \* \*

გავიდა წელი. აღარა სჩანს კაცი მნახველი  
მძლე ზელიმხანის, თითქო იგი დაინთქა კიდევ;  
მაგრამ მოშულლე აგურხანის შავი ნალველი  
ისე დიდია, რომ ლეკეთიც ვეღარ დაიტევს.  
ჰგზავნის მეგზურებს და მწყემსებსაც იბარებს თვისკენ.  
არ ზოგავს დოვლათს, ოღონდ ხელში მოიგდოს მტერი,  
მაგრამ არსად სჩანს ზელიმხანის ლანდი, არც სისქე  
და მოხუც ვერავს უსივდება ნალველა ძგერით.  
— მონავ, მურტალო, უსარგებლოვ, სად გქონდა თვალი,  
რად არ შეაკვდი მომხდურ ვეშაპს? გეძინა განა?  
ჩაძაღლდე უნდა ან და ბატონს მომგვარო ქალი.  
მთლად მოიარე მთა და ბარი, ცა და ქვეყანა.  
და თუ შენ შესძლებ მომიტანო მტარვალის თავი,  
დაგასაჩუქრებ ვფიცავ ალახს. რამდენიც გინდა  
ბაჯაღლო ოქრო, მამულები, ძვირფასი თვალი,  
ფარჩეულები და ზარბაზი, ხასი და წმინდა.  
მაგრამ თუ ოდნავ ვერ შეიძელ ესოდენ მწვავე  
ჩემი სურვილის აღსრულება—ვფიცავ ამ მეჩეთს  
გიჯობს, შენივე ხელით გასჭრა შენი საფლავი  
და ცოცხლად ჩაწვე, ვინემ ფუჭად მოხვიდე ჩემთან...  
ოჰ, ზეცის ძალნო, სასოებავ უკვდავებისა,  
მომეშველენით სანამ ქვის გულს გავიმეხავდე!



მომეცით სისხლი, მტერის სისხლი, სისხლი მხეცისა,  
რომ ზმ სისხლითვე შევიღებო თავით-ფეხამდე!

\* \* \*

არ სჩანდა ქვეყნად ზელიმხანი. მღევრები ბრიყვი  
თავს არ ზოგავდნენ, მაგრამ ვერსად ეპოვეს კვალი,  
რადგან საფარი ტყედ გაჭრილი ყაჩაღის იყო:  
ხალხის გული და თვით ლეკეთის კაცი თუ ქალი.  
ესეც არ იყოს, ცოფიან ლომს ვინ შეეჭიდოს,  
მახის დამგებად, როცა მას თვით ალახი ჰფარავს—  
და შეუძლია გამორეკოს ყველა მღევრები  
ისე, ვით მწყემსი საძოვრიდან გამორეკს ფარას!  
— წყეულმც იყოს სატანა და ეშმა ცფიერი!  
— წყეულმც იყოს ის დღე, რაც დღეს მეზოდა ქალი!  
მაგრამ ეგ წყევლა მხოლოდ ზაფრა გულის ხმაური  
ისევ უკანვე ბრუნდებოდა ნაპარტახალი.  
მაგრამ, ვით ხშირად შევარდენი კაკაბს მინდორის  
მოიჭაცებს და გაქანდება ვით ცხელი ტყვია,  
ალარ სჩანს მერე ცის გუმბათზე და ფრინველთ შორის  
ჩამოვარდება სიჩუმე და დაწყნარდებიან...  
და ვით უეცრად საზარელი ფრთის მიმოხაზვა  
ცის ლურჯ კამარას გადასერავს გრიგალის მზგავსად  
და გამოჩნდება შევარდენი—ისე ზელიმხან  
მაღალ მთებიდან გადმოიჭრა, როგორც არწივი  
და ახლა უფრო მედგრად იყო ფოლადი ცივი.

\* \* \*

აული მთაში, დღეობაა. ზეიმობს ხალხი  
თავის სახალხო დღესასწაულს ცეკვა-თამაშით.  
არის ჯირითი და მუსიკაც გულისყურს ალხენს,  
მძლე ზელიმხანიც მიისწრაფვის ამ დღეობაში.  
წამს ზედ მიიჭრა. ლეკს იზიდავს დღესასწაული.  
— გზა!—დაიძახეს და გაიპო წყება მრავალი.  
და ზელიმხანიც ნუგეში და თვალი აულის  
მოჭდეულ წრეში შემოიჭრა ვით ორთქლმავალი.  
ატყდა შედღული. გაიმართა ჯირითიც უცებ,  
გუგუნებს დაფი და გარმონიც დაუკრეს ჩქარი.  
თვითეულ ლეკს აქ გული წმინდა ხალისით უცემს,

ბოლმა და სევდა აქ არ არი არავითარი.

— ჯირითში ვინ სჯობს მოჯირითეთ?—მძლე ზელიმხანი

— ტყვია ნიშანში ვისი მოხვდა?—ზელიმხნისა!

და შეკრებილი მთიულები, კაცი თუ ქალი  
ენტო მთელი დღე ჩაუქრობელ სიტკბო-ხალისად.

ბოლოს მოახტა თავის ლუჯას მთისა არწივი

მოზეიმე ხალხს. გადახედა მახვილი თვალით

და აქამომდე მოღუშული გულ-მკერდი ცივი—

უცებ აენტო სიხარულის მგზნებარე ალით.

— ხალხო, თქვენ იცით აგურხანი რასაც მიპირებს!

— ვფიცავართ ალახს, იმ ვერავს ჩვენ არ მივცეთ მხარი.

— იმას ჰგონია, ისე მომკლავს ვით მთაში ირემს!

— უწინამც მეხი თავს დაატყდეს და ნიაღვარი!

— ხალხო, ზელიმხან ყაჩაღია, მაგრამ მერწმუნეთ,

იგი თქვენ ნამუსს და მთიელის სახელსაც იცავს.

მისთვის ძვირფასი არის ხალხის ბედი და ჰუნე

და უფრო ძვირი დაღესტანის კეთილი მიწა!

— იყავ დღე-გრძელი და იკურთხოს შენი მარჯვენა!

— ხალხო, თქვენ იცით, ოჯახი მთლად გამინადგურეს,

მაგრამ არ სჩივის უბედობას გული მაგარი.

ჩემი სახელი ყველამ იცის მთელ დაღესტანში,

თვით ამ სახელმა სთქვას ზელიმხან რაც კაცი არი!

— ვიცით გმირი ხარ, ჩაგრულ ხალხთა მოსარჩლე გმირი!

— მაგრამ გმრობას ჩემსას ხალხო, ტალახში სვრიან.

კმარა მოთმენა. ჩემ თავს თვით მე ვუყავ ზიანი...

დღეიდან ჩემი სიხარული მხოლოდ სისხლია

და საყაჩაღო ყარაბინა პირმეხიანი.

სთქვა ეს და გაჰქრა. რაშმაც ისე მოუსვა ფოლო,

რომ თვით მხედარმა ქარის ცემით თვალი დანაბა.

და ამის შემდეგ წერტილიდა მოსჩანდა მხოლოდ

მიაქროლებდა ცხენი თითქო ცარიელ ნაბადს.

\* \* \*

შეჰკედლებია ზელიმხანი ძველ ციხეს მთაში,  
რომელიც თითქო ხელ-აპყრობით შეჰყურებს ალახს.

და ქედის ქვევით სძოვს უნაგირ მოხდილი რაში

უხვად დაფენილ მობიბინე ნოყიერ ბალახს.

უწინ ეგ ციხე იყო მტკიცე ფოლადი გრილი,

ქვით-კირის მკერდით ედგა ამ მთას სეტყვა-ქარიანს.  
მაგრამ დღეს იგი ამაყ ჩარდახ-გადაგლეჯილი  
მხოლოდ ყაჩაღთა და აბრაგთა თავსაფარია.  
ლურჯა სძოვს ბალახს. ეგ, ძმა არის ზელიმხანისა,  
როცა გრძნობს საფრთხეს და განსაცდელს დაიწყებს ჭიხვინს;  
და ზელიმხანმაც იცის მაშინ, რომ რაღაც რისხვა  
ახლოვდება და წამს ყურს დასცკვეტს მამალი ჯიხვი.  
მაგრამ ჯერ ისევ სიმშვიდეა, აღარც ქარია.  
სთვლემს მთის გარემოღრმა წყვედიაღში. ღამეა ბნელი.  
და მკერდდაღარულ მთა-გორაკებს ნიაღვარიანს  
მოსდევს ქალები საოცნებო და საკვირველი.  
მაგრამ ვინ არის, აგრე ქალის ნაპირს რომ მოხვეს,  
გზა მოუხვია და იბრუნა მთისაკენ პირი?  
რა დაჰკარგვია ამ ღამეში აბრაგს და ოხერს?  
იქნებ ის ფიქრობს, მოჰკლას ჩუმად მთიელი გმირი!.  
დიახ, ეს სწორედ აგურხანის ყმა ომარია,  
იგი აავსო ვერაგ სვავმა უხვი წყალობით,  
და ამის შემდეგ ხარბი გული უცებ არია  
დად სასყიდელმა ვერაგობით და მტარვალობით.  
ბრიყვბ, ყოველთვის ბრიყვი არის. მოსისხარ თავში  
ფიქრის საგანი ხანჯალი და მხოლოდ თოფია.  
მან უნდა მოჰკლას ზელიმხანი, სხვა შემთხვევაში  
სიტყვას გასტეხს და ვით გადღურჩეს ვერაგ ცოფიანს?!

\* \* \*

შუაღამეა. ზელიმხანი ჯერ მოკრძალებით  
უცქერს სატერფალს შორეული ტკბილი ალერსით  
და ლეკი ქალის ნამიანი ფართე თვალები  
იწურებიან მორცხვობით და ვნების ალესით.  
— ასე არავეინ მყვარებია, ვფიცავარ დედას!  
— ვით დავიჯერო სასურველო, მატყუებ ვხედავ!  
— ვფიცავ მეჩეთს და ყველა ღმერთებს ჩემი ქვეყნისა!  
— კიდევ არ მჯერა, თუმც არა ვარ ამ ფიცის ღირსი!  
— ენდე ჩემ სიტყვებს და არასდროს ინაღვლებ ქალო!  
— სიტყვას ვით ვენდო, როცა ღმერთიც აღარა მწყალობს!  
— ღმერთიც გწყალობს და ზელიმხანიც, მიყვარხარ ძლიერ!  
— მერე ეგ შენი სიყვარული ფიქრობ გამძლეა?  
— ესე მტკიცეა ვით კარშხალი, ქვა და ფოლადი.

- ამას სისხლი სჯის, რასაც გული მოჰკლავს ბოლომდე.
- არ გეწყინება ქვის გული, რომ გამიჭრას ტყვიამ?
- მანამდე მოვკდე და უწინამც დღე დამლევია!
- მაშ გყვარებივარ... ოჰ, მომეკარ გულმკერდზე ასე!  
და წამს ტუჩები ვნებათ-ღელვის ცეცხლით აავსეს.

\* \* \*

როს ხვევნის ცეცხლში ტრიალებდა ქალიც და ვაჟიც  
და სიყვარულის გახელებას გრძნობდა ამური,  
უცებ მთის ძირში აჭიხვინდა ერდგული რაში  
და ზელიმხანმაც მყის დასცქვიტა მახვილი ყური.

— ვგონებ რაღაცა უნდა იყოს, სჯობს რომ მივხედო.

— არაფერია, ნუ მოდიხარ ჩემო იმედო!

— ვაჰ, თუ მტერია და შესცვალოს ხალისი გლოვად?!

— ასეთ ღამეში სამტროდ მთაში ქაჯიც ვერ მოვა.

— მაშ კარგი, ვრჩები, თუ მტერია, მეც გავცემ პასუხს.

— შენი ღონე და ვაჟკაცობა მჯერა ძვირფასო!

— ოჰ, დიდებულო ქალთა მეფეე დაღესტანისა,  
როგორ მაგიჟებს სურნელება შენი ტანისა!  
და ზელიმხანმა გაათავა რა ეს ალერსი  
თავის სატურფალს ჩაეკონა ვნება-ალესით.

\* \* \*

სძინავს ზელიმხანს, ქალსაც სძინავს მთველმარე ძილით,  
ცა მიბნედილა და მიწასაც ცასავით სძინავს.  
მაგრამ არ სძინავს ღამის ოხერს ბასრი მახვილით  
და ციხის გულში ზელიმხანის დაეძებს ბინას.  
აგერ მიაგნო მწოლიარეს. ღამის ვერაგი,  
ისე მტკიცეა, თითქო გულში ვულკანი უცემს,  
მაგრამ ამაყი მთის არწივის მარტო სულის თქმამ  
ომარს ღონეც და ნებისყოფაც მოჰკვეთა უცებ.  
ცეცხლით აენთო, ნგრევის ჭექამ გულს დაუარა,  
დგას აქ ბოროტად მარმარილოს ქანდაკის მზგავსად  
და ველარ ბედავს, აღმართული ფხიანი ხმალი  
დაარტყას მკვეთრად ზელიმხანის მძინარე თავსა.  
მაგრამ, ვით ხშირად მძინარე ღომს უღრან ტყისასა  
თავს წაადგება მონადირე მოულოდნელად,  
უკან დახევის დროც არ არი და ისევ იგი



მოემზადება შებმისათვის უკანასკნელად—  
და ვით შეცრად მონადირე თოფსაც შემართავს,  
რომ მყის გაგმიროს მხეცის გული—ისე ომარმაც  
აღმართა ხმალი ორლესული მაგარი მკლავით,  
რომ ერთი დაკვრით წააკვეთოს ზელიმხანს თავი.  
ზეცას თვით მეხი არ დაურტყამს ისე ქვეყნისთვის,  
როს მიწისადმი ვერ ფარავდა იგი სიბრაზეს,  
როგორც ომარმა ორლესული ბასრი მახვილი  
დაჰკრა ზელიმხანს აფრასავით აღმართულ თავზე.  
და ჰა მკვლელობა საზიზღარი, თვით ზეცა წივის,  
აენტო უცებ ვერაგობის მცხუნვარე ალი.  
მოკვდა ზელიმხან—დალესტანის სწრაფი არწივი,  
თავისუფლების მძლე მედროშე და მომღერალი!

ქ. ტფილისი  
1927. 1 მარტი.

## სასიხარულოდ

მრავალ ბრძოლებში გაემარჯვებულვართ,—  
მტარვალს გამგმირი ტყვია რგებია.—  
და მერე მზერად მოსული წლები  
დასისხლულ მკერდებს შეჰგებებიან...

მაგრამ პირვანდელ ბრძოლების ხსოვნა  
უფრო ძალუმად დღეს გეხალისებს.—  
და ქალაქებიც თითქოს დგებიან  
ცეცხლად ავარდნილ ჩვენ დაძახილზე...

ისმოდეს ყველგან, რომ არ ჩამქრალა  
ის ანთებული გზნება მაღალი.—  
რომ მოკლებული შეგუბულ რისხვას  
ჩვენგან არც ერთი გული არ არის...

ბებერ ქვეყნების კვლავ დასარბევათ  
მოვლენ მასსები, მოვა ლენინიც—  
ჩვენ გრიგალები ვიქნებით ისევ  
ყველა მთებიდან გადმოვლენილი...

და მზე როდესაც ჩამქრალ სხივებათ  
უკანასკნელათ დაგვედინება,  
მიღეულ გულის სასიხარულოდ  
მხოლოდ ბრძოლების ხსოვნა იქნება...

## ღია წერილი ამხანაგ სტალინს.

მოსკოვი. კრემლი.

(ყრილობის შთაბეჭდილებანი)

უკრავს მუსიკა და ბელადებს ტაშით ხვდებიან,  
 დგანან გლეხებიც კომბალებით, ბეწვის ქუდებით,  
 დღეს საქართველოს მიყრუებულ კუთხეებიდან  
 დელეგატებათ ჩამოსულან ოსებ-ქურთებიც!  
 ო, აღტაცება რა დიდია, რა მქუხარეა,  
 როდესაც ხმები: სტალინ, სტალინ ხალხში იჭრება,  
 აქ დედაშენიც ხელებს გიკრავს და უხარია,  
 რომ პრეზიდენტში საპატიო წევრათ გირჩევენ!  
 აი მეც ეხლა კომკავშირელს თუ მიხარია,  
 თუ თვალებიდან მზე ამომდის დაუთვალავი,  
 გფიცავ: ეხლავე მზათ ვარ ყველას გადავეხვიო!  
 უსაზღვრო გრძნობით, სიყვარულით და სითამამით!  
 ბელადო სტალინ! დღეგრძელ-იყოს შენი ცხოვრება,  
 რევოლიუციის რკინის გმირად მუდამ დარჩები,  
 როს შენი გული, შენი მკერდი, შენი გონება  
 მრავალ მილიონ მუშებისგან არის ნაჭედი!  
 იფრქვევა ხმები, თითქოს ცეცხლის ქუხილს აჩენდეს,  
 ვინ იცის კიდევ დაიქუხებს ცეცხლი რამდენი,  
 და სიხარული უფრო მეტი იქნება ჩვენთვის,  
 თუ საპატიო დელეგატათ ჩამობრძანდები!  
 დღეს საქართველო ხმას უერთებს რუსეთის ძახილს:  
 — დე, ბრძოლის დროსაც ერთხმათ ავდგეთ და მედგრათ  
 ვიყოთ...

ბელადო სტალინ! ამის გარდა ყრილობის სახით  
 თბილი სალამი გადაეცი მოსკოვს და რიკოვს!  
 რომ ჩამოხვიდე: უღვაშებში შენც გაიღიმებ,  
 შენც მოზღვავებულ ხალხის ტრიუმფს ტანს მოუხრიდი...  
 წკრიალებს ზარი... ისევ სიტყვას ამბობს ფილიპე  
 და რუსთაველის დარბაზს ფარავს ტაშის ქუხილი!

## არალეგალური სასტუმრო

### თავი პირველი

კეისიმ სადილზე დაიგვიანა.

დღევანდელ დღეს, დამდურებული მშობლები უმადოთ ლუკმებს იღებოდნენ და გაგულისებულ თვალებით კარის ჩარჩოს გასცქეროდნენ. დედამ იცოდა კეისის დაგვიანების მიზეზი, მაგრამ ავ მამასთან გაუუჩიებელი იყო და გუნებაში დაქადნებით ბერავდა ფერუმარლით ნაწვალეხ სახის კანს.

მსახურმა დასვრილი თეფშები აალაგა და მაგიდის წრიდან აიშალა მაძლარი სხეულები.

წაფერდილ სავარძელში ჩაეწყო სახეები. მაძლარი გვამები ენის წკაპუნით წუწნიდენ კბილებში გალესილ სანოვავის ჭუჭყს.



კეისის მამა სასამართლოს მოხელე იყო.

იგი, ძნელად შესავსლელ კაბინეტში იჯდა და ლურჯ მაგიდის სიბრტყეზე დაღვრემილი სახე ედო. პოლიტიკოსობდა მოქალაქე. გრძელ ტანზე დადგმულ ნაციონალისტურ კისერს, პატრიოტ ქართველთა ქოლგის ქვეშ ღუნავდა...

გვარის და ჯიშის რჩევა უყვარდა და კეთილშობილურ სისხლს უფრთხილდებოდა, რომ ჭუჭყიან სქესს არ შერეოდა...

ზურაბოვიჩი დღევანდელ გაზეთებმა ცუდ გუნებაზე დააყენა. დახურულ ფანჯარასთან, ორივე ჯიბეში ხელებ-ჩაწყობილი, იგი გაიყინა და ღრმა ფიქრებში გახვეულმა თვალები ნელა შემოატარა დედა ქალაქის ციხე-სიმაგრისაკენ. მისი სული ეროვნულ სივრცეში დაჰქროდა და გულში წითელი დროშის ტარს ამტვრევდა...

ზარი გაწყრიალდა. მსახურმა სამზარეულოში ხელიდან ქვაბის სახეხი გააგდო. სქელი ტანის რხევით გასანთლული იატაკი გადაიბრინა და ორი თითით გასაღების ყური გადაწრიხა.

სტუმარი გამოჩნდა. დიასახლისმა შეხვედრის სამზადისად ბეჭები შეარხია.

ოო! ძაუ, პაქალუიტე!





გაისმა დარბაზში და მას, გაწვდილმა ხელმა, დასაჯდომი ადგილი უჩვენა.

სტუმარმა სალამის შემდეგ, დაგრეხილ კუნთებით საესე მკერდი სავარძელში ჩაასვენა.

ძაუმაც დარდიანი სახე შემოიტანა ოჯახში, მაგრამ მის თეთროფროვან სახეზე, ჭრელ თვალებს იმედის ცეცხლი მაინც უტრიალებდა...

საუბარი რუსულ ფრაზებით დაიწყო და ყური ქართულ საქმეს გაუჩხრიკეს.

ერთი იყო მათი დარდი, ერთი იყო მათი „სულიერი ტირილი“...

ამ ოჯახში ძაუ ხშირი სტუმარი იყო.

ესენი მშობლებით ძველი მეგობრები იყვნენ.

ერთმანეთისას ჭურის თავზე ქეიფი ერთად იცოდნენ და შინაურ გარეული ფრინველის გემოც ახსოვდათ.

ზურაბოვიჩმა გაყოლილი ქეიფი იცოდა და ამაჟი ცქერით სოფლის კუთხეს ათრობდა. დილით ადრე გაინავარდებდნენ მინდორ-ველზე და მონადირე ძაღლების შეჯიბრებაში, გარეულ ცხოველის ბუნავს ქეჟავდნენ.

იმავე შენობის, ალაყაფის დახურულ გასავლელში გათხუნული დაფა ეკიდა და ცხრამეტი ნომრის რიგში, ცარციტ ნაწვალეზ ასოებით, უცხოელის გვარი ეწერა.

შიგნით ჭუჭყიანი ეზო იყო.

სიძველით დახურული სვეტები.

ფუტურო, ფერგადასული იატაკები და დანჯღრეულ საკიდებზე მიწოლილი, კარ-ფანჯარა ეკიდა.

ცხრამეტი ნომერი, ყველაზე დაბალ სართულში ნომწყვედულ ოთახის მაჩვენებელი იყო.

აქ სცხოვრობდა მუშა იტალიელი.

იგა შორეულ რეისებით მოსიარულე გემს გამოჰყოლოდა და საქართველოს მიწაზე ჩამოედგა უცხო ფეხი.

უცხოელს დიდხანს ემტვრია ენა ჩვენებური ლაპარაკისათვის და რაკი ქართველი ქალი შეერთო, მისი ენა შეჩვეოდა ჩვენებურ გამოთქმებს. ვინ იცის ვინ, ან რას გამოექცა ეს კაცი ამოდენა მანძილზე. მასაც ხომ ყავდა მემკვიდრე მამისგან და დედის სოფელიც იცოდა. უცხოელი მაგარი სასმელების კეთების მოხელე იყო, ხოლო ამ ჟამად შამპანიურის ქარხანაში მუშაობდა.

მცირე ჯამაგირს ღებულობდა და წვრილ ცოლშვილს, ბედის  
ვარსკვლავზე იქცევდა...

მისი უფროსი შვილი, ვაჟი იყო.

სახელად ტანსეს ეძახდნენ.

თვრამეტი წლის ტანსე სიღარიბის გამო, სკოლის გარეთ დარ-  
ჩენილიყო და გულდაწყვეტილი ყმაწვილი შინაურ წვალეებით ფურ-  
ცლავდა სასწავლო წიგნების გვერდებს.

ტანსე ნიჭიერი იყო.

მისი გონიერი, ღრმა თვალეები წიგნების და გაზეთების სიღრ-  
მეში იჭრებოდა.

ხშირად ტანსე საკუთარ ლექსებს აშენებდა და ურითმო სტრი-  
ქონებში ღარიბ-ღატაკთა სულის ტკივილს აქსოვდა...

ტანსეს უმცროსი, ქალი იყო—თორა.

იგი სკოლის კარებს მეგობარ კეისის წყალობით შერჩენოდა.

კეისს უყვარდა მეგობარი თორა და მდიდარ ხელიდან საწუწ-  
კარზე გაცემულ ხურდას მას უყოფდა.

კეისი ღარიბ ოჯახს შესჩვეოდა და მისი მოსვლით ხარობდენ  
დამხედურნი...

გულკეთილი კეისი ჯიბით დაატარებდა ბროლის ვაზაზე ანაკ-  
რფე ტკბილეულს და წვრილფეხა ბავშვებს მისი ხელის განძრევა  
თვალეებს უგანიერებდა...



კეისიმ დღეს მეტად დააგვიანა მეგობარ ოჯახში.

თორა მაშინ ასანთს უკიდებდა, როცა კეისი წასასვლელად გა-  
ემზადა.

ოთახში, დარჩენ ნახვერწნი თვალეები, [კეისიმ კი, მეგობარი  
თორა თან გაიყოლა.



ზურაბოვიჩის დარბაზი მგლოვიარე ჭირისუფალით ავსილიყო.  
ისმოდდა რუსულ ნარევი კამათი... იყო ბაქოს ხშირი ხსენება...

ეყარა გაზეთები: „ერთობა“, „ბარბა“, „საქართველო“.

ნაციონალისტები ბაქოში კომუნარების შემოსვლას სტიროდნენ  
და ეროვნულ დროშის ტარს დაფერილი დედაკაცები ეხვეოდა...

მამაკაცებისაგან იმედი ისმოდდა და კუნთები წითელი დროშის  
დაქაღნებით იბერებოდა...

ეროვნული თვალეზი ფანჯარაში გახედვას შიშობდა და უცხო ხელის მოლოდინში მოჩვენებებს ეზმანებოდა...

ასე ეჩვენებოდათ მომავალი:

ღამეა. ქალაქში ქარი ქრის.

სახურავებზე შიშველ მუშის მძლავრი მკლავის გაქნევა აწითლებს სართულების ფანჯრებს...

აჰა, გადატყდა ძველი წყობილების ხერხემალი და ეროვნულ სულის საყვირი დადუმდა...

სახელმწიფო მაგიდაზე პროლეტარიატის სისხლით ანაბეჭდი სტრიქონები გაიშალა და მუშამ წაიკითხა—„გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას“...

ახალი წყობილების საჭე ჩაიბარა ჟანგიან მუშის ხელმა და სადარაჯოზე დადგა წითელარმიელი.

ძაუს მთვრალი თვალეზი ფანჯარას ჩამოშორდა და გაბრაზებულმა ფიქრების კედლებში გაიბრძოლა, როგორც გალიაში დამწყვდეულმა გარეულმა ცხოველმა...

გარს შემოერთყა აფორიაქებული ქალები და ეროვნულ სინახით დაუწყნარეს მას ატირებული სული...



ძაუს, კეისის დარდი, გულის სიღრმეში ცალკე ედო...

მისი ოცნების რაში, მას კეისთან დაწყვილებულს მიაქროლებდა შესაფერ კოშკისკენ და ის რაინდულ მამაცობით არ ანებებდა მტერს კეისის თავადურ სისხლს.

ისევ გაისმა ზარის ხმა და აბურღულდა მსახური დედაკაცი. შემოვიდა კეისი და მას თორა შემოყვა.

დედამ იწყინა ღარიბად ჩაცმულ ამხანაგის მოყვანა და თვლების შრიალით გადასჭრა ორი მეგობარის სურვილი და მათ შორის კარები ღონივრად მოხურა...

გულდაწყვეტილი თორა ცარიელ დერეფანში დარჩა. კეისი სიბრაზის ცეცხლით აენტო.

დედამ ჩუმი საყვედურები დააყარა კეისს და მოწმენდილ სახით სტუმრებისკენ შებრუნდა...



ოთახში კეისის საწოლს ქალები ეხვია და ყველა მის დაწყნარებას ცდილობდა.

კეისს მეგობრის შეურაცხოფამ სისხლი აუმიღვრია და დედის

უხეშმა მოქცევამ ნერვები აუშალა. ლოგინთან ქალების ჯგუფი გა-  
ირღვა და მიგზავნილ მოციქულმა შემოიყვანა კრძალვით მომ-  
ვალი თორა.

კეისიმ გახურებულ მკერდში ჩაიკრა მეგობარი და დანაშაულის  
გამოსასყიდათ ცრემლებით დალბა ბალიში...

ძაუმ აკრძალულ ოთახში ქურდი თვალები შეაძვრინა და ქალ-  
წულს შილიფი ტანის მოძრაობა მოპარა.

იგი აჩქარებული სუნთქვით შემობრუნდა და გაგულისებულ  
ზურაბოვიჩს მშვიდება დაუწყაო...

ოთახში, თორას ზურგს უკან, ირონით ცხვირის თამაში აცვი-  
ვოდა და მას ისე გაურბოდენ, როგორც სოფელში ყვავილით შეპყ-  
რობილ მეზობელს...



კეისი გაიზარდა.

ლამაზი ქალი დადგა.

მისი ცისფერი თვალები გრძელ წამწამებში სცურავდენ, მისი  
ვიწრო ტუჩების სიწყნარე ალისფერ ნაპირებით იშლებოდა, როგორც  
მაისის ვარდის ფურცლები...

წაბლის ფერი ხშირი თმა ეყარა მხრებზე და გადახენქილი წარ-  
ბები უმშვენებდენ სახეს.

თეთრი ლოყები ჯანიერ სისხლით ენთო და ღიმილს სწორი  
კბილების მწკრივი უაღმასებდა...

მაღალი ყელი აწეულ მკერდით თავდებოდა და უხილავი ბურ-  
თები გაწვეტილ თავებით, იქით აქეთ გაშვერილი თითქოს—ერთმა-  
ნეთს ებუტებიანო...

ვიწრო წელთან დაწყებული თეძოების ქალური სიმრგვალე მუ-  
ხლის ზომიერი სიმსუქნით თავთებოდა...



ძაუ რუსეთიდან ახალი დაბრუნებული იყო.

იგი რევოლიუციის ცეცხლს გამოქცეოდა და საქართველოს  
ეროვნულ მემკვიდრეთ მოვლენოდა...

კიევის უნივერსტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამი კურსის  
გავლის მატრიკულს უბით დაატარებდა და სოფელში მდიდარი მშობ-  
ლების ხარჯზე ქალებს ისე დასდევდა, როგორც ქაკ-ცხენებს ადევ-  
ნებული გაუხედნავი კვიცი...

ლონეიერი ხელის ჩამორთმევა იცოდა და ბარიტონის ხმით ვერ  
რის ჩვენება...

ძაუმ მეგობრის ოჯახში, კეისის ამოზნექილი მკერდი და და-  
სრულებული თეძოები რომ დაინახა, ქალწულის ტანის რხევა თვა-  
ლების სადგომად გაიჩინა...

ზარის ფოლაქი ლონიერ თითის დაწოლით ჩაიწია. მსახურს  
სახე დაექმუჭნა ძაუს მიღება-გასტუმრებით...

ძაუს კეისი ისე უცქერდა, როგორც ოჯახის მეგობარს...

მისი გული ჯერ სხვა გვარ გრძნობებით გაკაწრული არ იყო...



კედლის საათის ისრები მეთორმეტეზე გადასულიყვენ.

დარბაზში სიწყნარე მეფობდა.

კეისის დაწყნარებაში დაყოვნებულ სტუმრებს მსჯელობით მო-  
ღლილი ღრანჭები შეეჩერებიათ, ნარბენი ურმის თვლებივით...

კეისი იჯდა საწერ მაგიდასთან და ნაშფოთებ სულს ფიქრების  
ხეტიალით იქცევდა...

მის გვერდით ორი სკამი აჭრიჭინდა.

— შენ შენი ტოლი და ამხანაგი უნდა იცოდე. ყველას თავი  
როდი უნდა გაუყადრო.

გაისმა პირველი სკამიდან და გადაღუნული მოსაუბრე გას-  
წორდა.

— ვინ არიან კომუნისტები..

მოულოდნელი ტონით წამოიძახა მეორე დედაკაცმა.

— კაცის მჭამლები.

— ღარიბ-ღატაკთა გროვა..

— არ იციან: დედა, მამა, და, ძმა ნათესავი, ხატი და ჯვარი...

— დედა შეილს სჭამს და ძმა დას არ ინდობს...

კეისიმ სმენას კარი გაუღო და გაფანტული ფიქრები აკრიფა.  
გულის სიბრაზე თვლებში გადმოიტანა და ანთებული სახე  
დამრიგებელ დედაკაცს დააჯახა...

კეისის სახეს ახალი ჯავრი შეამჩნიეს და მოქალაქეს, ხელის  
ჩუმი დაქანებით, გადაუჭრეს მაღიანი საუბარი...

შეჩერდა იგი და ცარიელ სივრცეში ნაცურავეები ხელები კალ-  
თაში ჩაიწყო...

დაიცალა კეისის ირგვლივ სკამები და დამჯდარ, ძილში მყოფ  
მსახურმა უკანასკნელ სტუმარს მიუჯახა კარი...

იმ ღამეს კეისი დიდხანს იჯდა და მოვარდნილ ფიქრებს ფანქრით ქალღმერთ თამაშით ისტუმრებდა...



დილას, ძილზე დახარბებული მსახური გუშინდელ მტვერს აცლიდა დარბაზის წყობილებას და ფროთხილი ნაბიჯებით იცავდა სხვის მოსვენებას.

უგემურათ მოქნეული ჩვარი საწერ მაგიდას გაჰკრა და მისი ზარმაცად მილულული თვალები მიიპყრო რაღაც სანახაობამ...

რუსული ცოცხის ტარი ვულზე მიიყუდა.

მტვერის საწმენდი მხარზე გადაიკიდა და კეისის ნახატს ხალისიანად თვალღერება დაუწყო.

მსახურს, კეისის ნახატი სურათები ბევრი ენახა და კედლებზედაც ეკიდა მისი ნახელავი, მაგრამ ამ სურათმა მისი ყურადღება განსაკუთრებით მიიქცია.

ქალღმერთი გასმული იყო ერთი მსხვილი ხაზი, საზღვარის ნიშნად.

ერთი მხრით, შემდეგი სურათი მოსჩანდა:

ღარიბული ქოხი.

ღობე შემორღვეული უჭიშკრო ეხო.

მიწიან დერეფანში მოხუცი ქალი ზის და გახდილ კაბას ნაქრებს აკერებს, თან შიშველ კანკებს იფარავს.

შიგნით ორსულ დედაკაცს ხელში ბავში უჭირავს, და გაცრეცილ კაბის კალთებში ხელები აქვს ჩაჭიდებული სახედარეჯილ უშარვლო ატირებულ ბიჭუნას და ცალიერ განჯინისაკენ მიათრევს...

უფანჯრო ქოხის ღია კარებში ყველა კბილებ-გამოჩენილი ძალი სდვას და ლუკმის მოლოდინში მოკუნტულ კატას უბღვერის...

ეზოში ურმის გადატეხილი ღერძი და უტარო წალდი გდია...

მეორე სურათი:

სჩანს ქალაქის მრავალ-სართულიანი შენობები მრავალ ფანჯრებით.

დიდი დარბაზი მდიდრულათ მორთული.

სასადილო ოთახში ღია კარებიდან მოძრავი განჯინა და ზედ ბროლის ვაზები და ფაიფურის თეფშები სჩანს.

მაგიდასთან ზის გაბუტული ბავში და ფეხზე დამდგარი დედა, წუნია შვილს ორივე ხელით ტკბილეულ საწუწკარს აწვდის: სამზარეულოში რძეში ჩამბალი თეთრი პურის ნაქრებით სავსე ჯამთან, წინა

ფეხებზე დაწოლილი კატა ხვრინავს და ეფენებიანი, ცხვირ მიჭყლე-  
ტილი ფინია ფანჯარაზე ლანდებს ეთამაშება.....

საწოლ ოთახიდან გაისმა ზურაბოვიჩის ხმა და მსახურმა მი-  
სი საწოლი ოთახის კარი შეაღო.

## თავი მეორე

ახალგაზრდა ტანსეს კეისის ხშირმა სტუმრობამ თვალები დაუ-  
ხალისიანა და მოზარდ გულში მისი დანახვა სინარულს გვრიდა.

ტანსეს სურვილებს მხოლოდ ოცნებაში შეეძლო თვალახეუ-  
ლი ფათური...

სინამდვილე მასთან ისე შორს იყო, როგორც ცა და დედამიწა...  
თბილი გრძნობა იმედის სხივებს ეთამაშებოდა, როგორც კა-  
ტის კნუტი თავის კუდს და ვაჟის სურვილი იზრდებოდა დედამიწის  
მზის გარშემო ბრუნვაში...

ტანსე მამის მოხერხებით ქარხანაში მიიღეს დაცლილ ბოთლე-  
ბის მრეცხავად.

მის სინარულს ფრთები შეესხა და ახალგაზრდა მუშას საშუა-  
ლება მიეცა სიღარიბეს შებრძოლებოდა...



ბევრი რამ სცადა ზურაბოვიჩმა კეისის მოსარჯულებლად, მაგ-  
რამ მტკიცე ხასიათის კეისი თავისას არ იშლიდა და დლითი დღე  
შორდებოდა ძველ თავადურ სულის მატარებელ ოჯახს...

ახალგაზრდა ქალს სულიერი ღტოლვა ვერ შეუზღუდეს...

იგი აედევნა პროლეტარულ ცხოვრების „უვარგისობას“ და მის  
მიზეზებს...

კეისის თავისი სახლი საქონლის ბაგად მიაჩნდა, სადაც თვითონ  
იყო ჩაბმული. ხავერდის სავარძლებს უცქერდა, როგორც ბელტე-  
ბათ დაყრილ მუშის დაკვეთილ სისხლს. ვერცხლის ქურჭელში, მალა-  
როში და კლდეში გადაჩეხილ მუშის გადმონთხეულ ტვინს ხედავდა...

ფარჩის ტანისამოსები მოზარდ ქალს ჩაუცმელად უმოკლდებო-  
და და უბრალო ქსოვილით შეკერილ ტანთსაცმელს ატარებდა...

ყოველ დილით დედა-შვილის ჩხუბი და უხმარ კაბების ტრია-  
ლი იყო...



ქალაქის ერთ კუთხეში, სადაც ქუჩები ისე სჩანდა, როგორც ქიაყელას სადგომთან მისასვლელი მიწები, — სცხოვრობდა მოხუცი ბებია.

მისი ბინის კარებს ლურჯი საღებავის ფერის მხოლოდ ნასახი აჩნდა და ჟანგით შექმულ სახურავს წვიმის წვეთები ეპარებოდა. ბებია შინაურ ექიმობას ჩემულობდა და დრო-მოკმულ სხეულს ლოცვებით და მარჩიელობით იპურებდა...

მესაფლავებს ბევრი ენახა მისგან მიწაში გაგზავნილი ავადმყოფები, მაგრამ ბებიას გაცვეთილ კარის საკეტს მაინც ბლომად არაჩხუნებდა სიზმრიან ღამით გადარეული მუშტრები...

წუხელ ბებია მ ცუდი სიზმარი ნახა.

დილას ხმელ მუხლებზე ტყავი გადიძრო, ხატის წინ დაჩოქილ ლოცვით.

შემდეგ მეორე ოთახის კარი შეაღო და საიდუმლო ყუთს თავი ახადა; ისევ ტუჩების კმაცურით და ხვთისმშობლის ხსენებით ამოიღო ფერგადასულ ქალაქში შეხვეული ნივთი და ჩქარი სულის თქმით ქუჩაში გავიდა.

უბანი აჩქარებით გაიარა და დიდი ქუჩის თავში შეიჭრა.



შემოდგომის დილა ყვითელი ფერით იღებებოდა.

დასიცხულ ქალაქიდან საზაფხულოდ გადაცენილ სახეებს შერგებოდა ნოყიერ მიწის ხეირი და მზით გარუჯული ლოყები სოფლის სუნი იღიმებოდა...

წვირილ ქუჩებიდან გამზირი ივსებოდა და გამვლელის ხედვა, ხან ერთს და ხან მეორე ჩაქროლებულ სახეს ეჯახებოდა...

მოქალაქეები იჩქაროდა საარსებო წყაროებისკენ და ტრამვაის სადგომთან წმაწურობდა დაგვიანებული მოსამსახურეები...

სანოვაგით გატენილ კალათს მიათრევდა წელში გაღუნული მუშა. მოწაფე ბავშვები ფეხებში დაძვრებოდნენ, როგორც გზა შეკრული ფინია და იქეთ-აქეთ ხტუნვით ქარგავდნენ ქვაფენილებს.

სკოლაში ავ მასწავლებელს დაგვიანებულ მოწაფესთვის კარი ჩაეკეტა და ცრემლებიანი ყმაწვილი დერეფანში დარაჯობდა...



მზე დილას აღარ ანიშნებდა.



გუშაგი მილიციელი მინისტრის [ავტომობილებს ისტუმრებდა. მოხუც ბებიას ქუჩაში კეისი დაეჭირა და სკოლაში დაგვიანებულს ტკბილი საუბარით ათრობდა...

— ფიცით მაქვს, შვილო, გადმოცემული და ფიცით გადმოგცემ. ამოიღო უბიდან შეხვეული ნივთი.

— გაფიცებ დედიშენის ერთხელ ნაჭამ ძუძუს შეინახე და შენს სისოცხლეში არავის უჩვენო, არ გაამხილო...

გადასცა მკენარი ხელი, გაფითრებულ კეისის ხელს და თვალე-ბის ბრუნვას ოხვრა ამოაყოლა...

კეისის გონება გაუგებრობის კედელს მიადგა და მის გაღმა გადასახედათ აამუშავა შიშინანი ფიქრები...

მოხუცმა კეისის სახეს შეატყო წუხილი და ისევ ყალბი მოგონებით დაუმშვიდა მას არეული ფიქრები.

— შეპირებას ვარ შვილო ღვთისმშობლის ხატზე, რომ სიბერის დღეს, როცა მივდგები სამარის პირას, ეს უბრალო ნივთი, განდევნილ ხალხის დანატოვები, გადმოგცე უმანკო ქალს... არ შეგეშინდეს, ეს ბოროტი საქმე არ არის, ვფიცავ ჩემ სულს.

კეისს სახე მოეწმინდა და მცინარი სახით მადლობა გადაუხადა.

ბებიამ კეისი გაისტუმრა და ფიცის შესრულების გამო სულის სიწმინდე იგრძნო..

იგი სიხარულით მისუსტებული მახლობელ კიბის საფეხურზე ჩამოჯდა და რკინის ჯოხის გადაღუნულ თავზე დაყრდნობილი მიეცა წერილში მოთხრობილ ძველი ამბის კითხვას.



1905 წელს, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ბებიამ, შინაურ აქიმობაში დიდი სახელი გაითქვა. ქალის მორჩენაში უქებდენ ხელს და მუცელ ატკივებულ ქალის ნარბენი პატრონი სულის ხვწმით ასკდებოდა ბებიას კარებს. ბებია ჩემულობდა უშვილობის წამლობას და მუცლის მოშლის ხერხები იცოდა...

ხშირად მის ჭიშკართან ნახავდით დაშვებულ ურემს. მიბმული ხარები ხმელ ჩალის ფურცლებს აშრიალებდენ.

ურმის ქვეშ ღამეს ათევდა კუდზე ტალახ-მიმხმარი ნამგზავრი ძაღლი. ავადმყოფის პატრონი, ნახარჯი ჯიბის დარდს, მახლობელ ქუჩების ვიტრინების თვალიერებას აყოლებდა...

ერთხელ, საღამოს, როცა მზემ მიწას უძღური სხივები ააცალა.

და საქონელმა საძოვარს პირი აუშვა, წუთით მოცლილი ბებია ვიწრო თვალებიან ფანჯარას მიუჯდა და შნოისთვის გაკეთებულ სათვალეებს ზევიდან ცქერით, ქუჩაში გამვლელთ დაუწყო ზვერვა.

გამვლელთა რიცხვს ერთი მგზავრი მოშორდა და კედელთან ახლოს მისულმა აყირავებული სახით სახლის ნომერი გასინჯა.

ბებია მძივებული თვალის ცქერა გაისროლა და ორსული დედაკაცის მუცელს დააბჯინა.

მან მგზავრს კარი გაუღო და გზაბნეულს თავისი მისამართი მიახვდინა...

სტუმარმა უხმო სალამთან სქელი ტუჩები აშალა და საუბრის ნაცვლად ტირილი დაიწყო.

— რა მოგივიდა ქალო? შეეკითხა მოსულს ბებია და ცხელ შუბლზე მას, მოხრილ ბეჭებიდან გაშვერილი ხელი დაადვა.

— შემცდარე ხარ?

ისევ შეეკითხა ბებია და ბეჭდებით ასხმული თითები ნიკაპში ამოდო.

— არა...

თავის გაქანებით ანიშნა მოსულმა.

— მორჩენის გეშინია?

— არა.

— ქმარი გყავს?

— კი.

ისევ თავის დაქნევით იძლეოდა პასუხს მწუხარე სტუმარი.

— ბავში უნდა მოვიშორო.

წარმოსთქვა სიმწარეში გადატეხილი სიტყვით ორსულმა დედაკაცმა და ორჯელ ზედიზედ ამოხენეშით გამოზნექილი მუცელი წინ წამოსწია...

— მორჩები და მოგშორდება...

ყალბი ღიმილით იხუმრა ბებია და გულში მას მეტის შოვნის ნდომამ გადაუსრიალა.

— არა. სამუდამოთ...

— რათა? ქალო...

სტუმარი იძულებული იყო ბებეისთვის გაემხილა საქმის ვითარება, რადგან მისთვის სხვანაირი აქიმობა იყო საჭირო...

ბებია ოთახი გაანათა და სტუმარს მიუჯდა საიდუმლოების მოსასმენათ...

— ჩემი ქმარი მუშაა.

იგი რკინისგზის სახელოსნოში სლესრათ მუშაობდა.

მე სიყვარულით შემიერთო...  
ფიქროს

მზითვათ გამყვა ხამის საბანი, და პირველი ღამე  
ტახტზე გავატარეთ.

ჩვენი შრომით, საჭირო კურკელი შევიძინეთ...

ერთ ღამეს ჩემ ქმარს ორი ამხანაგი მოყვა. უბით დაბეჭდილი  
ქალღმერთები მოიტანეს.

მთელი ღამე ფეხზე გავათენეთ.

დღით ადრე ყველანი გაქრენ, როგორც სიზმარი...

მეორე დღეს ქალაქში ამბოხება მოხდა.

მე ჩემი თვალით ვნახე, რომ ჩემ ქმარს ფეხით თელავდენ და  
სისხლიან სახეში თოფის კონდახებს სცემდენ...

მე, ასეთ წუთებში დახუჭული თვალები ჩემს ლოგინზე გავა-  
ხილე.

არ ვასკრა ხევწნა-მუდარამ...

ქმარს სამუდამო კატორღა მიუსაჯეს...

ახლო ხანში უნდა გავზავნონ და მე, უმისოდ სიცოცხლეს თან  
გაყოლა ვარჩიე. თვითონაც ასე მწერს საიდუმლო ბარათში...

და რადგან ასეთ მდგომარეობაში ჩვილი ბავშვის ციმბირში  
წაყვანა შეუძლებელი ხდება, დატოვება ვარჩიეთ. გთხოვთ, თუ თქვენში  
ოდნავ ადამიანური გრძნობა არის ვინმე უშვილოს გააზრდევინოთ...

ბებიამ მოისმინა ორსული ქალის სიმწრით ნაამბობი და სი-  
ნათლის უნახველი ბავში ფიქრებით შემოატარა უშვილოთა ბა-  
ზარზე...

პირველი პასუხი უგემურათ ვასცა ბებიამ, მაგრამ ორმაგი  
ხელფასის დაპირებამ... — მუშტარს უთხრა: დაბრძანდით...

უკანასკნელი სიტყვა ისევ კატორღელის ცოლმა დაასკვნა.

— გინდ ქალი იყოს, გინდ ვაჟი.

ეს საჩუქარი ამ წერილში შეხვეული შეუნახე და მოზრდილს  
თუ სადმე შეხვდე, გაფიცებ სულს, გადასცე ჩვენ სახსოვრად. და  
პატარა ხანჯალი გადასცა წერილში შეხვეული...

— როცა ჩემი ქმარი თურმე ჟანდარმებს შეუპყროიათ, ამ მისი  
ნახელავ პატარა ხანჯლით უხსნია თავი მძინარ დარაჯისაგან...

ბებიამ გასინჯა ორსული ქალი და მორჩენის დრო წუთობით  
უანგარიშა.

— რა ჰქვიან შენს ქმარს?

— მეტ სახელად დინამოს ეძახიან...



იმ დროს ზურაბოვიჩი მანრაში მსახურობდა ის. სუდებნი პრის-ტავათ იყო და მისი მუნდირის დანახვაზე, ოჯახში ქონებულ ფასიან ავეჯს ვენახის ბოლოში მოთხრილ ორმოში მალავდენ გადასახადით შემინებული გლეხები...

ზურაბოვიჩს მუდმივ საცხოვრებლად ტფილისი აერჩია და ახალ შერთულ მეუღლეს მდიდრულათ მორთულ ოთახებში ასერინებდა.

თავადს შვილი არ ყავდა და დამნაშავეთ მეუღლეს სთვლიდა.

შემინებულ ქალს მედიცინის ყოველ გვარი საშუალება ეხმარა, მაგრამ თავადის ჯიში, ექვს თვეზე მეტი ვერ შეერჩინა მუცელში...

ბოლოს დაფეთებულ ქალისთვის შინაური ექიმობა ერჩიათ და ცნობილ ბებიასთან მიესწავლებიათ.



ბებია ჩვეულებრივ საქმიანობით იყო ვართული.

მისი კარის გასაღები მდიდრულათ მორთულ ქალმა დაარახუნა.

ბებია კარი გაუღო და მოსარიდებელი სტუმარი მიიღო.

მოხრილი მასპინძელი იატაკს დააკვდა. დასაჯდომზე მტკერის ნასახი ენით ასლიქა...

სტუმარმა მასპინძელს ზურაბოვიჩის სურათი უჩვენა და დიდი კაცის მეუღლის საკადრისად დაჯდა ოთახში...

ავადმყოფი დიდხანს ატრიალა ექიმმა და ავი ქმრის ცოლს ექიმობა ველარ გაუბედა...

მორჩენაზე უარი უთხრა, მაგრამ ზურაბოვიჩის მეუღლე ახალი საიდუმლოთი ჩააფიქრა...

— პატრონი კატორლაში ჩაკვდება.

აქ ვინ რას გაიგებს...

სტუმარი ამ სიტყვებით გაისტუმრა ბებია, და ორმაგ საჩუქარს, მდიდარი ხელიდან გაცემული მოზრდილი თანხაც დაუმატა...

ზურაბოვიჩის მეუღლე შინ ახალი ფიქრებით დატვირთული დაბრუნდა...



ერთ ღამეს ბებიას თვალებს ძილი არ მიკარებია.

კატორღელის მეუღლე მოარჩინა და გლეხის მოდგმა დაუსრულებელ თავადის ჯიშზე გადაცვალა.

გასამრჯელო ორივე ხელიდან მიიღო და საიდუმლო ხატის  
უკან შეინახა...



პირველ წაკითხვაზე, ზურაბოვიჩმა იწყინა დეპეშით მიღებული  
ცნობა ქალის გაჩენის შესახებ, მაგრამ შვილზე დანატრებული, რაკი  
მამობას ეღირსა, კმაყოფილმა ხელი ჩაიქნია და ცხვირზე სიხარულის  
ცრემლი წვეთებათ ჩამოეპარა...

რუსეთის ტიალ მინდორზე მატარებელი მიჰქროდა. რონოდის  
დაქსელილ ფანჯრებში დატყვევებულ თვალებს სერავდა დედამიწაზე  
ქვეყნების გამწე ბოძებით გაბმული ამბის მატარებელი მავთულები...  
დაიჭირეს უკეთეს ცხოვრებისათვის მებრძოლი მუშები და  
გადაჰკარგეს ცივ ქვეყანაში.

ბებიამ მოგონების კითხვა დაათავა და ნელი ნაბიჯით ქუჩის  
ხვეულებს გაყვა.

კეისი იჯდა ბალში და სკოლაში გაცდენილ დროს, საჩუქრის  
სინჯვაში ატარებდა.

მრავალჯერ წაიკითხა პატარა წერილის შემდეგი სტრიქონები.  
„ის ჩემი პატარა ხანჯალი თან გააყოლე ბავშს.

იქნებ მან შესძლოს თავისუფლების ლამპარის ანთება და  
ჩვენც მოგვიგონოს, მტარვალის ფეხქვეშ გასრესილები...

იქნებ ჩვენი სისხლის მწარე დუღილი მის ძარღვებში დატრი-  
ალდეს“...

იმეორებდა ჩუმი ჩურჩულით კეისი სტრიქონებს და სიბრა-  
ლულით ივსებოდა მძიმე ფიქრები...

მიმწყვდეული ქუჩა.

უსწორო გზებით მისაგნები ქარხანა.

დიდი ალაყაფის კარების თავზე ფერგადასული, მენდლებით  
სავსე აბრაზე რუსული წარწერა იანციით თავდებოდა...

ეზო—არეული, დაუხვეტელი.

ეყარა კასრის ნატეხები, დამტვრეული ტაჭკის თვლები, შუშის  
ნამსხვრევები...

ალაყაფის კარების გვერდით მისაღები კარები იყო...

შიგნით, ვიწრო ოთახში დამტვრეულ საწერ მაგიდასთან ზედ-  
მეტად გასუქებული „ხაზენი“ იჯდა და გაჭირვებულ სულის თქმით  
სანაგარიშო ჩოთქის კაკლებს ათამაშებდა...

აქ შამპანიურის ქარხანა იყო, ხოლო ეს კაცი—მისი პატრონი.

ის სქელ კედლებში გატარებულ შიშის ზარს ურაწკუნებდა  
იაფად დაქირავებულ მუშებს და შიმშილით გაწმენდილ სუფრას  
უქადდა მათ გულგრილად მუშაობისათვის...

ახალგაზრდა მუშა ტანსე ქუჩის პირად რკინით გაბადულ  
ფანჯარასთან მოოქროვილ იარლიკებს აკრავდა სავსე ბოთლებს  
და მისი სახე შავი ბოთლის მუცელზე იმედის ლანდების დანახვას  
ცდილობდა...

ფანჯარას ორი ჩრდილი მიადგა და ტანსეს სწრაფად გახედილი  
თვალები კეისის სახეს შეხვდა...

გულის ასეთი ჩქარი და მძლავრი გაღვიძება ტანსეს ჯერ არ  
ეგრძნო...

მისი თვალები იატაკზე ჩაეშვა და სხეული სირცხვილის გამო  
გაწითლდა.

იგი აშლილი სხეულის თვითეულ ნერვს ეხვეწებოდა დაწყნა-  
რებას და თვალებს უსაყვედურებდა საიდუმლოს გამხელისათვის...

კეისის სახე მოხუცი ბებიას მოტანილ ამბავმა დაიკავა და მისი  
ფიქრები ამ გრძნობას ზეით გადაეხურა...

ქალმა ვაჟის სახეზე ვერაფერი წაიკითხა.

იგი დააკვირდა ბოთლებზე მისაკვრელ იარლიკების წარწერას  
და ერთი ცალი სთხოვა ტანსეს.

ტანსემ ვიწრო თვალებიან ბადეში გადასცა მას დაგრეხილი  
ქალაღი...

კეისიმ თავშეკავებით შეანელა თავის სახეზე გულის სარკე...

ამ დროს გაცდენილ მუშას თავს წაადგა ზედამხედველი და  
დაბლვერილ თვალებით გასწყვიტა ქალ-ვაჟის წუთით ნაქსოვი სი-  
ამოვნება...

განიერ ჭიშკრიდან წელში გაზნეპილი ცხენი გამოვიდა და ქუ-  
ჩაში დაბეჭდილ ბოთლებით სავსე ტვირთი გადმოიტანა...

იგი ქალაქში დარიგდება, და სქელი ჯიბის პატრონს ცხვირის  
წვერს გაუწითლებს ძვირიანი სასმელი...

▲  
ზურაბოვიჩის მეუღლე მძიმე საგონებელში ჩააგდო კეისის უხვირო ქცევამ...

მის გულში საშიში საიდუმლოება ღრმად ინახებოდა და მას ყალბი დედა-შვილობის მოგონება სუნთქვას უხუთავდა...

▲  
მოხუც ბებია მ სული რომ გაინთავისუფლა და ფიცით დაპირებული შეასრულა, ლოგინში ჩავარდა.

ყოველგვარ ავადმყოფობამ მის გაცვეთილ სხეულს ერთად შეუტია და უპატრონო მოხუცი სულის წამწარებას ყრუ კედლებს უჩივოდა...

მისი კარის ენის მოტეხილ საკეტს აღარავინ არაჩხუნებდა და უხმარობის გამო ჟანგი მოსდებოდა...

ზურაბოვიჩის მეუღლემ ცუდი განზრახვით მოიძია მოხუცის ბინა და გადაცემულ სამოსში უპატრონო ავადმყოფს მოველინა ლამით.

— სთქი... სთქვი... თუ ვისმეს უთხარი ჩვენი საიდუმლოება.

ბრაზიანი სიტყვებით ემუქრებოდა მწოლიარე მოხუცს.

ბებიას სულს ისევ შეერია ბოროტი საქმის ჭუჭყი...

მას, ხატის ზურგს უკან ორი ფიცი ქონდა შენახული:

კეისის დედის თავის მინაცემი და ზურაბოვიჩის მეუღლის შენაპირები,— რომ ნაჩუქარ ნივთს კუთვნილებისამებრ გადასცემდა და, რომ ამ საიდუმლოს არავის ეტყოდა...

ერთი ფიცი მოიშორა. ქალს საჩუქარი გადასცა, მაგრამ მეორე საიდუმლოება გაამხილა...

ზურაბოვიჩის მეუღლე წავიდა და მოხუცს ახალი ყალბი ფიცის დარდები შერჩა...

▲  
ძაუს თავის გულის დარდი ზურაბოვიჩის მეუღლისთვის გაემხილა და გახარებულ დედას კეისი, თავის ოცნებაში, სადედოფლოდ მოერთო...

სიძე-სიდედრი ხშირი ჩურჩულით ერთობოდნენ და კეისის სკოლის დამთავრების ლოდინში ღღეებს მოუთმენლად ელოდნენ...

— ბებერი დედაკაცი იქ სცხვრობს, რომელიც ტურაქალაობს და მისი ავი თვალი ყველაზე სჭრის...

იტალიელ მუშის ოჯახს იგი ენათესავება და ჩემი კეისი მისი ავი თვალის დანახვამ გამიუხნეურა...

ტკბილ საუბარში გამოუჩინა ზურაბოვიჩის მეუღლემ...  
ძაუმ უხმოდ ჩაიცინა და სიდედრის სიტყვები დაიმახსოვდა.



ზურაბოვიჩის მეუღლემ გულის, მოსაჯერებლად ხელმეორედ წაიკითხა გაზეთში მოხუც ბებიას მკვლევლობის ამბავი და კმაყოფილების ნიშნათ ხელი დაასვენა ძაუს ბეჭზე.

- მოუსპეს მწარე სიცოცხლე უპატრონო მოხუცს.

ზურაბოვიჩის მეუღლემ გადანახულ საიდუმლოებას, თავის ფიქრით, კედლები სამუდამოდ გაუმავრა...

### თავი მეთხუ

იმ დღეს ტფილისი იყო დარდიანი და ამღვრეული მტკვარი საძღვრებს ამტვრევდა.

ათასობით თავები ფიქრებით დატვირთული ირეოდენ ქვაფენილებზე და აფიშორების კვალს აწყდებოდენ ამბის სურვილით გაუღენთილები.

პურის წებოთი გაჟონილ სტრიქონებზე არყევდენ თვლებს და ჭოქმანობდენ აზრთა სხვადასხვაობით.



სახელმწიფოში ომი გამოცხადდა. შეინძრა ქალაქები, სოფლები. ისევ საჭირო გახდა სოფლის კაცი. მიწის ჯახრიკს გაფითრებული დედაკაცები შერჩა...

დადუმდა ქარხნის საყვირი და მუშებმა უროები გაციებულ გრდემლს მიაყუდეს...

ისევ საჭირო შეიქნა ადამიანის აწონ-გაზომვა. ოჯახის შვილის შესარჩენათ, ექიმის კარებს აეტუზა გაბერილ ხურჯინით სოფლელი მოხუცი...



ფიქრები ომზე.

დღეს მეტს დასჭირს დურგალი ირიბ ფიცრებს კაცის სიგრძეზე და ჭირისუფლიდან მოგზავნილ მუშტარს შეახარბებს მოვერცხლილ ყუთებს...

დღეს ვაჭრის დახლში გადაცვივა ყრუ კუთხეში გადანახული ხურდა და ნოქარი ცივი წუხილათ გაადახვევს რკინის არშინზე სამგლოვიარო ჩითებს...



მესაფლავეს შრომის სეზონი ჩამოუვლის და მის ოჯახს ფართალით შეჩითავს სიღარიბეს ჩვეული დედაკაცი...

მშვიერი მიწა გაძლება ლეშით და ჟანგიან სისხლს გახურებული მზე შეიწოვს...

საწირავს გაიღებს ვინმე პატრონი და მღვდელს გაუჩნდება საქმე..

მარჩიელის ჭიშკარს ხშირი ჭრიჭინი შეაწუხებს და ქვრივი პატარძალი ოჯახში დაიმედებული დაბრუნდება...

ვინმე მგზავრი სოფელში ჩაიტანს მარცხიან ამბავს და მეზობლისას ჭირისუფალი სახეს დაიკაწრავს...

ჩამოდგება შიშინანი დღეები და ღამეს მოაკლდება ძილი...



ყაზარმები აურჩვეელი ჯარისკაცებით გაივსო.

ღია ჭიშკართან ატირდა მშობლები. ალერსზე მიჩვეულს თვლებიდან გადმოდინდა მწუხარების ცრემლები...



ჯარისკაცმა გაისინჯა ახლად მიღებული ტანსაცმელი და კისერ მოგრებინა ცქერით დაიწუნა სისრულე...

მის წინ კანცელარიის მოხელე გაჩნდა და გამოკითხა მისამართი, ოჯახისთვის მარცხის გასამხელად...

ახალწვეული დაღონდა და სევდის სიმძიმით მისი კისერი გადაიღუნა...

გაფითრებულმა ქალამანს გაუყარა თასმა და გაცივებული თვლებით ცქერა დაიწყო საშიშ ფიქრებში...

მის ხსოვნას სახე დაკაწრული დედაკაცები შერჩა.



ზამთრის მისუსტებული სუსხი ძარღვებს წიწკნიდა...

ყაზარმაში უძილობა სუფევდა...

აქა-იქ ბანქოს თამაშობდნენ და მოგების სურვილით უძილო თვალები სისხლიანდებოდა. უკულმა დაფარებულ ქალაქს აზარტიანად ჩითავენ...

ყაზარმაში „შეგროვების“ ბრძანება გაისმა და კიბის საფეხურებზე დაუ გაჩნდა.

იგი აღჭურვილიყო ყოველგარ სასროლ და საჩეხ იარაღებით და ბრძოლის სურვილით მსხვილი ძარღვები გაეყვინთა...

ძაუმ კისერი მაღლა ამართა და „სმენათ“ ნაბრძანებ რიგებში  
სიტყვა გადაისროლა...

მისი სახე ანთებული იყო, როგორც ავდრიან ლამეში მინდვრად  
მიტოვებული ცეცხლი...

მისი მკლავი თითქოს შავ ზღვაზე ხილად გაწოლილიყო და  
კულტურულ ევროპის იმედის ჯარი გადმოყავდა ჩვენში...

თავის ბოლო სიტყვას, წამსვე გამგზავრების სურვილი მოაყოლა  
და შემდეგი ყაზარმის კედლებში გადაინაცვლა...



სპარტაკელი ტანსე ამხანაგებთან ერთად წითელ დროშის  
ტარს სთლიდა და გალუნულ ყოფაში შიგნითურ მტრებს ქძირს ურ-  
ყევდა. ღარიბი ოჯახი ტანსეს დაგვიანებას დაეფრთხო და მათი  
უძილო გონება უსინათლო ოთახში ხეტიალობდა...

ეზოში ჩქარი ფეხის ხმა მოისმა და ქვეშსაგებში ფხიზელად  
მყოფნი მას დაემორჩილა...

— ვინა ხარ...

გაისმა დედის ხმა.

— ტანსე, შენა ხარ...

ისევ დედის ხმა.

ვილაცამ კარის საკეტი გააჩხაკუნა და ლოგინიდან გაქცეული  
დედა კარის ჩარჩოს აესვეტა.

— გამიღე... გამიღე, მე ვარ...

გაისმა გარედან ყელში ნაწვალები ჩუმი ხმა.

— ტანსე დაიჭირეს, და მის ყუთში რაც რამეა დასწვით, ან  
დამალეთ მიუგნებელ ადგილზე...

გაისმა ღია კარის ჩარჩოში მოსულის ხმა და ამბის მომტანი  
ისევ გაქრა...

ოთახში ვიწრო სანათი ენთო და დამჯდარ სახეებზე ცრემლის  
ღვარები სდიოდა...

ტანსეს ყუთი გაეტეხათ და შავი ბუხრის ხახაში სპარტაკელის  
ნაგროვები კომუნისტური გზის მაჩვენებელი წიგნები ფერფლად  
ექციათ...



ზურაბოვიჩის ოჯახში ქალაქის დამცველთა შტაბი გაემართათ.  
თეთრ საყელოში გაკრული მეომრები ფერავდენ თოფის კონდახებს  
და სასროლ იარაღის სისტემის ქებაში სანაძღვოს სდებდენ...

წითელი საფრთხით აფრენილი დედაკაცები სარკესთან ტრიალებდნენ და მანიკურით დაფერილ თითებით ტყვიებით ასხმულ ღვედებს უსწორებდნენ მამაკაცებს...

უშლიდნენ მათ შორს გაწევას ბრძოლაში და ზარბაზნების გრიალის დროს ღვთისმშობელს იხსენიებდნენ...

დარბაზში მსახურმა შემოირბინა და ზურაბოვიჩის მეუღლეს ცალ ყურში რაღაც წასჩურჩულა...

უკანა დერეფანში შალ მოხურულ დედაკაცის სხეული ისე ცახცახობდა, როგორც ანთებული თაფლის სანთელი...

— მიშველეთ, ტანსე დაიჭირეს, მომიკლავენ...

გაისმა დიასახლისის წინ და მის კაბის კალთებთან მუხლებზე დაეცა იტალიელ მუშის მეუღლე...

ზურაბოვიჩის მეუღლე იმ წამსვე მიხვდა მისი განზრახვის შესრულებას და ძაუს სიყოჩაღისთვის შუბლზე აკოცა, ზურგულად მოსმენილ ამბავზე, დედაკაცს ლოცვა ურჩია.

— ღმერთია მოწყალე, სიმართლე არ დაიკარგება. თუ არაფერი მიუძღვის შინ დაგიბრუნდება.—უთხრა დედაკაცს და გაისტუმრა.

მასთან მსახური გააფრთხილა, რომ კეისისთან, ამის შესახებ არაფერი წამოცდენოდა.



სპარტაკელი ტანსე მილიციის სამმართველოში იჯდა და ძაუს ხუთი თითის დალი გამხდარ ლოყის კანზე წითლად აჩნდა...



მთის გადაღმა ომი მიდიოდა.

იქ ადამიანის სიცოცხლე იაფია...

ამ დროს ძაუ, ყველას წინამძღოლი, უშიშარ კედელთან ქადის ულუფას ანაწილებს...



დღეს ომი შეწყვეტილია...

შეიძლება მიწის გულს აშორდეს დაფრთხობილი თვალები და გაიმართოს გაღუნული ხერხემალი...

გუშინდელი სისხლი აქა იქ აჩნია და თუთუნის ქისას პატრონი დაკარგვია...

ძაუ ბინოკლით ხელში მტრის ბანაკს უშიშრად ათვალიერებს...



დღეს. დილა ქალაქის უკან გადარბენით გათენდა და თეთრი ბურუსში გახვეულ ქალაქს წითელ საბანში გამოეღვიძა...

ავჯალაში აშლილი ჯარი ისევ იხევდა...

აგი სახის ლენერლები ღელავდნენ, როგორც ცეცხლის მქრობელნი ხანძარში. მათი ბრძანება საპნის ბუშტივით სკდება ჰაერში...

ზურგში სიტყვა — ამხანაგო.

დაწყდა ჯარის ყალბი სადავეები და ნაწილები მთებში გაიშალა, როგორც ქორით დამფრთხალი წიწილები...

სახლვრები — მცხეთა, ოსიოური და ლიხის მთა ზედი ზედ იშლებოდა...

ძაუ ამ დროს საჩვენებელ თითის ჩაქნევით ხვრეტდა ჯარისკაცებს წითლებთან გადასვლის სურვილის იქვით.



ბათომში მტერი და მოყვარე აირია. წითლებთან მიტოვებული საქართველო მშრომელთა რკინის საფარად აღიმართა...

გათავდა მიწა-წყალზე დავა და საქართველოზე გამწყრალი მთავრობა ხატით და ჯვარით უცხოელ გემში ჩაეშვა...

ამ დროს ძაუ, ბათომში გემს ჩამორჩენილი, ბრაზობდა მთავრობის უტაქტიკობაზე...

### თავი მესამე

სოფელში წითელი ჯარი შემოვიდა. შუკები ტელეფონის მეთულებით დაიქსელა. მეოჯახეებმა კარს მაგარი რაზები გაუკეთეს და ჯურღმულ ტყეებში გადაიმალენ...

უფრო სიქალწულის და ძარცვა გლეჯის შიში აწუნებდათ...

ეზოში ქათმის ბუნდლა აღარ ჩნდა და კიშკართან არ იწვა გათხუპნული ღორი...

ქართა ცარიელი იყო და ორლობეში ფეხმოტეხილი წიწილა წიაქობდა...

ორფეხი და ოთხფეხი ცხოველი დამწყვდეული ყავდათ.

მაკე ღორი გან და გან დადიოდა, როგორც საქსოვი მანქანის მაქო და გულამოგლეჯილ კენესით ხეხავდა კარის ნაჩვრეტებს. ქათმები არეულ კაკანით და ირიბ გახედვით ზვერავენ გამვლელთა ჩრდილებს.

სხვენზე გასული ცელქი თიკანი, ატამზე მიბმულ ყაზახის ცხენს

უცქერდა, როგორც სატრფოს თავსაფრიანი ქალი და წინა ფეხებს გადასახტომათ იკეცავდა.

უწყლო საქონელი გაუწმენდელ ბაგაზე ჩალის ღერებს ღრღნიდა, როგორც ძაღლი უსისხლო ძვალს. სამზარეულოს შუა ცეცხლთან მოხუცი ბაბუა იჯდა და ბევრი ამბების მომსწრე თვალებს ალში ათამაშებდა...

იგი დასტოვეს, როგორც დამცველი და ჩააბარეს ოჯახის გული. იგი ძველია, მაგრამ კაჟივით მაგარი...



უცხო ფეხის ხმამ დაარღვია მოხუცის სიჩუმე და მის წინ გაჩნდა წითელი მხედარი...

დაჭიმა მოხუცმა ძველი ძარღვები და სამფეხა სკამს ააცალა ათრთოლებული სხეული.

სტუმარმა ახსენა პაპაშა და ქვაბისათვის ცეცხლი სთხოვა. ბაბუას მტერთა მოლოდინში აშლილი ძარღვები სიმშვიდეში გადაუდნა და გულზე ნაჩქმეტ სიხარულმა ფეხის თითებში გაუთამაშა...

ბაბუამ „სტრაჟნიკობის“ დროს ნასწავლი რუსული იძრო და ტკბილი საუბარი გააჩაღა...



სალამოს, მოხუცი ხიზანთ ეწვია და მათ დილის ამბავი ამცნო. — წამოდით შვილო ნუ გეშინიათ...

მტრებს არა გვანან, მოყვრათ მოსულან...

პირუტყვებს მიხედეთ, უწყლოთ არიან...

ქალწულმა ბაბუას ამბავი, ფიცით, ისევ მოაყოლა.



გლენები თან და თან მოშინაურდენ და წითელ მხედრებს გაუთამამდენ.

დროთა სრბოლამ შიშს ფრთები აუკვეცა და ორმოებში ნამყოფი ხალხი სოფლის დუქნებთან გამომზეურდა. იყო სამხედრო იარაღების ზვერვა და შიშინანათ თავის ჩაქანება.

ქალიშვილები სარკესთან დატრიალდენ და სახეზე ფერუმარული წაიციხეს.

თვალის საქციელით საუბარი გამართეს და სალამოს სასეირნო მინდორზე გაჩნდა რუსულ ქართული წყვილები...

ახსენებდენ „ზაკს“ და რუსის ნათქვამ ქართულზე კისკისებდენ ქალები...

ეს ოჯახი ახლო მეზობლებში ყველაზე მდიდარია. — დიდი ეზო მწვანე მოლით გადაშლილი.

ძნელად გასახარებელ ხეხილით დაფარული და სურნელოვან ყვავილებით მორთული კუთხე.

ქვის სვეტებზე გადმოკიდული რკინის ჭიშკარი და საქონლის ცალკე გასავლელი ორღობე.

მწვანეთ შეღებილი სახლი და მინებ ჩასმული დერეფანი. მაღალ სვეტებზე შემდგარი სასიმინდე, ისე სჩანს როგორც ნათლიათ მოწვეული მდიდარი სტუმარი ოქროს კბილებ ჩადგმული...

ცხენოსან მგზავრს კისერს უქცევდა დაუს მამაპაპური მოსახლეობა.

დასავლეთით გადახრილ მზის სხივებს აღმოსავლეთის ქარი ანელებდა და საგაზაფხულოთ მორთულ არეში ნედლი კვირტები სკდებოდა.

ასეთ დროს სოფელში სამხრობას ეძახიან და დასიცხული გლეხები ჭამას იმეორებენ. ნახევრად ღია დარაბასთან შეჩერდა დილიენი და მათრახის თასმა ხელიდან წაიძრო მედილიენემ.

დილიენის ვიწრო კარიდან გადმოვიდენ ქალაქიდან მომავალი მგზავრები და ჯდომით დაკმუჭნული საცმელი გაისწორეს. ყველაზე ბოლოს გამოჩნდა დაუს მგლოვიარე სახე. გლეხებმა ძველი ჩვეულება უგემურათ გაიმეორეს და დაუს ძველებურათ ქუდ მოხდით სალამი მისცეს.

ყველას სურდა დაუსთან ლაპარაკი და ქვეყნის ჭირვარამის გაგება, მაგრამ მის ატირებულ სახესთან ვერ გაბედეს გაღიმება.

მეზობლის წვივებ ჩატყავებულ ბიჭმა გაუსწორა დაუს უტეხი თვალები და შეხვეულ ბარგის წამოღების ნება ითხოვა.

დაუ შინისაკენ გაეშურა ვიწრო ბილიკით და ბიჭი ბარგით უკან გაჰყვა.

მუდამ ჩაკეტას ნაჩვევი დიდი ჭიშკარი დაუს ღია დახვდა და გულთან გაყრილი სხეული ეზოში ჩაიტანა, როგორც სასაფლაოდან დაკრძალვის დღეს დაბრუნებული ქვრივ პატარძალმა.

უშნოთ გამოკლებული ზვინები წაქცევაზე დაინახა.

ჭურის თავებზე მიწა აღერლილი იყო და ღუნის ამოსაღები ხაპი სველი ეკიდა...

ძალდი ყბამოვლეჯილი შემოეთამაშა.

ეზოს ხეხილის ძირებზე ნამგზავრ ცხენებს-კბილები ეფხანათ და  
ნის ძირები თეთრ სვეტებად იდგენ...

დაბალი ყვავილები ცხენის ფლოქვეებს გაეჭყლიტა...

დერეფნის წინ კარებზე წითელი დროშა ფრიალებდა...

კარებში წითელარმიელმა არ შეუშვა დაგვიანებული მასპინძე-  
ლი, რადგან იგი შტაბს სდარაჯობდა და ძაუს, წამხდარ სახეზე, ტუ-  
ჩებმა გაუღიმა...

ჩამოშორდა ღობის საიდუმლოს ღარიბ მეზობლების ქვრეტა.  
იძღეს გული ძუნწი თავადის სეირზე ცქერით...

მაგრათ ჩაკეტილ ოთახში გარს ეხვია ძაუს გულ გახეთქილი  
ქალები და ახლად შემოსწრებულ მასპინძელს გაქონილ ოფლს უმშრა-  
ლებდენ გახურებულ შუბლზე...

ძაუ ყალბი გაწვევით იჭიმებოდა და მას ღონიერ მკლავებზე შე-  
შინებული დედაკაცობი ეხვევოდენ...

მეზობლის ბიჭმა იატაკის ქვეშ გააძვრინა ოჯახის საიდუ-  
მლოება და საღამოს, ქოხში, შუა ცეცხლთან, ძაუს საქციელი მშობ-  
ლებს უამბო.

იყო ღარიბული სიცილი და მოლოდინში ბედნიერების კარავს  
იშენებდენ...



წითელი ჯარი სოფელში მოშინაურდა და გლესს რუსებმა სა-  
ყანე მიწა დაუნეს.

აქა-იქ გაიმართა რუსულ-ქართული ქორწინება და ჯვრის წე-  
რის წესათ მიიღეს ზაკსი...

გამოჩნდა წლოვანებით შეშინებული გლახობა და მოიტანეს  
გადამალული იარაღი...

ძაუმ მოინელა დაკარგული და გაიხადა სამგლოვიარო ახალუხი...  
ახალი პოლიტიკით გაიჭედა ხერხიანი თავი და ფიქრები აამო-  
ქმედა.



ღამე იყო უმთვარო.

სოფლის არე სიბნელის კალთებში სუნთქავდა.

ნელ-ფოთლებში დასავლეთის ქარი ისერებოდა და მოზარდი  
ტოტები შავ სივრცეში ირხეოდა.

ძაუს ნაეზოვარში მეტი სინათლე სჩანდა.

დარბაზში ვაჭიმული იყო გრძელი მაგიდა და სტუმრებს ძაღუ მასპინძლობდა.

ძაღუ დამ წითელი ოფიცერი შეიყვარა და დღეს ქართული ქორწილი გაუმართეს რუსის ხალხს.

გრძელ სუფრაზე თამაძობს ძაღუ და ღვინით გასუქებულ თავზე კომუნისტური კონწოლა ქუდი ახურავს...

ცალი ხელი რუსის ბეჭზე ჩამოუდვია და იმღერის რუსულ-ქართულად „სწრაფია ვით ტალღა“ს...

სამზარეულოში ღულუნებს ცეცხლი და პურ-მარილს სტუმართ გემოზე ამზადებენ...

დაჰქრიან დარბაზში ქალები და სავსე თეფშებით მაგიდის ფეხებს ამძიმებენ...

მოხუცი იჯდა როგორც ეზოში მდგარი მუხა, მალალი, მისი პაპის მიერ გადმონერგული და ამ ამბავს უცქერდა როგორც ზღაპარს...

სიტყვა „პაპაშა“ ხვდებოდა მის სმენას და თეორ წვერებში იღიმებოდა როგორც ყალიონის ნაცარში მბჟუტავი ცეცხლი...

თამაშით მოიქანცა ღვინით გაჟღენთილი სხეული და მყუდრო ოთახში საწოლი აჭრიჭინდა სიმძიმის დაწოლით...

ნაჯაფ სუფრაზე იჯდენ ნაშრომი ქალები და ჩავლილ ქეიფის ქება-გინებაში წუწნიდენ დამტვრეულ ძვლებში ჩარჩენილ ტვინს...

მიწყნარდა ქეიფი და ჩაქრა სინათლე ფანჯრებში.

### თავი მეექვსე

დილა გათენდა. სასახლეზე წითელი დროშა ისევ ფრიალებს... ჩაკვდა ხახლში კომუნარების გაბრუნებაზე ჩურჩული.

განელდა მღელვარება ქალაქში და წვრილ მეოჯახეებმა შეკრული ბარგის გაშლა გაბედეს.

სამხედრო ეშალონებს ჩამოყვენ გაფანტული მუშები და ქარხნის მოედანზე მოგროვდა გადარჩენილი სახეები...

მოიგონეს დახოცილ ამხანაგების გვარები და საერთოდ ომის მომგონს შეაგინეს თავისებურ სიტყვებით...



გვარების აღსანიშნავ დაფაზე ცხრამეტი ნომრის მწკრივში აღარ ეწერა იტალიელ მუშის გვარი...

მისი ბინის მიგნებას კიბის საფეხურებზე რამოდენიმე ნაბიჯის ათვლა სჭირდებოდა...

ბარგი და წყობილება ძველებური იყო. მაგრამ მათ თვალებში



სიცოცხლის ცეცხლი ჰქროდა. მათ მაჯებში შრომის სიხალისე ნაწარ-  
დობდა....

ტანსეს სურვილს შემოერთყა წითელი სარტყელი და ქალაქში  
დაჰქროდა, როგორც ელსმენის მავთულებში ნათქვამი სიტყვა...

თავისი რკინის ენერგიით ანგრევდა ხავსიან ტაძრებს და გუმბათზე  
გრეხავდა ქრისტეს საწამებელ მანქანას...

იგი ახალ წყობაზე აყალიბებდა პროლეტარიატის ცხოვრებას  
და ახალ-ახალ ბინებში ათავსებდა მუშებს. ხალისიან ტანსეს კეისის  
დარდი თან დაყვებოდა. წითელ მზეზე არ ენახა კეისის სახე—ღარიბ-  
ლატაკთა სულის სიმშვიდის მაძიებელი...

არ ჩნდა ქალაქში ზურაბოვიჩი და აღარც კეისის სახელი ისმო-  
და. დღის შრომით მოქანცული ტანსე ბალიშს უმხელდა საიდუმლოს  
და გახურებულ ტუჩებს კეისის სურათზე აგრილებდა...

ეს საიდუმლოება ღრმად ემარხა მას გულში.

### თავი მეშვიდე

საბჭოთა ხელისუფლებამ ახალი ეკონომიური პოლიტიკა გა-  
მოაცხადა და ქალაქის ბაღში მოცლილ ვაჭრებს აუთამაშდა არწინზე  
და სასწორზე გაცვეთილი თვალეები...

გაიღო დაობებული დარაბები და დახეხეს სასწორის ტაშტები.  
ვიტრინაზე გასასყიდი საქონელი გაჩნდა. დახლის ყუთს გასაღე-  
ბი მოარგეს...

ვაისწორა საყელო პატრონმა და საანგარიშო ჩოთქის კაკლებს  
შუა თითით თამაში დაუწყო...

მიძიმე ფიქრით გააჩოჩა მოგების ნიშანი და თავნს მიუმატა მომ-  
ჭირნეობით ნაშოვნნი თანხა...

ცხენის ნალი დააჭედა შემოსავალ კარებს და დუქანს ბარაქა  
შემოსძახა. მუშტარმა შემოაღო კარი და ნარმა იკითხა.

შეეგება ნოქარი და ხაზეინის სასიამოვნო მიმოხვრით, მუშტარი  
დაპირებული უარით გაისტუმრა...

პურის საცხობთან დამოკლდა რიგები. ოჯახში სანოვაგის ნამ-  
ცეცები დაცვინდა...



სოფელში, თოხის ტარს გაუშვა ხელი ქალაქის ხელოსანმა და  
შინაურულ მოქსოვილ შალის შეკერილ ფრენჩით და უხეიროთ გარე-  
ცხილ ხელსახოცში შეხვეულ საგზლით წამოსულმა, ქალაქის სადგურზე  
ჩამოხტა.

მაშინ წვირილ ხელოსანს დაერქვა „თვითმშრომელი“ და ოსტატმა ღია დარაბაში ალესა საჭირო იარაღები...

გააღო სახარაზო და მოკლევფეხებიან მაგიდაზე გადაფენილ სველ ტყავიდან მომჭირნეობით გამოსჭრა წულის საძირე...

ხამ შევირდს სადგისით გაჩხვლეტილი თითი შეუხვია და ირონიულ სიცილის გაყოლებით გაისტუმრა კრებაზე...

ვინმე მუშტარი შაბათ სალამოს ახლად შეკერილ ქუდს ან ახალღხს „დაასველებს“ და ხელოსანი იმ ღამით „ხელს“ გადაყვება.

ოჯახში ხათრიან მეუღლეს მთქნარებით, უჭმელი ღრანჭები მოექცევა და კარის საკეტზე შერჩენილი თვალები მიელულება.

მის დაგვიანებულ მეუღლეს მიკიტნის ბიჭი მოაცილებს და უკან უკმაყოფილო გინებით გაბრუნდება...

### თახი მერვე

ამ საშუალო ტანის შენობაში ჩეკაა...

ზევით სამმართველოა და ქვეით პოლიტიკაში შემცდარი პოლიტიკოსები სხედან.

არის ოთახის გამწე ნარები და გაისმის დაქანებული ჭოკმანი...

გუშინ ეს ხალხი პროლეტარიატის მშეერ გაწდომილ ხელებში დაპირების კალთებს ირეკავდენ და თეთრი გიორგის ცხენზე შემჯდარნი თამარის დროის საზღვრებს ეძებდენ.

დღეს მათი თვალის ჩინს ოთხკუთხი რკინის ბადე ჩამოეფარა და ეროვნულ დროშის ასლი ნაშთების შემნახველ მუხეუმს ეძღვნა სახსოვრად...

საკნის კედლის გარეთ მზიანი დარი კიაფობდა. იყო ქალების ჩურჩული სანდო პირებთან...

წყევლით და კრულვით იხსენიებდენ ხელისუფლებას და ჩეკის თანამშრომელის დანახვაზე, მას გუნებაში ჭოლოკს ესროდენ ფეხების მოსამტვრევად...

თეთრ დაყურსულ ხელსახოცებში იორთქლებოდა ქმრის და შვილის გემოზე მომზადებული სადილი და უწინ გადაცემის სურვილით გული უდნებოდათ...

საკანში იჯდა ძაუც გაყუჩული, როგორც ფეხშეკრული დედალი გამოსაკრუხებლად და თვალების ტრიალით, ვითომ უდანაშაულობას და გაშვებას იხვეწებოდა...

— ჩუმაღ... ჩუმაღ... ახლები მოყავთ...

შეაბრუნა ძაუმი სახე გვარდიელ მუშისკვ. გვარდიელმა სახის კანის მოძრაობით მეტი სიღინჯე და მოთმინება ანიშნა. ეს გვარდი-

ელი ძაუმ ბათუმში გაიცნო ყოფნა არ ყოფნის დღეს. უტებდენ ერ-  
თმანეთს ლუკმას ახლად აღმოჩენილი პოლიტიკური მოყვრები და  
ურთიერთ ძმურ კავშირს ამტკიცებდენ...  
ბათუმის მუშათა კავშირი



ზურაბოვიჩის ოჯახის შემადგენლობა ბათუმში გაენაწილებიათ.  
კეისი და დედა მისი დაგვიანებულ ეშალონს ჩამოყოლოდენ და  
დღესაც არ იცოდენ თუ ზურაბოვიჩი რომელ სარდაფში ყნოსავდა  
კომუნისტურ ატმოსფერას...

ზურაბოვიჩის მეუღლეს დარდით ტანსაცმელი დასრულებოდა  
და ლოყის კანი დანაოჭებოდა.

ხალისიანი კეისი ქალაქში დარბოდა და ახალი წყობილების  
საჭის მართვას უცქერდა..

ულონო დედა ისევ უჭერდა სადავეს, მაგრამ მის სიტყვას სი-  
ძლიერე დაკარგოდა და კეისი ისმენდა, როგორც სპარტაკელი სა-  
ხარებას...



იტალიელ მუშის ოჯახში კეისის დაბრუნებამ სინარულს სინა-  
რული დაუმატა და დღეს თორასთან თანასწორი კეისი, მეგობარს  
სულში ეკვრებოდა მთელი მისი გრძნობით....

კომკავშირელ ტანსემ კეისის უფრო დაუახლოვდა. კომკავშირის  
ცენტრალურ სამართველოს კიბეზე ჩამოდიოდენ: ტანსე, თორა და  
კეისი.

აღტაცებული კეისი სინჯავდა მანდატს და წითელი სულით  
ეგლინებოდა ქალაქის პროსპექტს...

ეხლა კეისი თამამად შესძლებს პროლეტარიატის გულში ჩახე-  
დვას და მისი ჭირვარამის ამოკითხვას...

კეისს გულს უკლავდა გვარის ჯიში და ნატრობდა გლეხური  
სისხლის მოდგმას, რომ უფრო თამამად მისულიყო მშრომელ მასას-  
თან და არავის დაებრალებია მისთვის თავადურ სულის სიყალბე...

მიდიოდენ სამი ამხანაგი აღტაცებული...



ძაუმ სიძის მოხერხებით ჩეკის კედლებიდან გამოძვრა და მზის  
სხივებზე გააზმორა...

მოაწერა ხელი და უარყო ძველი პოლიტიკური რწმენა...

გაყვა იგი ქუჩის ნაპირებს ცხვირზე ქუდ-დაშვებული და ბეჭებ  
აწურული...

დაუმ ქალაქში პირველი კარი ზურაბოვიჩის ბინაზე შეაღო და  
მის წინ გაიღვა სქელი ტანის მსახური ქალის აჩრდილმა...

კოცნით მიესალმენ სასიძო სასიდედრო და დიასახლისმა სიხა-  
რულის ცრემლები გააჩინა გამწოვალ სახეზე...

დაუმ ყველა ოთახები დაათვალიერა, მაგრამ კეისი არ სჩანდა.

დიდხანს ისაუბრეს ჩაკეტილ ოთახში დაუმ და ზურაბოვიჩის მე-  
ულღემ და მომავალ მუშაობის საიდუმლო გეგმას ხელი მოაწერეს.



ზურაბოვიჩის ბინას შემოერთყა მეძველეების ხროვა.

გამოჰქონდათ ნაირ-ნაირი ნივთები და სინათლეზე სინჯავდნენ  
ნაყიდ საქონელს...

მათი სახლის მორთულობა გადასულ მდგმურის დანატოვებ ბინას  
დაემსგავსა და კედლებზე ცარიელი ლურსმნები დარჩა დაწყვეტილი  
თოკებით...



დაუ ქალაქში დასთან სცხოვრობდა. მისი ბინის კარებზე კომუ-  
ნისტ სიძის გვარი იყო მიწერილი და დაუს მოქმედებას ხელს უწყობდა  
წითელი ოჯახის ცხოვრება...

ყოველ დღე პირდებოდა სიძე სამსახურში მოწყობას და უსაქ-  
მო დაუ დაეხეტებოდა პროსპექტზე...

### **არალეგარული სასტუმრო...**

მისი საიდუმლოება მარტო უენო ხის ძირებმა იცოდნენ, სადაც  
დაუ ატარებდა უსაქმურ დღეებს...

მორიგი ღამე დაუმ უძილოთ გაატარა, დილას ადრე ადგა და  
საწოლ ოთახიდან ქუჩაში გაიტანა ფიქრებით გატენილი თავი.

ქარხნის საყვირმა მუშები საუზმეზე გამოიძახა და ქარხნის ეზო-  
ში გაიშალა მოქანცული მშრომელები...

ლურჯ ხალათებში განელდა ოფლის ორთქლი და მადიან ლუ-  
კმებს დაუწყეს მტვრევა. მათ წრეში უცხო ფეხი შესდგა გარედან  
მოსულმა, და ბოროტი თვალის დაქნევით გვარდიელი მეგობარი გა-  
იხმო.

მცირე ჩურჩულით და კმაყოფილი თავის დაქნევით დაიშალა  
წყვილი სახის მოძრაობა და დაუ დანიშნულ ადგილზე გაეშურა.

(გაგრძელება იქნება).

## ღამით ნაგანი

ეს როცა ღამით კივის ნაგანი,  
 დგება გარშემო ცეცხლის ფერია,  
 არის ცხოვრება სისხლით ნაბანი  
 და დედამიწა სისხლის ფერია.  
 ჩინეთის მთებში მღერის ფირალი,  
 ის ერთად-ერთი მემკვიდრე მამის,  
 ალის ტყეებში ნასაკირალი, —  
 თავგანწირული და გულ-თამამი.  
 მთებში ვარდება მზე დაჩეხილი,  
 მთები ააგეს ჩინელთ გვამებით;  
 მთის ორწოხები ზურგ ჩაღეწილი  
 ტყის კალთებს შლიან სამგლოვიაროთ  
 საკუთარ თმებით ყელ დახრჩობილი  
 ჰკიდია ზეზე ძმების თავები  
 და შებრალებას გადაჩვეული  
 ამოდის ზღვიდან გუნდი ყვაეების.  
 რამდენი ათასს ხევში ხვრეტავენ  
 უცხოეთიდან შემოსეულნი...  
 და ღამით ისმის ძმების ხროტინი  
 და ხმა დაჭრილის გულ დამსერავი.  
 გარშემო ცეცხლი დამებატრონა,  
 საკუთარ მზისთვის ვაცხადებ ტერორს  
 უცხო სტუმარი, რომ ზის ბატონად  
 გულზე ტყვიების დაუკარ ტაში.  
 ქუჩის ქვაფენი სისხლით ნაბანი,  
 გასაოცარი ნალარა ცხელი,  
 მახსოვს კივილი ღამით ნაგანის  
 და უღმობელი თარეში ცელის.  
 დღეს ხსნა არ არის, სისხლის გარეშე  
 სჩანს გზა არსაით და გასაქანი,  
 ღამეში მტერის სიავ-თარეშეს

გააცამტვერებს ისევ ნაგანი.  
შერჩა პლანეტას ამაყი სული,  
პლანეტა სისხლით შემოიღება,  
ვართ მოლოდინის კართან მისული  
და მოლოდინის კარი იღება.  
დედაო მიწავ, ტანჯვა გეყოფა,  
შემოგეგლიჯა ღრუბელთ საბანი...  
ისტერიულად სუნთქავს ევროპა  
და კივის, კივის ღამით ნაგანი.

1925 წ.

ტფილისი. მუშფაკი.

## მებრძოლის სიმღერა

ბევრჯელ გამტანჯა მტარვალმა,  
 მატარა ცეცხლის ალშია,  
 ჩემს უკვდავ წმინდა ილიას  
 მაინც მივსდევდი კვალშია.  
 ბევრჯელ შემიპყრო საკანში,  
 ქელი ვერ მომახრევიანა,  
 მტერზედ ნალესი იარაღი,  
 მოკვდა, ვერ დამაყრევიანა.  
 ბევრჯელ გამდევნა სხვა მხარეს  
 მშობლები დამათმობინა,  
 შეყვარებული მიზანი  
 მაინც ვერ დამაგმობინა.  
 სულ გადამიწო სახლკარი,  
 ცის ქვეშ დამტოვა ველადა.  
 დაუნდობელმა, გულ-ქვამა  
 მაწამა,—მრავალ ფერადა.  
 მრავალჯერ ტანჯულ წამებულს  
 მაინც ხელთ მეპყრა მახვილი,  
 ვერ მაშინებდა მებრძოლ გმირს  
 ჯალათის შემოძახილი.  
 დღესაცა ვლესავ ხანჯალსა  
 მტრის გულის გასაგმირადა,  
 მტერთან ბრძოლა და სისხლის ღვრა  
 ბედმა მარგუნა წილადა.  
 „შიში ვერ იხსნის სიკვდილსო“  
 ნათქვამი არის ბრძნულადა,  
 ან თავს შევაკლავ ჯალათებს,  
 ან გავიმარჯვებ სრულადა.

## დედის საფლავზე

მე შენს საფლავზე დედაჩემო!  
 ცრემლებს არ დავღვრი  
 და არც ქალაღზე გადავიტან  
 სევდის სტრიქონებს;  
 ცრემლი შეჭმენის დაცემულს და  
 ბრძოლებით დაღლილს,  
 მე აქ მოვედი სიყვარულით  
 რომ მოგივინო.  
 მახსოვს, ო, მახსოვს საშინელი  
 იგი წუთები,  
 უკანასკნელად რომ მოგვშორდი  
 და მიგვატოვე;  
 ამოახველე ავადმყოფმა  
 სისხლში ფილტვები  
 და საუკუნოდ დაეკარგა  
 სინათლე თვალებს.  
 დავრჩი ობოლი და რამდენჯერ  
 ვეწამე ქვეყნად:  
 ეკლიანი გზა, სხვასთან ყოფნა  
 მოჯამაგირედ,  
 ო, ეს წარსულში... გავიმარჯვე,  
 მე სხვა ვარ ეხლა,  
 დღეს მე ვიბრძვი და საბრძოლველად  
 ვიწვევ სხვის გულებს.  
 დღეს საქართველო დედა ჩემო!  
 ის აღარ არის:  
 905-ში რომ სახლს ურბევდენ  
 სოფელში გლეხებს,  
 დღეს ჩვენს ქვეყანას დაეუფლა  
 შრომის ლაშქარი,



ვერც კი იცნობდი, იმნაირად  
გადახალისდა.  
იქ, სადაც ძველად ტყე იყო და  
მგლები ღმუოდენ,  
დღეს ელსადგური სასიცოცხლო  
კვამლებს აბოლებს,  
დღეს სიხარული დაეფრქვია  
ქარხნებს და ქოხებს  
და ძველ ცხოვრებას სამუდამოდ  
მოელო ბოლო.  
მე შენს საფლავზე არ ვიტირებ,  
ცრემლებს არ დავღვრი,  
მე სიყვარულით მრგიგონე  
ძვირფასო დედავ!  
ცრემლი შეჭფერის დაცემულს და  
ბრძოლებით დაღლილს,  
მე კი საბჭოთა გამარჯვება  
დამაქვს ორდენად.

ნ ა ლ ი რ ო ბ ა

სად ქარიშხალი შმაგად დაღმუის,  
 იქ მწვერვალები თოვლით მოსილან,  
 სადაც ბინა აქვს მხოლოდ ღამურას,  
 აქ თვეში ერთხელ მზე ამოსულა.  
 ძირს კი ხეობა მღვრია მდინარე  
 ქარიშხლის ხმაზე ფაფარს იყრიდა,  
 იქ მონადირე კლდის დამზვერავი  
 შორს არწივისკენ თოფს უმიზნებდა...  
 იყო ზამთარი. სოფლის შუა გულში  
 თემალმასკომის იდგა შენობა,  
 აქ საკითხები სოფლის ცხოვრების  
 თითქმის ყოველდღე გაირჩეოდა.  
 გზა გასაჭრელი, კოოპერატივი,  
 ღარიბ გლეხებზე სესხის გაცემა  
 გასამართლება ავაზაკების,  
 რომ აწარმოეს სოფლად დაცემა.  
 ან და გლეხკორის მკვლელობისათვის  
 მთელი სოფელი ფეხზე დგებოდა,  
 შეუბრალებლად და უყოყმანოდ  
 დამნაშავეისთვის სიკვდილს ითხოვდა...  
 სადაც ცა თოვლის ფიფქებს ისვრიდა  
 შორს ორღობეში ძაღლები ყეფდენ,  
 მგლების ყმუილი ცოფით ავსილი  
 მიმავალ გლეხებს გზას დაუფრთხობდა.  
 მგლები ურმის წინ შემოირკალენ  
 საბრალო გლეხი თოვლში დაგლიჯეს,—  
 სად არის თოფი შევლებს რომ ჰკლავდა,  
 ის მონადირე ოხრად დაგირჩეს.  
 და საჩივარი მეორე დღესვე  
 გლეხებს მიჰქონდათ თემალმასკომში,  
 ოღონდ მგლებისგან თავი დაეხსნად

P.S.

P.S.



სიმინდს გაცვლიდენ დაჟანგულ თოფში.  
 იქ განცხადებას, კედელზე გაკრულს,  
 ქარი ლურსმანზე ატრიალებდა:  
 „ვისაც თოფი გაქვთ, გამოდით ყველა,  
 თორემ ცოლშვილი აგიტირდებათ!“  
 აქ თოფიანი, მხოლოდ ორია,  
 სოფლის ბობოლებს რომ შერჩენოდათ.  
 და რა გაიგეს „მგლებზე წასვლაო“  
 გამოიპარენ კრებიდან ჩუმათ.  
 ბობოლები კი გარბოდენ თოფში,  
 უნდათ გაექცენ გლეხების რისხვას  
 იწურებიან ღვარ-ქაფა ოფლში,  
 გზებს დაეძებენ თავდახსნილათ.  
 ხალხი ბობოქრებს, ხალხი ჩოჩქოლებს,  
 რომ გადასწყვიტონ შეტევა მგლებზე.  
 ხალხო შეჩერდით! ხმა თავმჯდომარის  
 მკვეთრათ გაისმის გულების ზევით.  
 აგერ მოდიან, ეხლაც თქვენთანა,  
 ვინც რომ გშველოდათ ყანის თოხნაში.  
 თემალმასკომის ეზოს მოადგენ  
 ერთათ შემოკრბენ. ყველანი მხარში!  
 ფერდობს მიადგენ და გაიშალენ,  
 ხევში კი მგლები ლეშს შექცეოდენ.  
 პირი დაელოთ შავათ შაშხანებს  
 და შაშხანები ცეცხლებს ისროდენ.

## ნარკალეზი

ეხლა:

შენ დაჰყურებ ვერის სასაფლაოს, ზევდიან, მესამე სართულის  
ლია ფანჯრიდან და სტკებები პეიზაჟით.

წმიდა ნიკოლოზი ზის გუმბათის ქვეშ და ებრძვის ზარებს.

მეტიჩარაა წმიდა ნიკოლოზი.

ზარები ჰკივიან, ჰკივიან და არ არის მოსვენება.

ყვაგი სდგას ჯვარზე და მყირტედ იცინის.

მერე:

წმიდა ნიკოლოზს კუნთები დაეღალა.

ყვავმა უკმაყოფილება იგრძნო და ბუმბულს დაუწყო ქექვა.

შენ მაშინ დაეხუჭე თვალები და...

აქედან ვიწყებ...

წყალდიდობა.

ქალაქი—ტბაში მუხლამდე.

ქუჩები—ბაიდების ალღუმი.

ბაიდებში: განცდა ფერადი.

ბაიდებში: სიხარული. დროს ტარება.

ბაიდებში: შიში. ტირილი. აგონია.

ტბას მოაქვს: კუნძულები. ტყეები. ჩირგვები. როკები. მძორები.

და ამდიდრებს ქალაქს, როგორც მას უნდა. მრისხანეა ტბა!

უცებ:

მოვარდა ბაიდა ებრაელთა უბნიდან მძიმედ მოსხლეტილი;

ბაიდა კუპრისფერი, უცნაური.

ბაიდის ბოლოზე ზის თალო.—თალო ასული ვაჟრის. მისი მა-  
მა—მუხრან ცნობილია ზღვისპირში (ზღვისპირი სახელია ამ ქალა-  
ქის) ამბობენ: მუხრანის ოქრო-ვერცხლს თორმეტი წყვილი ჯორი  
ვერ გადაზიდავს. მიტომ ამაყია თალო.

თალოს აქვს საკუთარი ადათები და ცხოვრობს ორიგინალუ-  
რად.

თალო შეჰყურებს მოგონების წერტილებს ხაიების გაღმა და

ჰკონია, რომ სხეული მისი არ არის ბაიდაში და იგი არის ეხლა ხაიების გაღმა.

თალოს თავში ირევიან გაფრენილი სურათები.

მან გახსნა ამ სურათების გამოფენა:

მდელში მიფორთხავდა რუხი კატა.

რუხი კატა სტიროდა უმძინარეგ ბალღვით. მაშინ:

თალოც სტიროდა აივანზე.

სტიროდენ ორივენი: რუხი კატა და თალო.

რუხი კატა—რისთვის—ღმერთმა იცის; თალო კი მოელოდა სატრფოს სტამბოლიდან.

თალოს მუდამ უფართქალებდა გული, როცა ფოლადიან ფლოქების თქარუნი აიშლებოდა ქუჩაში.

„მძიმეა სიყვარული“, მოსთქვამდა თალო.

ჰაერი იყო სუფთა და ჭყინტი.

ცაზე ეყარა უთვალავი ნაკვერჩხლები.

თალოს ოთახი იყო ცარიელი და სდარაჯობდა მას ლამპის ყვითელი ენა.

ყვითელ ენას თავს ესხმოდენ მოთეთრო და მომწვანო მწერები.

ამიტომ გულგამირული მწერები ეცემოდენ მაგიდაზე.

ერთხელ ღამით თალომ მარსის ველს შეადარა თავისი მაგიდა. მეორე დღეს:

თალო მოაჯირს გადაყრდნობოდა და ქარი სცემდა სახეში მუშტებით.

თალოს უხაროდა.

მიდიოდა ქარი...

და ხეივანი ველურ სიმფონიით ხმაურობდა, როგორც არღანი. და ბოლოს:

თალომ მოინელა მოლოდინი.

მიტომ იგრძნო მუსიკა და პოეზია:

სატრფოს ცხელმა ამბორმა დაფერფლა თალოს ვნებით გათქერილი სული;

სატრფოს ღონიერმა ალერსმა თაფლის სანთელივით გააღწო უტეხი სხეული.

სატრფოს სახელი—სტეფო.

და ეხლა:

ბაიდის ბოლოზე ზის თალო.

თალო შეჰყურებს მოგონების ამ წერტილებს ხაიების გაღმა და

ჰგონია, რომ სხეული მისი არ არის ბაიდაში და იგი არის ხაიების  
გალმა.

სტეფო მიაქროლებს ბაიდას.

უცებ:

პიერ მიესალმა თალოს.

პიერ: ახალგაზრდა, მოხდენილი, კობტა და სუფთა, ხედვით  
ევროპიელი. მას პოეტად მოაქვს თავი, თუმცა მის პოეზიას არავენ  
იცნობს. პიერ ამ ქალაქში დიტი პრეტენზიებით შემოიქრა პირვე-  
ლად.

ზოგს სჯერა მისი ზეკაცობა, ზოგს—არა.

პიერს უყვარს კეთილი ცხოვრება: ხეტიალი, ქეიფი.

ერთ დროს უკეთ იყო მისი საქმე. ეხლა უკლო ბარაქამ.

მაშინ: ვასო (მისი ძმა) დიდი კაცი იყო: დიდი, მოღვაწე, მენ-  
შევიკი. ეხლა: იგი სად არის!..

პიერის მისალმება ვერ შენიშნა თალომ.

სტეფომ გამოარკვია თალო და მას ლოყები გაუწითლდა.

მერე:

ბაიდა გაიქცა ბოლაზისკენ ტლაშუნით, გრგვინვით; ამხედრდა  
ბაიდა და ბაიდაში მებაიდე—ბრაზიან ბედუნივით.

თალომ სიმშვიდე იგრძნო.

დასავლეთიდან ყმუის პონტოსი უზნეო ქოფაკივით.

მეზობლისას გაისმის კრუხების კაკანი და შესახვევთან წყალში  
სტირის უპატრონო გოგო.

უცებ:

ბაიდას დაეძგერა გველების ურდო ფონისმაძიებელი.

გველებმა ენები გადმოავდეს და ასისინდენ; თვალების გაშტე-  
რებით.

თალო გაფითრდა, როგორც შემოდგომა; მერე: ესროლა მათ  
ქალაქდების ხვია და მიაფურთხა.

სტეფომ გაიტაცა თალო, როგორც ბალლი უზნეო და მშიშარა.

და ბოლოს:

სასაკლავოს ბურჯებში გარიყა წყალმა თალოსაგან გასროლილი  
ყუმბარა.

სტეფო გაიქრა შორს, სულ შორს.

ამ დროს: თალოს თვალები დახუჭული ჰქონდა და ჰფიქრობდა  
წარსულზე.

— თურმე საკმარისია დახუჭო თვალები; მოგელან-  
დება რაც გინდა, ყველაფერი—ძველი და ახალი. ალბად

შენც აღმოაჩინე ეს საშუალება, ჩემო, თორემ რა არი  
რომ სულ თვალებდანაბული გაიყურები იმ თანჯარი-  
დან?!..

თებერვლის ღრუბლებმა კავალკადებით გადაუჭროლეს დედა-  
ქალაქს და მთებისკენ გადაბარგდენ.

ჰქრის ქარი სუსხიანი და აფორიაქებს გოდებას, შიშს, სიხა-  
რულს და საოცრებას. მრავალფერობს დედაქალაქი.

ყველას თავისი ფიქრი აწუხებს. ზოგი რაღაცას აპირებს, ზო-  
გიც უსაქმოდ და არაქათვამოლევული დადის ქუჩებში.

ქალბატონ ელოს თვალებმა პირველად იხილეს საკუთარი  
ცრემლი.

ელოს წამწამებიდან წვეთებით უსხლტება ცრემლები და ევსება  
კალთა.

მერე ჰფიქრობს ქალბატონი ელო: „დღეს თუ ხვალ უნდა აი-  
კრას ბარგი მენშევიკურმა მთავრობამ და გადაბარგდეს საღმე, სხვა-  
გან“...

დღეებმა ჩამოთოვეს უარესი შიში.

წითელმა ჯარმა გადმოლახა ფოილოს ხიდი.

წითელი გვარდია მიითანტ-მოითანტა წიწილებივით.

სწორედ ეხლა:

იგრძნო ვასომ, რომ საქმე არც ისე სახუმაროა.

დაღამდა.

ღამემ მეტი უიმედობა მოიტანა.

მეორე დღეს ვასომ გაისტუმრა სოფლისკენ ქალბატონი ელო  
და მთელი ოჯახი.

ელო ცრემლების ფრქვევით განშორდა ქალაქს.

ვასომ ანუგეშა მეუღლე და ცრემლი ამოუშროო თვალებიდან.

ვასომ გამარჯვება იწინასწარმეტყველა.

მერმე:

მოაწვა წითელი ჯარი გრგვინვით და ჭექით; მოაწვა, როგორც  
ღვარი ბრაზიანი, ძლევაშოსული.

მთავრობა სტრატეგიულ მოსაზრებით დაექანა უკან.

გამაგრდა ახალი პოზიცია.

მეორე დღეს დედაქალაქში აფრიალდა წითელი დროშა და  
სივრცე დაიტვირთა „ინტერნაციონალით“.

მერმე:

კვლავ მოაწვა წითელი ჯარი გრგვინვით და ჭექით.

მთავრობა უკან დაქანდა სტრატეგიულ მოსაზრებით.  
ისევე ახალი პოზიცია გამაგრდა.  
წავიდა დღეები, წავიდა ღამეები.  
ნისლი დააწვა მთებს.

დაჰბერა მყინვარის გაყინულმა ქარმა. ღრუბლებს ერეოდა  
აუტყდა და (ატმის) ტყემლის ყვავილისფერი ფანტალები გადმოჰ-  
ყარა.

გაფითრდა გარემო.  
და უცებ:

ქარის ქროლვაში და კორიანტელში გაისმა ზარბაზნების გუ-  
გუნი და ტყვიისმფრქვეველების კაპასი სიშლეგე.

ბომ... ბომ...

ტრახ... ტრახ... ტრახ...

მერმე სიჩუმე და ისევე:

ბომ... ბომ...

ტრახ... ტრახ... ტრახ...

არ ყოფილა საშველი!

წითელი გვარდია დაქანდა უკან და ახალი პოზიცია გამაგრდა.

და ბოლოს მოხდა ასე:

ორთქლმავალი კომპაუნდი ოთხცილინდრიანი შეიქრა ბათომ-  
ში და გაიყვანა მენშევიკური მთავრობა.

აირია ქვეყანა. აიბნა ხალხი.

არავინ იცოდა, ვინ სად წასულიყო.

მოდით და წვიმა და ქალაქში იდგა ტალახი და წყალი.

მთებიდან მოდიოდა სიცივე და იყინებოდა ყველაფერი.

დაიტვირთა ბათომი. მოაწყდა ხალხი ყველა კუთხიდან.

ეხლა:

დადის ხალხი ტალახიან ქუჩებზე და ფერად-ფერად აზრებით  
იკვებება.

და ბორგავს: აზრი ბოლშევიკებზე, აზრი მენშევიკების ტაქტი-  
კაზე, აზრი კიდევ მრავალგვარ საკითხებზე.


მთავრობა აიმედებს ხალხს.

ყველგან: მიტინგები, კრებები, დადგენილებები, გამამხნევებე-  
ლი რეზოლიუციები.

ზოგს უხარია.

ზოგი კი დადის ცხვირ-პირ ჩამოყრილი და არ იცის რა ჰქნას,  
რა მიწა გადითხაროს.

დავიღუპეთ თუ არა, ალყა შემოგვარტყეს, მოგესპეს“.







„ნუ შიშობთ, ღრმა მთავრობის სტრატეგია!“

„ისე აგიშენდა ოჯახი!“—დადის ქუჩიდან ქუჩებში ასეთი გლა-

ღება.

გემებით აივსო ნავსადგური.

ხალხი ფუტკარივით შეესია ნავსადგურს.

არ არის ტევა. არ არის შეჩერება.

დაიხუთა სივრცე. არ არის ადგილი და იღრჩობა ხალხი.

ყველას თავის თავი ახსოვს. ფეხებზე ჰკიდია სხვისი ვაჭირ-

ვება.

თარეშობს შიში, სიცივე და შიმშილი.

ბნელა.

ზღვიდან ჰქრის.

ჰემუს ზღვა.

ქალაქში ტრიალებს აურ-ზაური, ზუზუნნი.

ნავსადგურთან ჰკვიან ქალები.

ქალაქს გარედ ახველებს ვინტოვკა.

ვასო სდგას ორსართულიან შენობის აივანზე.

ვასომ დიდხანს უყურა ზღვის მისტიურ სურათს და ფიქრებმა

წაილო.

ფიქრებმა აიყვანა გოლგოთაზე და ჯვარზე გააკრა.

ფიქრებმა ააცრემლა ბალღივით ვასოს სული.

ეხლა:

ვასო სდგას აივანზე, როგორც შავი მოჩვენება და უძრავია.

წვიმა და ქარი სცემს ცხვირ-პირში.

ვასომ არ იცის რა ჰქნას, ვერ იპოვნა ცხოვრების გზა.

აერია ყველაფერი. (ალბად ასე იტანჯება კიდევ სხვა, მრავ-

ლილი!)

ქარი და წვიმა სცემს მას ცხვირ-პირში და უხარია.

ვასო არ გრძნობს სიცივეს, თუმცა იყინება ქალაქი, სივრცე.

წვიმა კი რეცხს მის სახეზე წარსულის ცოდვიან ლაქებს...

უცებ:

აზუზუნდა გემი.

ვასო გამოერკვა, ღრმად ამოიხვნეშა და გაიარ-გამოიარა.

ქუჩებზე დადიან ადამიანები.

ვასოს ესმის წყლით და ტალახით გაბერილი ფეხსაცმელების

ქყაბა-ქყუბი და ჰგონია, რომ ეს შესახარი ხმა ამოდის მისი გული-

დან და გული მისი არის გაქყლეტილი.

და მერე ჰფიქრობდა ტვინგახურებული: „მთავრობა მირბის.“

დაიშალა დამფუძნებელი კრება. განსაცდელშია მთელი პარტია, განსაცდელშია მთელი საქართველო... საქართველოს გასრესა მოელის ბარბაროსთაგან. დაილუპება ქართველობა... სიკვდილი გვემუქრება ჩვენ ქართველ მოღვაწეებს...

ჩავვიგდებენ, დაგვხრეტენ, შეგვკამენ... ჰოი, მართლმსაჯულებავ, სად ხარ, სად!?

ჰოი საქართველოვ, დღე შენი უბედურია!.. საქართველოვ საქარ...თვე...ლოვ... (ამ სიტყვას არტისტიულ პაქოსით იმეორებდა).

მერმე:

ნერვებაშლილი ვასო უთავბოლოდ ბუტბუტებდა რაღაცებს და დადიოდა წარა-მარა. ბოლოს ასე ამბობდა თავისთვის: „ეხლარა მოელის ვასოს? დახვრეტა. რადგან მენშევიკია, დიდი მოღვაწეა და ბოლშევიკების დაუძინებელი მტერი. დიან, ვასოს მოსპობენ ბოლშევიკები და ერთ დღეს არ იქნება ვასო, დიდი კაცი ხალხისათვის თავდადებული“...

წვიმა და ქარი სცემს მას ცხვირ-პირში და ბრაზმორევით ებრძვის საკუთარ თითებს.

„არა, უნდა გადაწყდეს, დაყოვნება შეუძლებელია. დავრჩე თუ წავიდე?!. დავრჩე თუ წავიდე?.. დავრჩე თუ წავიდე“?..

დადის აივანზე და ბუტბუტებს.

პაუზა.

უცებ:

ქალაქის გარედ ატყდა თოფების ხმაური.

ვასოს გააჟრჟოლა და წახდა: მოლუნა შიშმა.

მერმე: კიდევ დიდხანს იდგა უმოქმედოდ და არ იცოდა როგორ გადაეწყვიტა.

ქალაქის გარედ კვლავ ატყდა ტყვიების ხმაური.

მაშინ:

ვასომ ყველაფერი ერთბაშად გადასწყვიტა: „ო, დარჩენა შეუძლებელია! ყველანი წავლენ, თავს უშველიან. მე განა სულელი ვარ? არა, თავი ყველაზე მეტად საყვარელია“—სთქვა ეს და თვალებში სინათლე მოუვიდა.

და მხოლოდ ეხლა იგრძნო ვასომ, რომ მას აწვიმდა და აივანზე გაჩერება შეუძლებელი იყო.

და უცებ:

ისევ გაისმა ქალაქის გარედ ტყვიების ხმაური.

ვასომ მაშინ მწარე შიშა იგრძნო და ოთახში შევიდა.

მეორე დღეს ვასო სწერდა ელოს სოფელში: „საქართველოს კეთილდღეობა მოითხოვს ჩემს გასვლას მის საზღვრებიდან. მივალ იქ, სადაც უფრო გამაგრდება საბოლოო პოზიცია. ნუ შეშინდები. ღვთის მადლით მალე დავბრუნდები. იმედებით აღივსე გული ჩემო ელო, ჩემო საყვარელო“.

წერილი მიჰქონდა ლტოლვილ წითელგვარდიელს. წითელგვარდიელს თან დიდი ავლა-დიდება მიჰქონდა ქალაქში შეძენილი უკანონოდ, უსამართლოდ.

მან ისარგებლა „პოგრომით“ და ვისი რა საქმეა (!)

საჯევახოსთან რიონის ხიდი ააფეთქა ქართულმა მესანგრეთა დივიზიამ.

ამით დიდი საქმე გადაწყდა.

ამით შეეკრა გზა ბოლშევიკებს და გურია თავისუფალი რეპობლა (!)

ჯავშნიანი მატარებელი დიდი სიფრთხილით დაცოცავდა ბათომსა და საჯევახოს შორის და დროგამოშვებით ანჩხლობდა; იცავდა ქვეყანას, იცავდა დემოკრატიულ რესპუბლიკის უკანასკნელ ნაწყვეტს.

ციხის ძირთან გაპარულ წითელგვარდიელთა ჯგუფმა გაიარა რკინიგზის ლიანდაგი.

ჯავშნიანი მატარებელი მიდიოდა ბათუმის მიმართულებით.

მიჰქონდა სიახლე, სიმშვიდე, იმედები.

მატარებლის უფროსმა სვლა შეაჩერა.

— თქვენ ვინ ხართ? საიდან?

წითელგვარდიელები იდგენ უსიტყვოდ.

— თქვენ საქართველოს მოღალატენი ხართ. თქვენ ღირსნი ხართ სიკვდილის! — იყიყინა უფროსმა.

მერმე:

უფროსმა იშიშვლა მაუზერი.

მაუზერმა დაიწყო გაჯიუტებული ხველება და წითელგვარდიელები თითოეულად ეცემოდენ მიწაზე...

ამიტომ ვასოს წერილი არ მისვლია ელოს.

ვასოს უხაროდა, რომ ელოს მიაწვდინა ამბავი.

ელომ არაფერი იცოდა და შიშით გული უსკდებოდა.

დაღამდა.

ისევ წვიმა და ქარი.

ყველას მობეზრდა სიცოცხლე.

სტიროდა ვინც რჩებოდა.

არ იცოდა რა მოელოდა ვინც მიდიოდა.

იტვირთებოდა გემები და დატვირთული გემები მიდიოდა  
ზედი-ზედ.

- არ არის მოსვენება.
- არ არის შეჩერება.
- არის ბრძოლა და ყიჟინა.
- არის გინება და ტირილი.

საქართველოს მთავრობა ზის გემში და საქართველოს მიწას-  
თან მას აერთებს მხოლოდ ღუზა ხუთასფუთიანი და უხეში ჯაჭვი.

- გემში ხროტინობს მანქანა.
- გემში ფაცა-ფუცია და მზადება.
- და ბოლოს:

ხუთასფუთიანი ღუზა მოშორდა საქართველოს მიწას დიდი  
ცერემონიით და დაიძრა გემი.

მთავრობამ უკანასკნელად გადმოჰხედა დემოკრატიულ რეს-  
პუბლიკის უკანასკნელ ნაგლეჯს და გემმა თვალუწვდენელ ნისლოვანში  
შეაცურა ისინი.

- დარჩა ქალაქი უბატრონოდ.
- აიბნა ხალხი.
- თვალეებში ჩადგა რეტე და შიში.
- მაშინ:
- მოცოცდენ თათრები და დაემუქრენ ბათოშს.

- გავიდა დღე.
- გავიდა ღამე.
- უცებ:

ქალაქის თვითმართველობის შენობის ზევით აფრიალდა წი-  
თელი დროშა.

„ვაიზე მოსულან!“ — იძახდენ შეშინებულნი და სოროებში იმა-  
ლებოდენ.

- ამ დროს:
- ქალაქში თავისუფლად დადიოდენ ძაბრისქუდიანები.
- ზღვას სწვავდა მზე.
- ზღვიდან ჰქროდა.

ზღვისპირი.

მთელი დღე განუწყვეტლივი ბრძოლაა ქალაქის გარედ.  
გარეუბნის ქაობებში სხედან რესპუბლიკის დამცველები და  
იქცევენ თავს.

ქალაქში დადის პანიკა.

შიში... შიში... შიში...

„ბოლშევიკები მოდიან ურდოებად!“

„ბოლშევიკები ჰკლავენ ადამიანებს!“

„ბოლშევიკები არ ინდობენ ბრტყვიალა ფოლაქებიანებს!“

„ბოლშევიკები ყელს სჭრიან ახალგაზრდებს ან და წინ მიერეკებიან მათ ბრძოლისაკენ ფარად!“

„ბოლშევიკები ანგრევენ სავაჭროებს!“

„ბოლშევიკებს ჰშიათ და ეძებენ საჭმელს!“

„ბოლშევიკები მოდიან ტიტველად და უნდა შეიმოსონ ჩვენი ავლა-დიდებით!“

„ბოლშევიკებს არ სწამთ სინდისი და ნამუსი!“

„ბოლშევიკები აცხადებენ უზნეო, ვნებიან კვირებს!“

„იმ დღეებში ბოლშევიკები არ დაინდობენ არცერთ დედაკაცს, გახრწნილს, გაუხრწნელს!“

„ო, რა გვეშველება, რა მიწაში ჩავვარდეთ!“

„ვაი ჩვენს გაჩენას, ვაი ასეთ სიკვდილს!“—დაჰქროლავს ხალხში ასეთი ამაზრზენი აზრები.

„სირცხვილი პროვოკატორებს!“

„სირცხვილი მხდალ მეჭორებს!“—გაისმის აქა იქ ჩუმი, მაგრამ გაბედული შეძახილი.

გაივსო ციხე „რესპუბლიკის მოლალატეებით“.

მიერეკება ხალხი ბათუმისკენ.

მიდის და მიდის, მაგრამ მაინც სავსეა ქალაქი.

ადამიანები დადიან ქუჩებში და ერთმანეთში ინაწილებენ ამ დიდ მწუხარებას.

ყველას რალაც აწუხებს.

ყველა სადღაც მიეშურება.

ყველას რალაც მიაქვს—მოაქვს.

ეხლა:

ქალაქის გარედ ისევ ისმის თოფების სროლა.

„დააბრუნეს, დააბრუნეს!“—აიმედებენ ხალხს.

„ისე ავიდგა გვერდები!“ ამბობს ვიღაც ჩუმად.

„დაიჭირეთ პროვოკატორი, მოლალატე!“

დაიჭირეს.

ციხეში არ არის ტევა.

დაღამდა.

ადამიანები დაბრუნდენ თავიანთ ოჯახებში, ბინებში.

ყველამ გაიჩინა ახალი საქმე:

უნდა იხსნან, შეინარჩუნონ მამა-სისხლად შექმნილი ავლა-დი-  
დება, თორემ რა ხეირია, თუ ბოლშევიკები დაეპატრონ მას; რეს,  
რასაკვირველია, არ იქნება არც ხელსაყრელი, არც სასიამოვნო.

მუხრანი და მთელი მისი ოჯახი გააპო ამ შიშმა.

მუხრან დაბარბაცობს უაზროდ, გალენჩებული.

პუბი იწყევლება და ჰკრავს ბარგს.

შუალამე გავიდა.

მუხრანმა ფართლელი გადმოზიდა სავაჭროდან.

მერმე:

სახლის ქვეშ (თხრილები) ორმოები ამოსჭრა, შიგ ჩაალაგა  
საქონელი:

ყველაფერი, ყველაფერი, რაც კი ჰქონდა და ზედ ნეშო და  
მტკერი მიაყარა.

გამოდვრენ სივრცეში არაქათგამოლული მუხრან და პუბი და  
ერთმანეთს გაუცინეს.

მაგრამ ეს სიცილი იყო წუთიერი.

ამ დროს: ქუჩებში დატვირთული ეტლები მიჭრიალებდნენ.

მდინარეზე მისრიალებდა ხალხით სავსე ბაიდები.

იხიზნებოდა ხალხი ნასოფლარ ტბის ტყეებში და კიდევ იქით, შორს,  
სულ შორს, საცა ბოლშევიკების კვალი ვერ მივიდოდა.

ვერავენ ისვენებდა; ან რა მოასვენებდა, როცა მათი ქვეყანა  
ნგრევის მოლოდინშია და სიცოცხლე ბეწვზეა დაკიდული.

გათენდა.

დღემ მოიტანა ისევ შიში და ფიქრი სიკვდილზე.

ქალაქში გავარდა ხმა: ქალაქის თვითმართველობა გაპარულა.

„უუ...!“—იგრილა ხალხმა და დაკარგა იმედი, სასოება.

მუხრანმა დალუნა თავი და ცრემლით დაენამა თვალები.

პუბი ხატის წინ იყო დამხობილი და ღვთისმშობელს ევედ-  
რებოდა.

თალო იწვა, თავი სტკიოდა და ჰქონდა სიციხე.

ქალაქის გარედ განუწყვეტლივი სროლაა.

„აბა, ბიჭებო, თქვენ გენაცვალოს ჩემი თავი!“—ამხნეებდა  
მუხრან მებრძოლებს თავის ოთახიდან.

მოვიდა საღამო.

და უცებ:

ქუჩები აივსო უკან დახეულ მებრძოლებით.

ხუმრობაა? ორი დღე და ღამეა რაც სხედან გარეუბნის ჭაობში  
და იცავენ რესპუბლიკას.

ეხლა:

მათ იხილეს ბოლშევიკების ესკადრონები და უშველეს თავს  
მირბიან და მირბიან. გაჰყვა მათ სხვებიც.

მირბიან ბათომისაკენ.

ბათომშია ხსნა. (!)

მუხრან და მისი ოჯახი დარჩა, ვერ მოახერხა გაქცევა.

მეორე დღეს ხალხი კითხულობდა რევკომის ბრძანებებს.

გადიოდა დღეები...

ქალაქელები განსაცდელს, სიკვდილს.

მუხრან ოთახში ჩაკეტილი იყო.

მუხრანს ეშინოდა, რადგან ღიპიანი იყო.

„ღიპიანებს დახვრეტენ“ ჰფიქრობდა იგი და ჰყლაპავდა შიშს.

ამ დროს:

თალო სხვენზე იყო გახიზნული.

არ ჩამოდიოდა.

იქ იწვა.

იქ ეძინა.

ბოლოს!:

სხვენზე დადგა ნესტის და შმორის სუნი.

თალო შეწუხდა, მაგრამ რას გააწყობდა, ირჩია შერიგებოდა  
ამ გარემოებას.

გადიოდა დღეები...

---

კუნძულზე დარჩა მოხალისეთა ლეგიონი.

ლეგიონმა ვერ მოასწრო გაქცევა.

ბოლოს:

იმათაც უშველეს თავს.

იარალს მდინარისაკენ უკრეს თავი და მოჰკურცხლეს.

წამოიღეს კონსერვები. პურები, შაშხი.

ხილთან შეჩერდნენ ისინი.

— Стойте товарищи! — შესძახა მათ ძაბრის ქუდიანმა ბოლშე-  
ვიკმა და წინ გადაეღობა.

შეიპყრეს.

და მესამე დღეს ისინი სამაზრო ქალაქის საპყრობილეში იხსდნენ.

მოელოდნენ განაჩენს.

განაჩენს სასტიკს და უღმობელს.

საპყრობილის ყოფა-ცხოვრებამ გასტენა პიერის სული.

პიერიც შეიპყრეს მაშინ.

იგი იყო მოხალისე.

ეს მოხდა მისი ნათესავის რჩევა-დარიგებით.

ნათესავი იყო გახურებული მენშევიკი და ექსტაზში მოიყვანა პიერ.

პიერმა იკისრა ქვეყნის დამცველობა და ჩაჯდა სასირცხვილოდ. ეხლა:

პიერ ზის საპრობილეში და ივინება მთელი შეძლებით.

ავინებს ის ნათესავ მენშევიკს.

გავიდა დღეები...

გამთენიის ხანია.

სძინავს ყველას.

სძინავს ქალაქს.

ტყვეები გამორეკეს საპრობილიდან.

მერე:

გაიყვანეს რკინისგზის ლიანდაგზე და წაიყვანეს სადღაც, აღმოსავლეთის მხარეზე.

„დახვრეტას გვიპირებენ ძმებო, თავს ვუშველოთ!“ ნადირივით იღრიალა ჯგუფმა.

„Молчать!“

ტეხურის პირათ გაიყვანეს ისინი.

ტეხურზე რკინისგზის ხიდი დაეზიანებინათ მენშევიკების ჯარებს, ეხლა:

ხიდი თხოულობდა სასწრაფო შეკეთებას მიმოსვლის აღსადგენად.

მერე:

ტყვეები მთელი დღე თეთრ ქვებს ეზიდებოდნენ.

ყველას ახარებდა ეს სასჯელი.

პიერს კვლავ დაუბრუნდა სიცოცხლის ხალისი.

ეხლა:

პიერ ტფილისშია.

მას ძმის ბედის გაგება სურდა და მიტომ გადასდგა ასეთი ნაბიჯი.

ვასო, რასაკვირველია, ვერ იპოვნა.

მაშინ:

პიერმა მარტოობა იგრძნო და შიშმა მოლუნა.

იგი ჩაიკეტა ოთახში: ოთახშია დღისით და ღამით.

ამიტომ არ იცის მან რა ხდება ქალაქში, ქუჩაზე.



უყვარს ძლიერ საკუთარი თავი და არ გამოდის გარედ(!)

ბოლოს:

პიერს მოსწყინდა ოთახი, კედლების მხატვრობა.

მოსწყინდა და მობეზრდა მას შვეინგერის „ბეტჰოვენი მეხის დროს“, რომლის ღრმა და მისტიურ ხედვას ალტაცებაში მოჰყავდა ხოლმე იგი.

პიერს ხეტიალი და მოუსვენრობა უყვარდა და, ეს დღეები შეიქნა მისთვის მეორე ტყეობად.

ძნელია ტყეეობა!

უცებ:

მოენატრა მას რუსთაველის გამზირზე გავლა; ლალიძის წყლის ქარხნის წინ კამათი თმახუტუჭა ახალგაზრდებთან და შეწყუბდა. და იკივლა პიერის სულმა, როგორც გაანჩხლებულმა მეძავე ქალმა.

— საბრალოვ, შენისთანეებს არავინ ერჩის.

იარე, საით გინდა, როგორც გინდა!

გარედან მოდის ჭაჭანი და ხმაურობა.

გავიდენ დღეები...

პიერმა მოინელა დღეები სისხლნაკლულნი და ღამეები ცივად. დახუთულნი.

ბოლოს:

დაეკარგა მას მოთმინება და, ერთ საღამოს გაიჭრა გარედ.

პიერ გიჟივით შევარდა დალალ ეფემიას ოთახში.

ქალბატონი ეფემია თავადის ქალი იყო, მაგრამ...

და ეხლა:

იგი ცხოვრობს თავისთვის არხეინად იქ, ქვეშ, ჯურღმულში, საცა მხის შუქი არაოდეს შეპარულა.

ეფემიას უჭირავს ჭვარტლიანი ოთახი და მუდამ უნთია ლამპა.

პიერ და ეფემია გახდენ მეგობრები.

ეს სულ მოკლე დროში მოხდა.

მერჯ:

პიერ დღე და ღამე სულ ეფემიასთან იყო.

პიერს უხარია შეღამება, რადგან მაშინ ბრუნდება შინ ქალბატონი ეფემია.

იცის პიერმა, რომ ქალბატონი ეფემია მოიტანს ცხელ-ცხელ ამბებს: „ბირჟაზე ესა და ეს მოხდა“.

„ესა და ეს დაუჭერიათ“.

„ბაზარზე სანოვაგის კრიზისია“ და მრავალი სხვა...

მერმე:



პიერ და ეფემია დასხდებიან ჩუმად და ბაასობენ პოლიტიკაზე უკონომიურ ცხოვრებაზე, ბოლშევიკების ტაქტიკაზე და მათ პერსპექტივებზე.

უცნაური დედაკაცია ეფემია.

ეფემიასთან დადიან ფერადი ადამიანები.

დადიან მასთან უბინაო სტუდენტები და კურსისტები და გულს უწყალებენ.

„ტიოტია“ ეფემია ოთახი უნივერსიტეტის უბანში“.

„ტიოტია“ ეფემია ინებეთ გასამრჯელო, მხოლოდ კი მოგვათავსე სადმე.“

მაშინ:

ეფემია ინაზება და თითქო ჰქენჯნის სინიღისი, ფული რო გამოართვას. ეშმაკია ეფემია.

— თქვენ ხვალ მობრძანდით ხუთზე, თქვენ ექვსზე, თქვენ შვიდზე. თქვენ... თქვე... ჩემი შვილებივით მიმაჩნიხართ და ისე ვიზრუნებ თქვენზე, როგორც ჩემს საკუთარ შვილზე დედის სული არ წამიწყდეს. განა არ ვიცი თქვენი მდგომარეობა... ნუ გეშინიათ, ხო, ასე...

მერმე:

ეფემია ხელს გაუშვერს, თითქო უნდა ჩამოართვას.

და როცა:

ქალაღდის ფული შეეხება ხელზე, მობლუჭავს და ჩუმად გაეცინება.

— შვილო, დამიდგეს თვალები, რისთვის?.. რისთვის ირჯებით... განა არ ვიცი თქვენი მდგომარეობა, რო...

— ეგ არაფერია „ტიოტია“ ეფემია, ეხლა ეს ცოტა მიიღეთ და მერმე ჩემზე იყოს.

— ჩემი პელოს მზემან, გიშოვნო, გიშოვნო, ნუ შიშობ. ეფემია ჰპირდება ყველას.

თუ უშოვნა კარგი, თუ არა მაინც კარგი.

ეფემია არაფერს აგებს; მას სხვაგვარი საქმეებიც უამრავი მოეპოვება.

მერმე.


დადიან სტუდენტები და „კურსისტები“ თვეობით, მაგრამ არ არის საშველი.

ეფემია მუდამ მოშაქრული იმედებით ისტუმრებს მათ.

პიერმა შეისწავლა ეფემიას ხასიათი და შეეგუა ძლიერ.

ეფემიასაც მოსწონდა პიერ, რადგან პიერს ჰქონდა მომთაფვლელი ენა და ქცევა.

პიერ ჰპირდებოდა დიდებას, პატივისცემას საბოლოოდ, მუდამ.  
ეფემიას უხაროდა და იყო კმაყოფილი.  
პიერის ლამაზი სიტყვები თაფლივით უტკობდა გულს.  
პიერიც ამაზე ფიქრობდა და სარგებლობდა.



ერთ დღეს პიერ ეკითხებოდა ეფემიას:

— ქალბატონო ეფემია, ჭკუიანი ქალი ბრძანდებით, ვიცოდებ  
ნეტავ რა აზრისა ხართ ბოლშევიკებზე, თანაუგრძნობთ?

— იჰ, დაუდგეს მათ თვალები, ჭირი მათ, მეხი მათ!

— დიდ ხანს იცოცხლებენ?

— წყალნი წავლენ და წამოვლენ...

— მაინც?

— ცხრა კვირა. გჯერა?

— ხო... რაეცი!..

— დამიჯერე, კარტმა ტყუილი არ იცის; ეს „ვტორ-ტორ“  
სიმართლეა. ბევრჯერ მიცდია და მუდამ სწორი გამომდგარა, ჩემი  
პელოს სულს გეფიცები.

პიერ სიხარულმა გაიტაცა და სიმღერა წამოიწყო.

ეფემია სუფრას შლიდა და ბანს ეუბნებოდა.

გავიდა დღეები...

დღეებმა მოუტანა პიერს უფულობა და შიმშილი.

პიერს ერთბაშად გაუძნელდა ცხოვრება.

ეხლა:

პირველად იგრძნო პიერმა ეს ორნაირი განცდა.

ძნელია უფულობა.

ძნელია შიმშილი.

პიერმა დაჰკარგა იმედები და წახდა კაცი.

ბოლოს:

მან იპოვნა გამოსავალი.

პიერმა ძილი შეიყვარა; ეძინა სულ, მანამ შეიძლებოდა.

მაგრამ ეშპაკმა იძინა მუდამ, გაგონილა?

და პიერს შემოეღია ძილის მარაგიც; გამოძლა ძილით.

შეწუხდა და სიმწრის ოფლი დაასხა შუბლზე.

გაჭირვება მიჩვენეო, მე გაქცევას გიჩვენებო!

პიერ გაიქცა ეფემიასთან.

ეფემიამ შეიბრალა და აჰმევედა ცოტ-ცოტას.

პიერ კუქს ატყუებდა.

(გავრძელება იქნება).



გენიტი ბუაჩიძე

## პროლეტარულ მწერლობის მუშაობის გეგმიანობისათვის

პროლეტარიატის დიალექტიურ მატერიალისტური გაგება, შემოქმედების რაობის რკვევას, ათავისუფლებს რელიგიოზურ ბუნდოვანებიდან. „ღვთაებრივი მადლი“, ზე-შთაგონება და ირრაციონალური სტიქიურობა, მიმავალ ეპოქის რელიგიასთან ერთად რჩება და დავიწყებას ეძლევა.

დღეს ადამიანის შემოქმედებითი უნარი (ხელოვნების სფეროში) იცვლის ზე-კაცობის ბრჭყვიალა ნიღბებს და საერთოდ შრომის პირობების ფარგალში ექცევა.

შემოქმედების რაობისათვის მისტიურ შარავანდედის ჩამოცილება მიზნეზი, რომ პროლეტარული ლიტერატურის განვითარების გზა გარკვეულ შემოქმედებით—ორგანიზაციული გეგმიანობით ხასიათდება. ეს ბუნებრივი და აუცილებელია; მაგრამ გადამახინჯებას და გაუგებრობებს რომ არ ექნეს ადგილი, როგორც თვით პროლეტარულ მწერლების, ისე გარეშეთა მიერ გარკვეულ უნდა იქნეს:

ორგანიზაცია ლიტერატურისათვის, მხოლოდ ხელშემწყობი საშუალებაა. პროლეტარული ლიტერატურისათვის ორგანიზაცია თვითმიზნური არ არის. ორგანიზაცია მისთვის ლიტერატურულ თვითდამტკიცების პირობაა. მთავარი მიზანია: ლიტერატურის შექმნა, რისთვისაც გამოყენებულ იქნება ყოველგვარი გეგმიანი საშუალებანი.

როგორც საერთოდ პროლეტარული ლიტერატურა ისე ქართულიც, ამ გეგმიანობით ხასიათდება; რის შედეგიც არის მორიგ უმთავრეს ამოცანებზე მთელი შემოქმედებითი და ამთვისებელი ენერგიის მიპყრობა. პროლეტარულ ლიტერატურის წინაშე, რო-

გორც, საკავშირო ისე ქართული მასშტაბით, — ძირითადი შემოქმედებითი მუშაობის სათანადო ხასიათის მისაცემათ, კიდევ გადასულ მწვავე ამოცანებათ სდგას, სწავლის და თვითკრიტიკის საკითხები.

პროლეტარულ ლიტერატურის პირვანდელ პერიოდს არ ახასიათებდა ამ ამოცანების უდიდესი მწაშნელობის შეკნება. ნიშნული იყო: სწავლის მაგიერ სავსებით თვითმყოზად პოტენციაზე დაყრდნობა. თვით-კრიტიკა კი აუტანელი და წარმოუდგენელი იყო პროლეტარული მწერლის შეგნებისათვის. პროლეტარული მწერლობის ეს უარყოფითი ტენდენციები ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი. ეს არის მიზეზი რომ უკანასკნელი პერიოდის გეგმიანი მუშაობის შინაარსი — აღნიშნული ამოცანების ორგანიული შეგნებაა, მათი მეტოდიური მუშაობით განხორციელებისათვის. წარსულის კულტურის დაძლევის და თვითკრიტიკის გარეშე არ წარმოიდგინება პროლეტარული მწერლობის შემდეგი განვითარება.

ამ ამოცანების განხორციელებასთან არის დაკავშირებული პროლეტარულ მწერლობის წარსულ იდეოლოგიური პლატფორმის (საკავშირო მასშტაბით) გადასინჯვა და ამ მიუღებელ მხარეებიდან გამომდინარე ტენდენციების აღმოფხვრა.

### იდეოლოგიურ პლატფორმის ორი მუხლი

პროლეტარულ მწერლობის პირველ საკავშირო კონფერენციის მიერ ამხ. ვარდინის მოხსენებაზე მიღებული რეზოლიუციის მეორე მუხლის ბოლო ამბობს:

„ბოლშევიზმი მუდამ იდგა და დგას იდეოლოგიურ შეურიგებლობის (непримиримость) მოუთმენლობის (нетерпимость) თვალსაზრისზე, იდეოლოგიურ ხაზის უეჭველ სიმტკიცის თვალსაზრისზე“ პროლეტარულ მწერლობის ორგანიზაციის ეს პირვანდელი შეურიგებლობის და მოუთმენლობის პრინციპები ნიშნავს ახალ პერიოდში (ნები) კლასიურ ბრძოლის ახალი ფორმის შეუგნებლობას. იგივე შეურიგებლობის პრინციპი არის ლიტერატურულ თანამგზავრობის საკითხის განმსაზღვრელი.

პროლეტარიატი ხელისუფლების ჩაგდების შემდეგ განსაკუთრებით ნების პერიოდში — მწვავე კლასიურ ბრძოლას აყალიბებს ახალ ფორმებში — პირობით მშვიდობიან თანამშრომლობაში, თანდათანობით ზედმოქმედების გაძლიერებაში. მტრული ფენების საბოლოო და ბუნებრივად გადაამუშავება გარდაქმნისათვის მოუთმენლობის (нетерпимость) პრინციპი აქ იხსნება, როგორც კლასიური ბრძოლის ახალ ფორმისთვის გამოუსადეგარი და მოწინააღმდეგე პო-

ზიცია. ვარდინის შეხედულების მთავარი დასაყრდენი კი ეს შეუ-  
რიგებლობა—მოუთმენლობაა, რაც ნიშნავს მოპირდაპირე ლიტერატურულ ფენების განცალკავებას, მათი გადამუშავება—ხედმოქმედებისათვის, პროლეტარულ მწერლობის მიერ საშუალების მოსპობას.

დღევანდელ პერიოდში საჭიროა არა მოუთმენლობა—არამედ თანამშრომლობა, რაც უნდა ნიშნავდეს ხედმოქმედებას, უცხო ლიტერატურულ ფენების თანდათანობით გადამუშავებას და არა პირიქით. რეზოლიუცია პარტ-პოლიტიკის შესახებ მხატვრულ ლიტერატურაში გარკვევით ამბობს: „партия должна терпимо относиться к промежуточным идеологическим формам, терпеливо помогая эти неизбежно многочисленные формы изживать в процессе все более тесного товарищеского сотрудничества с культурными силами коммунизма“. ეს არის პირდაპირი პასუხი იმ პოზიციის წინააღმდეგ, რომელიც რიცხავს თავის ულტრა მიუკარებლობით თანამშრომლობას და ზეგავლენას.

ვარდინის რეზოლიუციის მე 11-ე მუხლი გვაუწყებს: „ჩვენ გადავედით პროლეტარიატის კულტურულ განვითარების ისეთ ზოლში, როდესაც პროლეტარულ ლიტერატურის მხოლოდ „ცნობა“ არ არის საკმარისი, როდესაც აუცილებელია ცნობა ამ ლიტერატურის ჰეგემონიის პრინციპისა, ამ ლიტერატურის გამარჯვებისათვის ურყევი, სისტემატიური ბრძოლის წარმოება, ბურჟუაზიული და წვრილ-ბურჟუაზიულ ლიტერატურის ყველა სახეების შთანთქმისათვის“, ნაწილობრივ სწორად დასმული დებულებანი, თვით ავტორების მიერ იქნა ყალბად გაგებული და გადამახინჯებული. პროლეტარულ ლიტერატურის ჰეგემონიის პრინციპის ცნობა აუცილებელია; მაგრამ ბურჟუაზიულ და წვრილ-ბურჟუაზიულ ლიტერატურის ყველა სახეები და დანიშნულების შთანთქმა არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ხელოვნური დახუთვა არსებულ სახეებისა ბრძანებლობით და ერთბაშად თავდასხმით შთანთქმის ცდა ლიტერატურის ბურჟუაზიულ და წვრილ-ბურჟუაზიულ ნიშნებისა. ეს მოუხერხებელი, მიზანს მიუხედავად გზაა, რომლის შეგნება აკლდა „ვაპკ“-ის უმცირესობის სამოქმედო გეგმას. (პრაქტიკული საქმიანობა).

ამ ერთბაშად შთანთქმის დებულებას ზოგიერთი ამხანაგები უკავშირებენ ტროცკის პერმანენტულ რევოლუციის დებულებას, რაც არ არის მოკლებული დამაჯერებლობას. რევოლუციის ერთიანი დაკვირვებით მოხდენა ბუნებრივად უკავშირდება პროლეტარულ ლიტერატურის მიერ ბურჟუაზიულ ლიტერატურის ყველა სახეების შთანთქმას. ორივე ეს დებულება რევოლუციის პროცესის ვერ გა-



გებას ამჟღავნებს—და კერძოდ კი პროლეტარული ლიტერატურისთვის დაკავშირებულია მრავალგვარ უარყოფით მოვლენებთან. უპირველეს ყოვლისა ამგვარი დებულებანი უქნიან ნიდავს პროლეტარულ მწერლებში კომ-ყოყობას, რაც უმთავრესათ დამღუპველია იმითაც, რომ რიცხავს სწავლის საჭიროების შეგნებას.

### ორმაგი გაზვიადების უკიდურესობანი

ნიშნულია ორმაგი გაზვიადების წინააღმდეგობანი, რომელნიც ერთმანეთში არ თავსდება და თვითეული უარყოფით შეფასების ნიშნულია. ერთის მხრივ პროლეტარულ ლიტერატურის არსებული სახის—ძალების წარმოდგენის გადაჭარბება. ეს ნაადრევათ თვით-კმაყოფილების განცდა—„კაზიონური ოპტიმიზმი“ მანე და საშიში ილიუზიაა. პროლეტარულ ლიტერატურის ჰეგემონია შესაძლებლობიდან სინამდვილეთ ჯერ კიდევ არ ქცეულა. ის ჯერ კიდევ შორსაა ამ ჰეგემონიიდან და ხელოვნური საშუალებებით, მით უმეტეს ილიუზიით, ვერ გაუთანაბრდებით მას.

აუცილებელია ჩვენი პროდუქციის ხარისხის შეუწყვეტელი ზრდა, ჩვენი ლიტერატურის ვრცეულობის,—თემატიურობის და ათვისების გაფართოება; აუცილებელია მასსიური მკითხველის დაპყრობა, მასზე ემოციონალურ ზედმოქმედების სიძლიერის მიხწევა, ახალი მკითხველის ბურჟუაზიულ ლიტერატურის გავლენისაგან განთავისუფლება—**რომ ამით ჰეგემონია—შესაძლებლობიდან—სინამდვილეთ იქცეს.**

მაგრამ ეს გზები ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს გავლილი. არსებული პროლეტარული ლიტერატურის ძალის გაზვიადება კი ამ ამოცანების შესრულებას საგრძნობლათ სპობს, საკუთარივე ინტერესებისთვის, ამდაგვარ უკიდურესობასთან ბრძოლაა საჭირო მის საბოლოო აღმოსაფხვრელათ.

მეორე მხრივ: არსებულ ბურჟუაზიულ ლიტერატურის ძალის და გავლენის გადაჭარბებითი წარმოდგენა. თანამგზავრულ ლიტერატურის როლის არ დაფასება. ლიტერატურის სინამდვილის ამგვარი შეფასება, განსაკუთრებით შესამჩნევია რუსეთში, სადაც თანამგზავრული ლიტერატურა ძლიერია. საქართველოში კი პირველიც და მეორეც სუსტია.

საერთოდ: ზედმეტი შიში ბურჟუაზიულ ლიტერატურის წინაშე უსაფუძვლოა. ბურჟუაზია—რომელსაც თანდათან საბოლოოდ ეცლება ეკონომიური ნიადაგი—კულტურის სფეროში ჩქარის ნაბიჯებით კარგავს შემოქმედების უნარს. არის ნიშნები ახალი ბურჟუაზიის კულტურულ-იდეოლოგიურ კლასიურობის აღმოცენების, მაგრამ

მასთან აშკარა ბრძოლით ის შეზღუდული და გასაქანს მოკლებულია, როგორც ზინაგანი, ისე გარეგანი პირობების გამო. უფრო ნიშნულია, რომ ბურჟუაზიული ლიტერატურა, კლასიურ პოეტნიციიდან დაცლილი, იქსაქსება, იშლება, კარგავს ზედმოქმედების უნარს და მისი უფრო ცოცხალი, ნაწილების თანამგზავრული გარდაბადება ხდება.

თანამგზავრობის ყველა ხასიათის სახეები მრავალ-გვარ შუალედ იდეოლოგიურ ფორმების, კომუნისტურად გარდაქმნის პროცესია. ამ პროცესს კი—როგორც რევოლიუციის ლიტერატურულმა გულმა,— პროლეტარულმა მწერლობამ უნდა შეუწყოს ხელი. ამხანაგური თანამშრომლობით, დახმარებით, კრიტიკით. მუდმივად მტრული დაპირდაპირება თანამგზავრობის მნიშვნელობის ვერ გაგებას ნიშნავს. ასეთ მტრულ დაპირდაპირებას—რომელიც რიცხავს თანამშრომლობას და ამით ზედმოქმედებას,—ადგილი ქონდა, როგორც რუსეთის, ისე ქართულ სინამდვილეში. დღევანდელი პერიოდის პროლეტარული ლიტერატურა იცილებს ასეთ უტაქტო უკიდურესობას. რუსეთში საბჭოთა მწერლების ფედერაციაც კი შეიქმნა, რომელიც ნიშნავს პროლეტარული მწერლების თანამშრომლობას დანარჩენ მწერლებთან,—მათზე გავლენის მოპოებას თანდათანობით ხელმძღვანელობის გაფართოებით; მწერალთა მასის შემოქმედებით. კომუნიზმის მიმართულებით წამართვას და არა იდეოლოგიურ და ლიტერატურულ საზღვრების წაშლას—პროლეტარულ და არა პროლეტარულ მწერლებს შორის, არა მოსპობას კლასიურ კრიტიკის და წინააღმდეგობებისას.

საკიროა თანამგზავრობის საერთო ხასიათის გარკვევა, რომ შემდეგ გამოჩახულ იქნეს მათთან დამოკიდებულების უკეთესი ფორმები რევოლიუციის (პარტ-პოლიტიკის შესახებ მხატ. ლიტ) მეათე მუხლის (თანამგზავრების შესახებ) პირველი დებულება ამბობს „თანამგზავრების მიმართ აუცილებელია მხედველობაში მიღებულ იქნეს:

**მათი დიფერენციულობა“.**

და უმთავრესი თანამგზავრობის საკითხში სწორედ ეს დიფერენციულობაა, სწორედ ეს დაყოფაა. თანამგზავრობა ეს საერთოდ ლიტერატურის უდიდესი ნაწილის ნიშნული ტენდენციაა, მხოლოდ სხვა და სხვა ხარისხის, ხასიათისა ცი—ხშირად თავისებურ გადამახინჯებით, ზოგჯერ პირვანდელ „სმენა-ვეხოფურ“ ყინულითაც შემორკალური. თანამგზავრობა ერთსახოვანი ლიტერატურულ-ორგანიზაციულ მთლიანობათ არ წარმოიდგინება. თანამგზავრობა წინააღმდეგობებით სავსე დიალექტიკაა ბურჟუაზიულ-ფეოდალურ-ლიტერატურიდან ახალ ლიტერატურისაკენ, ამასთანავე თანამგზავრობის



საერთო ხასიათისათვის—თითქმის ყველა ხარისხის თანამგზავრებისათვის ძალაში რჩება ტროცკის ცნობილი საკითხი—ფორმულა „რომელ საღვურამდე“?

პროლეტარული ლიტერატურის მიზანს შეიცავს მოპირდიპირე კლასების ლიტერატურის გარდაქმნა და მათი ადგილის დაჭერა. ეს კი თანდათანობით პროცესია და ამ პროცესის შემადგენელი რგოლი თანამგზავრობაა—ამიტომ არ უნდა ექნეს ადგილი თანამგზავრობის არც გაზვიადებას და არც მისი მნიშვნელობის ვერ გაგებას, რომ ამით პროლეტარულმა ლიტერატურამ უნაკლოთ შეასრულოს თავის კლასიური დანიშნულება, მთელ ლიტერატურაზე და მკითხველ მასაზე გადამუშავება ზედმოქმედებისათვის მომავალ უკლასო საზოგადოების ლიტერატურისათვის ნიადაგის შესაქმნელათ.

### პრაქტიკულ საქმიანობის საკითხები

საკ. კომ. პარტ. მხატვ-ლიტერატურულ პოლიტიკისათვის გამო-მუშავებულ რეზოლიუციის შემდეგ არ შეიძლება პროლეტარულ მწერალთა ორგანიზაციების ლიტერატურული პოლიტიკა, პრაქტიკული საქმიანობა, შეფარდებული და შეთანხმებული არ იყოს პარტიის ხაზთან პროლეტარული მწერლობის მიერ დისკუსიონურ მუშაობის ჩატარება, ლიტერატურულ პარტ-პოლიტიკის საკითხებზე მეტად ნაყოფიერი და დროული იყო იმდენათ—რამდენადაც ეს გამწვავებული კამათი მოპირდაპირეთა შორის გასაგები გზა იყო, მთლიანი პარტიული პოლიტიკის შესამუშავებლათ. ხოლო როდესაც რეზოლიუცია ესოდენ მნიშვნელოვანი იყო, დადებითი ხაზით პროლეტარული მწერლობისათვის, იმ პერიოდისათვის მნიშვნელოვან და სადავო დებულებების ირგვლივ ბრძოლის გაგრძელება პარტიის ხაზთან შეუთანხმებლობა, ნიშნავს ლიტერატურულ მუშაობის ახალი პერიოდის თვისების ვერ გაგებას—რაც თავის მხრივ გამომჟღავნებელია დიალექტიურ აზროვნების უნარის უქონლობის, რომელიც განსაკუთრებით მეტად მავნეა, ზრდის პროცესში მყოფ პროლეტარულ მწერლობისათვის, ასეთი ინერციით წარსულის მეთოდებით მუშაობის გაგრძელებას ადგილი ქონდა რუსეთში, მაგრამ 1926 წ. თებერვლის „ვაპპ“-ის (საკავშირო პროლ. მწერალთა ასოციაცია) საგანგებო კონფერენციამ შესცვალა სამოქმედო კურსი, როდესაც „На посты“-ს უკიდურესი „მემარცხენე“ ფრთა, ვარდინ-ლელევიჩ როდოვის სახით, ჩამოცილებულ იქნა სახელმძღვანელო მუშაობიდან და ვაპპის ახალი ხელმძღვანელ კადრის კურსი, შეთანხმებულ იქნა როგორც პროლეტარულ ლიტერატურის შემოქმედებით ამოცანებთან, ისე საერთოდ.

ლიტერატურის განვითარების უკანასკნელ მდგომარეობასთან. საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, დრო და დრო წარსულში „ვაპპ“-ის „მემარცხენე“ ამხანაგების გავლენის ქვეშ მყოფი, 1926 წლის პირველი ყრილობის დროს და განსაკუთრებით 1927 წლის მარტის პლენუმის დროს, გაიმიჯნა ამ „მემარცხენე“ ამხანაგების იდეოლოგიურ პლატფორმის შემცდარ ხაზიდან და საერთოდ შა.ი. მუშაობის მეთოდებიდან. როგორც „ვაპპ“-ის ისე საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ორგანიზაციის კურსის შეცვლასთან დაკავშირებით, ჩვენ წინაშე პირველ რიგში დადგა წმინდა შემოქმედებითი საკითხები, უპირველეს ყოვლისა დაკავშირებული სწავლისა და თვით კრიტიკის საკითხთან.

**სწავლის, შემოქმედების და თვითკრიტიკის** ასეთი რიგით, პროლეტარულ მწერლობის წინაშე დასმის მნიშვნელობა არ ესმოდათ „მემარცხენე“ ამხანაგებს, რაც გარკვეულ საშიშროებას ქმნიდა პროლეტარული მწერლობის შემდეგი განვითარებისათვის.

სწავლა არ ნიშნავს, პროლეტარულ მწერლისათვის შემოქმედებაზე ხელის აღებას, მოწაფეთ გახდომას. ჩვენ ვამბობთ მხოლოდ რომ წარსული კულტურის შეთვისება პროლეტარული მწერლის შემოქმედებისათვის აუცილებელია. ყოველ ეპოქაში, ყოველ ახალ ლიტერატურის შექმნის დროს ასე იყო. თუ ძველი მიხვევების დონე დაძლეული არ არის ისე ახალი მიხვევები არ იქმნება. თვით-კრიტიკა — რომელიც საკუთარი შემოქმედების გაჯანსაღების და სათანადო გზით წამართვის საშუალებაა არ რიცხვას, არა პროლეტარულ ლიტერატურის კლასიურ კომუნისტურ კრიტიკას.

ამდაგვარადვე გადამახინჯებული იყო, არა პროლეტარულ ლიტერატურასთან დამოკიდებულების საკითხი, რომელიც დღეს როგორც რუსეთში, ისე საქართველოში ნორმალურ და სასურველ ხასიათს იღებს, პროლეტარულ მწერლების მხრივ. დღევანდელ პერიოდის პროლეტარულ ლიტერატურას უნდა ახასიათებდეს კონკრეტულობა ზოგადი ფრაზების მაგიერ.

საქ. პროლეტარული მწერლების ასოციაცია უკანასკნელი (მარტი 1927 წ.). პლენუმით, გაიმიჯნა რა „ვაპპ“-ის „მემარცხენე“ უმცირესობის სამოქმედო ხაზიდან — გარკვეულად გადაიხარა ამ კონკრეტულ საქმიანობისაკენ.

მთელი ენერგია გადატანილ უნდა იქნეს ლიტერატურულ მუშაობაზე. განსაკუთრებით საქართველოში, პროლეტარული მწერლობისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხი მკითხველთა მასის დამუშავებაა ურთი-ერთი გაცნობა როგორც ცენტრში ისე პროვინციაში.

აუცილებელია მეზობელ რესპუბლიკებთან კულტურულ თანამშრომლობის განმტკიცება, პროლეტარულ ლიტერატურის ინტერნაციონალურ ბუნების შინაარსი ითხოვს ამას. მუშათა მასსასთან, მჭიდრო ლიტერატურული კავშირის გამბით, მისი გემოვნების გადამუშავებასთან ერთად—აუცილებელია ყოველმხრივ შექმნილი იქნეს პირობები, ახალი მწერლების გამოსამელავნებლათ.

მუშკორთა მასსა ახალი ჟურნალისტის, პროლეტარული მწერლის, საბჭოების კულტურულ მუშაკების, რეზერვუარია.

საქართველოში ოქტომბრის მეექვსე წლის თავზე—ძლიერი ტემპით, მიმდინარე მუშათა და გლეხთა საბჭოების, სამეურნეო ფრონტზე გაცხოველებული მუშაობა, საფუძველია კულტურის ურთულეს სფეროში, ახალ მუშაობის დაწყებისა, რომ მეურნეობის სოციალისტური ელემენტების დაგროვებასთან ერთად, მტკიცდებოდეს სოციალისტური კულტურის საფუძვლები, გარდამავალ პერიოდის პროლეტარულ კულტურის კლასიურობის განმტკიცების სახით. პროლეტარულ მწერლების არსებულმა კადრმა უნდა აწარმოოს მასსის ყველა ფენებში, ახალ კულტურულ მუშაობის შექმნისა და გამომჟღავნებისათვის მუშაობა, რაც კულტურულ რევოლიუციის ძირითადი საფუძველია.

ეს არის შინაარსი პროლეტარულ მწერლობის მუშაობისა, რომლიდანაც ჯერ ძალზე ცოტა არის გაკეთებული და რის თანდათანობითი შესრულებაც მომავალ პრაქტიკულ საქმიანობის გადაუდებელი ამოცანაა.

## ანტონ ფურცელაძე

(უკანასკნელი თავი მონოგრაფიიდან: „ქართველი საზოგადოება და ანტონ ფურცელაძე“)

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში დამზადდა და დამუშავდა ის საზოგადოებრივ-იდეოლოგიური ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა ანტონ ფურცელაძის პიროვნება.

### რა თვისებებისა ეს ნიადაგი?

გარედან შემოჭრილმა პოლიტიკურმა, სახელმწიფოებრივმა ძალამ ღრმა ძირითადი ცვლილება მოახდინა ქართველ საზოგადოებაში: მან იკისრა მისი საკუთარი მთავრობის მაგიერობა და ეს საზოგადოება „ნებით თუ უნებლიეთ“ მიიყვანა იმ საერთო დასკვნამდე, რომ ის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას სრულიად არ საჭიროებს: მას თვითმპყრობელურ რუსეთის მთავრობასთან ერთად „საერთო სამშობლო“ აქვს და ისიც ამ „საერთო სამშობლოს“ ინტერესებს ემსახურება.

მაგრამ იგი, ამავე დროს „თავისებურებასაც“ გრძნობს და საკუთარი ეროვნული ინდივიდუალობის გამოჩენაც სწყურია: დღემდე იგი მიმკვდარებულს ჰგავდა, ხოლო დღეს კი სიცოცხლის ნიშნებს იჩენს და საკუთარ ფეხზე დადგომა სურს.

სახელმწიფოებრივი „პროტეზი“, რომელიც მის გამოცოცხლებულ ორგანიზმს ისტორიამ „ჩაუყენა“, თუმცა აწუხებს, ძალიანაც აწუხებს, მაგრამ მეორე მხრით საშუალებას აძლევს, რომ „ცხოვრებაზე“ „იზრუნოს“, იფიქროს.

ამიტომ ის „პროტეზს“ ეჩვევა, იტანს, ხოლო მეორე მხრივ ჰგრძნობს, რომ მას **ეროვნულ კულტურის** აღორძინების დიდი მოთხოვნილება უჩნდება, მაგრამ **ეროვნული კულტურა** მას ხომ წინათაც ჰქონდა: **ეს იყო ძველი, ფეოდალური კულტურა.**

ეხლა კი ფეოდალიზმის მოსპობის და კაპიტალისტური წარმოების წესის შემოღების შემდეგ **ჩნდება ახალი კულტურა და აი ამას უნდა მიეცეს ეროვნული სახე.**

მაშასადამე, ამ საზოგადოების მთავარი ამოცანა მდგომარეობს

იმაში, რომ ძველი კულტურა შეცვალოს ახლით ისე, რომ ეროვნულობა შეინარჩუნოს. ეს გარემოება ერთი მხრით ჰბადებს სასტიკი ბრძოლის საჭიროებას ძველი კულტურის წინააღმდეგ, ხოლო მეორე მხრით—ახალი კულტურის შეთვისებისა და მისი ეროვნული ფორმების შექმნისას. საჭიროება კულტურული ბრძოლის და საჭიროება კულტურული შემოქმედების! მაგრამ ეკონომიური და სოციალური ცხოვრების ძარღვი, კერძო საკუთრება და კერძო ინიციატივა, ამიტომ კულტურული ბრძოლაც და კულტურული შემოქმედებაც ინდივიდუალისტურია, პიროვნების საქმეა და არა კოლექტივის.

აქედან ყოველივე საზოგადოებრივი თითქო პიროვნების გრძნობა-გონებიდან გამომდინარეობს. ერთი სიტყვით, პიროვნების ინტერესი, ამ ინტერესისათვის ბრძოლა და ძველი საზოგადოების მონობისაგან ამ პიროვნების თანდათან განთავისუფლება ხანის, ანუ ეპოქის დამახასიათებელია.

ასეთ ხანაში გამოდის სამოქმედოდ ანტონ ფურცელაძე.

### ანტონ ფურცელაძე

1: ვინ იყო ის? 2: რას, ან ვის წარმოადგენდა? 3: რა პიროვნულ თვისებებს და ძალას შეიცავდა? და 4: ქართველ საზოგადოების ცხოვრებაში რა როლი როგორ შეასრულა?

აი რა კითხვებზე უნდა ვუპასუხოთ ჩვენ აქ.

#### 1. ვინ იყო ის?

ანტონ ფურცელაძე იყო იდეოლოგი თავის დროის საზოგადოებისა. „იდეოლოგია არის საზოგადოებრივი შემეცნება“, ასე რომ ის ერთგვარად „საზოგადოებრივი აზრია“, საერთო საზოგადო შეგნებაა: ცხადია, ამის გამოხატველი „იდეოლოგიაც“ არის. მაგრამ ანტონ ფურცელაძე ასეთი იდეოლოგი როდი იყო!

როგორც ვიცით, იდეოლოგია საერთოდ სრულიად დამოკიდებულია თავის „საფუძველზე“, ე. ი. ეკონომიკაზე და თავის „საწყისებსაც“ იქიდან ლებულობს. და როცა ვითარდებიან, იზრდებიან ეკონომიკაზე აგებული „ზედნაშენები“, სოციალური და პოლიტიკური ფორმები, მაშინ იდეოლოგიაც ამისდაგვარათ ვითარდება და დიდ, თითქმის დამოუკიდებელ ძალად იქცევა ხოლმე!

და აი მაშინ ის ჩვეულებრივ „საზოგადოებრივ აზრს“ კი აღარ წარმოადგენს, არამედ ისტორიულ ძალას, — რომელსაც წინ მიჰყავს საზოგადოება მთლიანათ.

ასეთი იდეოლოგია გამოხატავს საზოგადოების განვითარების

იმ ტენდენციებს, რომლებიც მომავალში იმარჯვებენ და საზოგადოების საერთო, საზოგადო და ჩვეულებრივ საფუძვლებად ხდებიან. აი ასეთი იდეოლოგიის შემომქმედი და გამომხატველი იყო ანტონ ფურცელაძე.

რას წარმოადგენდა მისი დროის ქართველი საზოგადოება და განვითარების რა საზოგადოებრივ ტენდენციებს შეიცავდა ის, რომელთა გამომხატველი უნდა გამხდარიყო ანტონ ფურცელაძე?

ის დაიბადა და აღიზარდა იმ დროს, (1840—50 წ.წ.) როცა ქართველმა საზოგადოებამ თავის ეროვნულ-შეიარაღებულ უიმედო ბრძოლის შემდეგ რუს თვითმპყობელური მთავრობის სახით, მიხეილ ვორონცოვსა და „დიდ-მთავარ“ მიხეილში თითქო „ეროვნული მზრუნველი“ მოიპოვა. ეს ერთი.

მეორე, ეს ის დრო იყო, როცა რუსეთის სავაჭრო კაპიტალი მძლავრათ შემოიჭრა ქართველ ყოველდღიურ ცხოვრებაში და ნატურალური წარმოების საფუძვლები მძლავრათ შეარყია. ეს ის დრო იყო, როცა ჩვენებური ფეოდალური პარტიკულიარიზმი სრულიათ აილაგმა და რუსეთის თვითმპყობლობის ხიშტი მთელ კავკასიაში გაბატონდა.

წინად თუ ქართველი დედები თავიანთ ატირებულ „ბალებს“ ლეკის სახელით აშინებდენ—„სუ, დაჩუმდი, თვარა ლეკი მოვაო!“— ეხლა ისინი ამავე მიზნით რუს-სალდათის სახელს იშველიებდენ. მეორე მხრით, ყოველ ქართველ გლეხს „რუსხელმწიფის“ დიდება ეკერა ენაზე, ხოლო ყოფილ მოქალაქეს კერძოთ—ვორონცოვის სახელი.

ამრიგათ თავისი ცნობა, თავისი თავის იმედი და პატივისცემა მას თითქო სულ გაუქრა.

და აი ამ დროის საერთო, საზოგადო ძირითადი ამოცანა იყო, რომ ქართველ ხალხს თავი ეცნო, თავის შინაგან ძალას დამყარებოდა საზოგადოებრივ განვითარების შემდეგ საფეხურზე ასვლაში. ნატურალური წარმოება და მასზე აგებული ფეოდალური წყობილება ირღვეოდა, იწყებოდა საქონლის წარმოება და მასზე აგებული კაპიტალისტური წყობილება.

მაშასადამე ის პირველი საფეხური, რომელზედაც ეროვნულათ გათვითცნობიერებული ქართველი საზოგადოება უნდა შემდგარიყო 60-იან წლებში, კაპიტალიზმის დასაწყისი იყო.

მეგრამ კაპიტალიზმი, თავის გაჩენის დღიდანვე, ერთი მხრით, რომ ადამიანის პიროვნებას „ჩაღხავს“, ამხვილებს და „კულტურულათ“ მაღლა-მაღლა სწევს, მეორე მხრით მას (ადამიანს) „ათახ-

სირებს“, ამცირებს, მონად ხდის, „ფიზიკურათ და ზნეობრივით“ ამახინჯებს.

ამ სახით იმ დროს, როცა ანტონ ფურცელაძე ფიზიკურათ და ფსიქიურათ მომწიფდა, როცა ის დროის შესაფერი ცოდნით და თვითგანვითარებით შეიარაღდა, ქართველ საზოგადოების ცხოვრებაში შემდეგი სამი ტენდენცია გამოინასკვა: 1: **ეროვნული თვით-შემეცნებისაკენ, საკუთარი თავის ცნობისაკენ მისწრაფება, 2: კაპიტალიზმისაკენ „წესიერი“ სვლისთვის გზის გაკაფვა, და 3: კაპიტალიზმის უარყოფით მხარეებთან ბრძოლა შორეული მომავლის, სასურველი წყობილებისათვის ნიადაგის მზადება.**

ამას რომ რუსთა საზოგადოების ვითარება შეუფარდოთ, დავინახავთ, რომ იქ პირველ გვარ ტენდენციას, ე. ი. ეროვნულათ აღდგენას, ადგილი არა ჰქონია, რადგან ის „აღდგენილიც“ იყო და ბევრ „ხალხებზე“ გაბატონებულიც. ის მხოლოდ ორ უკანასკნელს გამოხატავდა და ამიტომაც მისი იმდროინდელი მოწინავე იდეოლოგია მხოლოდ **ლიბერალიზმაში** და **„ნაროდნიკობაში“** გამოიხატა.

ეს ქართველი საზოგადოებისათვის არ იყო საკმაო: მისი განვითარების საფუძველს ეროვნული თვითშემეცნება შეადგენდა; ამიტომ მისი იდეოლოგიის აუცილებელი ძირითადი პრინციპი ეროვნულობა იყო.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ 60-იან წლებში არც ერთი ისეთი იდეოლოგიური ჯგუფი არ გამოხსულა, რომელსაც ეს ეროვნული პრინციპი არ ახასიათებდეს. ანტონ ფურცელაძის იდეოლოგიასაც ეს ეროვნული იდეა ახასიათებს.

მაგრამ მან ეს იდეა დაუკავშირა მე-3-მე ტენდენციის გამომხატველ იდეას—**უტოპიურ სოციალიზმს** და რუსულ „ნაროდნიკობას“.

ამნაირათ, მისი იდეოლოგია **ნაციონალიზმის, უტოპიურ სოციალიზმის და ნაროდნიკობის ძირითად ელემენტს** შეიცავდა, ერთი სიტყვით ის იყო **ნაციონალ-ნაროდნიკი**.

## 2. რას ან ვის ზარმოდგენდა?

„საზოგადოება, რომელიც ერთხელაც არის შემდგარა კაპიტალიზმის გზაზე, ბუნებრივი აუცილებლობით განაგრძობს ამ გზაზე სვლას“, სთქვა მარქსმა.

მაგრამ რა მოუვა იმ საზოგადოებას, რომელიც კაპიტალიზმის გზაზე ჯერ კიდევ არ შემდგარა: ან ისევ პირველყოფილ მდგომარეობაში იმყოფება, ან და ფეოდალურ საფეხურებზე სდგას?

არ შეეგებები იმ საკითხს, თუ რამდენათ არის შესაძლებელი, რომ პირველყოფილ მდგომარეობიდან საზოგადოება პირდაპირ კაპიტალისტურ საფეხურზე „ახტეს“.

ქართველი საზოგადოება, როგორცა ვთქვი, იმ დროს, როცა კაპიტალი მის ცხოვრებაში შეიჭრა, ფეოდალიზმის უმაღლეს (თუმცა დაცემის ხანის) საფეხურზე, იმყოფებოდა.

აქედან, შესაძლებლობა კაპიტალიზმში მისი გადასვლისა უდავოა, მაგრამ ეს გადასვლა მსოფლიო ისტორიულ პირობების შეცვლის გამო ბუნებრივი გზით არ მოხდა. ეს მოხდა „ხელოვნურათ“. რუსული თვითმპყრობელობის „ინიციატივითა და ხელმძღვანელობით“.

მიუხედავად ამისა კაპიტალიზმმა თავისებური სიძლიერით და სიმძიმით იწყო ამ ფეოდალური საზოგადოების რღვევა და ახალ საფეხურებზე მისი გარდაქმნა, გადაკეთება, ე. ი. რეორგანიზაცია.

და ვიდრე ეს პროცესი დასრულდებოდა, ვიდრე ეს საზოგადოება წოდებების ნაცვლად კლასებად დაიყოფოდა, მანამ იგი თითქმის ერთ მთლიან „უკლასო“ საზოგადოებად გადიქცა: წოდებების ერთმანეთში შერევით (1865—75 წ. წ.) შედგა ერთგვარი ნარევი საზოგადოება, რომელსაც „ქართველი მშრომელი ხალხი“ ეწოდებოდა.

„მშრომელი“ დაერქვა მას, რადგან თითქმის ყოველი მისი წევრი „შრომობდა“ ან „ფიზიკურად“ ან „გონებრივად“; „უსაქმო კაცი“ ძალიან იშვიათი იყო: „თათქარიძეები“ ამ ხანაში საზოგადოების მკვდარ ნაწილს წარმოადგენდნენ, ხოლო ახალი ჯიშის „მუქთახორები“ და „უქმულაპელები“ ჯერ კიდევ არ გაჩენილიყვნენ (ე. ი. „პლუტოკრატია“).

აი ამ „ქართველი მშრომელი“, ერთიანი, ჯერ კლასებად დაუყოფელი „ხალხის“ საერთო საზოგადოებრივი განვითარების ინტერესების დამცველად გამოვიდა ანტონ ფურცელაძე: ის იყო ამ ერთიანი მშრომელი ხალხის იდეოლოგიური წარმომადგენელი.

### 3. რა პიროვნულ თვისებებს და კალას შეიცავდა იგი?

პირველი მისი პიროვნული თვისება,—ეს მისი მთლიანობა და გაუტეხლობაა, მან არ იცოდა, მას არ უგრძენია მთელ თავის სიცოცხლეში, თუ რა არის „გაორება“.

მთლიანი, ერთიანი ქართველი მშრომელი ხალხის შვილი თვითონაც მთლიანი ხასიათის იყო. მისთვის სიტყვა და საქმე ერთი იყო. მან თავისი თავი ყველა იმდროინდელ მწერლებს — იდეოლოგებს დაუპირდაპირა სრულიათ შეურყეველათ, მტკიცეთ იდგა თავის განმა-



რტებულ პოზიციაზე, რაც 1880 წელს შემდეგ სიტყვებში გამოთქვა:  
„ჩვენი მწერლების ფეხის ხმასა შენც (მკითხველს მიმართავს) 1  
ნუ აპყვებო, —

ტვინის ჩარხები უკუღმა აქვთ მათ მომართული —  
ყველას უკუღმა იგონებენ მათი ყურები....

მაშინ ის მიჯობს, რომ კალამი ჩემი დაღუმდესო“....

ამით ის გადაჭრით ამბობს: თუ მკითხველი არ მეყოლება, მა-  
შინ „სხვების აყოლას“ კალმის ხელიდან გაგდებას ვარჩეო: სულ და-  
ვრეშდები და „სხვების ფეხის ხმას“ კი არ ავყვებო.

ანტონი მართლაც ასე მოიქცა: ვიდრე მის „ნაწერებს მკითხვე-  
ლები“ მდაბიო ხალხიდან ბლომათ ჰყავდა, ისიც უზვათა სწერდა  
(1890 წლამდე), ხოლო შემდეგ, როცა ს. დ. ჩამოყალიბდა, (1900 წ.)  
თითქმის არაფერი დაუწერია.

მეორე ფაქტი: როცა ილია ჭავჭავაძის შემდეგ მას მწერლობაც  
და მიმართულებაც „კრებულ-დროების“ თანამშრომლებმაც დაუწუ-  
ნეს, მაშინ ანტონმა სიტყვა მისცა თავის თავს: „იქ, სადაც ს. მესხი,  
გიორგი წერეთელი და ნიკონიკოლაძე ურევია, ფეხი არ დავდგაო“  
და ეს ბოლომდე სრულიათ შეასრულა. 60—62 წ. მან სთქვა: „სა-  
ჭიროა აღსდგეს ქართული თეატრი“ და მთელი თავისი ენერჯით  
ამ საქმის სამსახურს შეუდგა და აღადგინა კიდეც. 1865 წ. მან შე-  
ისწავლა „რუსული ახალი კანონები“ და სთქვა: „გლახს დახმარება  
ეკირვებაო“ და მთელი წელიწადების განმავლობაში ის თავისი  
„კერძო ვეჟილობით“, ცოდნით და ფულითაც გლახებს, სადაც მის-  
წვდებოდა, ეხმარებოდა.

შესდგა 1873 წელს ქართველ რევოლიუციონერ—ნაროდნიკების  
წრე და ანტონიც მაშინვე ჩაწერა: სიტყვით, წერით—პროპაგანდა—  
აგიტაციას ეწეოდა და სადაც და რასაც კი ხელი მიუწვდებოდა  
ყველა დასჯილ ამხანაგ—რევოლიუციონერს ყველაფრით შველოდა.  
ამას სხვა დოკუმენტებს გარდა, (რამდენიც თვით მონოგრაფიის  
ტექსტშია აღნიშნული) მოწმობს ქართველ ნაროდნიკ-რევოლიუციო-  
ნერთა წრის დამაარსებლის მიშა ყიფიანის ანტონისადმი კერძო წე-  
რილი, (ციმბირიდან), სადაც სხვათა შორის შემდეგს ვკითხულობთ  
1885 წ. 20 III.

დაუვიწყარო საყვარელო ძმაო ანტონ!

. . . . შენთან ბევრი სათხოვარი მაქვს, ჩემო კარგო მეგო-  
ბარო. უპირველესი ჩემი თხოვნა არის ჩვენი ქვეყნის შვილების საქ-  
მე. ჯაბადარი და ზდანოვიჩი (გ. მაიაშვილი.) რ. კ. მანიფესტის ძა-

ლით ამ წელს ჩაირიცხებიან ანუ მიეწერებიან გლეხთა  
დებს. . . . .

შენს სულს ვენაცვალე ანტონ! ვუშველოთ რამე ამ ყმაწვილებსა. ბევრს არას ითხოვენ საწყლები—უნდათ ტომსკში მაინც ცხოვრება. უნდა გითხრა და მერწმუნე, ძლიერ გამოსადეგნი იქნებიან ჩვენის ღარიბ ლიტერატურისათვის—დიდათ სწადიათ შრომა სამშობლოსადმი. ეყოთ საწყლებს დასჯა ათ-ათი წელიწადი კატორღებში. ამასთან ძალიან მომზადებული ყმაწვილები არიან და ამათი დაკარგვა სამუდამოთ საშინელებაა.

1882 წელს ვანოს მამას (ეს ის ვანო ჯაბადარია, რომლის წინააღმდეგ 1888 წელს გაზ. „ივერიაში“ ილიამ გაილაშქრა ფელეტონებით—„აი ისტორია!“ რ. კ.) უნდოდა აზნაურთა კრებისათვის ეთხოვნა შუამდგომლობა; მაშინ ილიამ დაგვიშალა—„სხვა თხოვნებს დაუშლისო“. დავგმეთ გულში ჩვენი მამობრივი ერთის მხრით და ძმური სურვილი მეორეს მხრით. საზოგადო ინტერესის ენება თუ დაბრკოლება ღმერთმა გვაშოროს! მე თვითონ შევიტანე ვანოს შესახებ თხოვნა. ეხლა იქნება მოაგონო ილიას, რომ მაშინ პატიოსანი სიტყვა იყო ნათქვამი—მარშალი თვითონ ითხოვსო... ეგება ეხლა მომავალს კრებაზე მოხერხდეს რამე. შენი იმედი გვქონდეს, შენი ჭირიმე ანტონ. ამის ამბავი მოგვწერე დაწვრილებით“...

შენი-სიკვდილამდე ერთგული ძმა  
მიხეილ ყიფიანი.

თუ რითი უპასუხა ანტონმა ამ წერილს და როგორ მოიქცა, ამას მიხეილ ყიფიანის მეორე წერილიდან(იმავე ქალაქიდან) ვტყობილობთ, სადაც აღნიშნულია 1885 წ. 30 ივლ. თარიღით:

„ჩემო საყვარელო ძმაო, ანტონ. შენი წერილი მომივიდა გუშინ წინ და ძლიერ გამახარა ვანო ჯაბადარის საქმის შესახებ“...

როგორც ამ წერილიდან სჩანს ვანო ჯაბადარის და გიორგი მაიაშვილის საქართველოში ციმბირიდან დაბრუნების საქმე ანტონ ფურცელადეს მოუწყვია. ეს არ იყო იმ დროს პატარა საქმე და უნდა ვიფიქროთ, რომ ამისთვის ანტონს ერთი და ორი დღის „გაცდენა“ არ ეყოფოდა. მაგრამ ის მამს სიხარულით და აღტაცებით, სრული რევოლუციური შეგნებით აკეთებდა.

ანტონმა დიდხანს იმსახურა ბანკში. ის პრინციპიალურად უარყოფდა ბანკს, მაგრამ სულიერი „გაორება“ არც აქ უგრძნია მას, რადგან მან ეს ბანკი დიმიტრი ყიფიანთან ერთად დაარსა იმ აზრით, რომ მისი შემოსავლიდან ქართველ ღარიბ აზნაურთა შვილები სკოლურ განათლებას, სწავლა-ცოდნას მიიღებენო. და ეს მას

უდიდეს საზოგადო საქმეთ მიაჩნდა. (ნახ. ბანკების შესახებ მისი აზ-  
რი მის სტატიაში—ბანკები, ფული და მათი მნიშვნელობა“ გამო-  
ცემა №. ქიქინაძისა 1906 წ. აქ ანტონი სწერს:

„მე ვარ წინააღმდეგი საზოგადოთ ბანკთა წყობილებისა, მაგ-  
რამ, რაკი ქვეყნად ერთი ბანკიც არის დაწესდა, მაშინ ძალა უნე-  
ბურათ ვისაც უნდა თავის დაცვა, უნდა გაიჩინოს თვითონაც „ბან-  
კი“ (ნახ. აღნ. წიგნაკის გვ. 44). რაც შეეხება იმას, რომ ანტონ  
ფურცელაძე ზემოხსენებული მიზნით დიმიტრი ყიფიანთან ერთად  
ცდილობდა ბანკის დაარსებას, ამაზე ნათქვამია მისივე მოგონებაში  
შემდეგი: „ყიფიანმა იმ ფულებით, რომლებიც ხაზინამ განთავისუფ-  
ლებულ გლეხებში აზნაურობას მისცა, გადაწყვიტა დაარსოს საად-  
გილმამულო ბანკი და მოგებიდან აღზარდოს ღარიბთა შვილები.

ჩვენი ჯგუფის ყველა წრეები დიდი თანაგრძნობით მიეგებენ  
ამ აზრს.

რადგან ამის განსახორციელებლად საჭირო იყო თავად-აზნა-  
ურთა შეგონება და თანხმობა იმაზე, რომ მათ ხაზინიდან ფულის  
მიღების დროს, ნაწილი ამ ფულისა არ მიეღოთ და იქვე დაეტოვე-  
ბიათ ბანკის დასაარსებლათა, ამისთვის საჭირო იყო თვითეული  
თავადისა და აზნაურის შეგონება ცალ-ცალკე.

ამის შესრულება მე მომიხდა გორის მაზრაში, რადგან იქ  
დიდ-ძალი ნათესაობა და ნაცნობობა მყავდა, განსაკუთრებით ღა-  
რიბ-აზნაურთა შორის“ (ნახ. „ზაკავკასკაია რეჩ“ ფელეტონი 1012  
წ. № 131).

ანტონი თავისი გაუტყებელ ხასიათისა გამო დაქინებული, ჯიუ-  
ტი და „ახირებულიც“ იყო. ანტონმა 1882 წელს გორის რევოლუ-  
ციონურ-ნაროდნიკების წრეს სამგლოვიარო დეპეშა გააგზავნია იტა-  
ლიაში ჟუზეპე გარიბალდის გარდაცვალების გამო, (ნახ. სოფრომ  
მგალობლიშვილის მოგონებაში). და ამაზე სოფრომი შენიშნავს:  
„ასეთი ახირებული კაცი იყო ანტონ ფურცელაძე“.

მეორე პიროვნული თვისება ანტონისა იყო პირდაპირობა  
„პირშიმთქმელობა“, გულახდილობა და გულწრფელობა. ბევრი უსია-  
მოვნებაც შეხვდა მას ამის გამო.

ამას მოწმობს ყველა ის „შეტაკებები“ და „ჩხუბები“, რაც  
მას თანამეკალმეებთან და მწერლებთან ან თანამოსამსახურეებთან  
მოუვიდა. განსაკუთრებით აუტანელი იყო მისთვის საზოგადო საქ-  
მისადმი და საერთო ქონებისადმი „უსინდისო“ და თაღლითური და-  
მოკიდებულება.

ერთი ასეთი მთავარი შემთხვევათაგანია ნიკო დიასამიძის მი-

ერ ხანჯლით მისი დაქრა, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ დიასამიძისაგან გორის დეპოს კასის გაფლანგვის გამო ანტონმა სასტიკათ ამხილა იგი და სასამართლოს წესით სასტიკი ძიება აღძრა მის წინააღმდეგ.

ყველა ეს თვისებები გვიჩვენებს მის მორალურ ძალას. მესამე— ანტონი ესოდენ მორალურ ძალასთან ერთად დიდი ინტელექტუალური ძალის პატრონიც იყო. ის იმ ხანაში პირველი იყო, რომელმაც სკოლის გარეშე თვითგანათლების გზით მეცნიერული სწავლაცოდნის შეძენა შესძლო და გონებრივი „ბაგაჟით“ „საზღვარგარეთელ ქართველ ინტელიგენტებს“ გაუტოლდა.

ცხადია, პატარა, ან საშუალო ნიქის პატრონი ამას ვერ შესძლებდა. ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ანტონს ნიქთან ერთად დიდი შრომის უნარიც ჰქონდა: მას თავაუღებელივ შეეძლო ოცი საათი განუწყვეტელივ ემუშავა გონებით.

განსაკუთრებით ის თავაუღებელი მუშაობით ყველას აკვირვებდა მათგან უფროსი შემოქმედების დროს. ის იმდენათ მომზადებულათ ჰგრძნობდა თავს და იმდენ გონებრივ ძალას ჰპოებდა თავის თავში, რომ ისტორიკოსების დრეპერისა და ბოკლის სწავლას კრიტიკული შენიშვნებით განუმარტებდა ხოლმე თავის მკითხველებს (ნახ. ჟურნალ „მნათობში“ 1872 წ. მისი სტატიები: „საქართველო“. და სხვა).. აქ ჩვენ ვერ შევხებით, თუ რამდენათ საბუთიანი და გამართლებულია ეს მისი შენიშვნები, მით უფრო, რომ მეცნიერებაში დრეპერისა და ბოკლის ისტორიისოფია უკვე დაგმობილ-უარყოფილია სულ სხვა თვალსაზრისით და საბუთით, ვიდრე ამას ანტონი სჩადის.

მაგრამ ის კი გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ანტონის ოპონენტთა მხრით მისი „ათვალისწინება“ და შემდეგი უშნო შაირი:

„მე ვახლავარ ის ივერი—  
ანტონ ბრძენი ბედნიერი  
მოჰკლა ბოკლი და დრეპერი  
კერესელიძე ბებერი“....

გამასპინძლება სრულიად გაუმართლებელი საქმე იყო. ამით და სხვა მიზეზითაც მოთმინებიდან გამოსული „ანტონი ერთ ასეთ მოშაირეთაგანს საკადრისად გაუსწორდა: კინალამ სისხლით გათავდა ეს პოლემიკა მელიქიშვილის სტამბაშიო“, დასძენს ზემოთ ამოწერილ შაირს სოფრომ მკალობლიშვილი თავის მოგონებაში (ნახ. გაზ. „ქართული სიტყვა“ №18 1924 წ.).

ანტონის გონებრივი ძლიერება, მისი აზროვნების დაწინაურე-

ბა და დამოუკიდებლობა-შეუპოვრობა იქედანაც აშკარაა, რომ 60-იან წლების იდეოლოგთა შორის ის პირველია, რომელიც სრულიად თავისუფალია სარწმუნოებრივი გრძობა-შეხედულებისაგან, ყოველგვარ ცრუმორწმუნეობისაგან: ის ნამდვილი ათეისტია, რომლის მსგავსს ეხლაც, თანამედროვე მეცნიერთა შორისაც იშვიათად შეხვდებით.

გარდა მისი ნაწერებისა ამას მისი ცხოვრების ერთი პატარა ეპიზოდიც მოწმობს, რომელიც აღნიშნული აქვს თავის „თავგადასავალში“ აკაკი წერეთელს.

აი ეს ეპიზოდიც: „ერთხელ მე, ლავრენტი არდაზიანი (ისაქ ისაქი მეჯღანუაშვილის ავტორი რ. კ.) და ანტონ ფურცელაძე, — სწერს აკაკი, — დავდიოდით ერთად. ათ საათზე გამოვეთხოვეთ ერთმანეთს, მაგრამ ლავრენტიმ მოინდომა ჩემი მიცილება სადგომამდის. გზათ ხმა არ ამოუღია და სახლის კარებამდი რომ მიმიყვანა, — მი-თხრა: „დიდი პატივცემა მაქვს ანტონის ნიჭის, მაგრამ წელან რა-საც ლაპარაკობდა, ის კი არ დამიჯდა გონებაში. აბა რა სათქმე-ლია: ქვეყანა შემთხვევითმა მანქანებამ გააჩინაო. მაშინ იმას არა უთხარი რა და ახლა შენ უნდა გითხრა, უნდა გამოგიტყდე, რომ მიტომაც წამოგყევი, როგორც მკვიდრ შვილს გთხოვ, რომ შენ არ აჰყვე მაგისტანებს, მეორე, პოეტს რწმუნება თუ არაფრისა აქვს, რა შვილი იქნება? შენც ორი რამ უნდა გახსოვდეს: ღმერთი და საქა-რთველო“. ეს მითხრა დიდის ბოდიშით და გამომეთხოვა... (სახელ-გამის გამოცემა 1925 წ. აკაკი წერეთლის რჩეული ნაწერების ტომი I გვ. 85).

დასასრულ უნდა აღვნიშნო ერთი გარემოება, სახელდობრ ის, რომ ანტონი მოკლებული იყო იმ ზნეს, რასაც ის ქართველი კაცის ბუნებრივ მანკიერებათ სთვლიდა — ღვინის სიყვარულს (მოიგონეთ მისი ლექსი — „ქართველის სიზმარი“) და რისთვისაც ის ისე ჰკიცხავდა „ქართველ კაცს“. მას თვითონ ღვინო, როგორც „ყველა მისი ახლობლები მოწმობენ, დასათრობათ არასოდეს არ დაუღვევია, თუ-მცა ის ხშირათ ესწრებოდა, ქორწილებს, „ვანშემებს“ და სხვადასხვა ლხინ-ნადიმებს“.

აქვე უნდა დაურთოთ ის, რომ ანტონი არც თამბაქოს მოყვარული იყო. ის 20 წლის ასაკამდე სრულიად ჯანსაღი ახალგაზრდა იყო და რომ 60-62 წლებში ნესტიან სარდაფში ცხოვრებით მას რევმატიზმი არ შეყროდა, უნდა ვიფიქროთ, დღესაც ცოცხალი იქნებოდა.

ცხადია, ანტონსაც, როგორც ყოველ ადამიანს, თავისი ნაკლი

ჰქონდა. მაგრამ აქ ჩვენ მის ჩვეულებრივ ადამიანის ნაკლებს ჩანდა თვლას არ შეუდგებოდა.

საქიროა მხოლოდ ხაზგასმით აღინიშნოს მისი ინტელექტუალურ შემოქმედების ნაკლი ანუ მანკიერება, რითაც ჩემი აზრით აიხსნება მისი მწერლობის სისუსტე და რამაც საბაბი მისცა მისი თანამედროვე ინტელიგენტ-იდეოლოგებს და „განათლებულ საზოგადოებას“ „აეთვალისწინებია“ ის და დაეგმო მისი მწერლობა.

მას, დიდი გონებრივი ძალის და ნათელი ახალი აზრის პატრონს არ შეეძლო ამ აზრის „დახვეწილი“, გასაგები ენით გადმოცემა, ეს ერთი.

მეორე, მას დიდი და ცხოველი ფანტაზიის პატრონს არ შეეძლო ამ დიად ფანტასტიურ სახეებზე შეჩერებულიყო და უფრო მკაფიოთ გამოენაცვთა ისინი სიტყვიერ ფორმებში.

მე მგონია, ამის მთავარი მიზეზი ერთი ის გარემოება იყო, რომ ანტონმა პირველდაწყებითი სწავლა რუსულ ენაზე მიიღო და ბავშობისას რამდენიმე წელიწადს მხოლოდ რუსული ესმოდა (ქ. ორლოვში), რის გამოც ის რუსულ ენაზე აზროვნებას მიეჩვია; მეორე — ის, რომ რუსული ლიტერატურიდან პირდაპირ ძველ ქართულ მწერლობაზე გადასვლამ (თავის სოფელში საოჯახო ბიბლიოთეკაში) მას შეუფუშავა განსაკუთრებული გამოთქმის სტილი, რომელსაც შეიძლება რუსულ-ქართული ვუწოდოთ და ისიც არა ახალი ლიტერატურული ქართული, არამედ ძველი ქართული და ისიც ქართულპროვინციალურ კილოსთან ნარევი.

მართალია, ანტონმა 70-ან წლებში უკვე შესძლო თავისი სტილიდან „რუსიციზმების“ განდევნა, მაგრამ მოძველებული, დრო-მოჭმული და მკვდარი სიტყვების და ფორმების ხმარებას იგი სიკვდილამდე დაჟინებით განაგრძობდა. ანტონს სინტაქსიც თავისებური ჰქონდა და აქედან წარმოსდგა მისი გამოთქმის „სტილი“.

ანტონს ამასთან ერთი კიდევ ძალიან ცუდი ჩვეულება ჰქონდა, როგორც მწერალს: არასოდეს არ ცდილობდა ნაწარმოების „დამუშავებას“. შეიძლება ითქვას, რომ ყველა მისი წიგნები, ეს მისი ნაწერების „შავებიდან“ არის გადაბეჭდილი. ერთად-ერთი ნაწარმოები, რომელიც მან მთელი ათეული წლების განმავლობაში ასწორა და დაამუშავა, ეს არის: „ბრძოლა საქართველოს მოსპობისათვის, ანუ „დიდი მოურავი და მისი დრო“ (მონოგრაფია).

#### 4. ქართულ საზოგადოების ცხოვრებაში მან რა როლი შეასრულა და როგორ

მარქსიზმის ჩვენში გავრცელებამდე, ეგრეთ წოდებული „საზოგადო მოღვაწეების“ ე. ი. იდეოლოგიების აზროვნება ერთი დიდი ფეტიშით იყო შეპყრობილი: მათთვის გონიერება და ამ „გონიერების მატარებელი ინტელიგენცია“ ყოვლად შემძლე არსებათ ჰქონდათ წარმოდგენილი და მათი აზრით მთელი საზოგადოება ამ ინტელიგენციიდან გამოსულ „მოღვაწეს“ ანუ გმირს მიჰყავდა წინ მიუხედავად სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკური ვითარებისა.

ამ ფეტიშით იყო შეპყრობილი ანტონ ფურცელაძეც და გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ის ისე მოკვდა, რომ მისი გავლენისაგან ვერ განთავისუფლდა. მაგრამ ეს მას სისუტედ არ ჩაეთვლება, ცხადია: ამავე ფეტიშით იყვენ მაშინ შეპყრობილნი აზროვნების ისეთი გიგანტები, როგორებიც არიან ჩერნიშევსკი, ბაკუნინი, ლავეროვი, მიხაილოვსკი და სხვები.

ეს ეპოქის, საზოგადოებრიობის ნაკლი იყო და აქედან პიროვნული აზროვნებისაც.

საქმე და საკითხი იმაშია, თუ რომელიმე ისტორიულმა პიროვნებამ როგორ შეასრულა ის როლი, ანუ „მისია“, რომელიც მას ისტორიამ აკისრა და თვითონაც თავისივე ნებაყოფლობით იტვირთა.

რა როლი აკისრა ანტონ ფურცელაძეს ქართული საზოგადოებრივობის ისტორიამ.

ამ ნაწარმოების ბოლო ნაკვეთის პირველ სათაურში ნათქვამია: გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ზემოდ აღნიშნული სამივე ტენდენცია—1: ეროვნული თვითშემეცნებისაკენ, 2: კაპიტალიზმისაკენ და 3: მომავალ სასურველ წყობილებებისაკენ (სოციალიზმისაკენ)—გთავარი ძარღვი იყო იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა—სამივე მას წინ, მომავლისაკენ მიაქანებდა. ამიტომაც იმდროინდელი „მოღვაწე“, ან იდეოლოგი სამივეს სამსახურს ასე თუ ისე ცდილობდა, მაგრამ, რაც დრო გადიოდა „შრომის განაწილება“ ხდებოდა და თვითეული მათგანი თავის ბუნებისა და „მოწოდების“ შესაფეროვლს კისრულობდა.

სამაგალითოდ დავასახელებ იმ დროის სამ პიროვნებას: ილია ჭავჭავაძეს, გიორგი წერეთელს და ანტონ ფურცელაძეს.

იმ გარემოების ძალით, რომ სამივე ეს „მოღვაწე“ ზემოთ დასახელებულ სამივე ტენდენციის განვითარებას უწყობდა (ნამეტურ პირველ ხანებში) ხელს, არა თუ ვახტანგ კოტეტიშვილს და მის თა-

ნამოაზრეებს, არამედ ამხ. სვიმონ ხუნდაძესაც ჰგონია, რომ სამივე ზემოთ მოხსენებული „მოღვაწე“—ილია, გიორგი, ანტონი ერთნაირი „სოციალისტები“ არიან და თითქო მათ შორის განსხვავება არ იყოს <sup>1)</sup>).

ცხადია, რომ ისე ვერა, როგორც ეს როლი—რუსეთში ნიკოლოზ გაბრიელის ძე ჩერნიშევსკიმ.

არც არავინ იფიქროს, რომ ანტონ ფურცელაძე თითქო ბუმბერაზ რუსეთის ამ ბუმბერაზ მოაზროვნეს ეტოლებოდა.

აი რას ეუბნება ის „ცისკრიდან“ ილია ჭავჭავაძეს ჩერნიშევსკისადმი მიბაძვის გამო:

„.....არა უფ. ჭავჭავაძევე, ჩვენა და თქვენ ამ შემთხვევაში ბელინსკობა და ჩერნიშევსკობა არ გამოგვადგება. ჯერ კოჭიც-არის—უნდა მიგვიგავდეს იმათა და მერე მივბაძოთ....“ (ნახ. ჟურნ. „ცისკარი“ 1863 წ. მარტის ან აპრილის №-ში, გვ. 445).

არა, ანტონ ფურცელაძე შეეცადა ისე, როგორც მას „კოჭი“ ჰქონდა და თავისი ძალღონისა და გვართ თავისი ქვეყნისა და ხალხის ვიწრო ფარგლებში, ისეთ სცენაზე, როგორც მას ისტორიამ არგუნა, შეასრულა ეს ისტორიული იდეოლოგიური როლი.

თუ ისე ღირსეულათ და „ნიჭიერათ“ ვერ შეასრულა ეს, როგორც ამ როლს შეეფერებოდა, ამის მთავარი მიზეზი იმ დროინდელი ქართველი საზოგადოების განუფითარებლობა იყო: (ვიწრო ფარგლები და ვიწრო სცენა, ე. ი. საზოგადოების მიერ მოქალაქობის გზაზე ახლად ფეხის შედგმა. ჟურნ. „მნათობი“, მაგალითად, სადაც მან ამ როლის შესრულება დაიწყო, სულ 140 ცალი იბეჭდებოდა). ყოველ შემთხვევაში ანტონ ფურცელაძე რომ თავის თანამოაზრეებს და თანამოკალმეებს, „მნათობის“ თანამშრომლებს შეუდაროთ, აღმოჩნდება: მათ შორის ის მართლაც ღირსეული ბელადი იყო და განვითარებითაც მათზე დიდათ მალლა იდგა.

თვითონ კი ანტონი თავის განმარტოებებს და თავისადმი სხვების სიძულვილს ასე ხსნის:

„წილათა მხვდა ხვედრი მწარე, ძნელათ საამო:

ჩვენს იარებსა და წყლულებში ხელების რევა,

მით წყლულს ვამტკივნებ მე სნეულთა და ამის გამო

შევიძინევი მოძმეთაგან ლანძღვა და წყევა“.

მაგრამ ეს არაა სწორი: „მოძმეთა წყლულებში“ ილია ჭავჭავაძემაც „ურია“ ხელი, მაგრამ მან თუ ერთი მხრით „მოყვრებისა-

<sup>1)</sup> იხ. ჟურ. „პროლეტ მწერლობაში“ № 2 1927 წ. მოთავსებული სტატია — „ნარკვევები ქრთული აზროვნების ისტორიიდან“. გვ. 120-21.



გან“ (ე. ი. „თათქარიძეებისაგან“) „ლანძღვა და წყევა“ მიიღო, მეორე მხრით „თაყვანისმცემლებიც“ და პატივისმცემლებიც (ე. ი. „ლიბერალი თავადები და ინტელიგენტები“) ბევრი ჰყავდა.

თუ ზემოაღნიშნულ „ტაეპის“ დაწერის დროს (1880 წლ.) არ ჰყავდა ანტონს პატივისმცემლები, სამაგიეროთ 1905 წელმა გამოაჩინა, თუ რამდენათ გაიზარდა ტფილისელ მუშათა გულში მისდამი სიყვარული.

ანტონს, რომ ამის წინასწარ გრძნობა და „მზერა“ შესძლებოდა, ცხადია, თავის პესიმისტურ „ტაეპს“ ცოტა სხვა კილოზე დასწერდა.

მაგრამ რა გაეწყობა: პიროვნების აზროვნება, ისე როგორც სხვაგვარი მისი ძალ-ღონე საზოგადოებრივი პირობებისაგან არის განსაზღვრული, თუნდაც ეს პიროვნება უუდიდესი გენიოსი იყოს.

ანტონის მაგიერ სხვას ვისმეს შეიძლება მისი როლი ჩვენში უფრო „ლამაზათ“ შეესრულებია, მაგრამ იმაზე მეტს ვერ მოგვცემდა, რაც ანტონმა მოგვცა.

ამნაირად ჩვენ მივედით უკანასკნელ საკითხამდე, იმ საკითხამდე, რომლის გარშემო ქართველი ესტეტიკ-ინტელიგენციის მოთქმა-თოთქმა ტრიალებს დღემდე.

სახელდობრ: რამდენათ **მხატვრულია** ანტონ ფურცელაძის **მხატვრული** ნაწერები.

საერთო აზრით ის „მდარე მხატვარია“. მაგრამ ყველაფერი ხომ შედარებითია. მივიღოთ მხედველობაში ის სამება, რომელიც მე ზემოდ აღვნიშნე: ილია, გიორგი და ანტონი.

ილიას თუ პირველ ხარისხიან მხატვრად ჩავთვლით, ანტონი მაშინ-მეორე ალაგს დაიჭერს, ხოლო გიორგი კი მესამეზე დარჩება.

ანტონს რომ ილიასავით თავის ნაწერებზე ემუშავნა, ვფიქრობ, ის ამ მხრით მას გაუტოლდებოდა. რაც შეეხება ტიპების სხვადასხვაობას, ანტონი ამ მხრით შეუდარებელია: მას შეუნიშნავი და დაუხატველი თავისი საზოგადოების თითქმის არც ერთი წრე არ დარჩენია, მაშინ როდესაც ილია და გიორგი განსაზღვრულ ფარგლებს არ გაშორებიან: გლეხი, თავად-აზნაური, ლიბერალი და ახალ გამოჩეკილი ბურჟუა! (მაგ. გიორგის ბახვა ფულავა). რაც შეეხება ლიტერატურულ მიმართულებას სამივე მწერალი რეალისტია, თუმცა ანტონი ერთი მხრით რომ ნატურალიზმამდის მიდის (მაგალითად მოთხრობა „ქიტესა“) მეორე მხრით წარმტაც გამაზნეველ რომანტიზმში გადადის (პარიზის კომუნარების ბარეკალებზე ქართვე-

ლი რევოლიუციონერის თავგანწირული ბრძოლა, მოთხრობა — „ვაი მართალთაში“ და სხვ.).

აქ შეუძლებელია და ზედმეტიცაა ამ დასკვნების დასასაბუთებლად ამონაწერები აღენიშნო: ამისთვის ათი თუ ოცი გვერდი დაგვჭირდებოდა.

ვისაც ექვი ებადება, მას ვურჩევთ თვითონვე გაეცნოს ანტონ ფურცელაძის მხატვრულ ნაწერების ნიმუშებს. ასეთ ნიმუშათ შემძღვია დავასახელო მისი მოთხრობა — „ვაი მართალთა“ და რომანი — „მაცი ხვითა“.

მხატვრობის დაფასებაში უშუალო ესთეტიური გრძნობა მეტს ეტყვის მკითხველს, ვიდრე მხატვრული კრიტიკის მითითება: ნაწარმოების მხატვრული მხრით დაფასება უფრო სუბიექტურია, ვიდრე ობიექტური. კრიტიკოსი ვერ ეტყვის მკითხველს ამ ადგილას ასე და ასე იგრძენე, ალტაცებაში მოდი, ან და ამა და ამ სურათისადმი ზიზზი იგრძენეო. მხატვრული ძალა სწორედ მკითხველის ამ კონკრეტულ გრძნობაში მუდავნდება, და ეს გრძნობა კი მკითხველის პირადი ზნეობრივ-გონებრივ, ინტელექტუალურ ვითარებაზეა დამოკიდებული, ხშირათ მის გუნება-განწყობილებაზედაც კი.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ცხადია, რომ მხატვრული კრიტიკა საჭირო არ იყოს!

არა, კრიტიკა საჭიროა, ერთი იმიტომ, რომ ახალგაზრდა მწერლები გაერკვენ თავიანთ შემოქმედების პროცესში და გაიკაფონ გზა განვითარებისაკენ, ხოლო მეორე, საჭიროა იმიტომ, რომ მკითხველმა წასაკითხ მასალაში სწორი ორიენტაცია აიღოს და ნაწარმოების იდეოლოგიური მხარე კარგათ და გარკვევით შეითვისოს, გაიგოს.

ამ შემთხვევაში ჩემ მიერ კრიტიკის ეს უკანასკნელი დანიშნულება შესრულებულია ანტონ ფურცელაძის ნაწერების განხილვის დროს, ხოლო რაც შეეხება პირველ საჭიროებას, რომ გასაკრიტიკებელმა მწერალმა გზა გაიკაფოს განვითარებისაკენ, ეს თავისთავათ „მოხსნილია“.

ჩვენთვის დღეს უფრო საყურადღებოა საკითხი, თუ რა ნათესაობა აქვს ეხლანდელი ცხოვრების ხელმძღვანელ პარტიას და ამ პარტიის იდეოლოგიას ანტონ ფურცელაძესთან.

„მიშკინი, ჟელიაბოვი, ხალტურინი, აი რევოლიუციის სამი ბუმბერაზი ტრიბუნი, რომელთაც რევოლიუციის ურთულესი ამოცანების გამოხატვა შესძლევს და ცხოვრებას რევოლიუციის,

ბრწყინვალე რევოლიუციის ზოლი გაავლეს“, სწერს ზემოხსენებულ წიგნში ამხ. იაროსლავსკი.

„ლენინი და ჩვენი ბალშევიკური ორგანიზაცია პირველი ნაბიჯებიდანვე, განაგრძობს იგივე ავტორი, უდიდეს და სერიოზულ ყურადღებას აპყრობდენ ისეთი რევოლიუციონერების გამომუშავებას, როგორებიც იყვენ ზემოდ დასახელებული ნაროდოვოლცები“.

სამწუხაროთ ჩვენ არ შეგვიძლია ესევე ვთქვათ ანტონ ფურცელაძეზე, რადგან ის უმთავრესათ მწერალი იყო და არა პრაქტიკი—პოლიტიკური მოღვაწე. მაგრამ ანტონის წრიდან ჩვენც შეგვიძლია ჩვენი პატარა ქვეყნის მასშტაბით ასეთივე დიდი რევოლიუციონერები დავასახელოთ, ესენი იყვენ: მიხეილ ყიფიანი, ვანო ჯაბადარი, ვასო დეკანოზიშვილი, გოლა ჩიტაძე და სხვები. მართალია, ისინი ასეთივე ბუმბერაზები არ იყვენ, მაგრამ ჩვენი ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ პოლიტიკურ პირობებში ისინი არა ნაკლებ მნიშვნელობის ძალას წარმოადგენდენ. და თუ ერთი ამათგანი, მიხეილ ყიფიანი მზათ არის, როგორც მისი წერილიდან სჩანს, „დაენაცვლოს“ კიდევ ანტონს („ანტონს ვენაცვალეო“), უნდა ვიფიქროთ, რომ ამ წრეში ანტონი „რიადავოი“ ან „თანამგრძნობი“ კი არ ყოფილა, არამედ უფრო მეტი როლის მატარებელი!

აქედან სჩანს, რევოლიუციური მარქსიზმის, ბოლშევიზმის თესლი, რომელიც ჩვენ ლენინის „ძველი ისკრიდან“ მივიღეთ, არც თუ ისე მწირ ნიადაგზე დათესილა. პირიქით, ეს ნიადაგი გაპოხიერებულია ათეული და შეიძლება ასეული ქართველ ნაროდოვოლცების თავდაუზოგველი მოქმედებით და მათთან ერთად ანტონ ფურცელაძის ნაწერებით!

ქართველ კომუნისტებს, რატომღაც, არ გვიყვარს საერთოთ ჩვენი იდეური ქართველი წინაპრების მოგონება, (თუმცა **ეგნატე ნინოშვილს** ძველი აუგეთ!), მაგრამ, მე მგონია, კომუნისტურ დროშას ჩვენ უფრო მალა ავწევთ იმით, რომ **ეგნატეს** წინამორბედს და საერთოდ მთელი საქართველოს კომპარტიის უძველეს წინაპარს, პირველ ქართველ ნაროდნიკ-რევოლიუციონერს, **ანტონ ფურცელაძეს** მოვიგონებდეთ, შევისწავლიდეთ მას და შესაფერი პატივისცემით მოვიხსენებდეთ!

## პროლეტარულ ლიტერატურის გულშევიზაციისათვის

გასულ 25-26 წ. წ. პროლეტმწერლების ერთმა რიგმა კურსი ტექნიკურ მიღწევებისაკენ, ფორმალურ გამდიდრებისაკენ აიღო: მიმართებოდა ლიტერატურულ-მხატვრულ პროლეტკციის ფორმალურ გაუმჯობესობის, ხოლო რამოდენიმედ იდეურ დემობილიზაციის ნიშნის შვეშ 1). მართალია, მათი ფორმალური გამიზვნა და თანდროლოზისადმი მხატვრულ-იდეური მისვლის ფორმები და მეთოდები მთლიანად არაა განთავისუფლებული გავლენა-მიბაძვისაგან, მაგრამ ამ მიმართულებით ნაბიჯი წინ მაინც გადადგმულია. ცხადია, ახალი ფორმების, ხერხების პრობლემა ძალზე რთული საკითხია, რაც გათვალისწინებულია საქ. კ. (ბ) პ. ცეკას რეზოლიუციითაც: ეპოქის სათანადო სტილი შეიქნება, ხოლო „Решение этого вопроса еще не намечилось“. (რასაკვირველია არც ვ. მაიაკოვსკის სარეკლამო ფაქტები და გალექსილი ფელეტონებია აგებული ახალი ფორმით და ხერხებით).

პროლეტარულ ლიტერატურის შიგნით ხდებოდა მოლექულიარული ძვრები, რამაც ჩვენი მწერლების ერთი რიგი იდეოლოგიურ მთლიანობის დაკარგვის საშიშროების წინაშე დააყენა, რამოდენიმედ იდეოლოგიურად დააქანა. ჩვენ სრულებითაც არ გვამოძრავებს მხილების ვნება, თავს კი მოვალედ ვთვლით გავერკვეთ ამ დაქანებაში და დავძლიოთ, ვინაიდან ეს ერთ-ერთი პირობაა იდეოლოგიურ მთლიანობის და სიმტკიცის შესანარჩუნებლად, ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში გადახრების სალიკვიდაციოდ და გარანტიის შესაქმნელად ანალოგიურ შეცდომების, იდეოლოგიურ ლიაპსუსების განმეორებისაგან. ცხადია, ამ დაქანებას გამომწვევი მიზეზები ჰქონდა და გამოწვეული იყო: ა) რევოლ. ტემპის შედარებითი შენელებით, ბ) დაქანცვის ფიზიოლოგიური რეაქციით, გ) ახ. ეკ. პოლიტიკის პირობებში ობიექტულ ელემენტებთან იძულებითი დაახლოებით, (ყოველდღიური პრაქტიკული ცხოვრება), დ) წვრილ-ბურჟუაზიულ იდეოლოგიის და-

1) იხ. ა. | წ. „ახალ. კომუნისტის“-ს 1 და 2 №-ში მოთავსებული ფელეტონი: „კომკავშირელის ბლოკნოტიდან“. ვ. ლ.



წოდებდა: (სამოქალაქო ომის პერიოდში იდეოლოგიურ წინააღმდეგობათა უქონლობა და უშუალო ბრძოლის ფრონტოვიკული ფსიქოლოგია) „დემოკრატიულ“ შეხედულებათა გადმოღაგება ლიტერ. კრიტიკაში, თეატრალურ მიმოხილვებში და „სმენავეხურ“ ლიბერალიზმის წამოყრანტალება მხატვრულ ლიტერატურაში. ფართო მასების ნიეთიერი კეთილდღეობის ზრდა, მასიურ აქტივობის გაძლიერება, ხედვის გაფართოება და სხვ. კულტურულ მოთხოვნილებათა კოლოსალურ ზრდასაც იწვევს. მოვექციეთ კულტურულ რევოლიუციის პერიოდში, რაც ძირითადი პირობაა რაციონალურად მოწყობილ საზოგადოებისაკენ მოძრაობის.. კულტურულ რევოლიუციას კი ახასიათებს ერთი წინააღმდეგობაც. ძველი კულტურის ახალს, ზრდაში მყოფ პროლეტარულ კულტურასთან შეჯახება და აქედან გამოწვეული კუტურული მემკვიდრეობის დაძლევის სირთულე.

მეორე მხრივ: სამეურნეო პროცესების სირთულე, მოპირდაპირე სამეურნეო ფორმის ერთდროული ზრდა და ამით გამოწვეული ახალი ბურჟუაზიის აღმოცენება-გამაგრების პროცესი. ასე, რომ კლასთა ბრძოლა არ შეჩერებულა, ხოლო ფორმები იცვლება, ვინაიდან პროლეტარიატი ხელისუფლების ჩაგდებად არსებულ საზოგადოების დაშლისაკენ მიიმართება, თავის კლასიურ დიქტატურის პერიოდში კი პირველ პლანზე „მშვიდობიან ორგანიზატორულ მუშაობას“ აყენებს: ახალი ბურჟუაზიის საბჭოთა ხელისუფლებასთან ნაწილობრივი ეკონომიური „თანამშრომლობა“ კი იწვევს მისთვის ნაწილობრივ იდეოლოგიურ „ამინდსაც“ და „ეგუება“ რევოლ. სინამდვილეს ახ. ეკ. პოლიტიკის პირობებში.

„ჩვენ—თქვენთან ვართ, მაგრამ თქვენები არა ვართ. ნუ ფიქრობთ, რომ ჩვენ ვიცანით რა თქვენი წითელი დროშა გამოვიცვალეთ. ჩვენ მოვდივართ თქვენთან არა იმიტომ, რომ თქვენ „მუშურგლებურ“ ხელისუფლებად გთვლით, უფრო იმიტომ, რომ თქვენ გაფასებთ როგორც მიმდინარე პერიოდის რუსეთის სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას. ჩვენ არ შეგვიძლია გავხდეთ კომუნისტები, ინტერნაციონალისტები, არც კლასიურ „პროლეტარულ კულტურის მომღერლებად“—ეს სიტყვები ეკუთვნის ნ. უსტრიალოვს, <sup>1)</sup>), საიდანაც გამომდინარეობს მისი პოლიტიკური ტაქტიკა. შემდეგ:

1) პროფესორი ნ. უსტრიალოვი—„სმენავეხური“ ლიბერალი, ახალი ბურჟუაზიის და ყველა ანტი-საბჭოთა ელემენტის იდეური დირიჟორი. ჯერ კიდევ რ. კ. (ბ) პ. მე-XI ყრილობაზე აშხ. ვ. ლენინი ახასიათებდა მას, როგორც ძალზე საშიშ კლასიურ მტერს. ვ. ლ.

„როგორც არ უნდა სურდეს მოსკოვს „უკან კომუნიზმისაკენ“ შემოტრიალებას ვერ შესძლებს. ყალიბდება ბიან ახალი სოციალური კავშირები, მწიფდება საბჭოთა ბურჟუაზია, რევოლიუციის მტკიცე და რეალური „მონაპოვარი“. ახალი მეურნე ელემენტები—გლეხობა, „გაწვრილბურჟუაზიული“ მუშები, ქალაქების ახალი ბურჟუაზია რევოლიუციის მიერ შექმნილ მდგომარეობასთან (იგულისხმება „ნებ“-ი. ვ. ლ.) მტკიცედ არიან დაკავშირებული, მაგრამ არსებითად არ არიან დაინტერესებულნი ძალადობის „კომუნიზმის“ რესტავრაციაში.... ასეთ პირობებში შეუძლებელია შეეკვება იმაში, რომ ბოლშევიზმის ევოლიუცია ჩვენ თვალწინ სულ უფრო და უფრო განვითარდება და გაღრმავდება“.

როგორც ვხედავთ ახალი ბურჟუაზიის და მისი იდეოლოგიის—ნ. უსტრიალოვის მოსაზრებათა რგოლი მათ პოლიტიკურ სიმპატიებს და ტაქტიკას არკვევს; ბოლშევიზმის გადაგვარება, იდეური განიარაღება აუცილებელია(-ო) და ახალი ეკ. პოლიტიკა საწარმოო ძალების კაპიტალისტურ ფორმებში განვითარებას უზრუნველყოფს (-ო), და სხვ.

რევოლიუციას „იღებენ“ როგორც ახალი ბურჟუაზია, ისე ბო-ბოლა გლეხობა; ამხ. ლ. ავერბახის შენიშვნით კომუნისტურ ტერმინოლოგიასაც კი არ ერიდებიან, რაც უდრის ჩვენი რევოლიუციის სოციალური ბუნებისათვის ბრძოლას. შესაძლებელია ზოგმა იკითხოს: რა შუაშია აქ ხარბინელი პროფესორი უსტრიალოვი, მის მოსაზრებათა რგოლი და სხვ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ „სმენავებური“ ლიბერალიზმი არა მარტო ემიგრაციის განწყობილებაა, არამედ შინა საბჭოთა ინტელიგენციის განსაზღვრული ელემენტსაც ახასიათებს, რაც გამოვლინდა თუნდაც საბჭოთა დრამატურგიაში: ბულგაკოვშინა („ზოიას ბინა“, „ტურბინის დღეები“ და სხვ.) მხატვრულ ლიტერატურაში (გრიგორიევის: „კომუნა მარ-მილა“) და სხვ.

ახ. ეკ. პოლიტიკის დაწყებიდან კერძოდ მხატვრულ ლიტერატურაში ვლინდებოდა ს. ს. რ. კ. ძირითად კლასების სოციალ-პოლიტიკური განწყობილებანი და განწყობილებათა ცვლა; ბურჟუაზია და სხვა და სხვა ზომის და პროპორციის ანტი-კომუნისტური დაჯგუფებანი მხატვრულ ლიტერატურაში კლასიურ ბრძოლას სათანადოდ აწარმოებდნენ. და ეს ხაზი დღესაც გრძელდება.

დღეს მდგომარეობა შედარებით სტაბილიზაციურია და თანამედროვე საბჭოთა მხატვრული ლიტერატურა შეიძლება დაიყოს სამ

ძირითად კატეგორიად: (იდეოლოგიური ნიშნის ქვეშ) 1) რევოლუციამდე გაბატონებულ კლასების მსოფლ-ხედვის მატარებელი მწერლები, 2) სოციალურ ჯგუფების... 3) პროლეტარული კლასიური ლიტერატურა, რომელსაც მკითხველის ფსიქოლოგია ორგანიზაციაში მოჰყავს და მიზნავს კომუნისმით.

მათი ძვრები და ზრდა შესაძლებელია და დამოკიდებულია მწერლის სუბიექტიურ თვისებებზე, უმთავრესად კი: მიმდინარე მომენტის ობიექტიურ პირობებზე.

ასეთ ლიტერატურულ სინამდვილეში უხდება (რ)პროლეტარულ მწერალს პრაქტიკული საქმიანობა, წვრილ ბურჟუაზიულ განწყობილებათა გარემოცვაში, სმენავეხოვურ ბურჟუსში თავის ამართვა და სხვა უკვე დასახელებულ მიზეზთა გარდა ამ მომენტამაც იმოქმედა მათ დაქანებაში. ამას დაურთეთ:

პროლეტმწერლების საკმაო ნაწილის პოლიტ-მოუმზადებლობა, კლასიურ ინტერესების და შეგნების სისუსტე, არა საკმაო იდეოლოგიური გამძლეობა. თავიანთი ლიტერ. პრაქტიკა რამოდენიმედ კომუნისმისათვის ბრძოლის საშუალებათა გარე მოაქციეს, (ვიწრო ლიტერ. ინტერესები, წვრილბურჟუაზიულ გარემოცვაში თავის „მხატვრად“ დამტკიცების ცდები) რაც შედეგია მწერლის მმართველ საზოგადოებრიობისაგან დაშორების; საზოგადოების, წრის გარეშე ცხოვრება კი **შეუძლებელია**, წრე არკვევს მწერლის იდეოლოგიას. მმართველ საზოგადოებრიობასთან ნაწილობრივად დაკავშირებული სერგეი ესენინი „კაბაკური მოსკოვი“-ს პერიოდში მთლიანად შორდება საზოგადოებრიობას, მაგრამ ეზოხვდა სხვა წრეში; (წრის გარე ცხოვრება, ვიმეორებთ შეუძლებელია) მისი ფრაზა: „ჩვენი პოეზიის ყველაზე კარგი პატივისმცემლები პროსტიტუტკები და ბანდიტები არიან. მათთან ჩვენ დიდ ამხანაგობაში ვართ“—**საზღვრავს პოეტის აუდიტორიას და იდეოლოგიას**, ისევე როგორც ა. მაშაშვილის: „დარიალი...“ „ტალა“, კ. კალაძის: „ტფილისი“, კ. ლორთქიფანიძის: „შავი კაცი“, ელ. პოლუმორდენოვის: „ფიქრების შემოდგომა“ და სხვ.—აქედან ფორმალური გატაცებაც. არ გვინდა ეს ისე იყოს გაგებული, თითქოს იმას ვამბობდეთ, რომ მართო ფორმალურ გატაცებით იყოს გამოწვეული მთლიანად გადახრები; ბუნებრივია ფორმალ მიღწევათა დაგროვებისაყენ ლტოლვა, აუცილებელია სრულყოფილი ლიტ. პროდუქტი, მაგრამ ჭარბი „ფორმალური გამდიდრება“ აშორებს ლიტ. ნივთს იდეურ დასაწყისს და უკარგავს—სოციალურ დანიშნულებას.

მართალი იყო ვ. ბელინსკი, როცა სწერდა: ფორმალურ მიღ-

წევებით ჯირითი წარსულშია, დღეს საჭიროა ღრმა პროგრესული გრძნობები და იდეები—„პოეზიაში წარმატებისათვის დღეს არა მარტო ტალანტი, საჭიროა კიდევ განვითარება ეპოქის სულით“; მით უმეტეს დღეს. აუცილებელ ფორმალურ ძიებებს, შემოქმედებით ძიებებს განსაზღვრული საზღვრები აქვს და ვითარდებიან ძირითად შეხედულებათა—იდეოლოგიურ მთლიანობის საფუძვლებზე; საზღვრების გადალახვა იწვევს ხაზის გამრუდებას და ვხდებით მოწამენი ე. წ. გადახრების, რასაც ჩვენშიც ჰქონდა ადგილი და ნაწილობრივ კიდევ განავრდობენ არსებობას.

მაგრამ „გადახრა ჯერ კიდევ გარკვეული მიმართება როდია; გადახრაა ის, რის გამოსწორებაც შეიძლება. ადამიანები რამოდენიმედ ასცდნენ გზას, ან ასცდნას აპირებენ, მაგრამ გამოსწორება ჯერ კიდევ შეიძლება. აქ ჯერ კიდევ არაა რაიმე საბოლოოდ დასრულებული“ (ვ. ლენინ). ცხადია ჩვენს ზოგიერთ პოეტებში შემჩნეული გადახრები (ლაშქრობა ობივატელურ-იდილიურ განცდებით, სუბუქი ჟანრის პროდუქცია, პოეტური „ცივანშინა“, პატრიოტული რომანტიზმი, დაცემულობის ნიშნები) დროებითი იყო და უკვე სწარმოებს (მათში) იდეურ დაქანების ლიკვიდაციის პროცესი.

თუ რუსეთის პროლეტარულ პოეზიაში ადგილი ჰქონდა ჩვენს სოციალისტურ მშენებლობასთან დაკავშირებით ოპოზიციონურ განწყობილებებს, საქართველოში ისაზღვრებოდა „ეროვნული სევდით“. რუსეთში მ. გოლოდნი უკმაყოფილოა ახ. ეკ. პოლიტიკით, ნებჰის დღეები მას დამარცხებად ეჩვენება და იგონებს „წარსულ დღეების ზარბაზნების მუსიკა“-ს.

### მ. სვეტლოვი-კი:

„Время не то пошло теперь,  
 Прямо шагать нельзя  
 И для того, чтобы открыть дверь  
 Надо пропуск взять.  
 Нынче не то, что у нас в степи—  
 — Вольно-нельзя жить...  
 Строится дом, и каждый кирпич  
 Хочет тебя убить. да სხვ.“

როგორც ვხედავთ „ნებ“-ი გენერალურ დახვედად იქნა გაგებული, ჩვენი „სტაბილიზაცია“ კი რევოლუციის დასრულებად, დამარცხებად, რაც გამოწვეულია რევოლ. მამოძრავებელ ძალების შეუფასებლობით და რევ. პერსპექტივის უქონლობით. კლასთა ბრძოლა, რევოლუცია მიიმართება თავისი დიალექტიკით, „ილიჩის ლამფით“



და საცალო ფასების დაკლების პოლიტიკით მივიმართებით უკლასო საზოგადოებისაკენ და ამიტომ **მ. სვეტლოვის**: „Строится дом и каждый кирпич хочет тебя убить“—რევოლ. მამოძრავებელ ძალებში, სოციალისტურ აღმშენებლობაში **ოპოზიციონური** შეეკვება: ჩვენი მეურნეობის კაპიტალიზმში გადაგვარება. ჩვენშიც გამოვლინდა ანალოგიური მომენტი, როდესაც კ. კალაძემ კლასთა ბრძოლა გათავებულად გამოაცხადა; ელ. პოლუმორდენოვმა: „სად არის სიამე ღილებ გადახსნილი?“ და სხვ. მაგრამ ჩვენი გადახრები უმთავრესად „ეროვნულ სევდის“, მატარებელი იყო.

ძველი საქართველო ირღვევა, ტფილისს შორდება ძველი სახე, ძველი იერი, სწარმოებს ტფილისის ელექტროფიკაცია, ინდუსტრიალიზაცია:

„ნეტავ აქ ისევ ჩურჩულებდეს ტვერი შრიალა, — რომ მეც მტკვრის პირას ვინადირო ქორით—ტფილისი“ და სხვ. (კ. კალაძე: „ტფილისი“).

შენდება ახალი ინდუსტრიალური, სოციალისტური საქართველო, „შლიან მტკვარის ტანზე გაწოლილ ბოგირებს და ბარათაშვილის მერანის კვალს“, მაგრამ:

„მე ეხლა ტფილისში თუ რამე მადარდებს და გულს აგორებულს თუ რამე სწვავს, ეს ალბათ იმიტომ, რომ მკერდზე გადადის

სამშობლოს მიწა, სამშობლოს ცა“ (ა. მაშაშვილი). ასე, რომ თუ რუსეთში სოციალისტურ მშენებლობასთან დაკავშირებით პროლ. პოეზიაში გამოვლინდა „ნეპ“-ის მიუღებლობის და ოპოზიციონური განწყობილებანი, ჩვენში კი:—რომანტიულ, პატრიარქალურ საქართველოს სიკვდილის გამო—„ეროვნული სევდა“. ჩვენ სრულებითაც არ წამოვაცუნებდით გადახრებზე საკითხს, რომ ამ მოვლენას ნაწილობრივ კვლავ არ ჰქონდეს ადგილი; მაგ. კ. ლორთქიფანიძე ტიპიურ ექსპრესიონისტულ განწყობილებას აწვითარებს:

...„გულში გრძნობები აღარ დარჩება.  
ციფრები გვაქცევს კაცებს მონებად  
და მაშინ ხალხის გადასარჩენად  
ქვეყანას ლექსი მოაგონდება“.

(„პროლ. მწერლობა“ № 1)

რატომ დასჯირდა პოეტს განწყობილებათა ასეთი კომპლექსის წამოწევა? თურმე ინდუსტრიალიზაცია აბსოლიუტურად სპობს „მწვანე ბუნებას“, გრძნობებს. მომავალი სრულებითაც არ თხოულობს ემოციების უარყოფას, ფსიქოლოგიურ დემობილიზაციას, ცი-

ფრების მიერ კაცების მონებად გადაქცევას და სხვ. აქ ერთგვარ პანიკორობასთან გვაქვს საქმე პოეტის მხრივ, რაც რევოლუციის საბოლოო მიზნებში **სათანადო** გაურკვევლობის შედეგია. მეორე ლექსში პოეტი ბრძოლის განწყობილების პარალელურად ელეგიურ ტონს და მელიოდრამას ანვითარებს. ბოლოს კი წარმოდგენილ ლექსების რგოლში „გვაჯერებს“:

„ჰამლეტობაზე უფრო დიდია  
დონკიხოტური თავდავიწყება“.

(„პროლ. მწერლობა“ № 1)

მართალია მერე ეს? დასაშვებია ასეთი ლიაპსუსი? რასაკვირველია არა! მართალია „ჰამლეტიზმი“ უმოძრაობის, პასიობის სინონიმია, მაგრამ არც „დონკიხოტური თავდავიწყება“ დადებითი მოვლენა. მწუხარე სახის რაინდის ავადმყოფური ფანტაზიორობა, პათოლოგიური ექსტაზი ისევე მიუღებელია თანადროულობისათვის, როგორც ადამიანის გაორება. „დონკიხოტური თავდავიწყება“—უდისციპლინობა, უტაქტობა, უგეგმობა და საკვირველია რა ნახა პოეტმა უმიზნო ტრიუკების, „ავანტიურობის“ წამომწყებ ლამინჩელ რაინდში? არც ჰამლეტი, არც დონკიხოტი, არამედ—**ბოლშევიკი**—მებრძოლის ურყევი ტიპი, საღ განწყობილებათა მონოლიტი; ბოლშევიკია თანადროულობის დადებითი და გამართლებული ტიპი, ეს უნდა იცოდეს პროლეტპოეტმაც.

უსათუოდ სასიამოვნო ფაქტია, როცა პოეტი ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას ორგანიულად განიცდის, ჩვენი ინდუსტრიალიზაციის რიტმს, ცხოვრების დენას... და უსათუოდ არა სასიამოვნო მოვლენაა, როდესაც ასეთს განწყობილებას ანვითარებს:

„დიდება ზაჰესს, დიდება ზაჰესს!

ჩვენც ბრწყინვალეების ვართ მომღერალი

**შენ შემოგველოს რკინის მკლავებით**

**ეს ოქტომბერი, ეს თებერვალი**“ (ა. მაშაშვილი).

შესაძლებელია პოეტმა თავი „მხატვრული“ მოსაზრებებით იმართლოს (ინტიმი, ხალხური გამოთქმა), მაგრამ ეს სრულებითაც არ ამართლებს ფაქტის სოციალურ დანიშნულებას (გამიზენას). ასეთი „ზეინდუსტრიალიზმი“ ყოვლად მიუღებელია ჩვენთვის. ფაქტია, რომ ს. ს. რ. კ. პროლეტარიატი და ღარიბი გლეხობა „ოქტომბრის ინტერესებისათვის“ შეეღება ზაჰესებს, ვოლხოვსტროებს და სხვა. უსათუოდ მართალია **კალე ფეოდოსიშვალი**, როდესაც დიამეტრალურად მოპირდაპირე განწყობილებას ანვითარებს:

„და თუ დაგვჭირდა ჩვენ ზაპესსაც გადავაქცევთ ბარიკადებთან.  
დე ოქტომბრისთვის ჩვენი სისხლით შეიღებოს მტკვარი.  
არავი“

(ა | წ. „მნათობი“ № 3)

ერთ მომენტზე გვესურს შევაჩეროთ კიდევ მკითხველის ყურადღება და უპირველეს ყოვლისა თვით პროლეტმწერლების: „ხაზი ნეიტრალურ“ ინდიფერენტულ (განურჩეველი) თემებზე ინდიფერენტული ხედვით. ფაქტები კარლო კალაძის: „აღმოსავლური“, (იხ. ა | წ. „ქართული მწერლობა“ №1), კ. ლორთქიფანიძის: „მონადირის თქმული“ (იხ. „მნათობი“ №3) და სხვ. ჩვენ უკიჟინებდით ნ. ჩაჩავას, თუ რატომ, რისთვის და ვისთვის გალექსა „ზრდილი თავადის“ ხოხობზე ნადირობა („საუბარი ნადირობისას“) და როდესაც პროლეტარ. პოეტი ანალოგიურ განურჩეველ თემაზე აგებს ლექსს, ყოვლად მიუღებელია. ყოველგვარ მჩვრების და ამბების გალექსვა მიუღებელია პროლეტ. მწერლებისათვის. დასასრულ: ერთი დამახასიათებელი რამ ახასიათებს ჩვენს ზოგიერთ პროლეტარულ პოეტს, მწერალს: **ლირიული დახვევები და შემდეგ გამირული ლექსები** და ასე შებრ. **დასწერს რომანტიულად განწყობილ ლექსს, მომდევნო უხათუოდ ულტრა-რევოლიუციონურია და ასე დაუსრულებლივ.** ასეთი გეგმით და სისტემით მუშაობა პროლეტარულ მწერლისათვის ყოვლად მიუღებელია, მაშ რითი განსხვავდება იგი თანამგზავრისაგან? რასაკვირველია, შეიძლებაოდა საორგანიზაციო მასალის მეტი დაგროვება, მაგრამ საილიუსტრაციოდ ესეც საკმაოა.

დასკვნა: როგორი უნდა იყოს პროლეტარულ-მხატვრული ლიტერატურა? რით განსხვავდება იგი თუნდაც თანამგზავრისაგან? იდეოლოგიურად მტკიცე დაყრდნობილი ობიექტიურ კლასიურ ხედვაზე, თავის **იდეურ** უპირატესობაზე, ყოველთვის გამიზნული კომუნიზმის მიმართებით, მებრძოლ პროლეტარიატის ლიტერატურად, მასიური და გასაგები მილიონებისათვის. თუ ეს ასე არ იქნება, მაშ რით განსხვავდება იგი თანამგზავრულ, ე. ი.—კომუნისტურ და წვრილბურჟუაზიულ განწყობილებათა შუა მოქანავე ლიტერატურისაგან? ნუ დაგვაიწყდება, რომ პროლ. ლიტერატურა პრ. იდეოლოგიის განვითარების საერთო პროცესის ერთ ერთი ელემენტია და პოლიტიკური ბრძოლის იდეური იარაღი, უნდა ხასიათდებოდეს განცდათა და განწყობილებათა პროლეტარულ, კლასიურ მონოლიტობით, რევოლ. პერსპექტივით, თანადროულობასთან ორგანიული და აქტიური მისვლით. ამის გარეშე პროლეტარული მწერლობა არ არსებობს; არსებობს მხოლოდ ოპტიკური მოტყუება, ილიუზია.

მაგრამ რას წარმოადგენს თანამგზავრი? როგორია მისი ბუნება?

... „ლიტერატურული და სულიერი მათი სახე შექმნა რევოლიუციამ, რომელმაც გაიტაცა ისინი, და ყველა ისინი იღებენ რევოლიუციას, თვითეული მათგანი თავისებურად. მაგრამ ინდივიდუალურ მიღებაში მათ აქვთ ერთი საერთო ხაზი, რომელიც აშორებს მათ კომუნიზმს და, მოსალოდნელია, მის წინააღმდეგ დააყენებს. ისინი მთლიანად ვერ ითვისებენ რევოლიუციას და მისი კომუნისტური მიზანი უცხოა მათთვის. ყველა ისინი, ასე თუ ისე, იმედით უცქერიან მუშის იქით გლესს. ისინი პროლეტარული რევოლიუციის ხელოვნები არ არიან, ისინი მისი მხატვრული თანამგზავრებია“.

(ლ. ტროცკი: „ლიტერატურა და რევოლიუცია“). რატომ დაგვჭირდა ლ. ტროცკის ცნობილ განსაზღვრის კვლავ მოყვანა? იმიტომ, რომ ამას კარგად დაუკვირდეს ზოგიერთი პროლეტარული პოეტი, ბელეტრისტი; იქნება ნაწილობრივ იცნოს თავი და გამოერკვეს: პროლეტარული ლიტერატურა არაა თანამგზავრული ლიტერატურა! უპერსპექტივობა, კომუნისტურ და წვრილ-ბურჟუაზიულ განწყობილებათა შუა, ქანაობა—თანამგზავრის ტიპიური თვისებაა და როდესაც პროლეტმწერალი ანალოგიურ მერყეობას, ქანაობას განიცდის... მაშინ უსათუოდ მართალი იქნება ვ. შკლოვსკი თავისი ცნობილი სქემით: „Попутчики и их тени“. ამიტომ დღის წესრიგში დროულ ლოზუნგს ვაყენებთ: **პროლეტარული ლიტერატურის ბოლო შევიზაციისათვის!** ამას გვიკარნახებს გაშლილ იდეოლოგიური ბრძოლის გადაუდებელი ამოცანები.

## პარალელური ფენიზმები

### II

**თვითმიზნური** დედამაწის ერთ მეექვსედზე პროლეტარიატის **თუ უტილიტარული ხერხი.** დიქტატურის ეპოქაში და მსოფლიო რევოლუციის განვითარების პროცესში, როცა საბჭოების ქვეყანაში თანამედროვე ცხოვრების ყოველი წვრილმანიც კი, პროლეტარიატის მიერ იდეოლოგიურ გადაფასებისა და სოციალისტურ აღმშენებლობის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს—ამ დროს, ისეთი მხატვრული პროდუქციის მოცემა, რომელიც გარკვეულათ დაცემულობის და სასოწარკვეთილების ნიშნებს ატარებს, ეს ისეთი სოციალურ-ემოციონალური რიგის მოვლენაა, რომელიც თანამედროვე ადამიანს გულს უტეხს მიმდინარე ცხოვრებაზე და აშკარათ აბრკოლებს თანამედროვე ადამიანის ფსიხიკის ყალიბობას კომუნიზმის მიმართულებით.

მხატვრული ფაქტი **დანიშნულების** ფუნქციას მაშინ ასრულებს, როდესაც მისი მხატვრული-ხერხობრივი აღნაგობა, ისეთ ემოციონალურ ზედ-მოქმედებისთვის არის განზომილი, რომელიც პროლეტარიატის კლასიური ბრძოლის და კოლექტიური ცხოვრების მიზნებს უკავშირდება და მთელი ემოციონალური მარაგით აღმშენებლობით რიტმში გადადის.

მხატვრული ფაქტის დანიშნულება მის ემოციონალურ ზედ-მოქმედებაში მდგომარეობს. განსაზღვრული ემოციების გამოწვევა აუდიტორიის ფენებში ანუ ფსიხიკის ორგანიზაცია განსაზღვრული მიმართულებით.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ამთვისებელი აუდიტორია— მკითხველი მასსა მთლიანი არ არის და საბჭოთა საზოგადოების ნების პერიოდშიაც, როცა განსაზღვრული თანამშრომლობის უფლებით სარგებლობენ არა პროლეტარული ფენები, ადგილი აქვს ემოციონალურ მოთხოვნილებათა სხვადასხვაობას, რომელიც კლასიური შინაარსის და მიზნების საფუძველზე მეღავენდება.

გარკვეული ურთიერთობა არსებობს მხატვრული ფაქტის მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. ლიტერატურულ ფაქტის მხატვ-

რულობა ჩვენი აღქმის პროცესის შედეგია. ეს შედეგი გამოიყვანება ამივისებელის ემოციონალურ მიმღეობასთან შეფარდებით. მაშასადამე მხატვრული ფაქტი განსაზღვრული მიზნობრივ დანიშნულებით ხასიათდება.

მხატვრული მიზან-მიმართება, — კლასიური შინაარსის, კლასიური მსოფლ-შეგრძნების ტოლფასია. მსოფლ-შეგრძნება კი მუშავდება ემოციონალური (გრძნობადი) მასალების საფუძველზე. მაგრამ ეს ემოციები გარკვეულ კონკრეტულ-კლასიურ სახეს ატარებენ. სახელდობრ **ემოციების კლასიურობა** წარმოადგენს იმ უმთავრეს ფაქტორს, რომელიც საფუძველათ უდევს კლასობრივი ბრძოლის გამახვილებას ხელოვნების ფორმებზე.

ბურჟუაზიულ ხელოვნებას თავის განვითარების გასწვრივ დღევანდლამდე ახასიათებს სრული მოწყვეტა პრაქტიკულ ცხოვრებიდან. ცხოვრებიდან გაქცევას ესთეტიზმისა და პასიურ მჭვრეტელობის თვითმიზნობის აღიარებით ამართლებდენ.

ბურჟუაზიული ხელოვნების განვითარების პირველ პერიოდში მხატვრულ შემოქმედებას განსაზღვრავდა რეალისტური ხერხი. სანამ კაპიტალიზმი პროგრესიული მოვლენა იყო რეალურ ცხოვრების საგნობრივი-ობიექტიური სახეა და მისი დადებითი შეფასება ბურჟუაზიულ ინდივიდუალიზმის ძირითად ინტერესს აკმაყოფილებდა.

კაპიტალიზმის იმპერიალისტურ სტადიაში გადასვლის შემდგომ დაიწყო რეალისტური ხერხის კრიზისი. რეალურ ცხოვრების სახვიდან ბურჟუაზიული ხელოვნება გადავიდა სახვითი ილიუზიების სფეროში. ხელოვნების ცხოვრებასთან შეგნებულათ დაპირისპირებამ ანუ ხელოვნებისა და ცხოვრების შორის შექმნილ დისპროპორციამ უმაღლეს საზღვრებს მიაღწია ე. წ. „სტანკოვურ“ (დაზგურ) ხელოვნებაში. მხატვრული შემოქმედება თვითად (самоодвляющий) თვითმიზნურ მოვლენათ აღიარეს, სოციალური პრაქტიკის პირისპირ მხატვარი, „დამოუკიდებელი პიროვნება“ დაზგასთან იგონებდა ინდივიდუალურ ფორმებს. ეს კი უდრის, ცხოვრების არა უტილიტარულ მასალების მხატვრულ ინტერპრეტაციას რეალურ მიზნების გარეშე.

რეალურ ცხოვრებასთან ორგანიულ კავშირს დარღვევამ მოითხოვა ახალი მხატვრული ხერხების აღმოჩენა. ამ ამოცანის განუხორციელებლობის გამო დაიწყო ძველი დაკანონებულ მხატვრულ ხერხების აღდგენა. მეორეს მხრივ სოციალურ სინამდვილესთან დაპირისპირების ნიშნის ქვეშ გავრცელდა ყოველგვარი ფორმების სტილიზაცია, მისი დეკადენტური კუთხით გამახვილება. ეს კი სავსებით აკმაყოფილებდა ბურჟუაზიული ინტელიგენციის მისტიურ-ემოციონალურ სულის მოთხოვნილებას.

სიმბოლისტური სკოლა სიმბოლოს აღიარებს „ზე-მეცნიერულ“ ანუ მეტაფიზიკურ შემეცნების წყაროთ. აქედან დაიწყო საგნის „მიღმა“ გამოგონებულ ქვეყნების „ჩაწვდომა“ და აბსტრაქტული შეფარდებების გამოყვანა. ექსპრესიონისტულ მიმართულებაში კაპიტალიზმით უკუქცეული ხელოვანი თავისი სუბიექტიური და „მარადიული“ ემოციების სახვას უკანასკნელ შესაძლებლობამდე აღწევს.

თანამედროვე ევროპის ხელოვნება თავის შინაგან იმანენტურ განვითარებაში კრიზისის ჩიხში მოექცა. ამის დამამტკიცებელია ე. წ. უსაგნოელთა მოვლენა. (безпредметники). მასალის ყოველგვარი სახვითი საშუალებების ამოწურვის შემდეგ დაიწყო შექცევა დაკანონებულ გაფეტიშებულ ფორმების მიმართ. ამ შექცევამ გამოიწვია ხელოვნების კონსტრუქტიულ ხერხების და წყობის ძირითად პრინციპების გაშიშვლება ანუ ხელოვნების ლაბორატორიული მასალების პრაქტიკული ანალიზი. მაგრამ აქაც ბურჟუაზიული ხელოვანი ვერ გადასცდა თვითმიზნურ კონსტრუქციების ფარგალს და კრიზისი ისევ გაგრძელდა.

ბურჟუაზიული ხელოვნების განვითარების შიგნი ძველი ფორმების დაშლის გზა ხელოვნების უტილიტარულ პრინციპის აღიარებამდე გადის. მაგ. ბურჟუაზიული მხატვარი ფ. ლეჟე ხელოვნებისა და წარმოების შეთავსების აღირებამდინაც კი მივიდა. მაგრამ ამ პრინციპის რეალიზაცია დამოკიდებულია კაპიტალიზმის ეკონომიურ სტრუქტურის ლიკვიდაციაზე, რომლის გარეშე შეუძლებელია წარმოებითი ხელოვნების განვითარება.

**ცხოვრების ასა-** ბურჟუაზიულ საზოგადოებაში წარმოების ხვა თუ მშენებ- იარაღებზე კერძო საკუთრებამ წარმოშვა კერძოლობა. მეურნეობითი ყოფა. საზოგადოების კლასიური დიფერენციაციის გარდა, მანქანურ-კოლექტიურ წარმოების სისტემა გამოცალკევდა ინდივიდუალური მითვისების და საერთოთ მოხმარების სისტემიდან. ამ წინააღმდეგობის რგოლი კიდევ უფრო გაართულდა განაწილების სფეროში, როდესაც ნივთი—საქონელი ანარქიულ ბაზარზე გამოიტანეს. მწარმოებელისა და მომხმარებელის შორის პირდაპირი ურთიერთობის უქონლობა-ს გამო ნივთმა დაჰკარგა უტილიტარული-ტენზიკური დანიშნულება და შეიქნა მხოლოდ კერძო ყოფისა და უმთავრესათ ბაზრის ობიექტი. ნივთების წარმოება ბაზრის ანარქიულ პრინციპს დამორჩილდა და რამდენათ ნივთის მოხმარება კერძო ყოფის ფარგლებში კონსერვატიული გახდა, იმდენათ ნივთის ტენზიკურ ფორმასა და მისი ყოფითი კონსერვატიზმის მოთხოვნილების შორის წინააღმდეგობა გაიხლართა.

ამგვარათ ნივთი ბურჟუაზიულ ყოფის ჩონჩხში ჰკარგავს წარ-  
მოებით კვალიფიკაციის ღირებულებას და წარმოების საზოგადოებ-  
რივი პროცესის გარეშე რჩება ბურჟუაზიულ ყოფის ცერემონიალის  
საგნათ.

თუ ეს ითქმის ბურჟუაზიული საზოგადოების ნივთთან ურთი-  
ერთობის შესახებ, მით უმეტეს ბურჟუაზიული ხელოვნების მთავარი  
ნიშანდობლიობა საზოგადოებრივი ცხოვრების ამოცანებთან შეუკრე-  
ლობაში მდგომარეობს.

ბურჟუაზიულ ხელოვნებას უმთავრესათ განსაზღვრავს ცხოვ-  
რების გარეთ ინდივიდუალურათ გამოგონებულ პატარა „სამყარო-  
ბის“ ქვრეტა: მისტიციზმის მსოფლ-მხედველობის ქვეშ სხვადასხვა  
სახვითი ილიუზიონური ფორმების თვითმიზნური შემოქმედება და  
ნებისყოფის სფეროში სრული განიარაღება.

ბურჟუაზიულ საზოგადოების მიერ, ხელოვნებასა და ცხოვრე-  
ბას შორის შექმნილი დისპროპორცია საბჭოების სოციალისტურ  
აღმშენებლობის ქვეყანაში უნდა გასწორდეს ყველა კუთხეებით: ეს  
არის პროლეტარიატის იმპერატიული, გადაუდებელი და თან ურთუ-  
ლესი ამოცანა კულტურულ აღმშენებლობის ფრონტზე.

ოქტომბრის რევოლიუციის თანამედროვე განვითარების პირო-  
ბებში, როდესაც საქმე გვაქვს ურთიერთ დაპირისპირებულ სამეურნეო  
ფორმების ჭიდილთან, მაინც შენარჩუნებულია სოციალისტური ელე-  
მენტების ჰეგემონია. მუშათა კლასი აწარმოებს თავისი კლასიურ  
კულტურის მშენებლობას შეგნებულათ გათვალისწინებულ და გეგ-  
მიან გზით.

პროლეტარულ კულტურის მშენებლობის სისტემაში თავსდება  
პროლეტარული ხელოვნების მშენებლობითი გაგება. ეს გამომდინა-  
რეობს თანამედროვე ყოფისა და ხელოვნების ფუნქციის ურთიერ-  
ობიდან. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ყოფა კულტურის კონსერ-  
ვატიული დანალექია. თანამედროვე ყოფა (быт) მიმდინარე და  
ცვალებადი მოვლენაა. სწარმოებს ყოფის ფორმების შეგნებული,  
გეგმიანი და განუწყვეტელი ცვლა. მატერიალური ყოფის ტენდენ-  
ციების წინასწარი ცოდნით პროლეტარიატი გეგმიანათ ხელმძღვა-  
ნელობს საზოგადოებრივი ყოფის ფორმების განვითარებას. პროლე-  
ტარიატი ხელოვნებას უტილიტარული ხედვით უდგება.

პროლეტარულ ხელოვნების გაგება ცხოვრების კოლექტიურ  
მშენებლობაში მდგომარეობს. პროლეტარული ლიტერატურა კოლექ-  
ტური ფსიხიკის ორგანიზატორია.

არა ჰკრეტიითი მისვლა ცხოვრებასთან, არა განურჩეველი ასახვა



ცხოვრების, არამეთ ახალი ყოფის მშენებლობა და აგიტ-ზედმოქმედება მასიურ ფსიხიკაზე.

ზოგიერთი „მარქსისტი“ თეორეტიკოსები იცავენ ცხოვრების ასახვის თეორიას. „ხელოვნება არის ცხოვრების შემეცნება, მის (ე. ი. ცხოვრების) გრძნობადი და სახეობრივი განჭვრეტი.“ (ა. ვორონსკი—„Искусство как познание жизни и современность“). ეს იგივე დაბრუნებული ბურჟუაზიული გაგებაა ხელოვნების, როგორც ცხოვრების პასიურ ჭვრეტი დაკმაყოფილებისა.

ცხოვრების ასახვისკენ მოწოდება თანამედროვე აღმშენებლობაში აქტიური მონაწილეობის აღკვეთას უდრის, ამის გამო რჩება „სულიერ პათოსის“ ზე-შთაგონებრივი გამოვლინება. აქედან იწყება „უპარტიობა“ და „განურჩევლობა“ მხატვრულ ლიტერატურაში. აქედან გზა ეხსნება ლიტერატურულ-იდეოლოგიურ პასიუზმს ანუ წარსულის ქვეშ შემოქმედებით გაყალბებას.

ჩვენ ვამბობთ: ხელოვნებაც ცხოვრების აქტიური მშენებლობის იარაღია და მასების ემოციონალური აღზრდის საშუალება.—პროლეტარული მხატვრული ფაქტი ნებისყოფას უნდა ავარჯიშებდეს აღმშენებლობითი მიმართულებით. პროლეტარული შემოქმედის კლასიური ხედვა და ლიტერატურულ კვალიფიკაცია სოციალ-ტექნიკური მონიზმით უნდა ხასიათდებოდეს.

პროლეტარული ლიტერატურა იგივე შრომის პროცესია მხატვრულ სიტყვის ფრონტზე.

პროლეტარული მწერალი აუცილებელ მხატვრულ ხერხების დაძლევის შემდეგ, კოლექტიური გამიზვნის გეგმაში სიტყვის ოსტატი უნდა იყოს.

სანდრო ეული. ლექსები. გამოცემა: სახელგამი. 1927 წ. გვ. 116.  
ფასი 1 მან.

სანდრო ეული ითვლება პროლეტარულ პოეზიის პიონერათ, რასაც თავის უდავო ლიტერატურული გამართლება აქვს; მაგრამ აქ საქმე ლიტერატურულ მუშაობის ხანგრძლივობაში კი არ არის. არამედ შემოქმედების ხასიათშია. ს. ეული სამწერლო ასპარეზზე უმთავრესათ თებერვლის რევოლიუციის შემდეგ გამოვიდა. როგორც ვიცით თებერვლის რევოლიუციამდე, ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდა მთელი რიგი რევოლიუციონერ პოეტებისა, რომელთაც შემოქმედების უმთავრეს შინაარსს შეადგენდა, შრომის განცდა, და ექსპლოატაციის სუსხი—მაგრამ პროლეტარულ პოეზიის დასაწყისი მაინც სანდრო ეულის სახელთან არის დაკავშირებული და ეს უმთავრესათ იმიტომ რომ მის შემოქმედებაში გამოიქვლია გარკვეული კლასიური სახე—განთავისუფლებული ზოგად ხალხოსნურ გადახვევებისაგან—რაც დამახასიათებელია პროლეტარულ პოეზიამდე არსებულ რევოლიუციონერ პოეზიის პერიოდისათვის. ს. ეულმა შესძლო დამოუკიდებელი თემატიური ხასიათი მიეცა პროლეტარულ პოეზიისათვის—რაც საფუძვლათ უნდა დადებოდა მის შემდეგ განვითარებას. აღნიშნულ წიგნში მოთავსებული ლექსები საშუალებას იძლევა წარმოდგენილ იქნეს, პოეტის სრული შემოქმედებითი სახე. კოლექტივიზმი ძირითადად დამახასიათებელია პროლეტარულ ლიტერატურისათვის; და ეს ახასიათებს ჩვენს პროლეტარულ პოეტსაც. მისი პიროვნება, ეს სიმბოლოა კოლექტივის. ამიტომ პოეტის განვლილი გზა კოლექტივის გზაა.

„ვიყავ ეული, ბედით წყეული,  
მწარეს ჩვეული, ყველგან თრეული,  
დღეს კი გზა ჩვენი,  
გზა არჩეული,  
გზა ახვეული და ჩახვეული,  
გაკაფული გვაქვს და დაძლეული.“

პროლეტარიატის არსებობის ქვა-კუთხედში შრომა და ბრძოლა, პოეტის შემოქმედების ძირითადი საწყისებია. მებრძოლ პოეტს კლასიური ალლო გამახვილებული აქვს. მან იცის რომ შესვენება დროებითია, რომ ბრძოლისათვის მუდამ მზად უნდა იყვნენ:

„ამხანაგებო! ბრძოლის ხალისი  
ავგენტოს გულში კვლავ ცეცხლით ყველას,  
ნურავის ათრობს დღეს გამარჯვება  
მტერი ჩვენს ხარჯზე მოელის შველას!“

პოეტი აფრთხილებს მებრძოლთა რიგებს. ის რევოლუციის  
ფხიზელი გუშავია.

ს. ეული, თავის შემოქმედებით განვლილ ბრძოლების  
ნება და ნომავალის მოწოდებაა. პროლეტარული პოეტის შემოქმედ-  
ებაში, არ შეიძლება არ გამოიყვანდეს იმ წარძობების წრე, რომელ-  
შიდაც ის ტრიალებს; შრომაა საწყისი მისი, ენერჯის—ქმედების და  
ეს შრომის სახე—მისი შემოქმედების ობიექტი ხდება. ეულის შემო-  
ქმედება—როგორც თემატიურად დაწმენდილ პროლეტარულ პოეტის  
გვადღევს—შრომის უშუალო განცდას. „ქარხნის კონცერტის ის  
უსმენს გატაცებით, გრძნობს რომ მისი შემომქმედი, მისი“ დირიჟორი  
ის თვით არის. მისთვის ცხოვრების მეფე „გარდამქმნელი ეს მემანქა-  
ნეა, — „მეფე მემანქანე“ რადგან მას

„მოდრაობაში მოჰყავს

თავის მანქანა.

მისი მოძრაობით კი—

ინგრევა ძველი

შენდება ახალი—“

პროლეტარული პოეტის განცდის, შინაარსი—საკუთარი კლასის  
ცხოვრება. მისი ქაოსი, მისი სევდა, მისი მიზანი; დღევანდელ ეპო-  
ქის უმწვერვალესად გამწვავებულ კლასიურ ბრძოლის დროს, არ შეი-  
ძლება პოეტი—თუ ის უშუალოდ პროლეტარულია—არ იყვეს კლასი-  
სიურ ფარგალში ჩაჭვდილი; არ შეიძლება განიცდიდეს რყევას-ქანაო-  
ბას, ზოგადობით გატარებას. ეული ამ მხრივ მაგალითია: არავითარი  
ზოგადობა;—განურჩევლობა, ლიბერალური „ჰუმანიზმი“—მას როგორც  
პროლეტარულ პოეტს არ ახასიათებს, მისთვის გზა გარკვეულია და აქ  
არჩევანის მომენტი მოხსნილია. მუშათა კლასის გზის მოპირდაპირე  
სადგურებში—პერიოდულათ აღმა-დაღმა გადასხდომა--რის ტენდენცია  
ნიშნულია ჩვენ ზოგიერთ პროლეტარულ პოეტისათვის—მას არ ახა-  
სიათებს. პოეტის ყველა განცდები კლასიურ პროლეტარულია—მის-  
თვის არ არის შეუქმნეველი ნების პერიოდის აღმშენებლობა და  
მას სათანადოთ სახავს.

აღნიშნული წიგნი იძლევა პოეტის შემოქმედების სრულ სახეს  
და სათავეს აძლევს—მის პოეტურ განვითარების შემდეგ გზებს—რაც  
ნომავალში ალბათ შეეჭველათ გამოიყვანდებოდა. სარეცენზოა წიგნს  
დართული აქვს ამხ. შ. დუდუჩავას წინასიტყვაობა.

ანი.

ნიკოლო მიწიშვილი:—„თებერვალი“ საქ. პროფკ. გამომცემ. „შრო-  
მა“ 9927 წ. გვ. 73. ფ, 50 კ.

თანამედროვე ქართული მხატვრული პროზა ძალზე ღარიბია,  
თანდროულობას და რევოლ. დღეების რიტმს ძალზე დაცილებულია  
„უკეთეს“ შემთხვევაში განზრახ ყალბი კუთხიდან აღებული მომენ-  
ტები („ჯაყოს ხიზნები“) ფეოდალების, გადაშენებულ ტიპების მოკლე;  
(ნ. ლორთქიფანიძე. დ. შენგელაია.) ზოგიერთი ქართველი მწერალი

შიშველ მეძავის ირგვლივ იმპოტენტების რიტმიულ რხევას უფრო განიცდის, ვიდრე თანდროშობას. ერთი სიტყვით არაა თანდროშობასთან აქტიურ და ორგანიულ მისვლის ცდაც კი. კრიტიკის „ტრადიციული“ აზრით მ. ჯავახიშვილი თანამგზავია, ჩვენ გვგონია უფრო ელამი სარკე: აბსოლიუტურად არა ტიპიურ მოვლენების დიდი პლანით ჩვენება, საბჭოთა სოფლის ახალი ძალების კი სადღაც უკანა სიბტყეზე მოქცევა. რასაკვირველია, ამით იმის თქმა როდი გვსურს, რომ ნ. მიწიშვილის: „თებერვალი“ უკვე ლიტერატურულ ამინდს ჰქმნის! სრულიადაც არა, არამედ იმის, რომ „ქართული მწერლობა“ კვლავ საბედისწერო (მისთვის) განუჩვენებლობაში, გაუგებლობაში იმყოფება.

თებერვალი, რომ საერთოდ დიდი ეპოპეიაა საქართველოს მუშურ-გლეხურ, მშრომელ მასებისათვის—ექვს გარეშეა. თებერვალმა ახალი ფაბულარული მასალაც შექმნა; ასეთი აქტუალური მასალა კი ჯერ სავსებით დაუძლეველია ქართულ ბელეტრისტიკის მიერ.

ნ. მიწიშვილმა სცადა (და რამდენიმედ არც უშედეგოთ) ამ ეპოპეის ერთერთ ეპიზოდის მოცემა: მენშევიკურ მთავრობის ბათომიდან ევაკუაცია, ბათომის „გასხვანაირება“ და ბათომში გაქცეულ შეშინებულ ტფილელ ობივატელების ტფილისში მასიური დაბრუნება. ბათომს წითლები უახლოვდებიან, „მთავრობა“ დაქსაქსულია...

„ქუჩაზე ყიდდენ დარცხვენილი ხმით „ერთობას“...

„იყო სადღაც კრებები. თათბირი და ბჭობა. ვილაცა, ელაბარაკებოდა ვილაცას. ვილაცა სწყვეტდა საქმეს მნიშვნელოვანს და ამას აცხადებდა. ვილაცა არ აცხადებდა არაფერსაც. ვილაცა მოითხოვდა ხელთათმანებს, თივას და აბეანდებს. ვილაცა იჯდა ვაგონში და არავის არ ლებულობდა“—ასე მოხაზა ავტორმა მენშევიკების „სახეომწიფოებრივი“ საქმიანობა ბათომში... ჩვენ გვგონია ეს ის „ვილაცებია“, რომელნიც რამდენიმე წლის განმავლობაში ებრძოდნენ საქართველოს მუშურ-გლეხურ მასებს და „წითელ საშიშროებას“.

თებერვალი „უმთავრესად“ აქტიურ ტფილელ ობივატელის წვლების ფურცლებია, პოემა შეშინებულ ობივატელზე, რომელიც ბათომის „გასხვანაირების“ შემდეგ უბრუნდება ტფილისს. ხარობს ობივატელი, რომ გადარჩა ბოლშევიკებს, (ხომ გაგიგონიათ: „წიწილასაც უნდა სიცოცხელი“) მისი სიხარული გადადის ექსტაზში: „უყვარს მოქალაქეს მსოფლიო, მზე, ქუჩა, რევკომი, წითელი ფერი და ყოველივე ფერიანი და უფერო.“

— ყველა ფერს გაუმარჯოს ფიქრობს მოქალაქე. გაუმარჯოს ყველა ფერს და ყველა ფერს ვენაცვალე, „ოლონდ“...

„საქართველო ხომ არის და წითელი იყოს, თუ გინდ ყვითელი სულ ერთია“

— „თუ კაცი ჭკუით მოიქცა... მოჟნო“ როგორც ვხედავთ „ძაბრის ჭუდებით“ დამფრთხალ ობივატელმა მათემატიკურად გამოზომილი შეხედულება შექმნა ფაქტზე და დაასკვნა რომ: „მოჟნო“ რაც უდრის „საქმეების გამოჭახარაკების“ შესაძლებლობას (სპეკულიაცია, ვალიუტით ვაჭრობა და სხვ.) ასეთ

იმედებით დაუბრუნდა ბათომს გაქცეული ტფილელი ობივატელი და ქალაქს.

სარეცენზიო ფაქტი მოკლებულია პოლიტიკურ ორიენტაციას, ავტორის ხედვა ინდიფერენტულია, რაც ერთის მხრივ შედეგია საერთოდ ავტორის ფსიქიურ ორგანიზაციის; შესაძლებელია ამის მიზეზი ისიც იყოს, რომ სარეცენზიო ფაქტი ნ. მიწიშვილის მიერ განზრახულ ეპოპეის ერთერთი ელემენტია. მიუხედავად იმისა, რომ აქ არაა გამორკვეული ავტორის პოლ. სიმპატიები, მაინც ნაბიჯია წინ „ამბოხებულ დროის აქტუალობისაკენ“.

აქვს ადგილი ლიბაუსტებს, სიყალბეს, როგორცაა „ზრდილობიან“ ყაჩაღებთან ობივატელების შეხვედრის სცენა, ტფილისის მეტაფიზიკა და სხვ. ანალოგიური ამბები. ფორმალური მხარე: გაკეთებულია თავისებური კონსტრუქციით, წარმოებული მომჭირნობის პრინციპით. ასე, რომ გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მასალა, „თემა“ ისეთი კონსტრუქციითაა მოცემული, რომ ყოველი სიტყვა მოქმედებას არკვევს. — ლაკონიურობა, მომენტების რელიეფური მოცემა, დაწურული ფრაზები, ნერვიული სტილი.

მართალია „თებერვალ“-ს ქრონიკული კოლორიტი დაპკრავს და ჟანრის მხრივ კინო სცენარს უახლოვდება, მაგრამ ეს არ უკარგავს ფაქტს მხატვრულ ღირებულებას.

ყდა კარგია.

ლიტერატორი.

---

ი. ლიბედინსკი. „შვიდი ღღე“—ნ. ბუხარინის წინასიტყვაობით. სახელგამი—1927 წ. გვ. 142. ფასი 70 კ.

რუსეთის თანამედროვე მხატვრულმა პროზამ სათანადო ადგილი დაუთმო სამხედრო კომუნიზმის გმირულ წლებს... იმ ოთხ ზვირთებსავით აგორებულ, ამბოხებულ წელს, რამაც ყალყზე შეაყენა მთელი მსოფლიო, „ჩეკა“-ს რევოლ. პრაქტიკის, სასურსათო რაზმების, „ტეპლუშკ“-ების, კომბრიგების და ბატკომების ფონზე ილია ერენბურგმა ავანტიურულ-ფსიქოლოგიურ რომანის კარდონის ხუხულა ააგო („Жизнь и Гибель Н. Курбова“), „სმუტნოე ვრემია“-ს სახით გამოვლინდა მასების რევოლ. დარაზმულობა, პროლ. რევოლუტცია ბ. პილნიაკის ლიტ. პროდუქციაში, („შიშველი წელი“ და სხვ.) პილნიაკს არ შეუძლიან გაარჩიოს რევოლუტცია სქესობრივ ექსტაზისაგან და სხვ. ლიბედინსკიმ კი შესძლო ერთ პატარა ფაქტში ჩვენი ეპოქის რიტმის, დინამიკის გამოვლინება. თუ რუსეთის პროლეტ პროზაიკთა შორის არტიომ ვესიოლიმ გლეხური, წითელ-არმიული, მატროსული სტიქია გამოავლინა, დ. ფურმანოვმა სემირეჩიის ბუნტის მხატვრულად დამუშავებული სტენოგრამა დაგვიტოვა („Мятеж“), თ. გლადკოვი მუშურ მასების, ქარხნების, სოციალისტურ აღმშენებლობის პათოსის მხატვარია. ლიბედინსკსაც თავისი განსაზღვრული თემა და გეგმა ახასიათებს. მისი შემოქმედების ცენ-

ტრალური ფიგურა — კომუნისტური (ბ) პარტია, პარტიულ პრაქტიკის ფონზე შლის მოთხოვრებას და ზრდის ტილოს.

იქ, სადაც სხვები რევოლუციის სტიქიურ, ანარქიულ დასაწყისის მეტს ვერას ამჩნევენ, ლიბედინსკიმ რეალურად მოხაზა მისი ბუნება: ორგანიზაციულობა, აქტივისტური სტიქია, პერსპექტივა. და რადენადაც კომუნისტური (ბ) პარტია რევოლ. მამოძრავებელ ძალების რეგულიატორია, რევოლ. მუშურ-გლახურ მასების ავანგარდი, იმდენად მის ლიტ. პროდუქციაში პირველ პლანზე სწორედ ეს მომენტი გამოვლინდა. (მხოლოდ კომპარტიის უშუალო ხელმძღვანელობით გაიმარჯვებს რევილიუცია) ამასთან პარალელურად უსათუოდ საყურადღებოა, რომ ავტორი მთელ რიგ ლიტ. ფაქტებში („შვიდი დღე“, „Завтра“, „Комиссары“ და სხვ.) კომუნისტურ (ბ) პარტიის ერთგული რჩება.

ლიბედინსკის მხატვრულ ფაქტებში თანდროულობა თავის დაქიმული რიტმებით სათანადოთაა წარმოებული. სამოქალაქო ომის გაშლილი გმირული წლები დიდ მხატვრული უშუალობითაა მოცემული. პროვინციალურ პარტიულ ორგანიზაციის კომუნისმისათვის გმირული ბრძოლა დაშლისა და „კულაკურ“ აჯანყებების პირობებში („შვიდი დღე“), გერმანიის რევოლ. ძვრების გამო „გამეზიანებულ“ პარტიულების გამოფხიზლება, („Завтра“ — 23 წ.) პარტია „ნეკ“-ის პირობებში — „ძლიერის და საჭიროს“ შერჩევა („Комиссары“) — აი ლიბედინსკის ცენტრალური თემები, რაც ვიმეორებთ, სათანადო ტემპერამენტით, მხატვრულ უშუალობით და დაჯერებითაა წარმოებული.

ბელეტრისტს შეუძლია რევოლ. ეპოქის ყოველ დამახასიათებელ მომენტის დაჭერა, ეპოქის პულსის გაგება და იძლევა საბჭოთა სოც. რესპუბლიკების მიერ განვლილ განსაზღვრულ ეტაპების ჯამს და პერსპექტივებს.

ი. ლიბედინსკიმ შესძლო „შვიდი დღე“-ში სამაზრო პარტუჯრედის პრაქტიკულ საქმიანობის მოცემით, დიალოგების, პეიზაჟის და მოთხოვრების აწეულ ნერვიულ ტონის გზით გადმოეცა რამოდენიმე ასიათას მუშების ის რევ. ძვრები, რამაც გლახური რუსეთი ყალყზე შეაყენა და გადაჰლუნა კომუნ. მიმართებით.

„შვიდი დღე“-ში ერთი ერთმანეთს მისდევს 12 ფიგურა, ყოველი თავისი ბიოგრაფიით: საზოგადოებრივ მოვალეობის ფანატიკი — ამხ. რობეიკო, კომუნისმში შეყვარებული ინტელიგენტი (მარტინოვი) ტიპიურ ინტელიგენტურ აზროვნებით: მოვალეობაზე, მსხვერპლზე, თავის თავის „ღირებულებაზე“ და სხვ., სოფლის ობივატელი მკერავი — ჩეკისტი გორნიხ, სტელმანოვი (მუშ. ბირთვი), სამხ. კომი — კარაულოვი.

ლიზა გრაჩევას გარდაქმნის პროცესი, კონსტანტინე პეტროვიჩის (მასწავლებელი) ფსიქოლოგია, რომელსაც „პრინციპიალურად“ არ სურს საბჭოებთან, ბოლშევიკებთან თანამშრომლობა, მაგრამ შემდგომ გადასული თანამშრომლობის აუცილებლობის ხაზზე, აქვეა ბლაგვი ოპოზიციონური მეზიანობა და სხვ.

ყველა ეს ისე ორგანიზულადაა მოცემული, ისეთის უშუალოდ რომ მკითხველი თავს ეპიზოდის უშუალო მონაწილედ გრძნობს. ლიბედინსკის ფიგურებს შორის პროლეტარული მკითხველი, რევოლუციონერი აუდიტორია ყოველთვის იპოვის თავის გმირს, თავის ადამიანს და მასთან ერთად ასეულ გვერდზე გადახედავს და განიცდის იმ წარსულს (სამხედრო კომუნიზმს), რომლის მამოძრავებელი თვითონაც იყო. შეუძლებელია ამხ. რობიეკოს დავიწყება... მართლაც, რომ რევოლიუციის სინიდიის, შეუძლებელია დავიწყოთ ჩეკისტი გორნინი, რომელიც ისევე უზრუნველად იღებს თავის თავზე 28 ტრადიკულად დაღუპულ ამხანაგის საქმიანობას, როგორც ლამის მორიგეობას. არ შეიძლება არ მიესალმოდ მთელი რევ. განცდით ამხ. კარაულოვის მკაცრ რევოლიუცი. ბრძანებას:

—„დანილოვ! წადი ხიშტით! ეხლა ნებას გაძლევ, დასცხე მაგ ძაღლის შვილებს. დაიწყეთ მარცხენა ფრთიდან. სელეკცი! ესროლე ქუჩებს ტყვიის მფრქვევლები... ტყვეები არ წამოიყვანოთ“... ამ ბრძანებაში რევოლ. სიმართლე და რევოლ. სინიდიის მთელის დაწმენდითაა წამოწყებული. ასეთია რეალური სახე მუშათა კლასის ავანგარდის, თუმცა პატარა—სამაზრო მამულებით. „შვიდი დღე“ უსათუოდ დიდი სოციოლოგიური და მხატვრული მნიშვნელობის ფაქტია, და შეიძლება პარადოქსალურ ფორმებში ვთქვათ, რომ ავტორი ერთად-ერთი კონსტრუქტივისტია ლიტ. პრაქტიკაში. მართლა და თუ ხელოვნება:—ნივთების შენებაა, მათ შორის ცხოვრების შენებაც, მაშინ ი. ლიბედინსკი ნამდვილი ხელოვნების შემქმნელია: ის სწერს არა მარტო ცხოვრებაზე, იგი მოუწოდებს მკითხველს ცხოვრების მშენებლობისაკენ, ნივთების, ადამიანების, საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარდაქმნისაკენ.

ტექნიკა: მართალია შინაარსის და ფორმის, თემატიკის და სტილის პროპორციით ხასიათდება, მაგრამ აქვს ადგილი ნაკლსაც: მოთხრობა ძალზე ვაკუანურებულია, დიალოგები გრძელია, ძალზე დატვირთულია ეპიზოდურ ფიგურებით, კომპოზიცია მოისუსტებს, ენა არაა ლიტერატურული.

ყდა მეტის მეტი უფერულია.

P. S. „შვიდი დღე“—ში გადაჭრილი ამოცანები და „Завтра“—ში ნაწილობრივ დასახული ი. ლიბედინსკიმ მთელის სიმძაფრით კვლავ „Комиссары“—ში დააყენა. („შვიდი დღე“—ს ფიგურაში სცხოვრობენ და სცოცხლობენ ოქტ. რევოლიუციის მომდევნო პერიოდებში) და ამ მხრივ მათი განცალკევება შექანიკური იქნება, ამიტომ სასურველია მათი („Завтра“ და „Комиссары“—ს) თარგმნაც.

ვ. ლუარსამიძე.

შაქრო ნავთლუღელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მუშათაგანია, რომელიც 29 წლის განმავლობაში კალმით ემსახურება მშრომელ მასებს. ჯერ კიდევ 1908 წ. გამოსცა ლექსების პატარა კრებული: „შრომის დროს ამოწკნის ლექსები“, რაც მაშინ უსათუოდ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ღირებულებას წარმოადგენდა: ტფილისის მუშებს, ხელოსნებს, გაჭირვებულ კუსტარებს დარაზმვისაკენ, მომავლისაკენ მოუწოდებდა.

„შრომის დროს ამოვიკნისე,  
დავფიქრდი ცხოვრებაზედა,  
როგორც მე,—მეტად სხვაც არის  
ტანჯული ქვეყანაზედა.  
ავიღე ხელში კალამი,  
დავდეგ მწერლობის გზაზედა,  
ვთქვი: დავწერ როგორც შავიძლებ  
ბედკრული, ბედკრულ ხალხზედა“ (1902 წ.)

ასეთი პროგრამით გამოდის ნავთლუღელი და თავის ვანცლებს, თავის სიხარულს, თავის ჭირვარამს უკავშირებს მუშათა კლასს.

„დღეს ბრძოლა არის ჩემი ცხოვრება  
და ის ბრძოლითვე უნდა დასრულდეს“

მშრომელთა ჭირ-ვარამის პოეტი, შ. ნავთლუღელის შემოქმედებაში ძლიერია ბრძოლის ენერგია. მუშათა მასას—იგი აძაგებს მისავე აუტანელ მდგომარეობას, რაც თავის მხრივ ბრძოლისაკენ მოწოდებაა:

„ჰეი თქვენ ბედშაენო, საცხოვრებლათ  
ქვესკნელს ჩასულნო!  
ერთის მაგიერ ათ-ხუთმეტნი  
და მეტიც რომ ხართ.  
ცივ იატაკზე, ნესტიანზე,  
უქვეშსაგებოდ,  
ვითარც პირუტყვნი, ერთმანეთზე  
რომ მიმოყრილხართ...“

პოეტი გულ-ხელის დაკრფვას არ ურჩევს ჩაგრულთ, ადამიანურ უფლებას მოკლებულ გახარებულ მასსას პირიქით:

„დაპკარით მედგრად, ჩამოახმეთ უსამართლობა,  
განადგურეთ ვინც ცხოვრების გზებსა გიზღუდავთ“.

პოეტის შემოქმედებას არ ახასიათებს პასიურობა, მხოლოდ ჩივილი და სოციალურ ჩაგვრის, ბედის უმადურობაზე გადაბარება, ჩაგვრის სიმწვავე მას ამხედრებს ბრძოლისაკენ,—უღვივებს აქტიურობას და პოეტიც მუშათა რიგების ფართო მასსას უკაჟებს განწყობილებას, იმედით ავსებს და უკეთესი მერმისისაკენ მოუხმობს. რევოლუციების შემდეგ პოეტი მუშათა კლასთან ერთად ახალი საზოგადოებრივი აღმშენებლობის ხალისით ივსება—მაგრამ პირველმა



რევოლუციის გაყალბებამ—სევედის და უკმაყოფილების  
აღინიშნა, მებრძოლი მუშის შემოქმედებაში—  
„მოდის და ყურში ჩამძახის:  
შენ გვპირდებოდი სხვასაო,  
ეხლა კი საზრდოდ გვაძლევენ  
სამსალასა და შხამსაო“

(„საყვედური“)

ეს ასეც უნდა ყოფილიყო: მენშევიკურმა ხელისუფლებამ „დი-  
დი დაპირებათა“ განაღდებასაც არ სცდილა. მუშურ-გლეხური  
მასები ისევ ძველ სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობაში იყვნენ. ქარ-  
თულ ოქტომბრის შემდეგ—პოეტი ძლიერი პათოსით ებმება—სო-  
ციალისტურ აღმშენებლობაში. „შრომის ზეიმის“ პოეტის შემოქმე-  
დების მასალა, საბჭოთა ყოველდღიურობაა. პოეტი ნავთლუღელი  
თვითმყრობელობამდე იბეჭდებოდა მუშათა მოძრაობის ყველა ჟურ-  
ნალ-გაზეთებში. დღეს ის ჩვენი ყოველდღიურ გაზეთების მასსიური  
პოეტი—რითაც თავის ენერგიას კულტურულ რევოლუციის პრო-  
ცესს ახმარს. აღნიშნული ლექსების წიგნი—პოეტის განვლილი გზის  
მთლიან სახეს იძლევა,—რაც დადებითია—ფართო მასსებისათვის,  
ყოველდღიურ მუშაობით ცნობილი პოეტის—ამავე მასსებთან მეტი  
ორგანიული დაახლოვებისათვის.

ზ—ძე

---

**გიგო ხეჩუაშვილი** ლექსები. ტომი მეორე. გამოც.: ა. კ. რკ. გზის  
სტამბის მუშების მიერ. ფასი 1 მან. გვ. 200 ტირ. 2000.

გ. ხეჩუაშვილი ძველი და მეტად ნაყოფიერი მწერალია. ი. და-  
ვითაშვილის შემდეგ ხელოსნების და თვითგამორკვევის გზაზე დამ-  
დგარმა მუშათა მასსამ, გამოაჩინა მთელი რიგი საკუთარი პოეტები-  
სა—რომელთაც შემოქმედება მეცხრამეტე საუკუნის დასასრულიდან  
თვალსაჩინო ისტორიული მატრიანეა—საქართველოს მუშათა კლასის  
მოძრაობის ყველა მხარეების, ყველა წვრილმანების. რუსეთის მუ-  
შების მოძრაობის პოეზია—არალეგალურ და ლეგარულ „Звезда“-ს  
ფურცლებიდან იწყება. დემიან ბენდის მუშაობა ამ ფურცლებიდან  
იწყება და ის საუკეთესო ილიუსტრაცია ამ მოძრაობის, მისი  
განვითარების მჭრელი იარაღია. პარალელურათ ჩვენი მთელი რიგი  
მუშა-პოეტებისა, ასრულებდენ იმავე დემიანის გრანდიოზულ საქმეს,  
ასრულებდენ მეტოდიურათ, თანდათანობით, მაგრამ ურყევი გულ-  
მოდვინებით. ისინი იყენებდენ აკაკის—ვაჟას ფორმას, გამოსახვის  
ნაირობას—არც წასულან მათზე შორს—მაგრამ აკეთებდენ რეო-  
ლიუციის საქმეს—ანთებდენ ბრძოლის ხალისს—მუშათა გათვით-  
ცნობიერების გზით. მუშათა მოძრაობის ისტორიამ და აწმყომ,  
იცის ეს მეთოდი გამოყენების, წარსულის ხერხებით სარგებლობის.  
დემიან ბენდი—პუშკინის ფორმის პოპულარიზატორია; რუსეთის

მრავალ-მილიონიან გლეხობის კულტურის დონისათვის—ასეთი პოეტი აუცილებელი იყო და არის. რევოლუციონურ მოძრაობის თავალ-საზრისით ყოველგვარ ახალ კულტურულ ღირებულებაზე უფრო ღირებულია ასეთი ხასიათის პოეზია. ჩვენი მუშა-მწერლები განსაკუთრებით ამ ღირებულებით ხასიათდებიან. გ. ხეჩუაშვილი ამ პოეტების რიგიდან ერთ-ერთი საუკეთესო მწერალია. მრავალ-წიგნების ავტორის—უკანასკნელი სარეცენზიო ლექსების წიგნი, იძლევა საშუალებას წარმოვიდგინოთ მისი შემოქმედების ხასიათი. გ. ხეჩუაშვილი პროზაიკიცაა, დრამატურგიც—მაგრამ ამ შემთხვევაში იგი წარმოდგენილია—როგორც პოეტი. პოეტის შემოქმედება უპირველეს ყოვლისა დასტრიალებს მუშის მდგომარეობას—მის ყოფაცხოვრებას. მან კარგათ იცის რომ:

„ერთისათვის საწამლავი  
მეორესთვის მალამოა“.

ის განიცდის ექსპლოატაციის ბრწყალებს; პოეტი როგორც გრძნობიერი ძარღვები—მონობის უღლით გადახნილი მუშის ქედისა, გრძნობს ამ უღლის აუტანლობას და ნაღველით—აღშფოთების ცეცხლით სავსე ხმით მოუწოდებს ჩაგრულთ ადამიანურ უფლებების მოპოებისაკენ.

„სადა ხარ კაცო, ჰოი, ბედრკულო,  
მკაცრად არ აღძრავ შენ შემკრთალ ენას  
და არა ცდილობ სასტიკის ძალით  
შენის სიძარათლის მკვდრეთით აღდგენას“.

პოეტი თავისუფლების მომღერალია. მისთვის მებრძოლია; ამისათვის ის მოუწოდებს შრომის შვილებს გამარჯვებისაკენ. მას შრომა უყვარს—ორგანიზაციულადაა ჩაქსოვილი ქარხნის ცხოვრებაში.

„ქარხანა ქუხს, ხმაურობს,  
ისმის გუგუნ-გრიალი,  
მღერის აურ-ზაურობს,—  
შვენიის ბრუნვა-ტრიალი“.

პოეტში—კლასიური ალლო მეტად გამახვილებულია. თვით-მყრობელობის დამხობა თებერვლის რევოლუტია—მას მუშათა კლასთან ერთად სიხარულით აღვსებს. ის მთელ რიგ აღფრთოვანებულ ოდებს უძღვნის ამ დროს, მაგრამ პოეტს კლასიური ალლო არ უმტყუნებს—ის ამჩნევს რევოლუტციის გადაგვარებას და სევდით იბურება.

„ქვლავ გულს სევდა შემოაწვა,  
აღარ ვიცი, რა ვიფიქრო“!

„თუმცა ძველმა სამუდამოთ  
ტანთ ჩაიცვა ძაძა თალხი,  
მაგრამ ახალს კიდევ შერჩა  
წინანდელი ბნელი ხალხი“.

(ლექსი „სევდა“ 1918 წ.).

მაგრამ მუშათა კლასის მებრძოლი პოეტი გულს არ იტენს.

„ვიბრძვი ისევ მომავლისთვის  
ცხოვრებას არ ვეპუები“.

თებერვლის რევოლიუციის ბურჟუაზიული გადაგვარება, მას  
ბრძოლის ფარ-ხმალს არ აყრევენებს, ისე როგორც 1905 წ. შემდე-  
გი—რეაქციის სუსხი მისთვის მხოლოდ მომავალ ბრძოლებისათვის  
გამხნეება იყო:

„გულო გამხნევი, უიმედოთ ნუ გახუნდები!

არჩეულ გზიდან ნუ დაიხევ, ნუ დაბრუნდები,  
დღეს ვინც არ მოგდევს, მოგყვებიან ხვალ შენ ისინი“.  
(1905 წ.).

მუშათა კლასის პოეტი ინტერნაციონალისტია. მოძმე ერთა  
სისხლის ღვრის მეთაურებს ის აღშფოთებული ზიზღით მიმართავს.

„ერში შურის დამთესავნო,  
მუხანათნო და მაცდურნო“

„მოდმის სისხლი რომ დაღვარეთ?  
რას ფიქრობდით? რა გინდოდათ?“

(მოლალატეებს. სომხეთთან ომის გამო. 1918).

გ. ხეჩუაშვილი—თვით დაზვასთან მყოფი ძლიერი ჩაწვდენის  
უნარით იძლევა შრომის პროცესის სახეს. (ლექსი „ასოთ-ამწყობ-  
ბი“). პოეტის განვითარების ყველა გზები გარკვევით სჩანს აღნიშ-  
ნულ წიგნში. პირვანდელი შემოქმედების ზოგად-ხალხოსნური ხასია-  
თი თანდათანობით სავსებით გადადის—კლასიურ პროლეტარულ  
ფარგლებში, ამას თვით პოეტი თვალსაჩინოთ გვიჩვენებს ორ და-  
პირდაპირებულ ლექსით.

1) „წინად მუშა-პოეტები ასე ვწერდით „მოლალატე სატროფო,“

2) ახლა ასე ვწერთ: „დინამოს ანგები“

დინამოს ანგებისკენ—პოეტის შემოქმედება სავსებით გადახ-  
დილია, და დღეს იგი გვევლინება, როგორც ძლიერი და გარკვეუ-  
ლი პროლეტარული პოეტი.

ბ-ძე

„მნათობი“ № 1 და №2. 1927 წ. ყოველთვიური სალიტერატურო-  
სამხატვრო ჟურნალი. სახელგამი.

„მნათობის“ № 1 იხსნება კ. ლორთქიფანიძის ლექსით „ლე-  
ნინი“. კ. ლორთქიფანიძე ლირიკულ ხასიათის პოეტი. ამ მხრივ  
პროლეტარულ პოეტს დიდი ინტენსიური მუშაობა მართებს, რომ  
არ გადასცდეს განცდისა და განწყობილებათა საზღვრებში და შეი-  
ნარჩუნოს იდეოლოგიური მთლიანობა. ლორთქიფანიძე აქ დაბეჭდილ  
ლექსებით იძლევა თანამედროობის ემოციონალურ განცდას.

„როცა დაიბადე—ცივ ვოლგის ნაპირზე  
არ ვიცი, მოვიდენ თუ არა მოგვები;“



მე ვიცი მხოლოდ, რომ შენს განვლილ მანძილზე უბრალო ქვაც არის სიცოცხლის მომგვრელი“ (ლენინ).

„წინაპრებს“—იდეოლოგიურათ გამართული ლექსია და კარგადაც არის დაწერილი.

ვ. გორგაძე ერთერთი თანამგზავრ პოეტთაგანია. აქ მოთავესებული „ბრძოლა წიფის გვირაბთან 1905 წელს“, 905 წლის რევოლუციის რომანტიკის ეპიზოდური ცდაა. მაგრამ თვითონ ლექსის ფორმა იმდენათ მოცვეთილია, რომ ემოციონალური ზედ-მოქმედებისათვის უვარგისია და პეიზაჟის შთაბეჭდილებას სტოვებს.

ი. მოსაშვილის ლექსი „სოფელში“ ლირიკულ განწყობილებით არის დაწერილი.

ს. ჩიქოვანი ლექსით „ძველ პოეტს“ გარკვეულათ თანამგზავრობის ტენდენციას ამჟღავნებს. თუ ჩვენ თანამგზავრ პოეტს ვერ მოვთხოვთ იდეოლოგიურათ ასი პროცენტით გამართლებულ შემოქმედებას, ყოველ შემთხვევაში თანამედროობაში გასაგები განწყობილება უნდა იყოს მოცემული. შემოქმედებით მასალაში საბჭოთა ელემენტი, ნივთი უნდა სჩანდეს. ამ მხრივ ს. ჩიქოვანი შედარებით გამაშკარავებულია:

„და ფრთა მაგარი, მომხაზავი დიდი მინდვრების,  
მღვრიე ძახილით მოუხმობდი კაცურ ნახტომებს,  
ავიცერ მკლავი და მივიღე სისხლი დროების  
და სიხარული ბედს ვესროლე ცხენის ლახტივით“.

მეორე ნომერში მოთავსებულია კონ. ლორთქიფანიძის ორი ლექსი: „სიტყვა ექვსი წლის თავზე“ და „ნება“. ლექსები დაწერილია იდეოლოგიური გამძლეობით და სალი განწყობილებით.

კ. კალაძის „მხედრული“ დაწერილია სამხედრო მარშის რიტმით და სრული მიღწევით. ლექსის მთლიან მიმდინარეობაში განსაკუთრებული რელიეფობით მოცემულია ქართული კოლორიტი.

„თუმცა სხვადასხვა „გორის“ ვართ, გვარჩევენ სხვა  
გვარ-ტომობით,  
სწრაფვა და გრძნობა ერთი გვაქვს,—ხორცილ და სისხ-  
ლით ტოლები!  
ძმად შეფიცული მოვდივართ:—როგორც ზვირთები არა-  
გვის...“

ხარობენ ჩვენი თვალები!—ამოქოლვრელი ქედებით,  
მაგრამ, თუ მტრები მოგვაწყდენ, ნდობაც გვაქვს კლდო-  
ვან მკერდების“.

ნ. ზომლეთელის „თებერვალი“ გულუბრყვილოთ არის დაწერილი. ელემენტალური პოლიტი. ცოდნის ქონება არის საჭირო, რომ არ გადასცდე წვრილფეხა რეაქციონურ მწერლის მიერ წამოსროლილ ფრაზაში: „რევოლუცია ფოსტით არის ჩამოტანილი საქართველოში“-ო. რევოლუცია მუშათა კლასის ფართო რევოლუციონური მოძრაობის შედეგია და ნ. ზომლეთელს, როგორც პროლეტარულ მწერალს არ უნდა მოსვლოდა „ფოსტის“ ცნების დაკანონება.



„...მზე სამხრეთის ამ ტურფა მხარეზე.  
ჩვენ გვაკლდა და ესეც გადმოგვცა მან „ფოსტი“!  
„ვერ მივხვდი ამაში რა ნახეს ბოროტად,  
გაგებით მუშათა და გლეხთა ბედისა?“

ს. აბაშელის „ჰაეროპლანი სოფლად“ განუორიგველი ლექსია-  
ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე „ცისფერი ყანწილების“ ლექსები:  
პაოლო იაშვილის ადგილები პოემიდან, „პოეტი და ადამიანი“ და  
ტ. ტაბიძის „სტალინი“. წარმოდგენილ ლექსებში არის თანამგზავ-  
რობის მცირე ტენდენციები. ტ. ტაბიძის „სტალინი“ „ცისფენ-ყან-  
წური“ დეკადენტური ხოტბით არის დაწერილი.

ორივე ნომერში დაუმთავრებელია ი. ვაკელის პოემა „მეწის-  
ქვილე“. მოთხრობები: ლ. ქიაჩელის „სისხლი“, ანას. ერისთავ-ხოშ-  
ტარიას „სალი“, დემნა შენგელაიას „ტფილისი“.

მ. ჯავახიშვილის „თეთრი კურდღელ“-ში მეტათ მდარე ფაბუ-  
ლარული მასალა არის მოცემული. იოსებ ტატიშვილის „მტერთა  
სასძლო“-ში მოთხრობილია ბორჩალოს მახრის თათრების ყოფა-  
ცხოვრება: ქალის უფლებრივი-მორალური დაჩაგვრა და სისხლის  
აღების ადათის უარყოფითი შედეგები. მეორე ნომერშიავეა დ. სულია-  
შვილის მოთხრობა „წერილი“.

თარგმნილი ლიტერატურის განყოფილებაში პირველი ნომრი-  
დან გრძელდება ფ. გლადკოვის რომანის—„ცემენტი“ დ. შენგელაიას  
თარგმანი. № 2-ში მოთავსებულია ვ. გაფრინდაშვილის ნათარგმნი  
ლექსები პუშკინიდან.

კრიტიკის, მხატვრობის და პუბლიცისტიკის განყოფილებაში  
მოთავსებულია მიხ. კახიანის ტფილისის პარტკონფერენციაზე მოხსე-  
ნებიდან ამოღებული ადგილი: „იდეოლოგიურ ფრონტზე“. მიხ.  
ზანდუკელის—„რომანტიზმი ქართულ ლიტერატურაში“. ავტორის  
კრიტიკული ინტერპრეტაცია მოკლებულია კვლევის მეთოდურ  
პრინციპიალობას და ზოგან საეჭვო მოსაზრებები არის განვი-  
თარებული.

წარმოდგენილია თარგმანები: ნ. ბუხარინის „გესლიანი შე-  
ნიშვნები“. და ნ. კრუპსკაიას „რა მოსწონდა ილიჩს მხატვრულ  
ლიტერატურაში“.

აგრეთვე მოთავსებულია პოლიტიკური და პუბლიცისტური  
ხასიათის წერილები: კ. მეგრელიძის „გერმანიის კაპიტალიზმის  
კრიზისი“, მიხ. კახიანის „საერთაშორისო მდგომარეობის საკითხი“  
და ვ. ლომინაძის „რუსეთის საკითხი კომ. ინტ. აღმ. კ-ის პლენუმზე“.  
ჟურნალში არის ბიბლიოგრაფიული განყოფილებაც.

ხალი.

# საქართველოს პროლეტარულ მფარალთა ასო- ციაციის გამგეობის გაზართომებული კლენში

14 მარტი 1927 წელი.

ს. კ. პ. ც. კ. ბეჭდვითი განყოფილების გამგის ამხ. გ. მუში-  
შვილის მოხსენება: 1) პარტიის პოლიტიკა მხატვრულ ლიტერატურაში.  
მომხსენებელი ემყარება რა საკავშირო კომპარტიის ცეკას რეზო-  
იუციას, ლიტერატურული პოლიტიკის შესახებ, არკვევს პარტიის თვალ-  
საზრისს მხატვრულ პოლიტიკის სფეროში. მომხსენებელმა კამათა წე-  
სით განავითარა გარკვეული მოსაზრებანი ხელოვნების რაობის, სხვადას-  
ხვა ლიტერატურულ მიმდინარეობათა და კერძოთ პროლეტარულ ლი-  
ტერატურის შესახებ. მომხსენებელი არკვევს ხელოვნების რაობას,  
როგორც სინამდვილის მოცემა მხატვრულ სახეებში და ემოციონა-  
ლურ. გადამდებობის საშუალებას. მომხსენებლის აზრით, თანამედ-  
როვე ხელოვნების პრინციპი, მხატვრული რეალიზმით განისაზღვ-  
რება. ჩვენი მხატვრული პოლიტიკა მიმართულია ხელოვნების გა-  
მოყენებისაკენ. ხელოვნების და თანამედროვეობის ორგანიულ და-  
კავშირებისაკენ. ყოველი გაბატონებული კლასის მიერ შექმნილი სა-  
ზოგადოებრივი იდეოლოგია, განსაზღვრავს მხატვრულ შემოქმედე-  
ბის ბუნებას. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, ხელოვნება დაშორდა,  
ნის პირვანდელ საფუძვლებს; ხელოვნების და ცხოვრების შორის კო-  
ნკრეტული, ურთიერთობის დარღვევა, ანუ დისპროპორციის საფუძ-  
ველზე, წარმოიშვა ბურჟუაზიულ ხელოვნების თეორია—ხელოვნება  
ხელოვნებისათვის. პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში, ხელოვ-  
ნებას უნდა მიუდგეთ გამოყენება-სარგებლიანობის თვალსაზრისით,  
და ცხოვრებასთან მეტი მჭიდრო კავშირის ამოცანები უნდა დაუ-  
ყენოთ.

პროლეტარული კულტურის მიმართ, ამხ. ტროცკის დებულება  
შემცდარია—რადგან გამომდინარეობს მისი პერმანენტული რევო-  
ლიუციის შემცდარ თეორიიდან—მეორეს მხრივ ამხ. ვარდინის მო-  
საზრებაც პროლეტარული ლიტერატურის ჰეგემონიის დღესვე გამო-  
ცხადების—წარმოადგენს მეორე უკიდურესობას. პროლეტარული  
კულტურის დიალექტიური განვითარება ერთის მხრივ შეიცავს კლას-  
ობრივ დაპირდაპირების მომენტს და მეორეს მხრივ სოციალისტურ  
კულტურის საფუძველს წარმოადგენს. კერძოთ, პროლეტარულ მწერ-  
ლობის ჰეგემონია დღესვე პრინციპათ უნდა იქნეს მიღებული—ხო-  
ლო მისი რეალიზაცია მომავლის საქმეა. პროლეტარული მწერალი  
„პროლეტარიატის თვალებით“ უცქერის ქვეყანას და ახდენს ფსი-  
ხიკის ორგანიზაციას კომუნისტურ მიმართულებით. ეროვნული მო-  
მენტი მწერლობა-კულტურის სფეროში—კერძოდ პროლეტარული  
ლიტერატურისათვის, განსაზღვრულია სტალინის შემდეგ ფორმულაში  
„ინტერნაციონალურ შინაარსის მოცემა--ეროვნულ ფორმებში“.

მომხსენებელი არკვევს თანამგზავრობის საკითხს და ამასთან  
დაკავშირებით პარალელს ავლებს, პროლეტარიატის და საშუალო გლე-  
ხობის ურთიერთობის საკითხთან.

პარტიის ლიტერატურული პოლიტიკის გატარების სიძნელე, ერთის მხრივ დაკავშირებულია იმ მდგომარეობასთან, რომ პარტია ფრთხილად უნდა მოეპყრას ყველა იმ ლიტერატურულ მიმართულებებს, რომელნიც ასე თუ ისე სდგანან საბჭოთა საზოგადოებრიობის — თვალსაზრისზე, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ დაუმკვიდრებიათ იდეოლოგიური სიმტკიცე და მათი მხატვრული შემოქმედების განვითარება თანამედროობის შეგრძნობის მიმართულებით მიდის.

ჩვენ ვებრძვიტ ჩვენთან, აშკარათ მტრულათ განწყობილ ლიტერატურას, ამასთანავე ხელს უწყობთ თანამგზავრულ ფრთის გამოჩენას ლიტერატურაში.

მომხსენებელი საკმაო ვრცლათ შეეხო ლიტერატურულ მდგომარეობას საქართველოში. ჩვენი მწერლობის ძველი ფენა, თანამედროვეობას სრულებით ვერ სწვდება — და ამ ნიადაგზე ხდება მისი თანდათანობითი გაყინვა. — კერძოთ კი თანამედროვეობის რგოლში მოქცეული მწერლობა, ამჟღავნებს იმ კრიზისს, რაც გამოიხატება ძველ და ახალი ადამიანის დაპირდაპირებაში, თანამედროვეობის შეგრძნობის პროცესში. „ცისფერი ყანწები“ — ს ჩვენს ლიტერატურაში, უკანასკნელი ფაქტები, ამჟღავნებენ გარკვეულ თანამგზავრულ ტენდენციებს.

ქართული ფუტურიზმი, მიუხედავათ ლიტერატურულ მემარცხენეობის სურვილისა, ჯერ-ჯერობით წინააღმდეგობათა რგოლში არის მოქცეული — და მათი ლიტერატურული სიცოცხლის თვალსაზრისით უნდა მოხდეს როგორც ლიტერატურული, ისე პოლიტიკური გამემარცხენება.

პროლეტარული მწერლობა თანდათანობით ვითარდება. — მაგრამ ამ განვითარების და ლიტერატურულ განმტკიცების პროცესში — ახასიათებს მთელი რიგი უარყოფითი თვისებებისა. კომიყოყმოზობა, — ჩამორჩენილობა, ნაწილობრივი იდეოლოგიური გადახვევები — ჯერ-ჯერობითი ფორმალური სისუსტე. — მაგრამ პროლეტარულ მწერლობის კადრები, რომელიც პროლეტარულ საზოგადოებრივობით საზრდოებს — საკმაო ძლიერ ლიტერატურულ მიმდინარეობას წარმოადგენს და ჩვენც ხელი უნდა შეუწყოთ, მას ისტორიულ ჰეგემონიის მოსაპოვებლათ; პროლეტარულ მწერლობის ჰეგემონიის მოპოება კი დამოკიდებულია, პროლეტარულ მწერლობის, მიერ სწავლის გაღრმავებაზე და პროდუქციის ხარისხობრიობის ამაღლებაზე — ლიტერატურული სპეცობის დამკვიდრების ფაქტით.

მომხსენებელის აზრით, პარტიამ ხელი უნდა შეუწყოს — ჩვენი მწერლობის ყველა მიმდინარეობათა შემოქმედებით მუშაობას, იმ მხრივ რომ გააძლიეროს მათში, საბჭოთა სინამდვილესთან დაახლოვების და თანამედროვეობის ტენდენციები. მომხსენებელს საჭიროთ მიაჩნია — რომ საკავშირო კომ. პარტიის ცეკას რეზოლიუციის საფუძველზე დამუშავდეს — ლიტერატურული პოლიტიკის საკითხები საქართველოში, ჩვენი ქვეყნის სინამდვილესთან დაკავშირებით.

ამხ. ბ. ბუაჩიძის მოხსენება: „პროლეტარულ მწერლობის შემოქმედებითი მუშაობა და ორგანიზაციული საკითხები“.

მომხსენებელი ეხება იმ გადახრებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა პროლეტარულ მწერლობაში, უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში და აღნიშნავს, რომ პროლეტარულ მწერალთა კლასიური თვით-შეგნება ამ უამად განმჯივრების და გაჯანსაღების გზით მიდის.

ძირითადი საკითხები, — რომელიც დღეს კიდევ გადაუდებლათ სდგას პროლეტარულ მწერლების წინაშე არის სწავლის — შემოქმედების და თვით — კრიტიკის საკითხები.

წარსულის კულტურის დაძლევა ძირითადი საფუძველია, პროლეტარულ მწერლობის განვითარებისათვის. პროლეტარულ მწერლების პროლეტარული ხარისხის გასაუმჯობესებლათ — აუცილებელია თვით-კრიტიკა.

შემდეგ მომხსენებელი არკვევს არა-პროლეტარულ მწერლებთან დამოკიდებულების საკითხს, — აღნიშნავს — მათზე ზეგავლენის მოხდენისათვის, — თანამშრომლობის აუცილებლობას და ლიტერატურის თანამგზავრულ ტენდენციებისათვის ხელის შეწყობას, მათი პროლეტარულ იდეოლოგიის საფუძველზე, საბოლოოდ გადმოსაყვანათ.

არსებულ მწერალთა კავშირთან უნდა სწარმოებდეს შეთანხმებული მუშაობა და მომავლისათვის კი პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ — უნდა მოამზადოს ნიადაგი ამ კავშირის ფედერატიულ საწყისებზე გადახალისებისათვის.

ამიერ-კავკასიის პროლეტარულ მწერლებთან აუცილებელია მჭიდრო დაახლოება — რისთვისაც სათანადო პრაქტიკული ნაბიჯები უნდა იქნეს გადადგმული.

მომხსენებელი არკვევს „ვაპკ“-ის იდეოლოგიურ კურსის შეცვლის შინაარს და აღნიშნავს, საქართველოს პროლეტარულ მწერლების იდეოლოგიური პლატფორმის უქონლობას — რის გამოც, ზოგიერთი ამხანაგების მოხერხება, ქმნიდა შთაბეჭდილებას, თითქოს საქართველო იღებდა რუსეთში დაგმოვილ იდეოლოგიურ პლატფორმას, ვარდინიზმის, „ვაპკ“-ის „მემარცხენე“ უმცირესობის ხაზს. აუცილებელია გამიჯვნა ამ პლატფორმისაგან. უარყოფილ უნდა იქნეს შეურიგებლობა თანამგზავრულ ფენებისადმი — როგორც, მიუღებელი სახე — კლასიურ ბრძოლის ახალი ფორმისა. ნადრევი და ხელოვნურათ გამოცხადებული მიღწევებით, ყოყოყური თვით-კმაყოფილება დამლუპველია პროლეტარულ ლიტერატურისათვის.

პროლეტარულ მწერალთა შორის, ფრაქციულ კინკლაობის წინააღმდეგ უნდა მიღებულ იქნას გადამჭრელი ზომები, რომ ამით პროლეტარულ მწერალთა შემოქმედებითი მუშაობა მეტი ინტენსივობით წარიმართოს.

მომხსენებელი ეხება საქ. პროლეტარულ მწერლების ორგანიზაციულ ლიტერატურულ მუშაობის საკითხებს და ადგენს ამ მუშაობის გეგმას. სასახლიდან მუშაობის მუშათა უბნებში გადატანა, ყვე-



ლა რაიონებში წრეების დაარსება: მუშაობის გაძლიერება მუშაკორებში და კომკავშირულ ახალგაზრდობაში. პროლეტარულ მწერლებში პრაქტიკულათ სწავლის საკითხის სათანადო დონეზე დაყენება.

მომხსენებელი ადგენს პრაქტიკულ ღონისძიებათა რიგს, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მუშაობის გაცხოველებისა და სათანადო ხაზით წარმართვისათვის.

---

**საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის გაფართოებული პლენუმის რეზოლიუცია ამხ. ბ. ბუაჩიძის მოხსენების გამო.**

1) საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის გაფართოებული პლენუმი აღნიშნავს, რომ საქართველოს პროლეტარულ მწერლობის განვითარების უკანასკნელი პერიოდი ხასიათდება კლასიური შემოქმედებითი გზის გამოსწორებით, რომელიც შესამჩნევად გამრუდული იყო იდეოლოგიური გადახრების სახით. ეს გამოსწორება ხდება და უნდა მოხდეს სწავლისა და თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ. პლენუმი ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნავს სწავლის, შემოქმედებისა და თვითკრიტიკის ლოზუნგის წამოყენების საჭიროებას, მის გეგმაშეზომილ განხორციელებას, პროლეტარულ მწერლობის ხარისხობრიობის ასაწვევად, რაც წინაპირობას წარმოადგენს პროლეტარულ მწერლობის მომავალ ჰეგემონიისათვის.

2) საქ. პროლ. მწ. ას. პლენუმი აღნიშნავს, რომ საქართველოს პროლეტარულ მწერლობას ჯერ-ჯერობით არა აქვს ჩამოყალიბებული, ერთი მთლიანი იდეოლოგიური-მხატვრული პლატფორმა. ამ მიზეზის გამო ადგილი ჰქონდა ზოგიერთ ამხანაგების მიერ „ვაპკ“-ის (საკავშირო პროლეტ-მწერალთა ასოციაციის) უმცირესობის (ვარდინ-ლელევიჩის) შემცდარ იდეოლოგიურ-ორგანიზაციულ პლატფორმის ხელოვნურად თავზე მოხვევას. პლენუმი აუცილებლად სცნობს, გაიმიჯნოს ასეთ ორგანიზაციულ და შემოქმედებითი მუშაობის—ხელის შემშლელ პლატფორმისაგან. უარყოფილი უნდა იქნეს თანამგზავრობისადმი ისეთი დამოკიდებულება, რომელიც თანამგზავრების რევოლუციის მიმართულებით გამორკვევის და გადამუშავების მაგიერ, იწვევს მათ უკუქცევას. ამიტომ მომავალ მუშაობაში აუცილებელია სწარმოებდეს მუშაობა პარტიის რეზოლიუციის საფუძველზე, არა-პროლეტარულ მწერლებთან ურთიერთობის ფორმების გამოსახანად.

3) ა) საქ. მწერალთა კავშირთან უნდა განმტკიცებულ იქნას თანამშრომლობა, ჩვენ მიერ ამ კავშირის მუშაობაზე გავლენის გასაფართოებლათ. მწერალთა კავშირის მომავალ ყრილობისათვის უნდა შემზადდეს ნიადაგი, რათა საქ. მწერალთა კავშირში შემაჯავლი-ლიტერატურული ორგანიზაციები გადახალისდეს, ფედერატიულ საფუძველზე.

ბ) ამიერ-კავკასიის პროლეტარულ მწერალთა შორის მეტი კულტურული ურთიერთობის და კავშირის გასაბმელად უნდა გამო-  
ნახულ იქნეს სათანადო ფორმა იდეური, შემოქმედებითი და ორგანი-  
ზაციული დაახლოებისათვის.

გ) პროლეტარულ მწერალთა შორის ფრაქციული და სექტან-  
ტური კინკლაობის აღმოსაფხვრელათ, უნდა მიღებული იქნას გადა-  
მჭრელი ზომები. <sup>1)</sup>

4) საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის შემოქმედებითი  
და ორგანიზაციული მუშაობის გაცხოველებისათვის საჭიროა შემდეგი  
გეგმის გატარება.

ა) უნდა უზრუნველყოფილი იქნას ჟურნალ „პროლეტარულ  
მწერლობის“ სისტემატიური გამოცემა.

ბ) ამასთანავე აღმანახი „მიზანი“ გადაკეთებულ იქნას ასოციაციის  
ყოველთვიურ მეორე ორგანოთ, რისთვისაც უნდა გამონახულ იქნას  
სათანადო მატერიალური წყაროები.

გ) ასოციაციის ლიტერატურულ მუშაობის ცენტრი უნდა გა-  
დატანილ იქნას ხელოვნების სასახლიდან მუშათა რაიონებში.

დ) მოწყობილ უნდა იქნას მასსიური ლიტერატურული წრეები—  
პროფ-კავშირთა საბჭოს კულტ-განყოფილების საშუალებით.

ე) უნდა გაძლიერებულ იქნას კავშირი მუშაკორებთან.

ვ) კომკავშირულ მწერალთა წრეში—გაძლიერებულ იქნეს ხელ-  
მძღვეანელობა—მათი ლიტერატურული სახის გამომქლავებისათვის,  
სათანადო პირობების შექმნით.

ზ) საქ. პროლ. მწერალთა ასოციაციამ—დაუყოვნებლივ უნდა  
გადადგას ნაბიჯი, საქართველოს პროვინციებში და მუშათა-საწარმოო  
რაიონებში, განყოფილებების და წრეების დასაარსებლათ, მასსიურ  
შემოქმედების გამომქლავებისა და მკითხველის მომზადებისათვის.

თ) ასოციაციის წევრთა შორის სწავლის ლოზუნგის განსახო-  
რციელებლათ, უნდა გამოყოფილ იქნას სამოსწავლო მეთოდური  
კომისია, რომელიც შეიმუშავებს პროგრამას და გაუძღვება ამ მუშა-  
ობას.

ი) უნდა მოხდეს საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში  
შემავალ ეროვნულ სექციების მეტი ურთი-ერთ დაკავშირება—და  
თვითეულ მათგანში მუშაობის გაცხოველება. განსაკუთრებით ყურა-  
დღება უნდა მიექცეს სომხურ სექციაში მუშაობის გამოცოცხლებას,  
რომელიც დღემდე სუსტად სწანს.

1) პლენუმის დადგენილებით ამხ. პ. ქიქოძე მოხსნილ იქნა ასოციაციის ყვე-  
ლა სახელმძღვანელო ორგანოებიდან.

# ზ ი ნ ა ა რ ს ი

## მხატვრული ლიტერატურა:

(ავტორები ანბანზე)

გვრ.

პეტრე ქუთათელაძე (სამსონიძე)—პირველი ქართველი . . . . .	5
კალე ბობოხიძე—მანქანებთან . . . . .	48
სანდრო ეული—ამბავი წარსულიდან. . . . .	50
იონა ვაკელი—ზელიმხანი . . . . .	52
კარლო კალაძე—სასიხარულოდ . . . . .	63
ალიო მაშაშვილი—ღია წერილი ამხანაგ სტალინს. . . . .	64
ს. ჯავახიანი—არალეგალური სასტუმრო . . . . .	65
ფრიდონ ნაროუშვილი—ღამით ნაგანი . . . . .	94
გ. შინატყეხელი—მებრძოლის სიმღერა . . . . .	96
კალე ფეოდოსიშვილი—დედის საფლავზე. . . . .	97
ილ. ხოშტარია—ნადირობა. . . . .	99
ი. ეგრისელი—ნარვალეები . . . . .	101

## თეორიკ და კრიტიკა:

ბენიკო ბუაჩიძე—პროლეტარულ მწერლობის მუშაობის გეგ- მიანობისათვის . . . . .	117
რაულენ კალაძე—ანტონ ფურცელაძე . . . . .	125
ვალ. ლუარსამიძე—პროლეტარული ლიტერატურის ბოლშე- ვიზაციისათვის. . . . .	141
დავით რონდელი—პარალელური შენიშვნები . . . . .	150

## ბიბლიოგრაფია:

ანი—სანდრო ეული „ლექსები“. . . . .	155
ლიტერატორი—ნ. მიწიშვილის „თებერვალი“ . . . . .	156
ვ. ლუარსამიძე—ი. ლიბედინსკი „შვიდი დღე“ (ქართული თარგმანი). . . . .	158
ზ.—ძე—შ. ნავთლუღელის „ლექსები“ . . . . .	161
ბ—ძე—გ. ხეჩუაშვილის „ლექსების მეორე წიგნი“ . . . . .	162
სალი—„მნათობი“ № 1 და № 2. . . . .	164
საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეო- ბის გაფართოებული პლენუმის ანგარიში და რეზო- ლიუცია . . . . .	167

შემჩნეულ კორექტურულ შეცდომების გასწორება:

- ბ. ბუაჩიძის წერილში მე 122 გვ. მე 20 პწკ. სწერია: გასა-  
გები გზა იყო—უნდა იყოს:—გასაგნები გზა იყო.
- ფ. ნაროუშვილის ლექსში 94 გვ. მე 14 პწკ. სწერია: ჰკილია  
ზეზე—უნდა იყოს:—ჰკილია ხეზე.

გრძელდება ხელის მოწერა

ყოველთვიურ სალიტერატურო-სამხატვრო

ქუჩნალ

**„პროლეტარულ**

**მწერლობა“-ზე**

ორგანო სრულიად საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის.

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია. სახელგამის გამოცემა.

ქუჩნალი უზიცავს 176 გვერდს.

მიიღება ხელისმოწერა სახელგამის ყველა მაღაზიებში, როგორც ტფილისში, ისე პროვინციაში.

ტფილისში მიიღება ხელისმოწერა:

ცენტრალური მაღაზია—რუსთაველის პრ. № 22.

მაღაზია № 2—პლესხანოვის პრ. № 98.

მაღაზია № 3—ავლაბრის მოედანი № 3.

მაღაზია № 4—თავისუფლების მოედანი № 3.

მაღაზია № 5—გოგოლის და ვაგზლის ქუჩის კუთხე.

პროვინციაში სახელგამის მაღაზიებში:

ბათომსა, ქუთაისსა, ფოთსა, სოხუმსა, ახალ-სენაკსა, გორსა და კრებალოში.

გარდა ამისა ხელის მოწერა უნიკლავა  
ამიერ-კავკასიის და საქართველოს ყველა  
საფოსტო განყოფილებაში.



# სახელმწიფო გამოცემლობა „სახელგაი“

აცხადებს ყველა დაწესებულება-ორგანიზაციების, ბიბლიოთეკა-ქოხ-სამკითხველოების და კერძო პირთა საყურადღებოდ, რომ გამოცემულია მრავალი წიგნი პოლიტიკური და ბელეტრისტული ხასიათის, კლასიკოსების ნაწარმოებნი, ლექსები თანამედროვე პოეტების და სხვადასხვა სახელმძღვანელოები ყველა ჯგუფებისათვის.

ბითუმად მყიდველთათვის პირობები შეღავათიანია, საგრძნობი  
**ფ ა ს დ ა კ ე ბ ა .**

მიიღება ხელის მოწერა ჟურნალებზე:

## „პროლეტარული მწერლობა“, „მნათობი“ და „რევოლიუსიის გატინა“

მოითხოვეთ კატალოგები

საკანცელარიო და სამხატვრო განყოფილება: ყოველთვის მრავალია როგორც საკავშირო წარმოების, აგრეთვე საზღვარგარეთული საქონელი; ყველა საქონელზე ფასები 1-ლ მარტიდან ძალიან დაკლებულია. იბეჭდება ახალი პრეისკურანტი და სულ მოკლე ხანში გამოვა.

### საქონლისთვის მიმართეთ სახელგამის მაღაზიებს:

ცენტრალური მაღაზია	რუსთაველის გამზ. № 22,	ტელ. 3—89
№ 2	„ პლესანოვის „ „	100, „ 24—05
№ 3	„ კახეთის მოედ. „ „	1, „ 18—72
№ 4	„ თავისუფლების „ „	3, „ 12—71
№ 5	„ გოგოლის და ვაგზლის ქუჩების კუთხე.	

### პროვინციებში:

- გორი. ლენინის ქუჩა № 25.
- ქუთაისი. როზა ლიუქსემბურგის ქ. № 29.
- ახალ-სენაკი. რუსთაველის ქ.
- ბათომი. მე-III ინტერნაციონალის, ქ. № 27.
- სოხუმი. ტროცკის ქ.
- ფოთი. ვიოსკი ბაღში.
- კრებალო. განყოფილება.

